



ჩვენნი მხურვალე

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

27 დეკემბერი 2013

№26 (208)



ლია სტურუას ლექსები
კიტა ჩხენკელის გახსენება
ვანო ჩხიკვაძის მცირე პროზა
ზაზა აბზიანიძის ესეი ბაირონზე
ქართული საშობაო გზავნილები ამერიკაში
ზვიად გამსახურდიას წერილი ვახტანგ ჭელიძეს
ამირან სვიმონიშვილის თარგმანების კრებული
იოსებ ჭუმბურიძის რეპორტაჟი ქუთაისიდან
დალილა ბედიანიძის ლირიკა
ნოოსფეროს იდუმალი მიჯნა
ინტერვიუ ნატო ონიანთან
ფარშევანგის სოლო

შინაარსი

სად წაიყვან საღაურსა	2	რუსუდან ნიშნიანიძე საშობაო გზავნილები — დღესასწაული გრძელდება
მსპარს-ინტერვიუ	4	ნატო ონიანი „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“ (მოამზადა ციციანო ხუციშვილმა)
ვაისტოლე	5	ზვიად გამსახურდია ნაირილი ვახტანგ ჭალიძეს
პროზა	6	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
პოეზია	14	ლია სტურუა თამაში და სხვა ლექსები
	15	დალილა ბედიანიძე მუხა და სხვა ლექსები
კულტურის ხიფათი	17	ლელა ჯიყაშვილი შუქნიანი (ამირან სვიმონიშვილის თარგმანები)
გადი კასისა	19	ზაზა აბზიანიძე პარალელური საკითხავი (ედნა ო'ბრაიენის „შეყვარებული ბაირონი“ და ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა“)
დაუვიწყარი სახელები	21	იოლანდა მარშევი კიტა ჩხენკელის გახსენება
საქართველოს გზაზე	23	იოსებ ჭუმბურიძე ...და რა ლამაზი გათენდა დილა (ერთი დღის ორი შეხვედრის რეპორტაჟი ქუთაისიდან)
რეპორტაჟი	25	ეკა ბუჯიაშვილი ნოოსფეროს იღუმალი მიჯნა (მიხეილ ანთაძის საჯარო ლექცია)
დოკუმენტური პროზა	30	ჯანო ჯიქიძე შარშავანის სოლო
კლასიკური მემორიალი	36	ლია კარიჭაშვილი ერთობლივ, მთლიან სისტემაზე („ქართული ლიტერატურა“, ტომი I, V-XVIII საუკუნეები)
	37	ხათუნა მემანიშვილი აზრთა სინახელებით აღგაჭყლილი ხანა („ქართული ლიტერატურა“, ტომი II, XIX საუკუნე)
როგორ ვითხოვლობთ კლასიკას	40	ბადრი დანელია შიღვლო იღვლიანი (ვაჟა-ფშაველას ერთი მიჩქმალული პოემის შესახებ)
წუთები და წლები	44	მანანა გაბაშვილი კინო და კინომაყურებლის ისტორია
ახალი რომანი	52	ჯული გაბოძე ვარიაციები აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (ელგუჯა თავბერიძის „აკაკის ლანდი“)
კრიტიკა	54	ზოია ცხადაია ჯანსუღ კორკაიას პოეტური ხმა
პოეზიის მარილიანები	57	პოეტური თანავარსკვლავედი (ლოტრეამონი, ჟან მორეასი, პოლ-ჟან ტულე, მორის მეტერლინი, აგრიპა და ოდინიე, ანდრე შენიე, ფრანსუა-რენე დე შატობრიანი)
ახალი თარგმანები	59	ლორდ ბაირონი ჰარამში: გულბაიანი
საორბი	68	გივი გამრეკელი ამდენს ველოდით, სულ მალე კი დამთავრდა! (მაგნუს კარლსენი — მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონი!)
	70	გივი გამრეკელი ჯერჯერობით ვოუ ივანი
მოუაია	71	უკვდავება დევიზისა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2014 წლის 10 იანვარს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ილუსტრაცია ლორდ ბაირონის „დონ ჟუანისა“ მხატვარი ნოდარ ბაღურაშვილი

რუსუდან ნიშნიანიძე

საშობაო გზავნილები — დღესასწაული გრძელდება



ყველაფერი ასე დაიწყო... უზარმაზარ არქივს ვალაგებ: განსხვავებულ მასალას ცალ-ცალკე ვუჩენ ადგილს: რეცენზიები, ლიტერატურული წერილები, ამასთან, ეპისტოლარული მემკვიდრეობა — გამომცემლების, კოლეგების, მოქანდაკეებისა და, მათთან ერთად, მკითხველთა ბარათებიც...

1946 წელია. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების ახალი წიგნი „Yes and No Stories“ — „ჰო და არა მოთხრობები.“ წინა წელს ბესტსელერად ქცეული ამავე ავტორების წარმატებამ (წიგნით „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“) ბევრწილად განსაზღვრა ახალი კრებულისადმი დიდი დაინტერესება. ოცი ქართული ხალხური ზღაპარი, სტილიზებული ნაამბობი... ერის სიბრძნე, წარსულიდან გადმოცემული. იქ არ-დარჩენილი, კიდევ ერთხელ გადააზრებული... მწერალს ბევრი აქვს ნაფიქრი:

„ — როცა ზღაპარს უყვებით შვილებსა და შვილიშვილებს, თქვენ მომავალში აგზავნით წერილს. ასე არაა?“

არაერთი ამბავი ხალხური გონიერების, ჭკუის, მხერხების, სიკეთის შესახებ — ეს მომავალში, ანუ ბავშვებში ჩაგდებული სიყვარულის მარცვალაია, რომელიც მათ ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს...

და ახლა, **1946 წლის ბოლო დღეებში** ამერიკული ჟურნალი **ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების საშობაო მილოცვას** დასტამბავს. მოკლე სარედაქციო წარდგინებასაც წაუმძღვარებს. ერთი განმარტება: *საბჭოთა კავშირიდან არა მხოლოდ ოფიციალურად წასული ადამიანები იწოდებოდნენ საერთო სახელით — რუსები; იქნებოდნენ ისინი წარმატებული მეცნიერები, მწერლები, მსახიობები თუ სხვანი... მოკლედ, ყველას, ვინც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიიდან — სივრციდან იყო გასული, მიმართებით გამოიყენებოდა ზოგადი სახელი „რუსი“ (ანუ, საბჭოთა). ნაწარმოებებიც ამგვარად წარდგებოდა — რუსული ფილმი, ან რუსული თეატრალური დასი თუ ეროვნული ცეკვების შემსრულებელი რუსული ანსამბლი... მეორე ვარაუდიცაა, მათ უბრალოდ არ იცოდნენ, რომ ეს სხვადასხვა იყო და ამიტომაც „უწლებოდათ.“ ასევე ხდებოდა ემიგრანტების შემთხვევაშიც. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ მხოლოდ ქართველებს და არც ჯორჯ პაპაშვილი იყო გამონაკლისი.*

ამჯერად გთავაზობთ სწორედ ამ სარედაქციო წარდგინებას და რაც მთავარია, **მწერლების — ცოლ-ქმრის საშობაო მიმართვას ამერიკელი მკითხველებისადმი** (დაცულია — აშშ, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების არქივი, კოლექცია-0090, ყუთი-22ა); შობას ულოცავენ და თავის სათქმელს ორიგინალური ფორმით შესთავაზებენ:

„ჰო და არა“-ს ისტორიები (ჰარპერ \$2,50) ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილებმა ერთად შეკრიბეს შესანიშნავი რუსული ხალხური ზღაპრები, რომლებიც აღწევენ ჩვენს შემეცნებაში და ყველგან ქართველებს გახსენებთ. თქვენ გატყვევებთ მხიარულებს, საღი აზრი და სიცოცხლისადმი სიყვარული, რომელმაც შექმნა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ეს დაუფიქრარი და აღმაფრთოვანებელი თავგადასავალი. ქვემოთ წარმოდგენილი მათი მარტივი, გულწრფელი საშობაო გზავნილი ერის განწყობას და ყველა ადამიანის სურვილს გამოხატავს.

ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „ჰო და არა საშობაოდ“

ამ წელს ჩვენ ვიტყვით **ჰოს** და **არას** საშობაოდ!

არა შობას, სადაც ჩვენ მივირთმევთ ასე ბევრ შებრანულ ბატს და შემწვარ ინდაურს, საშობაო პუდინგს ქიშმიშით და გოგრის ღვეზელს; ისე, რომ ჩვენ ვიფიქრობთ ნახევარ მსოფლიოს, რომელიც ჯერ კიდევ შიმშილობს და შემოჰყურებს ჩვენს ნუგბარს.

არა შობას, სადაც ჩვენ ისე დაკავებული ვართ ყიდვა-გაყიდვით, ალბ-მიცემობით, ძვირფასი საჩუქრების გაცვლა-გამოცვლით, რომ დრო არ გვაქვს, გვახსოვდეს ბავშვები ევროპაში, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ ერთი სათამაშოც კი.

არა შობას, ასეთი ოდენობის ახალი ქურქებით, თბილი ქურთუკებით, ჩათუნებული ჩექმებით, მოხერხებული ხელთათმანებით; ჩვენ ვერ წარმოვიდგენია, თუ რას ნიშნავს ომით გაძარცვული მამაკაცები და დაკონკილ, ღარიბულ ტანსაცმლიანი ქალები შობამდე რამდენიმე დღით ადრე პირისპირ რომ შეეჯახებიან გაყინვის საშიშროებას.

არა საშობაოდ საზღვარგარეთ, ანუ ჩვენი მეზობლების ეჭვის ქვეშ დაყენებას და იმ ცრურწმენების დამთავრებასაც, რომ ისინი ჩვენს შინაურ საქმეებში ერევიან.

არა საშობაოდ მზაკვრულ საუბარს ომის გარდაუვალობისა და გაზვიადებული განადგურების თაობაზე.

და **ჰო** — **დიას** შობას, რომლითაც ჩვენ ვინანილებთ დედამიწის გულუხვობას სხვებთან ერთად; ყველგან, სადაც თითოეული ჩვენგანია.

ჰო საშობაოდ საყოველთაო ურთიერთგაგებას და პატივისცემას, რომლითაც უნდა განიმსჭვალოს ყოველი ადამიანი დედამიწაზე.

ჰო შობას, რომელიც ჭეშმარიტად აღნიშნავს იმის დაბადებას, ვინც გვითხრა ჩვენი: „გიყვარდეთ ერთმანეთი.“

დიას, ხმაყვალად, ხანგრძლივი, დიდებული **ჰო**, შობას, რომელმაც ეს სიტყვები კვლავ უნდა გაგვახსენოს: „მე თქვენ მოგანიჭებთ უდიდეს სიხარულს... მშვიდობას — კეთილი ნების ყოველ ადამიანს.“

პუბლიკაციას თან ახლავს ფოტოც; ეს ფოტო გახდა ჩემთვის საინტერესოც და მიმანიშნებელიც: მწერალთა საშობაო მიმართვაა, ახალი წელიც მოდის და რა გასაკვირია, რომ ნაძვის ხის სათამაშო „იქვე“ იყოს?! **ცოლ-ქმრის ფოტო ნაძვის ხის სათამაშოშია „ჩასმული.“**

ცნობილი ჭეშმარიტებაა — ყოველივე, რაც უფრო ეროვნულია, მით უნივერსალურია. ამას იზიარებს ყველა ინტელექტუალი. ამ მოსაზრებას გრიგოლ რობაქიძე არცთუ იშვიათად შეახსენებდა მკითხველს:

„ყოველი ნამდვილი კულტურა ინდივიდუალურია. რამდენად ინდივიდუალურია კულტურა, იმდენადვე უნივერსალურია იგი.“

როგორ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ამ კონტექსტში ერთი ამონარიდი მაინც უნდა მოვიტანო: „კარლოს ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა საერთაშორისო დემოკრატიის წრეებში; ის იყო კარგი, ნამდვილი ინტერნაციონალისტი, იმიტომ, რომ იყო კარგი ქართველი სოციალისტი“, — წერდა პარიზში გამომავალი ჟურნალი „ბრძოლა“ (№12-13) 1926 წელს **დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის — კარლო ჩხეიძის** დახასიათებისას.

არაერთი გონიერი და ნიჭიერი ქართველი, რომლებიც იძულებული გახდნენ საქართველო დაეტოვებინათ, მოგვიანებით ჩაე-

წერენ იმ ქვეყნების კულტურაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ასე მოხდა ბევრ შემთხვევაში. მათზე წერდნენ სტატიებს, რეცენზიებს... ამ წერილებს არცთუ იშვიათად, ახლდა მათი ფოტოებიც, სხვადასხვანაირი — ტექსტის შესაბამისი სურათებით. ბევრი საინტერესო მასალა შეიძლება ნახოს მკვლევარმა...

ჯორჯ პაპაშვილი თავის ცნობილ ლიტერატურულ ტექსტში **„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“** მკითხველს უამბობდა კობაიანთკარზე, თბილისზე, ხევსურეთზე, ჩახობილზე, ნიორწყალზე... ამასთან, არა თვალშისაცემად, ისე, ჩვეულებრივად, **უცხოელ მკითხველს საკუთარ სამშობლოზე, საქართველოზე უყვებოდა...** ეს გახლდათ თავისებური ფორმა, ან გნებავთ, ასეც ვთქვათ, **საკუთარი სამშობლოს გაცნობის ხერხი.** მსგავსი გზა აირჩია **გიორგი მაჩაბელიც**, როცა იმავე ქვეყანაში (აშშ), თავის საუკეთესო პარფიუმერულ ნაწარმს (ბრენდს), **სუნამოს — „საქართველოს დედოფალი“** უწოდა. მომხმარებელი უფრო ყურადღებიანი გახდა — რომელი დასახელების ნიშში უნდა ეყიდა.

ჯორჯ კობი — ასე იცნობდა მთელი ამერიკა. მინის უდიდესი მრეწველი, წარმატებული ქართველი გრიგოლ კობახიძე ნიუ-იორკში გასული საუკუნის 10-იან წლებში ჩავიდა; **„The Coby Glass Products Company“** აწარმოებდა საფანჯრე მინებს, ოთახების ტიხრებს, სუნამოების ფლაკონებს, სამედიცინო და ნიშნულების მრავალგვარ პროდუქციას და რაც ამავერად ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ — სათამაშოებს! ნაძვის ხის შობა-ახალწლის სათამაშოებს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 40-იანი წლების შუა ხანებიდან მრეწველმა წარმოებაში სიახლე შეიტანა; ომი დამთავრდა: რთული, მძიმე, ხანგრძლივი... **ადამიანებს დღესასწაული, ბედნიერება სჭირდებოდათ და კობიმ მათ შობის დღესასწაულზე, ნაძვის ხის სათამაშოები შესთავაზა.** რაკილა მინის მრეწველი გახლდათ, სწორედ თხელი, ფერადი, ორნამენტებით მოჭიქული მინისგან დამზადებული საახალწლო „ბურთები“ მიაწოდა მყიდველს და არა მხოლოდ ამერიკელებს; ეს სათამაშოები არა მხოლოდ შტატებში იყიდებოდა, არამედ სხვა ქვეყნებშიც... ჩასაადებ ყუთს დაანერა: **Coby. Glass Ornaments. American Made Glass Products.** კობის **„ორნამენტები“** ძალიან პოპულარული იყო. **Christmas is Coby** — კობი ეს შობაა, ყუთზე ასეც ეწერა. რკინის ზედა საკიდთან, თითოეულ მათგანზე ნიშანია: **made in USA- დამზადებულია ამერიკაში.**

ზემოთ პაპაშვილების საშობაო წერილსა და სათამაშოში „ჩასმულ“ მათ ფოტოზე ვსაუბრობდი... **ორი წარმატებული ამერიკელი, ორივე წარმომავლობით ქართველი და სწორედ ის 40-იანი წლები, როცა მათზე ამდენს წერენ, ბეჭდავენ და ლაპარაკობენ...**

ჯორჯ კობის სათამაშოები სხვადასხვა ფერის: მწვანე, ყვითელი, წითელი და ფერად-ფერადი ლამაზი ბურთები იყო, თუმცა ძირითადი, სანყის ეტაპზე მაინც, თეთრი ფერისა გახლდათ... კარგად აღწერილს მაინც საკუთარი თვალთა ნანახი სჯობს, პოდა, დავინყე მოძიება. თუკი თითოეულ მოღვაწეს, ქვეყნიდან ნასულ ემიგრანტს **ეროვნული ელემენტი** შეჰქონდა თავის საქმიანობაში, არც ჯორჯ კობი იქნებოდა გამონაკლისი და არც შემთხვევით დაარქმევდა სახელად „ორნამენტს.“ ჩემს მიერ მოძიებული სათამაშოები უთუოდ ორნამენტისა უნდა ყოფილიყო!

ულამაზესი, თეთრი ორნამენტის ბურთები — არა მხოლოდ ვნახე, არამედ მოულოდნელობა წინ მელოდა: ეს სათამაშოები იყიდებოდა კიდევ. ერთ-ერთი ამერიკული მაღაზია გასაყიდად სთავაზობდა მყიდველს. რასაკვირველია, გამოვიწერე. ახლა მათი უხიფათოდ ჩამოტანა იყო საქმე. ყველა დეტალი იყო გასათვალისწინებელი: განსაკუთრებული შეფუთვა, მსხვრევადობის მაქსიმალური გათვალისწინება, ეს ყველაფერი უნდა მოგვარებულიყო. კომპანია გეთ. ჯი-ს მეშვეობით ჩამოვიდა.

ვიცი, გაინტერესებთ, ამიტომაც აღვწერ: ყუთში ჩანყობილი თეთრი ბურთები. რამდენიმეზე: **ორნამენტში ჩახატული მზე** — სიხარულისა და სითბოს სიმბოლო; სხვა ბურთებზე — **ფიფტი**, ესეც ძალიან ბუნებრივი ტვიფარი — ზამთრის მეტაფორა და მთავარი, ის, რომელიც ბოლოსთვის შემოვიტოვე — **ეროვნული ნიშნით: ვაზის ფოთოლი და მტევანი...** წარმოიდგინეთ, **ეს სათამაშოები ამერიკულ საშობაო — საახალწლო ნაძვის ხეებზე!** როგორ დაამშვენებდა?! ჯორჯ კობი თავისი საქმიანობის ერთი ნიშით, თავისი პროდუქციით — ქართული ორნამენტით და დღესასწაულით... გრიგოლ კობახიძე ზეციური საქართველოდან: კობი, ეს შობაა!

აწერებთ რომ ნაუკითხავს, ლიტერატურული რემინისცენციით გალაკტიონის ერთი ლექსის სტრიქონები ამჯერად, შესაძლოა, სრულიად სხვაგვარად ამოუტივტივდეს მეხსიერებაში მკითხველს:

ყველაფერი შეიძლება მოხდეს: მთა მთას შეხვდეს, მზე მთის იქით მოხვდეს...

გალაკტიონი, ამერიკული ბესტსელერის სათაური და კობის სათამაშოები — ქართველები სამანს აქეთ და სამანს იქით...

შობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!



რუსუდან ნიშნაიძე კობის სათამაშოებით



ნატო ონიანი

„ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- უსასობა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- არსად, ჩემი ქვეყნის გარდა.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- სიყვარული, საინტერესო საქმე და სულის სიმშვიდე.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- პინოქიო, მიუნჰაუზენი, ალისა (ლუის კეროლი), მუშკეტერები, პატარა უფლისწული, ალუდა ქეთელაური, დონ კიხოტი, ტონიო კროოგერი, აურელიანო ბუენდია, უილიამ ბასკერვილი (უმბერტო ეკო), ანა და გიორგა (ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“)... დომენიკო (გურამ დოჩიაშვილის „სამოსელი პირველი“) უამრავი, ვისთან ერთადაც მიცინია, მიდარდია, ღამე მითენება, სიამაყით ავისილვარ, რომ ადამიანს ამდენი შეუძლია... ყველას ვერ ჩამოვთვლი...

- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ათონელე-ბი, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი,
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- რემბრანდტი, მონე, შაგალი, ვარაზი, კლიმტი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ბახი, მოცარტი, შოპენი, ვერდი, ვაგნერი, კვერნაძე.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- სიმშვიდეს, პრინციპულობასა და სიკეთეს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულებას, სიკეთეს, ქალურობას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

- სიკეთე და სიყვარული.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- კითხვა, მოგზაურობა, ცურვა, ქსოვა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არც ერთი, ყველა ადამიანს საკუთარი ადგილი აქვს სამყაროში.

- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- სიახლის მუდმივი ძიება, მოთმინება.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- სიჯიუტე.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- უკვე ვთქვი.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- უმზეობა-მზის ადამიანი ვარ, მისგან ვიღებ ენერჯისა.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— კაი ოჯახიშვილი, ექიმი, თერაპევტი სჯობია! ღამაზი... მაგრამ მასეთი ჩვენს ქალაქში დიმიტრი იყო გელოვანი და პურის რიგში მოკვდა, სანყალი!

- თქვენი საყვარელი ფერი?
- ყვითელი-მზის, კვერცხის გულის — სიცოცხლის, სითბოსა და სიცივის, თაფლისა და შხამის, სიკეთისა და ბოროტების ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გამორჩეულად ბალზა — ჩემი ბავშვობის პირველი ყვავილი, საერთოდ კი ყველა ყვავილი მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა (სულ ჩემთანაა), მტრედი და მერცხალი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— სერვანტესი, დოსტოვესკი, ფლობერი, ბალზაკი, ბულგაკოვი, მანი, ბორხესი, უნამუნო, კავაბატა, ფოლკნერი, ოთარ ჭილაძე... რომელი ერთი? მათი სახელი ლეგონია!

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ბლოკი, გოეთე, დიკინსონი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოფელია, ემა ბოვარი, ანა კარენინა, ანა-მარია... ამ კითხვას ხომ ვუპასუხებ? თუ — აქაც გენდერი?!

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ჩემი დიდი პატივისცემა ფუკუში-მა-1-ის რეაბილიტაციაზე მომუშავე სპეციალისტებს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მარია კალასი, ელისაბედ ბავარიელი.

— საყვარელი სახელები?

— გიორგი, ანა, მარიამი, ზაზა, ალექსანდრე, ნიკოლოზი... ადამიანები ქმნიან სახელებს.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიცრუესა და სირეგვნეს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყოველგვარი შადიმანი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი, და არა მხოლოდ საქართველოსთვის.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— გუტენბერგის რეფორმა, აღმაშენებლის რეფორმები.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მიტევების.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— არ მიფიქრია.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— სავსებით მშვიდი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— რაც არ აყენებს ზიანს სხვებს.

— თქვენი დევიზი?

— ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. „რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე, ბევრჯერ მომხდარა დიდი ხნის წინათ“ (ოთარ ჭილაძე)

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— აუცილებლად შეხვდები და ვისურვებდი, რომ ეთქვა...



ზვიად გამსახურდია წერილი პასტანგ ჭელიძეს



დიდად პატივცემულო ბატონო ვახტანგ!
მე საჭიროა მივიჩნიე თქვენთვის ამ წერილის მოწერა, რომელსაც ჩემის მხრით ერთგვარი „თავის მართლების“ ხასიათი აქვს. ბატონმა გიორგიმ ამასწინად მითხრა, რომ მას და საერთოდ მთელს რედაქციას დაჰბადებიათ ასეთი აზრი ჩემი თარგმანის გამო: თარგმანი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ყურადღებას იქცევს არქაიზაცია სტილისა.

მოგესხენებათ, შელლი ქართველი მკითხველისთვის ასე თუ ისე ახალი ხილი გახლავთ. ამიტომ შეიძლება დაიბადოს ასეთი გაუგებრობა, განსაკუთრებით იმათთვის ვისაც საშუალება არა აქვს გაეცნოს მას ორგინალში. ამიტომ მე მსურს გესაუბროთ არა თქვენ (ინგლისურის საუკეთესო მცოდნეს) არამედ რედაქციას, რათა გაეფანტოს ის დაეჭვება, რომელიც წარმოშვა ჩემი თარგმანის არქაიზებულმა სტილმა.

დავინწყოთ უფრო ზოგადი მოსაზრებებიდან. ჩემი აზრით, პოეტური ენის მშენებელს ჰქმნის უპირველესყოფისა, მისი ეგზოტიურობა, უჩვეულობა. საერთო-სახმარ ენასთან პოეტური ენის ზედმეტ დაახლოებას მივყავართ ნაწარმოების ფაქტურის გაღარიბებამდე, მისთვის პრიმიტიული იერის მიჩივებამდე, და, ბუნებრივია, პოეტური ეფექტის თითქმის ტოტალურ მოსპობამდე. მსოფლიო პოეზიის ისტორიაში შესამჩნევია სწორედ სტილის ამ ეგზოტიურობის ძიება. ეს მოვლენა შეიმჩნევა სამი ძირითადი სახით: არქაიზაცია, დიალექტიზაცია და ენის ირრაციონალური გარდაქმნა.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.
დავინწყოთ მსოფლიო პოეზიის პირველსათავიდან. მოგესხენებათ, რარიგ განსხვავდებოდა ჰომეროსისეული დიალექტი ძველბერძნული სალიტერატურო ენისაგან. იონიური და ეოლიური დიალექტების ელემენტების ნარევის გარდა ჰომეროსის ენაში ვხვდავთ ხელოვნური, უჩვეულო ფორმების ძიებას, ეპიზმების და პოეტიზმების გაუგონარ მოზღვაებას. ცნობილია აგრეთვე რა დიდი არქაიზტები იყვნენ ძველბერძენი ტრაგიკოსები (ევროპიდეს გარდა, რომლის ცდა სალაპარაკო ენასთან დაახლოებისა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა).

თუ რა დიდი არქაიზტი იყო პინდარე „მეუფეთა პოეტი და პოეტთა მეუფე“, რომელიც ესოდენ ბრწყინვალედ გაახშირან რუსულ ენაზე ვიარქსლავ ივანოვმა, გამოიყენა რა სლავიანიზმები (გნედიჩის მსგავსად).

ეგზოტიურობის ძიება გახლდათ დანტეს დაფუძნება ტოსკანურ დიალექტზე, რობერტ ბერნისისა შოტლანდიურზე, ხოლო ვაჟა-ფშაველასი ფშავურზე.

ეგზოტიურობის ძიება გახლდათ მილტონის ბერძნულ-ლათინური კალკები და არქაიზმები, სპენსერის საზეიმო არქაიკა, გერმანელი და ინგლისელი რომანტიკოსების, ინგლისელი პრერაფაელიტების მიერ გაცოცხლება და სალიტერატურო ენაში დაფუძნება უამრავი ლექსიკური და გრამმატიკული არქაიზმებისა. მსგავსი ძიება შეიმჩნევა თანამედროვე პოეზიაშიც. კერძოდ ტომას სტერნზ ელიოტი ერთგან სრულიად მოულოდნელად ხმარობს ჩოსერის დროინდელ ფორმებს (Four Quartets-ში).

რაც შეეხება ენის ირრაციონალურ გარდაქმნას, ეს თუმც არ შედის ჩემს „თავის მართლებაში“, მაინც არ შემიძლია არ ვახსენო ხლებნიკოვი და სიმონ ჩიქოვანი...

შეუღიანოთ, როგორც სხვა მრავალი ინგლისელი და არა ინგლისელი რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი იყო კლასიკური საბერძნეთის კულტი. შელლი თავისთავს ძველბერძენი პოეტებისა და მოაზროვნების უშუალო მონაფედ სთვლიდა. აქედან გამომდინარე, მისი ენობრივი და სხვა პოზიციებიც ძირითადად ძველბერძენთა მაგალითებიდან მომდინარეობენ (კომპლექსური, საოცრად თამამი მეტაფორები, გაფართოებული შედარებები, ცენტონური ხასიათის ეპიტეტები, საკუთარი კომპოზიციები, უმთავრესად განსაზღვრებითი ხასიათისა, არქაიკა და ალაგ-ალაგ რიტორული შემართება). სწორედ ამ თავისებურებებით ხასიათდება „განთავისუფლებული პრომეთეს“ ენა (მართალია წმინდა ლირიკულ ლექსებში შელლის ენა შედარებით მარტივია და გამჭვირვალე, რაც შეესაბამება ფერებსა და განწყობილებებს, მაგრამ ხშირი ინვერსიები, სიტყვათა შემოკლებული ფორმები და ჭარბი პოეტიზმები მაინც აძლევს მის ენას ეგზოტიურ ელფერს).

მეშინია თავი არ შეგანყინოთ, ამადაც აღარ მოვიყვან მაგალითებს შელლის ლირიკული დრამიდან, ისე კი, თუ თქვენი ნება იქნება მე წარმოგიდგინოთ ტექსტს დრამისას, სადაც გახაზული მაქვს მასში ჭარბად ნახმარი ლექსიკური და გრამმატიკული არქაიზმები (მეცხრამეტე საუკუნის ინგლისური ენის თვალსაზრისით).

თქვენ უკეთ მოგესხენებათ, რომ მთარგმნელის ვალია უპირველესყოფისა დაცვა ავტორის სტილისტური კონცეპციებისა. ჩვენის აზრით, შეცდომა იქნებოდა მაგ. უიტმენის თარგმნა ამაღლებული, რომანტიკული ბურუსით მოცული სტილით, შექსპირის ქრონიკებში არისტოკრატთა ამეტყველება ქართული ენის რომელიმე დიალექტზე ან მისივე პლებეების ამეტყველება რიტორულ-მაღალფარდოვანი ენით, სოფოკლეს თარგმნა გ. ერისთავისათვის დამახასიათებელი ბარბარიზმებითა და დიალექტიზმებით ავსილი ენით, სპენსერის ან მილტონის თარგმნა ჩვენი მესტიერე ბლიაძეების შაირსიტყვით, ბაირონის „მეხი სიტყვის“ ახშიანება აშულურ კილოზე და სხვა. ასეთივე შეუსაბამო იქნებოდა შელლის „განთავისუფლებული პრომეთეს“ თარგმნა მეშჩანურ-ობივატელური, გაღატაკებული და დეგრადირებული საერთო-სახმარი ენით, რომელიც დღეს გაბატონებულია ჩვენს ზოგიერთ ყურნალ-გაზეთებში. მაშინ დაიკარგებოდა განწყობილების მთელი გრანდიოზულობა, დიადი ჰუმანისტური პათოსი და შემართება ამ ნაწარმოებისა, დაირღვეოდა რიტმულ-ინტონაციური ჭედი ლექსისა და ნაცვლად ანტიური ტრაგედიების მაგალითზე შექმნილი ლირიკული დრამისა ხელში შეგვრჩებოდა უნიჭო ოპერეტისათვის ლექსად დანერილი ლიბრეტო.

ამიტომაც ვცადე დავერდნობოდი ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს და შემემუშავებინა ენობრივი ინსტრუმენტი, რომელიც გასწვდებოდა ისეთი ურთულესი და თითქმის შეუძლებელი ამოცანის შესრულებას, როგორიც არის გენიალური ინგლისელი პოეტის ქმნილების ქართული რეპროდუქციის შექმნა.

დიდის პატივისცემით და მოკრძალებით
თქვენი
ზვიად გამსახურდია
თბილისი 1961/XI

რედაქციის მინაწერი

ვახტანგ ჭელიძესთან, „ცისკრის“ რედაქტორსა და უკვე აღიარებულ მთარ-მწველთან გაგზავნილი ზვიად გამსახურდიას ეს ბარათი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე დაწერილი და უჩვეულოდ მოჩანს ახალგაზრდა კა-ცის ღრმა ერუდიცია და მსჯელობისა და სტილის დახვეწილობა. ისეთი შთაბეჭ-დილება გრჩება, თითქოს პირად წერილს კი არა, ესეის კითხულობდე. და შემთხ-ვევითი არ არის, რომ აქედან ერთმა პასაჟმა მცირეოდენი ცვლილებით კიდევ გააღინაცვლა მის ესეიში „თარგმნითი ლიტერატურის საჭიროებისათვის“.

ის, რომ ზვიად გამსახურდიას მოსაზრებათაგან ზოგი სათუთა და ზოგიც საკამათო, ოდნავადაც არა ჩრდილავს ბარათის ესთეტიკურ ღირებულებას და აუცილებლად მოხვდება ქართულ ეპისტოლეთა რჩეულ კრებულში, თუკი ოდესმე თავი მოებმის მის შედგენასა და გამოცემას. აღარაფერს ვამბობთ მისი, როგორც ისტორიული დოკუმენტის, მნიშვნელობაზე.

არადა, წერილის დაწერა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ზვიად გამსა-ხურდიას „ცისკრის“ რედაქციაში დაუნუნეს პერსი ბიში შელის, ინგლისური რომანტიზმის გამორჩეული ფიგურის, ლექსების თარგმანები. პირადად ესაუბ-რა გიორგი შატბერაშვილი, შესანიშნავი პროზაიკოსი და ახალგაზრდების თავ-გამოდებელი ქომაგი, ვინც დიდი სიფაქიზითა და გულისყურით ეპყრობოდა ყოველი ახალბედას მიერ წარმოდგენილ მასალას და ცდილობდა, რომ რაც შე-იძლება უკეთესად წარმომდგარიყო დამწყები შემოქმედი მკითხველის წინაშე.

მასაც და რედაქციის სხვა თანამშრომლებსაც ზედმეტად ხელოვნური მოეჩვენათ თარგმანის ენობრივი მანერა, გადამეტებულად არქაიზებული, და ამიტომაც ურჩია ყმანცილოკაცს ამ შენიშვნების გათვალისწინება და ტექ-სტის ისე დახვეწა, რაც შელისაც შეჰფეროდა და არც ზვიად გამსახურდიასათვის იქნებოდა საძნელო, რადგანაც მისი მთარგმნელობითი ნიჭი აშკა-რად იგრძნობოდა ამ ნიმუშებში.

ენობრივი მანერის ხელოვნურობა თუ ერთგვარი არქაიზაცია მხოლოდ ზვიადის არჩევანი კი არა ყოფილა, არამედ მთარგმნელთა ერთი გუნდის მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია, თამაზ ჩხენკელი რომ ჩადგომოდა სათა-ვეში და, თუ რაიმე მხატვრული ღირებულება იქნებოდა იმჟამად, ამ ადამი-ანთა ხელიდანაც სულ უფრო უხვად — ბაჩანა ბრეგვაძის, ზურაბ კიკნაძის, რევაზ თვარაძის, რომან მიმინოშვილის, გივი შაჰნაზარის... სხვათა შორის, ამავე პოზიციას იზიარებდა შოთა ჩანტლაძეც, ვის მიერ ქართულად ამეტყ-ველებული „ირლანდიური საგებიც“ მოგვიანებით გამოქვეყნდებოდა.

ჯერ თამაზ ჩხენკელი და რევაზ თვარაძე და მერე სხვანიც განიცდიდნენ გავ-ლენას კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი სტილისა და თავიანთი ძიებანი სწორედ ამ რკალში მოაქციეს. და ასეთ დროს რა გასაკვირი, რომ ეს ზეგავლენა განეცადა ზვიად გამსახურდიასაც, ვინც ამავე მანერით მთარგმნიდა ოსკარ უაილ-დის „ბრონეულის სახლსაც“ და უილიამ შექსპირის „ზამთრის ზღაპარსაც“.

1968 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე — ან უკვე ჯანსუღ ჩარკვიანის რე-დაქტორობისას — გაიმართებოდა მძაფრი პოლემიკა, ერთი მხრივ, ენათ-მცენიერ არლი თაყაიშვილსა და, მეორე მხრივ, მთარგმნელთა ამ ჯგუფის რამდენიმე წევრს შორის: რევაზ თვარაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე და ზვიად გამსახურდია, ვისაც არლი თაყაიშვილი შემდგომ „მნათობიდა-ნაც“ გამოეკამათებოდა. თამაზ ჩხენკელი უშუალოდ არ მონაწილეობდა პო-ლემიკაში, თუმც ნინასწარვე გაეცნობოდა საპასუხო სტატიებს.

შესაძლოა არლი თაყაიშვილი მთლად შესაფერისად ვერ განსჯიდა მათ თარგმანებს და არქაიზაციის დაწუნების უნით ანთებული ვეღარ დაინახავ-და საკაცობრიო ქმნილებათა ამ ქართული ვერსიების ღირსებებს, მაგრამ მისი ენობრივი პოზიცია ძირითადად მაინც უფრო მართებული აღმოჩნდე-ბოდა და საგულისხმოა, რომ ყველა ეს მთარგმნელი გადახედავდა თავთავის შემოქმედებით პრინციპებს და ხელოვნურობისაგან უკვე სრულიად გაათა-ვისუფლებდნენ ტექსტებს.

მათ შორის, ზვიად გამსახურდიაც, ვის მიერ ქართულად ამეტყველებუ-ლი ამერიკელი პოეტების კრებულიც, გამოცემული 1971 წელს, თავისებური ნიშანსვეტია ჩვენი პოეტური მთარგმნელობითი ხელოვნების გზაზე. და უდავოდ საუკეთესო ეპითეტებს იმსახურებს მისეული მარლ ბოდლერიც — ლექსები პროზად.

თუმც პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. გიორგი შატბერაშვილს არას მთავებდა ზვიად გამსახურდია, თუმც, ეტყობა, ნანყენი დარჩებოდა და ამიტომაც გაუგზავნიდა ამ ბარათს ყურნალის რედაქ-ტორს და შეეცდებოდა დაესაბუთებინა თავისი ამგვარი ენობრივი არჩევანის აუცილებლობა... ოღონდ ეგეცაა, რედაქციაში დატოვებული ხელნაწერისათვის აღარ მიუკითხავს და აღარც სხვანაირად გამოუქვეყნებია ასე ცალკე, თორემ მოგვი-ანებით ესეის რომ დაწერდა შელის ლირიკაზე, ლათინური სახელწოდებით „Cor Cordium“ (გულთა გული) უხვად ჩართავდა საკუთარ თარგმანებს, „ღრუბელი“ იქნებოდა, „სიყვარულის ფილოსოფია“ თუ „ოდა დასავლეთის ქარს“.

ბარათი კი შემორჩებოდა ვახტანგ ჭელიძის არქივს, რომლის შესწავლის დროსაც უეცრად შემოგვანათებდა და დავით ჭელიძის თავაზიანი თანხმობით კიდევ შემოდის სალიტერატურო მიმოქცევაში „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან.

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

ბასო

მანამდეც მის შესახებ ბევრი გვსმენოდა.

იყო, როგორც ასეთი, სწორუპოვარი „ტრიბუნი“, იდეოლოგიური ფრონტის მებარიხატრე, იუმორის თუ სარკაზმის შხამიანი ისრებით დაზურგული, კრი-ტიკის სწორუპოვარი რობინ ჰუდი და ამ ისრებით არაერთი განგმირული ოპონენტით გარემოცული.

ავი ოცდაათიანიდან მოყოლებული, ყრილო-ბებზე, ლიტერატურულ ფორუმებზე, განხილვებ-ზე, კულტურის რაგინდა რა მნიშვნელობის მეს-ვედრებზე, ხალხმრავალი დარბაზების წინ გამო-დიოდა მუხლჩაუხრელი, ენამოუღლევი ქადაგი.

რას ქადაგებდა, ან ვის როგორ ეფონებოდა ეს ქა-დაგება, ცალკე თემაა, მაგრამ ხომ არსებობდა, ხომ ცხადია — იმ წლებიდან ვერ ამოშლი, იყო და თავის მოჭრილ ბეჭედსაც ასვამდა იმ ჟამის ფურცლებს...

ერთ დღეს, უნივერსიტეტში, ახალმოწყობილმა პირველკურსელებმა, კალამს შეჭიდებულმა დამ-წყებებმა (ფილოლოგიურზე ხომ ძირითადად მწერ-ლობაზე მეოცნებებენ) შედიოდნენ) შევაგსეთ მწე-რალთა წრისათვის გამოყოფილი 93-ე აუდიტორია.

შევაგსეთ კი არა, გადავავსეთ კიდევ და... მა-შინდელი წრის ხელმძღვანელი, თავისთავზე შექმ-ნილი არაერთი ლეგენდის ავტორი, თავად ბატონი ბესო გამოგვეცხადა.

ცუდადმხედველმა კრიტიკოსმა, სქელლიზზე-ბიანი სათვალთ, გეგონება კრუხ-წინილასავით გადაგვთვალა, ხელები ჩაიფშვინტა და ირონიულ-მა ლიმილმა, ისედაც ვინორ, მოჭუტული თვალები კიდევ უფრო მოუწკურა.

სათვალე გულისჯიბებში შეინახა. ახლა მის გა-რეშე გადმოგვხედა და ხელისგული ზედმეტად თეთრ, მიტკალივით პირისახეზე მოისვა, თითქოს უნდოდა ცარცის ნაფშხვენევით შერჩენილი ღიმი-ლი ნაეშალა.

— რა ხდება, ამხანაგებო, რა ამბავია, დავიფე-რო ყველანი წერთ?

დამაკმაყოფილებელი პასუხი რომ მიიღო, ჩა-ხითხითებას რომ ვერ დავარქმევთ, ყვილია, ყელში ამონვერილი წყვეტილებით ჩაეცინა.

— კარგია ყველანი რომ წერთ, იაფია ჩვენს ქვეყანაში კალამი და ფურცელი, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, ყველანი ბარათაშვილები რომ გა-მოხვიდეთ!.. წარმოგიდგენიათ, ამდენი ერთად!.. ხომ დაილუპა საქართველო! — მერე დასერიო-ზულდა, მაგიდასთან მიდგმულ ტრიბუნაზე არ ასულა, მარჯვენა ხელი ჩამოღო და თითი დააკა-უნა, — დამიჯერეთ, მეგობრებო, ამდენი გენიო-სი, ნამდვილად არც არის საჭირო...

რამდენიმე თუ გამოირჩა, თქვენ შორის, ესეც დი-დი მიღწევა იქნება, დანარჩენები კი თუ კარგი ლიტე-რატორები, ლინგვისტები, პედაგოგები, მკვლევარე-ბი დადგებით, ამას მართლაც არაფერი ემჯობინება... ლიტერატურას მარტო მწერალი კი არა, გემოვნებია-ნი მკითხველი და დამფასებელი სჭირდება...

ასე დაგვმოძღვრა პირველივე შეხვედრაზე, წრის ხელმძღვანელმა ბატონმა ბესომ, იმ წრისა,

რომელმაც ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, არაერთი დიდი და მცირე სახელი შემატა ჩვენს ლიტერატურას და, რომლის თავმჯდომარეც (წრის თავმჯდომარე სტუდენტი უნდა ყოფილიყო) მომავალში თქვენი მონა-მორჩილიც იქნებოდა.

ვერ ვიტყვი, რომ მისმა ნათქვამმა, მაინცდამაინც ჩაგვაფიქრა, ანდა ვინმეს გული გაგვიტეხა — თითოეულს გვჯეროდა, რომ ვინც ფილოლოგის მოკრძალებულ გვირგვინს უნდა დასჯერებოდა, ჩვენ კი არა, ვილაც სხვა იქნებოდა.

ამიტომ, ერთუზიანში ერთხანს კიდევ გაგვყვა, მაგრამ უკვე მომდევნო წლებში, ბევრი მიხვდა, ბატონმა ბესომ სიმართლე რომ გვითხრა და „მწერლობის მწვერვალთა“ დაპყრობის მსურველთა რიგები თანდათან შეთხელდა.

წრის ხელმძღვანელი, მოუცლელიობის გამო, ხშირად ვერ ახერხებდა სხდომებზე დასწრებას.

ერთ-ერთი იშვიათი შეხვედრის შემდეგ, რამდენიმე გამოგვარჩია და აუდიტორიაში დაგვტოვა.

ჯერ, ოცდაათიანი წლებში, მოსკოვში ჩატარებულ ქართული ლიტერატურის დღეებზე გველაპარაკა, როგორ „განყრა“ ბელადი, როცა მაშინდელი მწერალთა კავშირის მესვეურებმა, მხოლოდ რევოლუციის შემდგომი ქართული მწერლობის „მიღწევების“ განხილვა-ანალიზი ჩაიტანეს.

ჩვენი ლიტერატურის „დესპანები“ უკან გამოაბუნძულეს, დაანერინეს ახალი მოხსენება, რომელმაც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა მოიცვა და ეს მოხსენება გაზეთ „პრავედის“ ჩანართებიანად რვაგვერდიანმა ნომერმაც ძლივს დაიძვია, ბრძანა ბატონმა ბესომ.

შემდეგ შიშზე გვესაუბრა, შავი ჭირით მოდებულ შიშზე, რომელსაც იმ წლებში მხოლოდ ერთეულები თუ უძლებდნენ და ზოგი თუ გატყდა, ამისთვისაც მათი მკაცრად განკითხვა არ შეიძლება, არაადამიანურმა ზენოლამ შეიძლება ბევრი მოლუნოსო.

ამასთან დაკავშირებით გაიხსენა:

თურმე გვიან, შუალამისას, გააღვიძეს და სასწრაფოდ ბერიასთან წაიყვანეს.

მისაღებში, მიხილ ჯავახიშვილიც დახვდა.

ერთხანს ალოდინეს.

მარტო არ იყვნენ და მხოლოდ თვალებით „გაესაუბრნენ“ ერთმანეთს.

— შესვლისთანავე, მაგიდის ლამპასთან თავდახრილმა ბერიამ სწრაფად ამოიხედა, მუშტი მაგიდას დაანაყა და ჯავახიშვილს ისე უყვირა, რომ სისხლი გამეყინა ძარღვებში, — ბრძანა ბატონმა ბესომ, — მეგონა ეს ჩია, დაკითხვებით განაწამებ, კიდევ უფრო დაპატარავებული მიხეილი ამ თავზარდამცემ გრგვინვას ვერ გაუძლებდა, მაგრამ მოხდა სასწაული, ბერიამ გულ-მუცელი რომ ამოიგდო ლანძღვა-გინებით, ყვირილი ეცრე არ უნდა, აინყვიტა ჯავახიშვილმა, გარენარო, არაკაცო, წყევლა-კრულვით გაგიხსენებს მომავლის საქართველოო, გამხდარი ხელები ჰაერში შეჰყარა და მხოლოდ ის მახსოვს, ბერიამ რომ იღრიალა, ეხლავე გაათრიათო.

შიშისაგან გონება გამეთიშა. აზრზე რომ მოვედი, მწერალი ჩემს გვერდით აღარ იდგა, ვიყავით მარტო ჩვენ, ის — მაგიდასთან, განერვიულებული, ინსტინქტურად ნივთებს ადგილს რომ უნაცვლებდა და — მე, მის ამოდრავებულ პირს მიჩერებული. მართალია არ მესმოდა რას ამბობდა, მაგრამ მაინც გასაგები იყო ჩემს მიმართ როგორ ლოცვა-კურთხევასაც აფრქვევდა.

არ გივარგათ იდეოლოგიური მუშაობის მეთოდები, ამხანაგო ბესოვო, ეს გარკვევით გავიგონე, როგორც კი ყურთასმენა დამიბრუნდა და, ვაი, შენს ბესოს-მეთქი, წინასწარ გამოვიტარე ჩემი თავი.

გამლანძლა, გამოათხა, გამათრია, მაგრამ არ დამხვრიტა...

თუმცა რაც იქ გადავიტანე, დახვრეტაზე არანაკლები იყო. ყმანვილებო, ყველას გმირობას ვერ მოვთხოვთ, შიში ისეთი რამ არის, ბევრი ვერ უმკლავდება...

იმ ხანებში ანეკდოტით გავრცელდა ბესოსი და ერთი დრამატურგის ამბავი:

ამ დრამატურგის პიესის პრემიერის შემდეგ, შინ დაბრუნებულ ბესოს, შინაურებმა ჰკითხეს, როგორ მოგენონაო და — პიესაც და სპექტაკლიც თავიდან ბოლომდე სისულელეაო, უპასუხა.

ოჯახიდან გამოსულმა ხმამ დრამატურგის ყურამდე მიაღწია. იმანაც უსაყვედურა კრიტიკოსს, რას მერჩოდი, რატომ გამლანძლეო.

გადიარია, თურმე, ბატონი ბესო, დრამატურგების სექციაზე გაქე, ჟურნალში დაბეჭდე პიესა — გაქე, კულტურის სამინისტროში გაქე, პრემიერის შემდეგ, გაქე და, შე დალოცვილო, შინ მაინც მათქმევინე სიმართლეო.

ეს, ვითომც ხუმრობა, მწარე რეალობით იყო ნაკარნახევი: ადამიანები ორი „სიმართლით“ ცხოვრობდნენ, ჰალსტუხით და სმოკინგით სხვა „სიმართლეს“ ლაღადებდნენ და, ოჯახში, შინაურ ხალათიანი და სახლის ჩუსტებში ფეხნაყოფილები — სხვას.

ორი სიმართლე არ არსებობს, ერთი უეჭველი ტყუილია. სწორედ ეს ტყუილი ხლეჩავს სახელმწიფოს, ამახინჯებს ადამიანთა სულებს.

სამწუხაროდ, როცა ჩამოიშალა მონსტრის კედელი, დავინახეთ, რომ „ორი სიმართლით“ ცხოვრება, მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის მონაპოვარი სულაც არ ყოფილა...

ის იყო და იქნება, ვიდრე ადამიანში, ერებსა და ქვეყნებში არ ჩაქრება სხვაზე გაბატონების უნდი.

შიშს ბევრი ვერ უმკლავდებაო.

მიხეილი (ჯავახიშვილი!) გაუმკლავდა!

ამდენი წლის შემდეგ, ბატონმა ბესომ ხომ, ჩვენთან, ახალგაზრდებთან ალიარა მისი სულის სიმტკიცე, უპირატესობა...

შემდეგ უკვე მწერალთა კავშირში ვხვდებოდით, სარაჯიშვილისეული სახლის მეორე სართულზე, სადაც დიდ, საერთო მისაღებში, ლომისა და ვეფხვის ფიტულები კაბინეტებში კი თავმჯდომარე და მდივნები ბინადრობდნენ.

ბატონი ბესო ძველებურად კვლავ ბესოობდა, სხდომათა დარბაზში გამართული განხილვების დროს, წლის ლიტერატურული პროდუქციის მთავარი „დამხარისხებელი“ თვითონ იყო და, განაწყენებულთა უკმაყოფილების ტალღებს „ნაცადი“ მხარულობით მთარღვევდა.

მეც ვესწრებოდი იმ სხდომას, თავისი სიტყვა ასე რომ დაიწყო, ამხანაგებო, დარბაზში ახლაც ზიან ისეთები... და ვილაცამ აღარ აცალა, უყვირა, ენის სინმინდე, ბატონო ბესო, ზიან თუ სხედანო.

ეგონა დააბნევედა, სირცხვილის ოფლში განურავდა მრავალ ბრძოლა გადატანილ კრიტიკოსს.


— დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით, რომ სხედან და ზიანს აყენებენ მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობასო, — მაშინვე, პაუზის გარეშე მიახალა და გაამხიარულა დარბაზი.

ერთელ კიდევ — გვაცალეთ, ბატონო, მივხედეთ ქართულ ლიტერატურასო, შეუძახა ახალგაზრდა, ამბობებული მწერლები ფეხფეხს.

როდემდე გაცალოთ, ბატონო ბესო, — წამოუხტა თავის ახალგაზრდა კოლეგა-კრიტიკოსი, თქვენ სიკვდილს არ აპირებთ და, როდემდე ვითმინოთ თქვენი დემაგოგიური გამოსვლებიო.

რატომ უნდა დავაპირო, არ გაგიგონია, მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო? — მიახალა ნაწყენმა.

თითქოს ენამ უყვილა, სამწუხაროდ, იმ კრიტიკოსის სიცოცხლე, რამდენიმე დღეში ტრაგიკულად დასრულდა — მანქანამ გაიტანა...



რიგელმა მწერალმა ვალდის კიკანსმა, თბილისში სტუმრობისას მიამბო, ერთ-ერთ თავყრილობაზე, სადაც მთელი საბჭოთა მწერლობა იყო წარმოდგენილი, რუსულენოვანმა ჩინგიზ ათმათოვამ ბრძანა, რა საჭიროა ამდენი ენა, ყველასათვის გასაგები რომ იყოს და აღარც თარგმნა დაგვეჭირდეს, მხოლოდ ერთ ენაზე უნდა ვწეროთო.

ხომ გასაგებია, რომ ეს ერთი ენა მისი მშობლიური ყირგიზული არ უნდა ყოფილიყო (ეს ნაცადი ხერხი გახლდათ მეტროპოლიისა, თავისი, ეგრეთ წოდებული კრემლის ზრახვები არარუსს უნდა გაემყდებინა).

— გავშრიო, — განაგრძო ვალდისმა, — ხმა ვერ ამოვიღეთ, ხომ ვიცით ყირგიზი მწერლის მონოდებით ვისი სურვილი მჟღავნდება..

გავიხედოთ და ავიდა ტრიბუნაზე ბესო.

კი ბატონო, ჩინგიზ ათმათოვის ნათქვამი შეუძლიათ ყურად იღონ იმათ, ვისი დამწერლობაც და მწერლობაც რევოლუციის შემდგომი დროის მონაპოვარია, მაგრამ რა ქნან სომხეთმა, უკრაინამ, საქართველომ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა, ძველი, მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციების ქვეყნებმა, რომელთაც თავისი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა მშობლიურ ენაზე აქვთ შექმნილი — ამაზე უარი თქვან და რუსულზე გადავიდნენ?..

დაინგრა ტამით დარბაზი.

ჩვენი პასუხი აიტმატოვის განცხადებისადმი ცალსახა და ნათელი იყო.

ტრიბუნიდან რომ ჩამოვიდა, შემოვეხვეით ბატონ ბესოს, ვკოცნიდით, მაღლობს ვუხდიდით, როგორც მხსნელს...

უცნაურია ქართველი კაცი!

აქ ხომ ეჭვის თვალი (და არცთუ უსაფუძვლოდ!) გამუდმებით უთვალთვალებდა, იქ გმირად იქცა, თქვა ის, რაც სხვებმა ვერ გაბედეს!

აი, ბერიასთან კი გაუჭირდა!

თვითონაც ალიარა, გვიან, მაგრამ მაინც...

ბოლოს იქნებ ამის გახსენებაც ღირდეს:

ახალგაზრდა მწერლებისათვის გამოყოფილი ბინები უნდა გაენაწილებინათ.

გამოვიდა თავმჯდომარის კაბინეტიდან ბატონი ბესო, გადაგვავლო თვალი მოსაცდელში შეკრებილებს, მოგვესალმა, რაღაც გვითხრა, გამამხნევებელი, თან სერიოზულად, თან ირონიით. მერე მხარზე ხელი მომხვია და ხელმარცხნივ, სადაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია იყო, იქით გამიყოლია.

განვმარტოვდით ცარიელ ოთახში.

— ელოდები, ბინას, ხომ? — მეკითხება უცებ, რაღაც სხვანაირი, გაბზარული ხმით და სახეც ისეთი დანაღვლიანებული აქვს, არასოდეს რომ არ მინახავს.

— კი, ბატონო ბესო, ველოდები... — ამოვილულულე დაბნეულმა.

— ვიცი, ვიცი... ყველაფერი კარგად იქნება, მომავალი წინ გაქვს, ბინასაც მიიღებ და ბევრ სხვა სიკეთესაც, მაგრამ მითხარი, მე რა ვქნა, მე, თვალჩაუნდენელი, პირდაპირი ხარო რომ მელოდებ? — ნითურბალნიანი, მანუტებიდან გამოგრძელებული, აცხცახებული ხელები პარკეტს ისე დაადირა, მეგონა მართლა დაეინახე და ის უფსკრული თუ ხარო, ხანდაზმულ ბატონ ბესოს ჭაობის სიჯიუტით თავისკენ რომ ითრევდა.

დავიბენი, ვერაფერი ვერ ვთქვი, ვერც ის გავიგე, გულის გადასაშლელად მე რატომ გამომარჩია.

„მე რა ვქნაო.“

რა მეპასუხა — უბინოდ რომ არ დავრჩენილიყავი, სამველს, მხარდაჭერას პირიქით, მისგან ველოდი და... ახლა, ჩემდა გასაოცრად, თავად უმწეო, უმძიმესი სევდით შეპყრობილი, გაუსაძლისი ტანჯვით შენუხებული კაცი იდგა ჩემს წინ და იქით მოელოდა საშველს, სიტყვას თუ მოქმედებას, და-

მანყნარებელს, იმედიანს, მაგრამ მე არ ვიცოდი რისი გაცემა შემეძლო ან თუ საერთოდ შეეძლო ვინმეს, ხორციელთაგან, რამე ეპასუხა გამაოგნებელი მწუხარებით შეპყრობილი ჩემს წარმოდგენაში შეუვალი და დაუნდობელი ტრიბუნისათვის.

დაიჩვილა, რადგან ის ხარო წინ აღარ გაუშვებდა..

ვინ იცის, ნებით თუ უნებლიეთ, სხვების ორმოების მთხრელს, რა ცხად-სიზმრები ტანჯავდა, როგორი გახსენებების ალები ამოდიოდნენ და სულზე ეკიდებოდნენ.

არ ვიცი...

მოხრილმა, იატაკს ჩაჩერებულმა, თვალი ველარ გამისწორა, გვიან-გვიან, მხარზე ხელი ჩამომადო, თითები მომითათუნა, დამამოშმინა, თითქოს მომიბოდიშა აფორიაქების გამო და გარეთ გამოვედით.

მოსაცდელში ისევ ხალხმრავლობა იყო.

თავმჯდომარის კაბინეტში უბინაო მწერლების ბედი წყდებოდა.

გამოვედით და, ფოიეში, ბატონი ბესოს ჩაფერვლილ სახეზე ისევ ირონიულად მოიჭუტნენ თვალები. მოაჯირის გასწვრივ ჩარიგებულ ბინის მაძიებლებს, როგორც ფელდფებელმა ჯარისკაცებს, ყოჩალი ნაბიჯებით ჩაუარა, გამოელაპარაკა, გაიხუმრა და თავმჯდომარის კაბინეტში, სხდომას დაუბრუნდა...

ერთხელ, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრები, მწერალთა კავშირში, ლიტერატურულ საღამოზე დასასწრებად მივედით.

შემოგვხვდა ბიბლიოთეკიდან გამოსული ბატონი ბესო.

დაგვაკვირდა. ზოგიერთი გვიცნო, ხელი ჩამოგვართვა.

მერე, ერთ ფერხორციან გოგოს, როცა გაიგო, რომ ლექსებს წერდა, გვარი ჰკითხა.

კრიტიკოსის ყურადღებით გახალისებულმა დამწყებმა ლამაზმანმა, სწრაფად მიუგო:

— კალატოზი, ბატონო ბესო!

— კალატოზი? — ჯერ გოგოს ააყოლა თვალი, მერე ჭერს ახედა, — რავა, ჩამოინგრა რამე?... ჰმ, პოეტი კალატოზი, ჰმ!..

ბატონი ბესოს ეს ხუმრობაც ახდა — წლების შემდეგ ჩამოინგრა მაშინდელი მწერალთა კავშირი და თან ჩაიყოლა ყალბი დიდებით მოსილი არაერთი სახე და სახელი. ბესო...

ბოდორი

მთელი სიცოცხლე თავის ჩია ტანს უჩიოდა.

რა მოხდებოდა, დალოცვილო ღმერთო, ერთი მტკაველიც გამოგემტებინა, ვახტანგ გორგასლის ხმლის სიგრძე მაინც აღარ უნდა იყვეს კაციო? — შეჰბედავდა ხოლმე საყვედურს გამჩენს.

არ ვიცი, გორგასლის ხმაღს რად ეტოლებოდა, ანდა პატარა კახის ხმაღზე რატომ არაფერს ამბობდა, ეცოტავებოდა თუ ეპატარავებოდა, ვერ გეტყვით.

პატარა იყო და ყველას იმის კინკრებიოზე ხელის წამორტყმა ესურვილებოდა, ეიოლებოდა. მოიზარდა, ჯაგარა მკერდსა და წერ-ულვაშს თუ არ ჩავთვლით, ბევრი არაფერი შემატებია, ერთი ეგ იყო, გან-გან წავიდა, დაკაკულ მოკლე ფეხებზე ამოსული მხარ-ბეჭო, სკვერში დადგმული ბიუსტივით დაჰქონდა.

ხომ ასე დაჩაგრა უფალმა, სამაგიეროდ თავი მისცა სპილენძის თუნგის ქვაბივით, დიდრონი თვალებით, მსხვილი, ჩახვეული წარბებითა და კოკობი ულვაშებით. შემთვრალი, სუფრის კიდზე, ლოყის ქვეშ ამოღებულ ნებებზე რომ ჩამოედებდა და საძილედ მოფლამული ტუჩები დაებუშტებოდა, იტყოდნენ ხოლმე, აფსუს, ბიჭო, კრწანისის ველზე, ეს თავი, ცალკე, ტანის გარეშე რომ ენახათ, არ იტყოდნენ, რა ვაჟაკი დალუპულა, ვენაცვალეთ შენს გამზრდელ ძუძუებსაო.

ერეკლეს ხმაღს ვერ გააგონებდით-მეთქი, გინდა თუ არა, გორგასალის მახვილი, ღმერთო, რა მოხდებოდა, იმხელა რატომ არ მომყარო. თუნდაც ვადამდე რომ შესწვდომოდა, ამაზეც თანახმა იქნებოდა... რაღას იზამდა, რაც იყო, ეგ იყო — არ უხდებოდა, ვერ მოდიოდა თავი ტანთან და, პირიქით, ტანი თავთან, მაგრამ ტკბილ-მწარე სიცოცხლეზე უარი ვის უთქვამს და, ესეც დანვრილშვილებული მიღევდა თავის წუთისოფელს...

ამ ზამთრისპირზე, ნაფურებიდან გოდრით გვიან მოტაროვებული სიმინდი მოჰქონდა. იფნის წნელით მკვრივად შეკრული, თავის მხრებზე განიერი გოდორი, ზურგიდან თითქმის მთლიანად ფარავდა.

თოვამ მოუხშირა. რამდენიმე მეტრში აღარაფერი ჩანდა. როგორც ივარაუდა, ფერმებს მოუახლოვდა, რომ შორიახლო რაღაც გაილანდა, ერთი, მეორე, მესამე... ნახევარწრებზე მოდიოდნენ, მისკენ კისერმოღრეცილები და ნაბიჯშენელებულიები, თითქოს გაცეცხლები, ეს უცნაური არსება ვინ არის, ვინ მობობლავსო.

„მგლები,“ — გაუღელდა თავში და ხერხემალზე ჩაურბინა სიმწრის მწარე ოფლმა.

ვიდრე მიიხედ-მოიხედა, სოფლისკენ მიმავალი გზა მოუჭრეს და შემობრუნდნენ.

მგლების ხროვას ნითელი ძახილის ნიშანივით დაეკიდა ნერწყვომდგარი ენა.

კიდევ უფრო დაპატარავებულმა, ილღიებში თოკებით ამოდებული გოდორი, ეგრევე ზედ გადმოიძხო.

ხვილით წამოსული ტარო თეთრ თოვლზე ყვითლად შეგუბდა.

მგლები რომ მოცვივნენ, დანულის ნაჩვრეტებიდან აცეცებდა დამფრთხალ თვალებს.

ასეთი შემთხვევა ხანდაზმულ მგლებსაც კი არ ახსოვდათ, ამიტომ ვერ მოიფიქრეს რა უნდა მოემოქმედათ. სამსხვერპლოს სუნით გაღიზიანებულები ცდილობდნენ გოდორი გადაებრუნებინათ ან წნელები დაეღრღნათ, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო. მერე ძირის გამოთხრა დაიწყეს. წინა ფეხებით დაუნყეს ფხოჭნა წაყინულ თოვლს.

მგლები აყმუვლდნენ, ალბათ საშველად სხვებსაც უხმობდნენ და არ ეტყობოდათ, რომ ალყის მოხსნას აპირებდნენ.

უცებ გოდორი დაიძრა, გახობდა თოვლზე.

მგლები მიჰყვნენ, უფრო თამამად მიეძალნენ, მაგრამ გოდორმა ისეთი ხმა ამოუშვა, რომ ადგილზე გაშეშდნენ...

ფერმას მიშენებული საყარაულოდან გამოსულმა მწყემსმა ისევ შეალო კარი და შიგნით მყოფებს შესძახა:

— გამოიხედეთ, კაცო, რა ხდება, მინდორზე გოდორი დანდის და იყფება...

ძახილზე ფერმის ძაღლებიც გაეტივნენ მოსიარულე გოდორს.

თოფის ხმაზე მგლები დაფრთხნენ.

გოდორი რომ ახადეს, იჯდა სიცივითა და შიშით აცახცახებული და გულ-მკერდს გამეტებით იმჯილავდა:

— მადლობა, უფალო, რას გერჩოდი, ჩემზე ჭკვიანი ყოფილხარ... ჩემზე ჭკვიანი!

გორგასალის ხმალი აღარ უხსენებია, არც ავად, არც კარგად. რა თქმა უნდა, აღარც მომავალში ახსენებდა.

სანყალი ბავარი

ზამთარი რომ გაჭიანურდებოდა, ყინვები, თოვლი, ქარა-შოტი, თებერვალსაც რომ მოიღევდა და მარტსაც გაიბურთავებდა, შემოვიდოდა გარედან ხელებაბაბანებული ბებიჩემი, შეყრიდა ღუმელქვეშ მკლავზე გადაწყობილ შუშის ნაპობებს და იტყოდა, ეე, სიცივე ისევ ქვასა ტეხავს, ეტყობა სადღაც ბებერს ეძალავება, წაყვანა უნდა და არ მიჰყვება... ვიდრე არ წაიყვანს, ეს ყინვები ფეხს არ მოიცვლიან, გაგრძელდება ზამთარი.

მართლაც, გრძელდებოდა, ჭახაჭუხი გაჰქონდათ ყინულ-გადაკრულ გუბურებს.

მე არ ვიცოდი ვინ ვის და რატომ ეძალავებოდა, ან სად უპირებდნენ წაყვანას სანყალ, უმწეო ბებერს.

- სადა შვილო და, მოუსავლეთში.
- ვინ ეძალავება.
- მიქელ-გაბრიელი.
- სად მიჰყავს.
- მოუსავლეთში-მეთქი.
- გაჰყვეს, იქნებ სულაც იქა სჯობია.

— იცის, შვილო, ბებერმა სადაცა სჯობია და იმიტომ მიადგა ფეხები... ხან ამბარში დამალვება, ხან ბაგაში, მაგრამ ის, მიქელა, ხო იცის, მაინც არ მოეშვება... ერთი უყურე, უყურე, — ფანჯრიდან დამანახვებდა ეზოში შემოჭრილ ქარბუქს, — როგორ უძალიანდება... არაო, არ მინდაო, მეხი შენ დაგეცეს და შენს მოუსავლეთსაცაო, ვიქნები ჩემთვის ჭილოფის ნაგლეჯზე მიგდებული და ვლოღნი კუტიპურსაო.

— მერე, ის რაო, რას ეუბნება?

— შენი კუტიპური არ ვიცო! ვერა ხედავ რა ამბავშია? ეფრემანთ საბძელი წაუქცევია, ჩლახ ანზორას ძროხა დაჰკარგვია, ქარბუქში სახლისკენ გზა ვერ გამოუგნია... მლაშეებისკენ ყოფილა თურმე წანამქ-

რული, მარტო კუდილა უჩანდა... შეხედე, ამ საქროლავამოსაგდებს, სათონეს ყავარი კი არ გადახადოს... არა, ვილაცაა, მაგარი ბებერი ჩანს... არ მინდაო, მორჩა და გათავდაო.

— ბებერი ეუბნება...

— ჰო, ბებერი... ხან დაუყვავებს, არა გრცხვენიაო, ვერ ხედავ, შენს გამო ამდენი ხალხი რა დღეში მყავს, ესენი მაინც შეიბრალებ, დარჩებათ ბალ-ვენახი მოუხვნელ-დაუთესავი და შიმშილობა ჩამოვარდებაო... ეს კიდევ, ნეტა შენა, არ არაკუნებდე, მე თუ არ ვიქნები, თვალი ხალხსაც გამოსჭყლეტია და იმათ სახნავ-სათესავსაცაო...

— მე და შენზე ამბობს?

— რათა მარტო მე და შენზე, ეფრემანთზე, კეკელანთზე, კიკოლანთზე, წყალობანთზე, ამბრიანთზე, რა ვიცი, მთელი დუნია სოფელია...

— სხვა ბებერი რომ გავაყოლოთ?

— არა, შვილო, მიქელა ვისაც ამოიღებს მიზანში, იმას წაიყვანს, თავის სიტყვას არ გადავა.

— მე რომ გავყვე?

— ვაიმე, ეგ რა თქვი!.. აღარ გაიმეორო, შენ ჩემთან უნდა იყო, ჩემთანა, — ჩამიკრავდა აფანცქალებულ გულში, — ეგეთი რამე მეორედ აღარ გაიმეორო, აღარა...

იმ ღამეს ბებრისა და მიქელ-გაბრიელის ჭიდილს ვხედავდი, ხან ბოსელში გადადიოდნენ ყირაზე, ხან — საბძელში.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

მეორე დღეს სოფელს პირდაპირილი, გაბადრული, დონიჯ-შემოყრილი, ნამდვილი გაზაფხულის მზე მოადგა და მთელი თოვლ-ყინული ლელმად აქცია, სახურავებზე და ფერდობებზე, აქა-იქა, საკერებლებივით შემორჩენილი თოვლიც ჩამოწურა.

— ნაჰყოლია? — ბებიჩემი ქათმებს ნაკმაზს უყრიდა, თავზე რომ წავადექი.

— ჰო, შვილო, ნაჰყოლია.

— მაინც მოერიო?

— თვალში არ ამოიღოს, თორემ, ვის არ მოერევა... ისე, ცოდო არ არის, ის ვილაცაა, ამ მშვენიერი დღის დაბადებას რომ ვერ დაესწრო? — კალთაში ჩამისვა და ორივენი მზის სითბოს გავუტვინდით.

ნარდვანა

ცივი სახე, უფრო ცივი თვალები და გაყინული, რობოტის ხმა: „გაიცანით, ჩვენი ოფის-მენეჯერი!“

„ოფის-მენეჯერი!“ — თითქოს სხეულზე ასხმული რკინა შეაქურიალა.

ურუნტელი, რომელმაც მთელ ტანში დამიარა, არ იყო ალტაცებით მოგვრილი.

დაახლოებით ის ემოცია ჰქონდა, ფილმებში ქუსლზე მიტყაპუნებით რომ წარუდგებოდნენ ხოლმე:

„ობერშტურმბანფიურერი...“

ესეც ასე:

„ოფის-მენეჯერი...“

საიდან სადაო...

არ ვიცი... თუმცა რა გასაკვირია, ჩვენს ირგვლივ ხომ, ბევრ რამეს, მხოლოდ სახელები ეცვლება, შინაარსი და სულისკვეთება, შორეული თუ ახლო წარსულიდან, კარგად ნაცნობია...

ადამიანი, რომელმაც თავისი თანამოძმის სისხლი იგემა, პირველი ძმისმკვლელის ცოდვით აიცრა... ეს ცოდვა ტრიალებს და რა ფორმით გამოვლინდება, რაღა მნიშვნელობა აქვს, შედეგი ხომ იმ პირველის იდენტურია.

ასე, რომ:

„ოფის-მენეჯერი!...“

აკლია მხოლოდ ქუსლის ქუსლზე ტკაცუნს და...

ღმნა

ბოლოს რუსთაველზე შევხვდი — ერთ თბილსა და მზიან დღეს, ჯერ კაფეში, მერე გარეთ. ერთ მკლავზე პლაშჩი ჰქონდა გადაკიდული, მეორეთი — მუულუ, ქალბატონი თამარი მოპყავდა ხელკავით. ხელკავსაც ვერ დარქმევდი, უფრო თავად ეყრდნობოდა, რბილად მოაცურებდა ფეხს ტროტუარზე, ბებრულად მოაჩუჩუნებდა უქუსლო ფეხსაცმელს და სქელლინზიანი სათვალისგან ჩვეული ინტერესით აკვირდებოდა გამვლელებს.

ქვიშხეთის მწერალთა სახლის ზემოთა ფანჩატური უყვარდა, — მის კოტეჯთან უფრო ახლოს იყო და, იმიტომ. ფანჩატურამდე პატარა აღმართი ჰქონდა ამოსავლელი, იქაც, უფრო ხშირად, მეუღლის თანხლებით ამობრძანდებოდა, ძელსკამზე დაბრძანდებოდა, ხელჯოხს ჩამოაყრდნობდა ერთმანეთზე და ფარებულ ხელის მტევნებს და ხანდახან მკვახედაც შეუძახებდა ხეებს შესეულ, ჩიტებივით შეფრენილ ბავშვებს, ჩამოდით დაბლაო და თავის მაგიურ ჯოხსაც მუქარით დააბაკუნებდა.

ბატონი დემნას მუქარას ბავშვები უფროთხოდნენ და ემორჩილებოდნენ.

ერთხელ, ჩემი უფროსი ბიჭი გაბუსხული ჩამოვიდა მწერალთა სახლის ქვემო კორპუსში.

რა დაგემართა-მეთქი, ვკითხე.

ბაბუა დემნამ ხიდან ჩამომაგდოვო.

— ხეზე რა გინდოდა, კარგი უქნია!

— ცუდი კაცია...

ცოტა ხანში, გავიხედოთ და, იმ არცთუ იოლ დაღმართზე, ბატონი დემნა მოჩანჩალებს.

რა გნებათ, ვის ეძებთ-მეთქი.

ვის და შენ გეძებო, მომაცეცა თვალები, კაცო, შენი ბიჭი ჩამოვიყვანე ხიდან, რამე არ მოინიო-მეთქი, და ხომ არ გამიბრაზდაო.

— არ გენყინოს ბაბუ, — გადაუსვა ჩემ შვილს თავზე ხელი და ისევ უკან ნაჩანჩალებს.

აი, ხომ გითხარი, არ არის ცუდი კაცი-მეთქი, ვუთხარი ბიჭს და, გამიკვირდა, ჯერ ერთი, როგორ იცნო ცუდადმხედველმა ბატონმა დემნამ, იმდენ ბავშვებში, ჩემი შვილი და მეორეც — არ იყო რბილი, გულჩვილი, მობოდიშე კაცი, ვერ ვიხსენებ სხვა დროს ასეთი სითბო გამოემულავნებინოს.

თამაშობდა ნარდს, თუ კამათელს წერტილები მკვეთრად არ ეტყობოდა, შეწყობილად ვკარნახობდით, საუბრობდა ლიტერატურაზე, იხსენებდა, მოსაგონარი კი ცოტა არ ჰქონდა. ერთხელ, განსაკუთრებული სიყვარულით ჩაულრმავდა რომელიღაც სიტყვის თავისებურებას, აზრის გამოხატვის ფენომენალურობას და გულისტკივილით დასძინა, შევცდი, ჩემგან ურიგო ლინგვისტი არ დადგებოდაო.

ჯემალ ქარჩხაძემ, როგორ გეკადრებათ, ბატონო დემნა, რაც თქვენ შესძინეთ ქართულ ლიტერატურას, ბევრი ვერ დაიტრახებებს, მარტო „ბათა-ქექია“ რად ღირს, ანდა...

არაო... შეიძლება, მაგრამ მაინც მგონია ის უფრო იყო ჩემი საქმეო — შენყვეტინა.

ახლა რომ ვუკვირდები, მართლაც სიამოვნებდა, ტკბებოდა ქართულ სიტყვაზე მსჯელობით და ეს ტკბობა მთლიანად აისახებოდა მის ხმასა და სახეზე.

აღიარებულ მწერალს აუხდენელი ოცნებისაკენ გაურბოდა თვალი.

მასხოვს, ქვიშხეთში, ბათუმელი მწერალი იაკობ მელიაც ისვენებდა ხოლმე, ოჯახით. მივდივარ, ერთხელ, ბატონ დემნასთან ერთად, მწერალთა სახლის კლუბისკენ, ტელევიზორის საყურებლად და შემოგვხვდა იაკობ მელიას ნავახშმევი ოჯახი. ხომ ძალიან ცუდად ხედავდა, მაგრამ თითქოს ყნოსვით გრძნობდა ვინ ვინ იყო — იმ ბინდბუნდში დააკვირდა მომავლებს, ხელი შუბლზე მოიჩრდილა, ვითომ მზე უშლიდა მათ დანახვას და შესძახა:

— გამარჯობათ, მელიებო!

ბოლოს რუსთაველზე ვნახე-მეთქი.

მაშინდელ რესტორან „თბილისის“ კაფეში კარგი „ბიფშტექსი“ მზადდებოდა. იქ, მეუღლესთან ერთად სადილობდა. გვერდით სკამის საზურგეზე „ბლაში“ ჰქონდა გადაკიდული. ოფიციანტს უხმო.

ბატონმა დემნამ რაღაც უთხრა და მალე, სირჩით, კონიაკი მოართვეს.

დაგემოვნებით, ნელ-ნელა დალია.

ცოტა ხანში ახლა პროსპექტზე შევხვდი.

მოდიოდა ქალბატონ თამართან ერთად...

თბილისს რამდენი განუყრელი წყვილი ახსოვს...

თუმცა, რა ვიცი, ისე შეიცვალა თბილისი, რომ ახსოვს კი? არაო, არაო, მაინც ლინგვისტობაო.

ჩვენ ბებრულ ახირებად ჩაეუთვალეთ.

ნოშრა

აბა ვინ იცის ერთმანეთს რაზე შეუხირდნენ, თანაც სალოცავში, ნათლისმცემლობა დღეს. დიდი მუხის ქვეშ გაშლილ სუფრასთან შეჰყვნენ, შეჯავახდნენ, თანდათან ხმასაც აუწიეს და, ჩვენამდე ამბავი რომ მოვიდა, სალოცავში ნოშრე ჩხუბობსო, გამოვცვივდით პაპაჩემის სახელეულობა, მე და ძალუაჩემი და ეს ჩვენი ნოშრეც დავინახეთ — მოდის ზემოდან. მო-

დის კი არა, მოაქვს გნისით ქვეყნიერება და გვერდზე გადავარცხნილი, გაფშეკილი ქორჩის ქვემოდან გადმოჩქეფილი სისხლი ყელში ჩასდის.

დაიკრა ძალუაჩემმა მუხლისთავეზე ხელები, გავარდა მეუღლისაკენ, მაგრამ თანამეცხედრემ ახლოს არ მიუშვა — არ მომწმინდო, ეს სისხლი ყორეს ბიჭის სისხლით უნდა მოიბანოსო.

იქვე გაირკვა, რომ ყორეს ბიჭი, როცა მიხვდა მკლავით ვერაფერს გახდებოდა, ვითომ დაუთმო, გაერიდა ნოშრეს, წავიდა, გაეცალა იქაურობას და გასასვლელთან მისულმა უცებ მთელი ძალით გამოუზუზუნა ბატის კვერცხივით დაჭორფილი რიყის ქვა.

საფეთქელს ზემოდან სისხლმა რომ იფეთქა, აირივინ მოქიფებები, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ მსროლელს ვილა დაიჭერდა.

არა და არაო, ყორეს ბიჭის სისხლითაო...

ქათმისა არ ივარგებს? ეხლავე თავს წავაცლი ამ ყელტიტველს და იმის სისხლით მოგბანო, გაეხუმრა პაპაჩემი, როცა ნახა გატეხილ თავს სხვამხრივ საშიში არაფერი სჭირდა.

დამცინით კიდეც? ჩემდათავად აქ გამჩერებლის დედაო, ინყინა ნოშრემ, გამოვარდა და, რა გვექნა, მე და ძალუაჩემიც ავედევნეთ, მარტო ხომ არ გამოვუშვებდით.

მოვასწარით — ძველი მიტკლის ნაგლეჯიც გამოვიყოლეთ, ეგებ გზაში თავი მაინც გაუუკრათო.

ჯერ კიდევ იუარა, მაგრამ გზა და გზა, სისხლის სუნით გალიზიანებულმა ბუზმა და ბუზანკალმა ნამეტანი რომ შეანუხეს, იკადრა, ძალუაჩემმა ორფად გადაკეცილი მიტკალი შემოუჭირა და კეფასთან გაუნასკვა.

მოვეცებთ იმ გზას დილაადრიან რომ გამოვიარეთ და უკან ისევ ის სოფლები არ უნდა გავიაროთ? ის ადამიანები არ უნდა შეგვხვდნენ, აქეთობას რომ მივესალმეთ და მოგვესალმნენ, ზოგი უცნობი, ზოგიც ნაცნობი? გზა და გზა, ზენარის ნაგლეჯით თავნაკრული ნოშრე, ფადიშაპივით რომ მიგვიძღვის, შეხედავენ და უკვირთ, ბიჭო, აქედან მთელი გაგიშვით და რა დაგემართა, კროლა კაკალი ხომ არ დაგეცა თავშიო.

კროლა კი არა, დაიხსომეთ ეს ნათლისმცემლობა დღე, ყორეს ბიჭს ჯიგარი უნდა ამოვულოო, დედასაც უხსენებს, გვარსაც, ჯილაგსაც და ჩამომავლობასაც, შესაფერის კონტექსტში, თანაც რა თქმა უნდა, ხმამალლა.

აიფარებს შენუხებული ძალუაჩემი ყურებზე ხელისგულებს, სირცხვილია ამ ხალხის, კაცოო, მაგრამ რომელი ხელისგულები დაიჭერს ამ მჭექარე ხმას, გინდა რკინა-ბეტონით ამოლესე, ცხრა მთას იქით ეყურებათ ნოშრეს მკერდზე დარტყმული მუშტის ბრაფუნო.

ზოგჯერ გახსნის ტკაცუნით ილიაში ამოდებულ, ნიშნობისდროინდელ შავ „ლედიაკურს“ ძალუაჩემი, ამოიღებს ცხვირსახოცს, სისხლმა გამოჟონა, სახეზე ჩამოგდის და მონინდნო, მიანვდის, მაგრამ თანამეცხედრე ისე გამწყვრალი შემოუბრუნდება, ეგრე შემოღრენს, ძალუაჩემი უხერხულობს, ხომ არავინ გვისმენსო.

მოგვისმენენ, მამ რას იზამენ. ლობეებს იქით თუ ლობეებს აქეთ გამოშლილია, შრომობს ან მიდი-მოდის ხალხი.

ამათ გაიგონ, ჯანდაბას, აი, ოლა რომ შეხედავს გასისხლიანებულ შვილს, რას იზამს, რას მოიმოქმედებს, იმას ვინ დაიჭერს, თორემ ამას რაზაც ეშველება... აკი, დილას, ვიდრე ნამოვიდოდით, გააფრთხილა კიდეც, წყნარად მიდი და მოდი, შარს არაფერს ნაეკიდოვო.

გააფრთხილა, მაგრამ რა გამოვიდა?

დილით, მეჯვრისხევაამდე, დამგზავრებულმა მანქანამ გადმოგვიყვანა, იქიდან ფეხით დავადექით, ახალუბანი, აძვი, ქვეში... ყოჩაღად ვიარეთ, პაპაჩემი სახაშლამე ხორცს ქაფავდა, თავი რომ დავუკარიო...

რა ეტაკათ, ყორეს ბიჭთან ძმაკაცობდა და რა ცეცხლი წაეკიდათო, უკვირდა ძალუაჩემს...

გავიდა დრო, დღეობას და რთვლობას ისევ იმ გზით, ისევ იმ სოფლების გავლით მივიდი-მოვიდოდით პაპაჩემთან, მაგრამ ყორეს ბიჭისთვის თვალი აღარ მომიკრავს, ჩემთვის და ჩვენთვის დაიკარგა, თორემ ისე, ალბათ, რა უჭირდა, ხო არ გადაჰყვებოდა ბიძაჩემის ვატეხილ თავს.

ან როგორ დაგვენახებოდა, ისეთი მუქარა შეუთვალა ბე-ბიძაჩემმა.

ამსრულებელი იყო და ამიტომ დაფრთხა...

დარჩა ლეგენდად, ჩემს ხსოვნაში, საგმირო შარავანდედით შემოსილი ყორეს ბიჭი.

ამას იმანაც შეუნყო ხელი, რომ ხშირად, როდესაც რამეს გახსენება უნდოდათ, მაშინვე ამ შემთხვევას მოიგონებდნენ ხოლმე, ან ამის წინა წელს, ან ამის შემდგომო, ხელგასახმობმა ყორეს ბიჭმა ქვა რო სდრუზა ნოშრესაო... მოკლედ, მესხიერების დედაბოძად იქცა და, თუ რაიმეს უტყუარობის დასტური გვინდოდა, მაშინვე ნოშრეს თავის ვატეხის თარიღს დავიმონებდით...

ბიძაჩემი როცა გარდაიცვალა, ჭირის სუფრიდან ხალხი რომ აიშალა, ჭიშკართან მდგომმა ძალუაჩემმა თავისთან მიმიხმო.

მივედი. მიყურებს და დაღლილ სახეზე ძლივს შესამჩნევია ღიმილი უკრთის.

ამას თუ იცნობო, მკითხა დაბალ, ბელურასავით მხრებში კისერჩაძერენილ შეჭალარავებულ კაცზე, ფართე „ხინკალა“ ბუკლეს ქუდს დამნაშავესავით ხელებში რომ ჭმუჭნიდა.

შევათვალეიერე, იმანაც ამომხედა გულაჩუყებული, შემთვრალი კაცის თვალებით.

გახსოვს ბიძაშენს თავი რომ გაუტეხეს.

რა დამავინყებს-მეთქი.

აი, ეს გახლავს ის ყორეს ბიჭიო.

გაკვირვებულმა შევხედე, ეს არის ის მითიური გმირი-მეთქი?

მაგარი იყო, მაგარი, მკლავში მე იმის მომრევი არ ვიყავი და რა მექნაო, იმართლა თავი და ის განწირილებული კისერი, იმ გამხდარ მხრებში კიდევე უფრო ჩაუძვრა, ჩაუვარდა.

ლეგენდიდან ნამცეციც აღარ დარჩა და გული დამწყდა.

რატომ, ვის ველოდი, ცხრა ცხის ამლებს თუ ამბრაზურაზე გადაფარებულ ვაჟკაცს, ვერ გეტყვით.

ყორეს ბიჭი გამოგვეთხოვა, მიმავალ ხალხში გაერია, ერთი-ორჯერ „ხინკალა“ ქუდსლა მოვკარი თვალი და ველარ დავინახე, გაქრა.

ჩემმა

ეზოს შემორიგებული კოტეჯებისაგან მოშორებით, ეკალბარდებითა და ნავით ამოვსებულ ხეგზა გადაყუდებული. ღარიანი შიფერი, აბეზარი, მთვრალი მოცეკვავის ქუდივით გვერდზე მოჰქცევია და ხეირიანად ვერც სიცხეს იჭერს და ვერც წვიმას.

— ნეტა აქაურობას პატრონი არა ჰყავს? — ჩავილაპარაკე და ჩემიდან სვანჯრის სწორებით ვილაც გამოძვრა.

— მე ვარ პატრონი, ვახტო ცუცინიაური! — თვალთ გამზომმა, დონიჯემოყრილი მომჩერდა, — რაშია საქმე, რამე არ მოგწონს?

— დიდებული ბუნება!

— ჰო, — დამეთანხმა უხალისოდ, — ჩვენს ბეჩავ ხალხს თვალს ეგლა უხარებს... იმ კაი დროში აქ დასასვენებელი პანსიონატი იყო. ზაფხულში, ესე გამოცარიელებულს ვინ დატოვებდა... — ესეც აქ იდგა? — ვანიშნე ჩემმაზე.

— მაშ, მერე ხომ არ მოვიდოდა! — შემომხედა დაეჭვებულმა.

არა, ნამდვილი საბჭოთა გადმონაშთია, ორგანოფილებიანი, ცოტა უკან გადაფერდული, ასე გგონია ხევში გადაიხენცება და გადაიყოლებს ვილაც ვაჭირვებულს.

რაკი ორგანოფილიებიანია, ალბათ, ცალ-ცალკე, ქალები-სათვის და კაცებისათვის უნდა ვიგულისხმოთ. მართალია არც ტრაფარეტით, წარწერით ან რაიმე სხვა საშუალებით მინიშნებული არ არის, მაგრამ რაკი ორია, წყალი არ გაუვა, ერთში ადამი უნდა შებრძანდეს, მეორეში ევა.

ჩანგრეული, გავერანებული კოტეჯებიდან ერთ-ერთში, შედარებით უკეთესად რომ შემონახულა, სუფრაა გაშლილი.

დაგვიდახეს, მე და ცუცნიურს, ვახტოს, რალას უდგეხართ, თქვენლა გელოდებითო.

ჩემი ახალი ნაცნობი ცოტა მოშორებით დაჯდა, მაგრამ ისე, რომ თვალის არეალში ვყავდე, და მალ-მალე, ჩემს გასაგონად, ვითომ სხვებს, გვერდით მსხდომებს დასაძახის, მანდეთ ჭიქების საქმე როგორ არისო.

მოკლედ, არც თავისთავს ზოგავს და არც ჩვენ.

სადღეგრძელოებში, რაც უფრო წინ წავედით, ამანაც უფრო შეუმალა ხმას, რიხი შეჰმატა და ტუჩის კიდეებს ზემოთ მორკალული უღვაშის ბოლოები, ორკარიანი ჩეჩმას ჩასაკეტი მავთულებივით აუქანავდნენ.

ცუცნიური ვარ მე, ცუცნიური, ულაზათო არაფერი მიყვარსო, გადმოიბღვირა წარბშეკრულმა და, მართალია მე ისევე არ მიყურებს, მაგრამ მაინც ვგრძნობ რომ მთელი მრისხანების ღრუბელი ჩემს თავზე გროვდება. გროვდება და ღმერთმა იცის როდის იქუსებს.

— რატომ არ სვამ ბოლომდე, გინდა ცუცნიურთან დაგაბეზლო? — წამწურჩულა მეზობელმა.

— დამაბეზლე, რა, დღევანდელ საქართველოში ვინმეს დაბეზლებით გააკვირვებ?

— მითუმეტეს... შენ რომ ფხიზლად გინდა დარჩე, ეგრე სად არის... თუ ვართ ერთი კამპანია, ერთად და ერთნაირად უნდა გავტყვერეთ, თორემ აგე, ცუცნიური...

ვიდრე ჩვენთვის ვქირქილებდით, „აქაურობის პატრონი“ თამადას შეუხირდა, სათითებით როდემდე უნდა გვასვავო. იმან რომ მის პროტესტს მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია, არწივივით მზერა ამდენ ხალხს გადმოატარა და პირდაპირ მე დამაცხრა, ნერტილოვანი დარტყმა მომაყენა.

თქვენ, მეგობარო, წელან აქაურობის პატრონი რატომ იკითხეთ?.. ცუცნიური ვარ, ცუცნიური, ჩემს უნებართვოდ, ამ შემოგარენში ჩიტი ვერ გადაიფრენს და ჭიანჭველა ვერ გაფაჩუნდებაო.

გასაგებია-მეთქი, მორჩილი მონიწებით თავი დავეუხარე და მის მკაცრ მზერას,

რაც შეიძლება, დამთმობი ღიმილი შევაგებე...

მზემ სამხრეთის ფანჯრებს მოუარა და დასავლეთიდან მოგვადგა. განათდა, ახალი „რაკურსით“ ეზო, ერთმანეთს მხარმდამდგური ბნებები, მოკლე, ჩანგრეული ხის კიბეები და დაწეული სახურავები.

ერთი, რაც ვერ წაშლილიყო, მწვანეზე ძაფებივით გაბმული ბილიკები იყო, კოტეჯებიდან რომ გარბოდნენ და ორკარიანი ჩეჩმასთან ინასკვებოდნენ.

ეზოც კარგად იყო მირეულ-მორეული, საქონლის მონეხვილი, დინგებით ნაჩიქნი...

სუფრიდან გამოვედი, ერთ-ერთ „ძაფს“ დავადექი და კვლავ ჩეჩმასთან აღმოვჩნდი.

ისე ავხედე გვერდზე გადაცურებულ შიფერს, თითქოს, აქამდე, თავისით შესწორდებოდა.

ირგვლივ თავდავიწყებით ბზუოდა მსხვილი, მწვანემუცეულა ბუზი და ბუზანკალი. იქვე, მოფარებულში, ქვის კედელთან, ძაღლები გადაყრილ საქონლის ფაშვს ეხვეოდნენ და ჩემთვის არ ეცალათ.

— მეგობარო, მგონი თქვენ პატრონი გაინტერესებდათ... მე ვარ ის პატრონი, აბა, ერთი რას გვიბრძანებთ! — მომესმა ზურგს უკნიდან მუქარაგარეული ხმა, — არავის არაფერი შეეშალოს...

გიჟია ეს მამაძალიშვილი, ვის რა უნდა შეგვეშალოს, როგორ გავუბედავთ, განა კი არ დაგვიწყენია, ამ ძვირფასი ეზო-კარის ბატონ-პატრონი ცუცნიური რაა.

ისე, ჩვენში დარჩეს და, განა აქვს მნიშვნელობა, ამ ჩეჩმის პატრონი, რა გვარი იქნება?

თუნდაც ვახტო ან ყარამან ყანთელი ერქვას!..

ჭილყავები

სანახევროდ გადაკაფულ ნეკერჩხლის ტოტზე ჭილყავები სხედან.

დაღმართზე ბიჭმა „სკეიტბორდით“ ჩამოიხრივინა, ხის ქვეშ შეჩერდა და ყუთს აგლეჯილი ფიცარი ჭილყავებით დაზნექილ ტოტს ესროლა.

თითქოს დაჭიმულმა ზამბარებმა აიტაცესო, ჭილყავები თანაბარ სიმაღლეზე აფრინდნენ, გაბრაზებული ჩხავილით ჰაერში აფარფატდნენ და ისევე ტოტზე დაემყენენ.

ტოტი ძველი, აგურის აივნიანი სახლის ფანჯარას უყურებს.

ფანჯრის შიგნით, გადაქუცულ დივან-სავარძელზე, ერთმანეთს მიჭუჭკული დედაბრები სხედან. გამხდარი, დაღუღილები, შავებში კიდეც უფრო დაპატარავებულები და დაჭმუჭნულები. განა განზე ვერ გაიწევენ, განა ადგილი არ არის, მაგრამ ცივა, ცივა, თებერვლის ბოლოს ნესტიანი სიცივე გასჯდომიანთ ძვალ-რბილში ადამიანებსაც, კედლებსაც და იმ ავეჯსაც, პატარა, უფორმო ზალაში კედლებისკენ რომ მიუნმოუნევიან და სარკეებზე და ძველ, შავ-თეთრ ტელევიზორზე თეთრი მიტკალი აუფარებიათ.

ყინავს გარეთაც და სახლშიც, ამიტომ ეჭუჭკებიან, მაგრამ ან თვითონ რაღა სითბო აქვთ, ერთმანეთსაც რომ გაუნანილონ.

ღია კარიდან, სისინით შემოსული, მინაზე განოლილი ორპირი ყველა კუთხე-კუნჭულს ავსებს, მოძვრება ბოლოებჩამოძენილ, ტახტზე გადაფენილ ხალიჩის ქვეშ, მოძენის სახლის ფაჩურებში განაბულ, ჭირისუფლების თეთრწინდებიან ფეხებს, თითებიდან შეეპარებათ, დაყნოსავს, ნელ-ნელა გაუჯდება, დააბუყებს, შეჰყვება კოჭებისაკენ და დედაბრებს წვივებსა და მუხლისთავებს შეუთრთოლებს.

„ეხლა ნასვლის დრო იყო, კაცო!“ — წაუქნავლებს რომელიმე, თუმცა, რაღა რომელიმე, მარჯვნივ მჯდომი, მიცვალებულის თანამეცხედრე და ვერ გაიგებ, უდროობაში გარდაცვლილის ასაკს გულისხმობს თუ გაუსაძლის ყინვას.

რა თქმა უნდა, გაზაფხულზე სჯობდა, კვირტი რომ დაიძახებს და ნეკერჩხლის ქვეშ დაფენილ, შავი, უჯიშო ვახის ნასხლავს პირველი ცრემლი დაეცემა, მაგრამ...

ჰოდა, მესამე დღეა, როგორც გარეთ, ორკაპს ჩაბლაუჭებული ჭილყავები, დივანზე ჩამოგჯდარან რძალი და მული, წლების თანაცხოვრებით ერთმანეთს დამგვანებულები, კანტი-კუნტ მომსვლელს თავის კანტურით უხდიან მადლობას რომ მობრძანდნენ, დააფასეს, ამოიარეს ხის მორყეული, დაფუტუროებული კიბე, და ოჯახის მწუხარება გაიზიარეს.

არ უნდათ, აღარაფერი არ უნდათ, აღარც ეს ზამთარი, აღარც მიცვალებული, აღარც თავისთავი — ის ბიჭი, „სკეიტბორდით“ აქაც რომ ჩამოიგრიხინებდეს და ხელს აუქნევდეს, ესენიც აფრინდებოდნენ, აფრინდებოდნენ და აღარც დასხდებოდნენ მობეზრებულ დივან-სავარძელზე.

შემოსასვლელთან, დერეფანში, შვილიშვილი ნეკა თითით აცლის სიგარეტს დაკონწიალებულ ნამწვს და მსუბუქ ნიავს თუთუნის სუნი ოთახში შემოაქვს.

— ეგრე იყო, ბიჭებო, რა, ბევრი არ უწვალაია, როგორც შამპანურს „პროპკა“,“ ეგრე უცებ ამოაძრო სული, — ვითომ ოხუნჯობს კიდეც, უშნოდ, უაზროდ, უგერგილოდ და თვითონვე რომ მიხვდება, მიჰქარავს, საჩქაროდ პირჯვარს გადაისახავს, ღმერთო, შემინდეთო.

შეუნდობს, მაშ რას იზამს, ამაზე დიდ ცოდვებს პატიობს ამა ქვეყნის ძლიერთა, წელიწადის ყველა დრო რომ გააუგემურეს და, ეს რა გაუხდება, უაზრო წამოძახილს ისე შეუნდობს, თვალს არ დაახამხამებს, თანაც ბიჭის როყიოდ წამოძახილი ხომ სიბრძნვიდან უფრო მოდის, ვიდრე გამიზნული ბოროტებიდან.

ყველა თავისას ჩივის, თავისი პრობლემებისათვის ნაუღუნია კისერი, მხოლოდ ამას არაფერს ეკითხებიან, გულხელი რომ დაუკრეფია და ბუზების დასკორილი აბაჟურიდან გაცრილი მკრთალი სინათლე, კიდევ უფრო უყვითლებს გაცრეცილ სახეს.

ჩარხმშენებელი ქარხნის ყოფილი „დამკვერელის“ კოსტუმის ლაცკანზე ნითლად ლაპლაპებს შრომის ნითელი დრომის ორდენი.

ჯილდოები სხვებიც ჰქონდა, მაგრამ გამორჩეულად ეს უყვარდაო — ჩაილაპარაკა მეუღლემ, — არა მარტო უყვარდა, ამ პიჯაკიდან არც მოუცილებიაო.

„ეჰ, მაშინ რა ბიჭი იყავი!“ — ფიქრობს თანამეცხედრე და მულიც უსიტყვოდ ეთანხმება:

„აბა, აბა, დაფასებული, საქვეყნოდ პატივცემული, ახლა...“

„ახლა“ აღარ არსებობს... ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის.“

„ეგრეა, ეგრე...“

თუთუნის სუნი ჯიუტად მოძვრება თხელი, კეხიანი ცხვირის ნესტოებისკენ.

„ეს ბიჭიც რამდენს ეწევა!“

„ჰო, იკლავს თავს... ეს საცოდავი, მაგასაც როგორ ჯავრობდა ხოლმე...“

გარეთ და შიგნით „ირხევა“ ტოტი — რომ არ ჩამოვარდნენ, თავს ძლივს იკავებენ კლანჭებით ჩაბლაუჭებული ჭილყვავები და დაღმართზე, აბეზარი ბიჭი, „სკეიტბორდით“ ისევ მოხრიგინებს.

კეთილი გული

კატუშამ, მაგიდაზე შუაზე გადატეხილი შოთი, თხელი, გაბზარული ყველის თეფში (ყველიც თხლად და ძუნნად დაჭრილი) დადო და წინსაფარს მოფარებული, ხრაკისაგან შეყვითლებული არაყის ნახევარლიტრიანი შემოდგა — ისიც დანაკლულეული, რა თქმა უნდა.

მერე, როგორც იცოდა ხოლმე, ოთახის ჩუსტების ჩოჩილით კარადასთან მივიდა, ორი სირჩა გამოიღო, პაპაჩემსა და სტუმარს დაუდგა და დააყოლა:

— აჰა, მიირთვით, ნათქვამია, ყველი, პური და კეთილი გულიო...

— მარტო ეგა, ხახვის თავი ან ნივრის ფოჩიც არაო? — პაპაჩემმა.

— ან სიმჟავით შემაჭრებული მწიფე პამიდვრის მწნილი, შენ რომ იცი, დეიდაჩემო, ისეთი? — ახლა სტუმარმა.

— არაო... — ხელები გაუტატანა ბებიჩემმა.

სტუმარმა პაპაჩემს აღარ აცალა, თვითონ ჩამოაწანწკარა არაყი.

— კანინკა, რას გეტყვი, იცი, მოდი ეგ შენი კეთილი გული უკან წაიღე და რაიმე ხეირიანი რაღა უნდა მოვაყოლო!

— კეთილ გულზე ხეირიანი რაღა უნდა მოვაყოლო! — ახლა უკვე სერიოზულად თვალეები გადაუტრიალა პაპაჩემმა, — რაც შენ გიცნობ, უხეირო ოფიციალტვიტ „კეთილი გული“ მოგაქ და მოგაქ... ველარ გაიგე, რომ აღარაყის უნდა?

კატუშამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თანამეცხედრემ თითიც რომ დაუკრა მაგიდაზე, ტუსტუსით წავიდა სამზარეულოსკენ.

— ეე, იჩხუბეთ-მეთქი, მაგიტომ კი არ მითქვამს, — ვითომ შეიცხადა სტუმარმა, — აბა, ერთი სახარება!.. — გადააჰკრა

და, პაპაჩემი რომ ესამოვნებინა, კარგი გამოსულა, კარგო, პირი ნამეტანი მომუნა...

ტახტზე მიწოლილი, გაცრეცილ, თხელყდიან წიგნში არსენას ლექსს ვკითხულობ, მეხალისება ენა რომ გავიტეხე და ასოებს ენის ბორძიკით აღარ მივყვები...

„მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, ნითელი პარასკევია...“

— ვაა, ვინ იყო ეგეთი, ნითელ ღვინოზე უარს რომ ამბობდა? — უკვირს სტუმარს.

— ნითელი ღვინო კი არა, ნითელი პარასკევიაო.

— ჰო, როგორც არის.

— ვინ და, გიორგი კუჭატნელი!

— ერთი უყურე! — მეორე სახარებაც მისცხო და თეფშზე დარჩენილ ყველის ერთადერთ ნაჭერს მონყენილმა დახედა.

პაპაჩემმა კატუშას შემქმნელ-დამზადებელი უხსენა, გავიდა და მალე ნახევარი წველა ყველი და შოთები შემოიტანა.

გაჯიუტდა არსენა, უნაგირის კეხს დარდმანდულად, ყუთით გადაუკრა ხმალი და ხელში ვადალა შერჩა.

ამოდ შეაცეცა მილიციულ კუჭატნელს დამთმობი, იმედიანი თვალეები, უიარაღოს როგორ გამიმეტებსო.

გაიმეტა. არ აღმოაჩნდა კეთილი გული, ამოიღო და დაჰკრა კიდევც, ჩამოაცალა მხარი.

„ვაი, დედიჩემის დღესა...“

ფურცელზე სისხლი შედედა და თვალეები მომინყლიანდა, შავ-თეთრ ნახატზე თავი ჩაჰკიდა გზებზე სუფრის გადამშლელმა არსენამ.

„ჩემი შვიდასი თუმანი...“ ნეტა ის კასპის დიდი კლდე სადღაა?“

კატუშამ ტავით ხახვსა და ლორში ამოშინებული ერბოკვერცხი შემოიტანა, თავსახური ახადა და ფარივით ამოზიდულმა ერბოკვერცხმა ნელ-ნელა ამოიფშვინა.

— ეგრე, რაა... მაგარი ხარ, მაგარი, დეიდაჩემო... ოლონდ თუ მოინდომე!.. აჰა, არ ვიყავი მართალი, ამას კეთილი გული შეედრება? — ენად გაიკრიფა სტუმარი.

„ვაჰ, ბიჭო არსენ, კუჭატნელმა როგორ გაჯობა, „ნითელ პარასკევს“ ჭიქა რა ეშმაკმა აგანევიანა...“

— კეთილი გულიო, კაცო, კეთილი გულიო! — სტუმარმა ჰაერში შეათამამა ჩანგალს წამოგებული, ლორის დაბრანული ნაჭერი და ლონიერ ყბებში მოიქცია.

ლოგინი

უკვე რომ აცივდება, გარეთ რომ წვიმს, ზანტად, უხალისოდ, თითქოს თავად წვიმასაც ეზარება თავის თავი...

გვიანი შემოდგომის მუქი, ყომრალი ღრუბლებით გაჭეტილ ცაზე, ვარსკვლავის ნამცეციაც რომ აღარ ბრწყინავს, ოთახის სითბოს, თანდათან, ნოტიო სიგრილე რომ ერევა და ლოგინში შესაწოლად ეშურები...

ტანსაცმლის გახდამდე ბალიშს რომ ააფუმფლებ, ზენარს ხელს გადაჰკრავ, გადაასწორებ, უფრო სწორად, სიცივეს წყალივით გადაშხვეპავ, მერე თბილ მატყლის საბანს გაასწორებ, ბოლოებს ამოუკეცავ, ბალიშთან კიდეს გადაუნევე და, როგორც ბუნავს დათვი, ლოგინს „გამოსაზამთრებლად“ რომ გაამზადებ...

მერეამდენე წელიწადია, სახსრებში მოფუტკნული, ჭრიალა ხის საწოლი შენი ყველაზე დიდი მესაიდუმლეა — შენს სხეულს მორგებული, დალილ კიდურებს გიმშვიდებს, შენს ბორგვას, ამაფორიაქებელი სიზმრებით გატანჯულ უძილო ღამეებს იტანს, დიდსულოვნად გითმენს, ასე ობოლივით მარტოსულს ქვეშაგებში ჩაგათბუნებს და, აცრემლებულს ზოგჯერ გიყვავებს კიდევც...

პატარებს ჰგონიათ, რომ მხოლოდ თვითონ უჩუყდებათ გული.

აბა, ერთი შენს ლოგინს ჰკითხონ...



ლია სტურუა

* *

ქვევიდან ბალახის სუნი წამოვიდა და განია მანქანები ამ პაუზაში ვდგავარ, მხატვრული სახის დევნას ვაგრძელებ: ავტობიოგრაფია კი მოვარგე, შიგ მინა ჩაყვავა, გაურანდავი კიბის ხიჭვები, ჩემი პირიანი ნაწილი, მოლაპარაკე, ყნოსვაში — მტაცებელი ადენოიდები ცალკე ამბავია, თვალების განურჩევლობა — ცალკე, ამ დაქუცმაცების კონტურები მაინც რომ ვიგრძნო —

მარტოობაზე გადასმული ხაზები! ან რომელიმე ანტიდეპრესანტის ლათინური სახელი გამახსენდეს, თითქოს, ეკლესიას ველაპარაკები! არაფერი, მარტო ეს ცალკეა პაუზა, რომელიც იმდენისთვის მინდა, ბალახს ძალა არ ეყოფა, მინდორს — ურბანიზმი, მე — მხატვრული სახეები (ერთი შვილის კომპენსაცია) შეხორცებები აქვთ, მეტამორფოზა უჭირთ, თორემ ერთი წვიმა და თოხლო მინა! გენეტიკურადაც შეუძლიათ, მაგრამ კიბის ხიჭვები ტკივათ...

თამაში

ბოლო შეგუება — შავ-თეთრი ცხოვრების ქადრაკთან გაიგივება: რალაც მომენტში დედოფალს, რომელიც, როგორც უნდა ისე დადის, კიპლინგის კატისა არ იყოს სახეზე წითელი ტრანსპარანტივით კლიმაქსი ეფინება საბჭოთა დროში პოლირებული, კანონმოშიში მეფე, ცხენები, პაიკები უკან მიყვებიან ბანალური უფსკრულია მათ წინ, შენ კი ხედავ და შეგიძლია სწორი სვლის გაკეთება, მაგრამ შავ-თეთრი კანონები აყირავებულია, ტრანსპარანტები იმდენ სინითლეს გამოყოფენ, შიგ კვერცხებს თუ ჩაყრი, აღდგომაც მოვა, ადრეული და, ალბათ, გრილი ღმერთო, დამარტომუნე, რომ ყველა გასასვლელი კარის იქით: სახლის, მაღაზიის, ავტობუსის, უფსკრული არ არის...

* *

ასეც ხომ შეიძლება: ვითომ ზაფხულია და მიყვარს ჩემი სიზარმაცე? კედლების პარალელური, ჯერ არ მიმკვდარი ზედ

ბალიშების კუზით კედელი მკაცრია დაუცველი ზურგების მიმართ, როცა სარჩული აღარა აქვთ, როცა კანი ისე იხვევა, როგორც დამარცხებული დროშა... შთაგონება თუ გაახურე, თავში კანაფის მინდვრებს გაგიშენებს, მიაყუდე მოსავალი შუბლს და იარე უკულმა, ან მუცელზე ბორბლები გაიზარდე და ტვინები აუთოვე მთელი ღამე დაძინებულების, ნორმალურების, ყოფილი შენისთანების, სანამ თვითონაც მინის არ შეგეშინდება...

* *

თმა როდემდე ინარჩუნებს ელექტრობას? ლოყები — ვაშლის სიმბოლიკას? კაცები ხმამაღლა ლაპარაკობენ, მზის ნაშთი აქვთ ხმაში, ამდენი წვიმის მიუხედავად. რა მიხვრება-მოხვრით მიყვებოდი ამ ხმებს! როგორ წყალივით ჩამიძრა პლასტიკა დავიწყებულ ჩაიდანში! რა ვიცოდი, წყალს თუ მეხსიერება აქვს, ან შენ რომ მოხვალ, რეანიმაციის განყოფილებაზე გადაცემული შავი პერანგით? თეთრი და შავი — ფერების კლასიკა საეჭვოდ ფერად მიზიდულობას გამიუქმებს რალაზე ვიფიქრო? ვაშლებით გატენილი მაცივარი რა კუთხით ეხება გრავიტაციის კანონს?

„საბრალო იორიკი“

ტანი საფუძვლიანად დამილაგეს, არალეთაებრივი დანიშნულების ფრთები საავიაციო ქარხანაში დამზადებული, ჩამონერეს, ტვინის მოვარდისფრო ნაწილი, ემოციებზე პასუხისმგებელი, გამორთეს, დანარჩენი ლოგიკას ექვემდებარება, ხელს არ შეუშლის გაპრიალებული ნეკნებიდან სტუდენტების გაკეთებას, მედიკოსების, მაგიდაზე განოლილი ანატომიის პირობებში. ჯანსაღი ვაშლივით ხორცს რომ ვითლიდი, სულ ლექსებში მიდიოდა, ამათ დავაკელი, პროზექტურაში ვუნაზლაურებ — ძვლებს ვათვლევივინებ თავის ქალაში თემა — ალესილი სამართებელი! ხელი რომ გაეჭრათ და მასხარა შეუვიდეთ სისხლში? არკვიონ მერე, საიდან ასეთი მდულარე როე ჩვეულებრივ სწავლის პროცესში...

ლია სტურუას პოეტური სტილის თავისებურება ის არის, რომ არ საჭიროებს ამოხსნას, გამოცნობას, ახსნას. ენიგმატური მასში არაფერია. აქ არის სხვა რეალობა, სხვა ლოგიკა, რომელიც უნდა მივიღოთ იმად, რასაც წარმოადგენს. სიურრეალისტური მოტივი სუვერენული, თვითკმარი მოვლენაა და მას „ძალოვანი“ მეთოდით ვერ ახსნი. გარედან შეტანილი ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა კონტრაბანდა, რომელიც არღვევს მის თავისთავადობას და სიტყვათა უაზრო გროვად აქცევს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ლექსი არ ამბობს იმას, რასაც ამბობს. არცერთი პოეტური ტექსტი, თვით ყველაზე რეალისტურიც, სინამდვილის ადეკვატური არ არის. პოეტური ლოგიკა ისე განსხვავდება ყოფითი ლოგიკისაგან, როგორც სული ხორცისაგან.

აღიარებული ჭეშმარიტებაა. ამაზე არავინ დავობს. დავა იწყება უკვე იქ, სადაც, კაცმა რომ თქვას, სადავო არაფერია. კერძოდ, როდესაც პოეტი სცდება რეალურობის ზღვარს, მკითხველი მაშინვე იწყებს ბრძოლას „სიურ“ ანუ „ზე“ რეალობის ჩამოსატანად ყოფითი ლოგიკის ფარგლებში.

ასეთია ალქმის ფსიქოლოგია. კითხვა ხომ დიალოგს გულისხმობს. მკითხველი ამ განწყობით მიდის ლექსთან, მაგრამ მოულოდნელად აწყდება უწყვეტი მონოლოგის კედელს, რომლის დანგრევაც იმდენად სურს, რამდენადაც აღიზანებს მისი სიმტკიცე და შეუვალობა.

ალქმასა და მოცემულობას შორის გაჩენილი კონფლიქტი იწვევს „მოკლე ჩართვას“ და ეს არის პირველი ეფექტი, რაც ჩნდება ლია სტურუას ლექსის კითხვისას. ამას მოჰყვება უარყოფა ან აღიარება პოეტური ტექსტის სუვერენიტეტისა, რომელიც სხვა რეალობას ექვემდებარება — ეს არის აზრის სიზმარი, ვიზუალური სურათებისგან შემდგარი კოლაჟი, რალაცნაირად შელოცვის ენასა თუ ჰიპნოზის ტექნიკას რომ მოგვაგონებს.

არავინ იცის, ჩიტის სიზმარში ისმის თუ არა ჭიკჭიკი, მაგრამ რაც ისმის, ალბათ ის არ ჰგავს იმას, რასაც ჭიკჭიკი ჰქვია.

ლია სტურუას ამ ლექსებში მოჩანს აზრი, მაგრამ ეს არ ჰგავს იმას, რასაც აზრი ჰქვია, რადგან ეს არის სიზმარი, აზრის სიზმარი.



იშვიათია ერთგულება, რასაც დალილა ბედიანიძე იჩენს კონვენციური ლექსის მიმართ. ჭკვია-რი რითმა, მწყობრი რიტმი და ნათელი აზროვნება — მისი ხელწერაა, ადვილსაცნობი, სანდო, გასაგებები.

ერთგულება მსხვერპლს მოითხოვს და ეს მსხვერპლი პოეტს გაღებული აქვს ლექსის პრესტიჟის სასარგებლოდ. პრინციპულად ამბობს უარს ისეთ გამომსახველობით საშუალებებზე, რომლებსაც ლექსში შემოაქვს ხმაური და თვალშისაცემი ეფექტები. თუმცა იცის, ეფექტი წარმავალია.

თითოეულ სიტყვასა თუ სტრიქონში აღიბეჭდება ავტორის გამოცდილება და გემოვნება.

და გიკვირს, მრავალი გულისტკენისა და იმედგაცრუების მიუხედავად, საიდან მოიპოვებს ამოდენა რწმენასა და სიცოცხლის ხალისს.

„რომ მაქვს იმედი ზვალისა, მე ამან გამახალისა“, — ამბობს უბრალოდ და თითქმის მიამიტურად, მაგრამ არის ამ თქმაში რაღაც უფრო მეტი და სერიოზული, ვიდრე ერთი შეხედვით მოჩანს.

ტრადიციის ერთგულება და აკადემიზმი — დალილა ბედიანიძის ლექსის საფირმო ნიშანი.

დალილა ბედიანიძე

კაცებს

* * *

იყოს რა ქარი
თავის ამქართო!
მე ის ვერასდროს ვერ შემეშინებს.
მიმტვრიოს კარი კლდისა სადარი —
ზეღმართული ვხვდები მაშინვე
ის მოასწავებს ამინდის შეცვლას,
ის მოასწავებს ხან მზეს, ხან — წვიმას.
შესაბამისად დავხვდები მეც და
კვლავ გადავიტან ისე, ვით წინათ.
სიცოცხლე ჩემი ქროლაა ქართა,
სიცოცხლე ჩემი — მოუსვენრობა.
ქარებს ავყვები, გადავრჩე რათა,
არ დამეხედოს უსიმღერობა.
და ლექსებს ვაწყობ ნოტებზე ქარის,
ვმღერი და დალა არ მეკარება.
სიცოცხლე ჩემი სიმღერა არის
და როგორც ზვავი — მოექანება.
იყოს რა ქარი! არ მეშინია,
რადგან სიახლე მოაქვს ყოველთვის
და მზე ქარების თვალის ჩინია
და მზე გულია თვითონ პოეტის.

მუხა

მუხაო, მასწავლე
როგორ ახერხებ,
რომ ყოველ გაზაფხულზე მკვდრეთით აღსდგები,
ახალ ყლორტებს ამოიყრი და
განახლებულ მაგ შენს სხეულს
სიბერე არა, არ ეკარება
მუხაო, მასწავლე
როგორ ახერხებ, რომ მუმლი დააფრთხო!
მეც მინდა, გადავურჩე
მუმლივით შემოსეულ დღეებს,
რომ მიქრიან და სიცოცხლე მიაქვთ.
მუხაო, მასწავლე
როგორ ახერხებ, რომ იმღერო თავალერილმა,
როცა მე სიმღერის სიმძიმით
თავდახრილი ვარ და ვერ ვიმართები!
მუხაო, მასწავლე
როგორ ახერხებ, რომ დედამინას ელაპარაკონ
შენი ფესვები ლოცვის სიტყვებით,
მასწავლე, როგორ მივმართო ცას,
სადაც ჩემი ფესვებია,
მომეცი ხელი, რომ შეგიერთდე
და შენთან ერთად და შენსავით
გავძლო — მუხაო!

მე არ ვარ პირველი.
მე ვარ მეორე
და რომ მეორე არ ვყოფილიყავ,
ის პირველი ვერ გახდებოდა.
მე არ ვარ მთელი,
მე ვარ ნახევარი
და ნახევარი რომ არ ვყოფილიყავ,
ის ვერასოდეს გამთელდებოდა.
როცა მივდივართ მარჯვნიდან მარცხნივ,
წიგნის კითხვის მიმართულებით,
მე ბოლო ვარ
და თუ წაკითხულ წიგნს გადავფურცლავ
მარცხნიდან მარჯვნივ,
რათა კარგად გავიმეორო გაკვეთილი,
მე პირველი ვარ, ის არის ბოლო.
ის ლაპარაკობს და მე ვუსმენ.
სიტყვები ჭიანჭველების მწკრივად მისდევენ
ერთი მეორეს
დატვირთული მისი გრძნობებით
და ვართმევ სიტყვას — ტვირთს ვუმსუბუქებ,
რომ პირველობა გავუადვილო.

* * *

ჩემში ყოველწამს რაღაცა კვდება
და იბადება ყოველწამს რაღაც.
ბინდი მოისხეს სადღაც შორს მთებმა,
გადაიქროლა არწივმა ლალად.
მთაც გაილექსა და ის არწივიც,
ხელში ლექსების მიჭირავს კონა.
თავს დავინწყების ქარი დამწივის,
განახლებისა მე რომ მეგონა.
მივიდრიკები მინისკენ ისე,
ვით ნოემბერში ზალახის ღერი.
მივეფარები დღეების ნისლებს
და უკვე ზამთრის დაკრულზე ვმღერი.
რა ხდება ჩემში? რად მიცემს გული
მოახლოებულ ზამთარის შიშით?
თუმც ყვავილივით გაღიმებული
მაინც ვარ მარადმწვანეთა ჯიშის!

* * *

დღეს მოვა წვიმა?
არ მოვა წვიმა.
დღეს მოვა თოვლი?
არ მოვა თოვლი.
და თუკი ბედმა მე გამიღიმა,

მე ავალ ცაში მსუბუქი ქროლოვით.
 მე მივანყდები კარიბჭეს ზეცის,
 მივუკაკუნებ ბედნიერ სულელებს,
 ამქვეყანაზე რაც კი გავეცი,
 დამიბრუნდება უკანვე სრულად.
 მაშ, დღეს ვინ მოვა აქ წვიმის ნაცვლად?
 მაშ, დღეს ვინ შეცვლის აქ თოვლის ფიფქებს?
 ან კენწეროებს ცად აწვდილ ნაძვთა
 ვინ შეეხება? მე, ან სხვა — იქნებ.
 მინიდან ცამდე გზა არის გრძელი,
 ციდან მინამდე გზა არის მოკლე
 და არ დაეცე და გაუძელი —
 დღეს წვიმა მოკლეს და თოვლი მოკლეს.

ნერო

არეულია ზეცა, როდის გამოიდარებს?
 ვით გადამფრენი ნერო, თვალს ეფარება მთვარე.
 ლამის წყვდიადში მოჩანს გარდასული დღის ლანდი,
 ვით გადამფრენი ნერო, მიფრინავს წელიწადი.
 ირხევა ალვის ტოტი, თითქოს ფრთებს იქნევს ნერო.
 რა დამრჩენია მეტი — ვიჯდე და ლექსი ვწერო.
 ამაღამ არრას სძინავს, ამაღამ ყველა ფხიზლობს.
 მეც წეროსავით მინდა, რომ სადმე გავიხიზნო,
 მეც წეროსავით მინდა, ცაში გავშალო ფრთები
 და იქ წავიდე, სადაც წყალს დავლევე და გავთბები.
 ყინავს. ამ დეკემბერმა კვლავ მოიქნია კუდი,
 არაფერია კარგი, ბევრი რამეა ცუდი.
 ავხვდავ ზეცას და იქ ბებური ნერო მოჩანს,
 უკანასკნელი ფრენით აქ ყველა საქმეს მორჩა.
 მიფრინავს. მისდევს თვალი — ჩემი შემკრთალი მზერა
 ხვდება მის თვალებს — ისიც შემოფოთებული მზვერავს.
 ერთმანეთს ვეთხოვებით მე და დრო — თეთრი ნერო,
 მარადისობის საზღვარს გადავაბიჯე, მტერო!
 გაჯობე. ნეროს მივდევი და ველარ დამეწევი,
 ნადიმზე წუთისოფლის მე ველარ დაგეწევი.
 არეულია ზეცა და გზას მიკვალავს ნერო
 და ძალას მაძლევს მთვარე ლექსი ცას ნავანერო.

* * *

სიტყვათა ცომის ნამცეცებისგან
 მოვზილე ლექსი ჩემი არსობის.
 მე ფუჭ სიტყვებზე არა ვცდები და
 ფერხულს ცეკვავენ ლექსში ასონი.
 მე ვარ მელექსე, როგორც მეპურე,
 რომ დავაპურო მშიერი სული.
 და მუნჯ უდაბნოს მე დავეპკურე
 ვით წვიმა, გვალვის ლამით მოსული.
 მე გადავდივარ სტრიქონთა სისხლში,
 ჩემი სისხლი და ხორცი ლექსია.
 ვარ ღვთისმოყვარე და ღვთისმოშიში,
 მჯერა, ჩემთვისაც მოვა მესია.
 და ხელგანვდილი, ვით მათხოვარი
 შევთხოვ უფალს, რომ სიტყვები მომცეს.
 იდიდოს ღმერთი და მაცხოვარი,
 თვისი სიკეთით რომ გავგაოცებს.
 აჰა, მოვზილე სალექსო ცომი,
 გონების თონეს აზრი ახურებს.
 ღმერთო, მამორე ჩემს თავთან ომი,
 გამაძლიერე და მიმსახურე!

* * *

ჩემი სიცოცხლე მიედინება
 მოლოდინის და იმედის ხიდქვეშ,
 რადგან უფალმა ასე ინება
 და ბედის ჩიტებს ვერაფრით ვიქმევე.
 ჩემი სიცოცხლის ტალღა ყოველი
 ეხლება ნაპირს, ნაპირთან ტყდება
 და მრჩება თვალი დარდით სოველი,
 რომ დღე მთავრდება, კი არ იწყება.
 იცოცხლო ერთი დღე ბედნიერი
 უდრის, ენამო მრავალი წელი.
 ხუნდება ჩვენი შნი და იერი,
 ნავალთ ყველა და ნავილებთ ნერილს.
 და გული მწყდება, მარადისობას
 თუმც ერთი წამი ჩამოვანყვიტე,
 თუმცა ჩემი ხმა ერთხანს ისმოდა,
 მე სამუდამო სიჩუმე მიტევს.
 ერთხელ მეც ვიყავ... მიყვარდა, მწამდა,
 მივუყვებოდი სიზიფეს აღმართს.
 ჩემი ლოდები უტკბილეს წამთა
 ავიტანე და... გზა მიდის გაღმა.

* * *

მზეო, აქეთ მოიხედე,
 გთხოვ, თვალი არ ამარიდო!
 შეგიყვარე და მოგენდე,
 მზად ვარ ეგ სხივები ვზიდო.
 სიხარულის შენ ხარ მაცნე,
 სიყვარულის ხარ ბეჭედი.
 და ის სითბო, რასაც გასცემ,
 უკან გიბრუნდება ბედით.
 ნახე, როგორ მოგელტვით და
 ნახე, როგორ გეფერებით!
 შენთან ერთად ამობრწყინდა
 იმედი და გვესხა ფრთები.
 სანამ შენ ხარ ამ ჩვენს ცაზე,
 სულ სიცოცხლე გვიწერია.
 ხარ სიბრმავე, ხარ სინაზე,
 შენი პირმშო თვით მწერია.
 და ჩვენც შენი ვართ შვილები,
 დედა მზეო, მოგვეც ბედი!
 და უშენოდ ნაშლილები
 შენით უნდა აღვსდგეთ მკვდრეთით.

* * *

რამდენი რამის მჯეროდა, ღმერთო!
 აღარაფრისა დღეს აღარ მჯერა.
 ო, შავო შურო, არასდროს თეთრო
 შენ დამეხედე ამ ბედისწერად.
 რამდენი რამე მე მახსოვს ახლა,
 როცა ცხოვრების ვარ შუა გზაზე
 და ჩემს ცხოვრებას ტკივილი ახლავს,
 ვით მტენვის ქრისას ქედმოხრილ ვაზებს.
 რამდენ ქარიშხალს მე გავუძელი,
 აღარ დამთავრდა მათი ჭენება,
 როგორც ცხენები — ავი, ფიცხელი
 მიტაცებს ქარი და მეჩვენება,
 რომ არ გასულა არც ერთი წელი,
 მას შემდეგ, როცა მიყვარდა, მწამდა.
 აღმართულია ცხოველი ძელი,
 სული ტანჯული მიიწევს ცადა.

რამდენი რამე გადავიტანე,
ძლივს მოვალნიე დღევანდელ დღემდე,
მაგრამ არც ერთხელ მე არ ვინანე,
გზას სიყვარულის — ღმერთს რომ მივენდე.

* * *

სექტემბრიდან სექტემბრამდე
გზაა ძნელი, გზაა ძველი.
გამითენდეს, დამილამდეს
მსურს, აქამდე ვით გავძელი.
დღე დღეს მისდევს, ღამეს — ღამე.
ვინ უწყის, რა ახლოვდება.
ცრემლით თვალი დავინამე —
კი არ გადის ეს დრო — კვდება.
არაფერი არ ბრუნდება,
არაფერი მეორდება.
ჭრელი კაბა გახუნდება,
შორს სიბერე მელოდება.
სიხარულის ვარდებია
რომ დაჭკნა და აღარ ყვავის.
ღვთისგან დანაბადებია
შავთა შორის თეთრი ყვავიცი.
კაცთა შორის გამორჩეულს
ხვედრიც რჩეულების ელის,
სიყვარულს და სითბოს ჩვეულს
ელის ყინვა საკვირველი.
სექტემბრიდან სექტემბრამდე
გაფრინდება მთელი წელი
და მოცულავს ბედი რამდენს
და მზე რამდენს დანავს მწველი...

სიხარული ჯერ თან დამდევს,
ვით კეთილი მასპინძელი,
სექტემბრიდან სექტემბრამდე
თუ სტუმრობა შევიძელი.

* * *

რომ მაქვს იმედი ხვალისა,
მე ამან გამახალისა
და სიხარულით ამავსო...
დაე, ვერარამ დამნავსო!
დღე დღევანდელი კარგია,
დარდი ზედმეტი ბარგია
და არავის არ გვარგია,
თუმც ძნელი დასაკარგია.
მადლობელი ვარ, გამჩენო,
რომ შემქმენი და მარჩენო,
სააქაოს და საჩვენოს
გვედრი, მწუხრი არ აჩვენო!
სიცოცხლე სიხარულია,
რა გზებით აღარ უვლია,
ზღვათა შინ, მიწათა შინა.
სიკვდილმა ვერ შეგვაშინა.
და ჯილდო სიყვარულია,
სულ სიყვარული მწყურია.
მწყურია სითბო, ალერსი
გულის, არ მგლოვიარესი.
ირგვლივ მზეა და გალობა,
მზით მაცვეთინე ქალობა
ღმერთო, მომცემო ხვალისა!
იმედმა გამახალისა.

ლელა ჯიყაშვილი

შუქზიარი



მას მერე, რაც ადამიანმა
საკვების მოპოვებისა და
თავშესაფრის ძებნის პარა-
ლელურად სხვა საკითხებზე
ფიქრიც დაიწყო, ალბათ პირ-
ველი განცდა — სინათლის
წყურველი გახდა. მილოდინ-
ი, რომ სამყარო უნდა გა-
ნათდეს და დაინახო, რომ ცას
ლაჟვარდი ფერი აქვს, ხეები
მწვანედ ლივლივებენ და ქა-
რის შემობერვასთან ერთად
ჩვენსავით თრთიან ან ირკა-
ლებიან — თავს მიწისკენ მი-
ზიდავენ. წვიმა კი ზოგჯერ
სწორედ ისე ჩამოდის ლოყებ-
ზე, როგორც სასწაული სი-
თხე — ცრემლი... ოლონდ რა-

ტომლაც არ ჰგავს კვამლისგან თვალსმომდგარ კურცხალს,
უფრო — ვარამით გაჩენილს ემსგავსება. თუმცა ეს ყველა-
ფერი რომ დაინახო, მერე გამოქვაბულის კედლებსა თუ პერ-
გამენტზე, ხბოს ტყავსა თუ ფურცელზე (მაგალითად, A4-ზე)
რომ გადაიტანო, ჯერ უნდა იყოს შუქი — არამარტო ნამდვი-
ლი მზის შუქი, რომელიც აუცილებლადაც კი უნდა იყოს,

არამედ მეორეც — ადამიანად დაბადების სევდიანი შუქი სა-
კუთარი არსებიდან.

ის, რაც უკვე გვაქვს, როგორც კაცობრიობის მონაპოვარი,
უზღვრო და აუნყავია, როგორც სულიერი სიმდიდრე. ბევრი რამ
ყოველ ცისმარე დღესაც ემატება ამ საუნჯეს და XXI საუკუნის
ადამიანმა აღარ იცოდა, რა უფრო მნიშვნელოვანია — შენი ფიქრის
ფურცელზე „გამოჭერა“ თუ სხვისი ნაფიქრის გაგება და გასისხ-
ლხორცება, შენად ქცევა და თუნდაც — მისგან გამიჯვნა. ცხა-
დია, ერთი მეორეზე ნაკლები მნიშვნელობისა არ არის და არც მე-
ორე ჩამოუვარდება პირველს „პირველობით“. შუქი თავისთავა-
დ რამ არის, თავს დაგანახებს... მარტო შენს ოთახში ანთებული
ნათურის ამარა დარჩენილს ნელ-ნელა მთავარი შუქი ჩაგიქრება,
ამიტომ ფარდა უნდა გადაწიო და სამყაროში გაიხედო: სხვისი ნა-
თელი შენთან შემოუშვა და შენი — სხვას დაუფინო ცხოვრების
გზაზე. ადამიანად ყოფნაც ეს არის — შუქზიარობა.

ამირან (პაკო) სვიმონიშვილმა თავის მიერ ნათარგმნ პო-
ეზიის ახალ ნიგნს ნასესხები შუქი დაარქვა. ნასესხებისა რა
მოგახსენოთ, ერთი ცხადია, ეს „ნასესხობა“ ვალად არ დაე-
დება ახალგაზრდა შემოქმედს, რადგან წინასწარ აქვს გაღე-
ბული საკუთარი შუქი საპირწონედ — მისი საკუთარი, ქარ-
თული ფესვით ნაკვები და ადამიანის ფიქრის საზღვრებს
დადევნებული პოეზიით... ფიქრით კი რაზე არ უფიქრიათ
ჩვენს მოძმეებს კარგა ხანია, დედამიწის ფარგლებს იქითაც
მიდიან და სხვა სამყაროებზეც ლაპარაკობენ — იმათი უცხო
მზებებითა და თანავარსკვლავედებით დაწყებული თუ —
დამთავრებული.

თარგმანი — თარგმანება მარტო ერთი ენიდან მეორეზე გა-
დატანას რომ არ ნიშნავს, ეს ყველამ იცის, ამ სიტყვას რუსთვე-
ლის დროსაც და ვახტანგ VI-ის ხელშიც გავგების, გააზრების (და
შემდეგ კომენტირების) მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ერთგვარ გა-

მოსავლად მექცა კიდეც, რადგან გერმანული, ლიტვური, უკრაინული, ბელორუსული და თურქული პოეზიის ვერცერთ ნიმუშს ორიგინალში ვერ წავიკითხავ, შესაბამისად მის ქართულად ქცეულ ვარიანტსაც ვერ შევადარებ. სანაცვლოდ „ქართულად ნათარგმანები“ ეს შუქი შემიძლია აღვიქვა და სინათლედ მივიღო.

**ბალახი ტყეება, ითელება,
მოიპარება სექტემბერი
მხნე და ავსული.
თუ ერთხელ მაინც დაქროლავს ქარი,
ტყე შეთქმულივით წამოდგება, აიტოტება,
მაგრამ
ვაი, რომ
ქვა-ღორღი ფარავს ჩანაცვრულ მინას
და დაზაფრული მღუმარებიდან
ხეობაში შემოდინა მშვიერი მგლები.**

ეს აჰმეთ თელის თურქული პოეზიის შუქია. „მგლები“ ჰქვია. ქვა-ღორღის ქვეშ მოქცეული ჩანაცვრული მინა, ფეხისგულით ნაგრძნობი და გულისგულით დატირებული — ეს ჩემი განცდაა, აქაური, ქართულ მინაზე გამოცდილებად შესრუტული. შეთქმულივით ფეხზე წამომდგარი ტყეც ჩემიანია და მშვიერი მგლების არსებობასაც არ მაგინწყებენ პოლიტიკით გამოშინებული დღეები. ეს შუქი (სამყაროს რომ ისედაც აერთიანებს, გაიგებ ამას თუ ვერა, ცხადია), პაკო სვიმონიშვილთან ისეთი ქართული მადლით აინთო, ქართულ ლექსიკაში, მის საუკუნეებით დამდგარ შრეებში ისე გამოიარა, შეუძლებელია არ შემოუსვა, სისხლთან ერთად არ გაატარო საკუთარ ორგანიზმში. გერმანული სინათლიდან — გეორგ თრაქლი:

**დათხეულია დღეების ოქრო,
სალამოს თალხი, ლურჯი ფერები,
მწყემსს უნაზესი სალამური კვდომამ გაუქრო,
დათხეულია დღეების ოქრო,
სალამოს ლურჯი, თალხი ფერები.**

„დათხეულ ოქროს“ როგორ ღირსეულად მიაცილებს ავტორი, როგორ სიტყვაძუნდად მიჰყვება დასალიერამდე. ვაჟ-კაცობა პაკოს ძალიან ორგანული თვისებაა და ჯერ კიდევ იმ დროიდან ვგრძნობდი, როცა თავის ადრეულ ლექსებს ბეჭდავდა. განცდის სიმძაფრის მიუხედავად, არასდროს, არცერთი სიტყვა არ უთქვამს იმ მიზნით, რომ შენი — მკითხველის — განცდა გამოეწვია. პირიქით, ცხოვრებაში ხელგამწილი და ლაღი, აქ ძუნწი იყო. მხოლოდ საკუთარ სიღრმეებსა და ფიქრადქცევას უყურადღებდა, არ თამაშობდა, არ უნდოდა, ამის ფასად, უკუგებად ტაში ჰქონოდა. ამიტომაც იყო შედარებით გვერდით გამდგარივით, მხოლოდ იშვიათი და თხემით ტერფამდე მოფიქრალი ადამიანების პოეტი. რაინერ მარია რილკეს პაკოსეული თარგმანება:

**ვართ მხოლოდ ბგერა
და ერთხელაც, სულ ერთი წამით
გაიბზარება გულის ფეთქვა ამ ბუმბერაზის.
მაშინ ყვირილად ვიბადებით,
მხოლოდ მაშინ ვართ ბედისწერა,
უფლის ხატი,
მაშინ ვართ არსი.**

ამ ლექსმა ტრაგიკულად დაღუპული ჩემი უსაყვარლესი ლექტორის — რევაზ სირაძის — ერთი ლექცია გამახსენა: როგორ იბადება ხატი — რომ ის მლოცველის წინ იბადება, რომ ადამიანი აუცილებელი პირობაა. ძალიან დიდი ხანია ვგრძნობ, რომ ადამიანი პაკო სვიმონიშვილისთვისაც აუცილებელი პირობაა და, თუ გლოვის ზა-

რი ჩამოკრავს ქორნარდ ფერდინანდ მაიერთან ერთად, ისიც იმიტომ, რომ ადამიანის შემდეგ ნასახლარები იბადებიან:

**ჩამოცლება ნიჩბებზე წყალი,
ჩაჰყვება სიღრმეს მწკრივი დამწდარი.
არც რა მალეღვებს, არც რა მახარებს,
ამ დღის ტკივილიც მისღვეს საღვარეს.**

**მთვლემარე სულში ნელ-ნელა ქრება
ტკბილი ნუთების შუქ-ელვარება.**

**ლურჯი წყვდიადი მოთქვამს სხვა ხმაზე —
ვინმე ხომ არ ჩანს ჩემს ნასახლარზე?**

ამაზე პაკოსთან არასდროს მილაპარაკია, რომც წამომენყო, ვიცი, თავისი მარჯვე ღიმილით შემაჩერებდა. ასეთ თემებზე არ ლაპარაკობენ, ამას ხედავენ, ფიქრობენ... არ მილაპარაკია-მეთქი, — დაბეჯითებით აბა, როგორ უნდა ვთქვა, რას ფიქრობს, როცა სადმე მიდის და აქეთ-იქით (ცოტაა, თუ რა!) ღობემორღვეულ, ფანჯრებამოლამებულ, ჭერჩამოქცეულ სახლებს ხედავს... და მაინც დარწმუნებული ვარ — ის ნასახლარებთან მოლაპარაკე შემოქმედია. მათი წიაღიდან და კიდეც იმის წიაღიდან, რაც ადამიანად ყოფნის მერე რჩება და გვტკივა, მივიწყებულ, გაიშვიათებულ სიტყვებთან ერთად ამოაქვს სახე, რომელიც შეუძლებელია, არ დაინახო:

**თავნასკვა, ისლი, ლერწამი და სიშორეში
წყება ლელქაში,
ფეხს ვერ ვიკიდებ მე ამ მინაზე,
წყლით ვსაზრდობ და ვირწევი ქარში.
აქ სიტყვას ძნელად გაერთვება ნაცნობი სიტყვა —
ფიქრის კრებული,
აქ სიტყვა იძვრის — ზამბახი ლერწმის სევადაში
ამოგზნებული.**

მერე რა, რომ ეს იონას ლინიაუსკასის შუქიცაა. ადამიანებიც ხომ იმიტომ გვქვია, რომ ერთმანეთის შუქი გავიზიაროთ და ერთმანეთის გზაზე ჩრდილად დაცემულ ტკივილებს ისე ავარიდოთ ფეხის დადგმა (გათელვა), როგორც წვიმისგან გაჩენილ გუბებებს გზაზე.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უნდა გავიაროთ ჩვენს საბედისწილოზე. პაკო ასე მიდის თავის შემოქმედებით გზაზე — შუქზიარად.

რედაქციისაგან:

„შუქზიარი“ მარჯვედ მიგნებული ნეოლოგიზმია, რაც ავტორის — ლელა ჯიყაშვილის — დახვეწილ გემოვნებასა და ენობრივ ალლოზეც მიანიშნებს და იმ პიროვნებასაც ხელშესახებად წარმოგვისახავს, ვისაც მიემართება ეს ორიგინალური ეპითეტი.

უშუალო საბაზი გამხდარა ამირან სვიმონიშვილის პოეტური თარგმანების კრებული „ნასესხები შუქი“, ბოლო დროის ერთი ჩინებული ლიტერატურული ნობათი ნამდვილი მკითხველისათვის, მაგრამ „შუქზიარი“ ძალდაუტანებლად განზოგადებულა და „ნასესხებ შუქთან“ ერთად გულისხმობს მთარგმნელის ორიგინალურ ლირიკასაც, წიგნიდან წიგნამდე თვალდათვალ რომ შემიმჩნეოდა შემოქმედებითი ზრდა და ბოლოდროინდელმა კრებულმა „სამკვიდრო“ კი საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

როგორც ორიგინალურ ლირიკაში, ისე თარგმანებში აშკარად მოჩანს პოეტის სწრაფვა ბუნებრიობისა და სინატიფისაკენ, რაც ასერიგად აუცილებელია შემოქმედისათვის და ასეთი საძებნელი შექმნილა დღესდღეობით, როდესაც ხელოვნურობა და თავსმობვეული სქემები ჭამს პოეზიას, მაგრამ რა შეიძლება დააკლოს კაცს, ვინც, კრიტიკოსის თქმისა არ იყოს, მხოლოდ ასე მიაბიჯებს თავის შემოქმედებით გზაზე — შუქზიარად.

ზაზა აბზიანიძე

პარალელური საკითხავი

არის ასეთი ჟანრი: „პარალელური ბიოგრაფიები“, პლუტარქედან რომ გვახსოვს — ალექსანდრე მაკედონელსა და იულიუს კეისარს, დემოსთენესა და ციცერონს რომ უწყვილებს ერთმანეთს... მაგრამ ხომ შეიძლება იყოს „პარალელური საკითხავიც“, სადაც ისტორიული პერსონაჟები კი არ წყვილდებიან, არამედ ის ავტორები, რომელნიც ერთი და იგივე ბიოგრაფიით „მონუსხნენ“ და რომელთა წიგნების შედარება-შეპირისპირებაც ესოდენ საინტერესო პროცესია...


ამჯერად ჩვენი „პარალელური საკითხავის“ არჩევანი განაპირობა ჯორჯ გორდონ ბაირონის ბიოგრაფიამ, რომელიც უკვე ორი საუკუნეა ასე აფორიაქებს მის მკვლევართ და შთაგონებს მათ გენიალური ინგლისელი რომანტიკოსის ცხოვრების დრამას ახალი და ახალი გამოკვლევები მიუძღვნან... ბაირონოლოგიის „ბიბლიოგრაფიული კალენდოსკოპიდან“ მომინდა ორი ავტორი დამენწყვილებინა და, ვფიქრობ, მკიხველი იგრძნობს და გაიზიარებს ამ „დაწყვილების“ ლოგიკას. ამ ორი ავტორიდან ერთი — ირლანდიელი მწერალი და ლიტერატურის ისტორიკოსი ედნა ო'ბრაიენი გახლავთ (ცნობისათვის: იგი უფროსი თაობის ირლანდიელი ინგლისურენოვანი ავტორია. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი ბიოგრაფიული რომანები ჯეიმზ ჯოისზე (1981), ვირჯინია ვულფსა (1999) და ბაირონზე (2009). 2006 წლიდან ინგლისური ლიტერატურის პროფესორია დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში).

ედნა ო'ბრაიენის წიგნის სათაურია — „შეყვარებული ბაირონი“.

მეორე ავტორი — ოთარ ჩხეიძეა, რომლის სახელიც ჩვენთვის „საცნობარო დანართს“ წამდვილად არ საჭიროებს, მაგრამ მაინც რაოდენ სიმბოლურია, რომ გორის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის პროფესორს და ქართული ისტორიის ეპიკური მარტიროლოგის ავტორს 1976 წელს — „უძრავობის“ სულისშემხუთავ ატმოსფეროში — მოუნდება საჯაროდ გადაიკითხოს ბაირონის იტალიური დღიურები, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, თითქოს იმპერიის რღვევის მალეწყებელი მინისქვეშა გუგუნო მოესმაო (კრიტიკოს გალინა კორნილოვას მეტაფორა რომ მოვიშველიო), მოინადინებს იხილოს „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“ (ოთხმილიონიანი ირლანდია!) და 1984 წელს გამოქვეყნებული ჩხეიძისეული ესეი აღიქმება მანიფესტად, რომელიც „სამშობლოს არსის გასაცნობიერებლად წააქეზებს გულით მოაზროვნე მკითხველს“ (ნანა კუცია).

ოთარ ჩხეიძის წიგნის სათაურია — „იტალიური დღიურები ბაირონისა“.

სწორედ ეს ორი წიგნი მიდევს გვერდიგვერდ სანერ მაგიდაზე.



ედნა ო'ბრაიენის მიმართება ბაირონთან ძალიან პიროვნულია. მას არ ეგულება ასეთი თავგამოდებული, ასეთი შმაგი და ასეთი დაუნდობელი სატრფო. მას არ ეგულება მამაკაცი, რომელსაც ამდენი ქალი ყვარებოდა (პროტოტიპი თავისივე „დონ ჟუანისა“), რომელსაც ამდენი ქალი ეტრფოდა და რომელსაც მათთვის ამდენი ნეტარება და, იმავდროულად, ამდენი ტკივილი მოეტანოს...

„შეყვარებული ბაირონის“ ავტორს ამბივალენტური გრძნობები აფორიაქებენ: ერთგან — წმინდა ქალური, ირაციონალური აღტაცება, მეორეგან კი — ქალური წყენა და ასეთივე ქალური სისასტიკით გამოტანილი განაჩენი: ბაირონი — ესაა სატანური სანყისით დადალული გენიოსი, რომლის მიზანიც და მისიაც იყო გაუბედნიერებინა მკითხველთა თაობები, მაგრამ რომელმაც მოახერხა იმავდროულად გაუბედურებინა ყველა — მის გარშემო მყოფნი, დედით და დით დაწყებული და კაპუცინთა მონასტერში უპატრონოდ ჩამკვდარი შვილით დამთავრებული...

ისე მგონია, თავის წიგნში ედნა ო'ბრაიენი ბაირონზე ლაპარაკისას საზოგადოდ უსწორდება მამაკაცის იმ ტიპს, რომელიც ბოლომდე არ აცნობიერებს თავისსავე

ნამოკმედარს და, რადგან ზნეობრივი შეფასების უნარსაა მოკლებული პრაქტიკულად, პასუხიც არ მოეთხოვება... (ჩვენ, სამწუხაროდ, ამ მორალური ინვანტილიზმის მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება...).

და მაინც, როგორი ბაირონი წარმოგვისახა ედნა ო'ბრაიენმა? ვუნდერკინდი, რომელიც ექვსი წლისა ჰორაციუსს თარგმნის და რვა წლისას კი უკვე წაკითხული აქვს ძველი და ახალი აღთქმა, სერვანტესი, უოლტერ სკოტი, კიდეც არაერთი რომანისტი და კლასიკური ისტორიული გამოკვლევები. იგი ვაკოტრებული არისტოკრატული ოჯახის შვილია, რომელიც დედამისს (მისივე დახასიათებით — „შერევილობისა და უჭკუობის ბედნიერ ნაზავს“) სიცოცხლის ბოლომდე არ

აპატიებს თავის კოჭლობას, რადგანაც დედის დაუდევრობით დასახიჩრებულ ჩვილს დროულად არ უმკურნალეს; დიდად არ იდარდებს მსმელ და მექალთანე მამას (მეტყველი მეტსახელით — „გიჟმაჟი ჯეკი“)...

ცხოვრების ამ გაუხარული დასაწყისის საპირწონედ, ერთ მშვენიერ დღეს ათი წლის „მეექვსე ლორდი ბაირონი“ ამაყად გადახედავს მემკვიდრეობით მიღებულ უზარმაზარ ნიუსტედის სააბატოს და გადაწყვეტს ამიერიდან ლორდისათვის შესაფერისი წესებით იცხოვროს.

თუ რა „გამოდნა“ ამ გადაწყვეტილებიდან, ისევ და ისევ ედნა ო'ბრაიენის წიგნში ვიხილავთ: რადგან კემბრიჯში სწავლისას ბაირონს (ტრინიტი-კოლეჯის შინაგანანესის თანახმად) აუკრძალავენ იყოლისა ძალღი, მის ადგილს იკავებს მოშინაურებული დათვი (რომელიც აკრძალავათა ჩამონათვალში მოხსენიებული არაა!); პირველი, უიმედო სიყვარულის (მერი ჩავორტისადმი) იარას დაუამებს ამჯერად უკვე გაზიარებული გრძნობა, ერთადერთი „მაგრამით“ — 15 წლის ფერმკრთალ არსებას, რომელიც ღვთაებრივად გალობს კოლეჯის ეკლესიაში, ჯონ ედლსტონი ჰქვია... როდესაც 1807 წ. 19 წლის ბაირონი გამოსცემს თავის პირველ პოეტურ კრებულს — „მოცალოების საათები“, წიგნში ედლსტონისადმი მიძღვნილ ლექსსაც შეიტანს — „სარდიონი“ (იმ სარდიონის ბეჭდით შთაგონებულს, რომელიც თავის დროზე ჯოიმმა აჩუქა).

სწორედ „მოცალეობის საათებს“ უკავშირდება ბაირონის პირველი აღიარება; შესაძლოა რამდენადმე სკანდალური, მაგრამ აბსოლუტურად შესატყვისი ისეთი ავტორისათვის, რომელიც განაცხადებს, რომ მისი წიგნი „მოქალაქე ბრბოსათვის“ არაა განკუთვნილი, რომელიც განზრახ უპირისპირდება მისთვის საძულველ, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულ „ლეიკსტა“ ტრადიციას და რომლის ლიტერატურული თუ პოლიტიკური ესკაპადებიც და ცხოვრების ნირიც ესოდენ აღაშფოთებს გარეშემოთ...

ედნა ო'ბრაიენს მოჰყავს ხატოვანი აღწერა ბაირონის პირველი წარმატებისდროინდელი „ცხოვრების ნირისა“: „ესაა ქრონიკა დარბაზობებისა და თავაშვების, მეჯლისებისა და მოკრივეთა შეჯიბრებების, ჰერცოგთა ქერივების და მოარისტოკრატო ბანოვანების, ბანქოსი და კახპების, საპარლამენტო დებატებისა და პოლიტიკური წერილმანების, მასკარადების, ღვინის, ქალების, ცვილის ფიგურებისა და ქარის ნისქვილების“...

აღარ მივუბრუნდები არც ამ ჩამონათვალს და არც „ლორდის შესაფერისი“ ბიოგრაფიის იმ შოკისმომგვრელ მიზანსცენებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია „შეყვარებული ბაირონის“ ცხოვრების დრამა...

ედნა ო'ბრაიენი წიგნის დასაწყისში გვაცნობს ერთგვარ „ბიოგრაფიულ რეზიუმეს“: „სიტყვა „ბაირონული“ დღემდე გულისხმობს წრეგადასულობას, სატანურ ქცევას და ამბოხს, როგორც მეფის, ისე ბრბოს წინააღმდეგ. ბაირონი, უფრო მეტად, ვინემ ნებისმიერი სხვა შემოქმედი, ჩვენთვის განასახიერებს წარმოსახვის უნარით დაჯილდოებულ და ღვთიური ნების უგულვებელყოფელ მემამბოხე პოეტს, რომლის ზეგავლენაც არ სცნობს ნაციონალურ, რელიგიურ და ეთნოგრაფიულ საზღვრებს: მისი თვალშისაცემი მანკიერებანი გამოისყიდება მისივე პიროვნული ხიბლით და, საბოლოო ჯამში, ჰეროიზმით, რომელმაც, ტრაგიკული ფინალის წყალობით, მისი ბედი კერძო შემთხვევიდან უნივერსალურ სიმბოლომდე აიყვანა, ინდივიდუალურიდან – არქეტიპულამდე“.

ამ მართებული დასკვნის მიუხედავად (ან ეგების სწორედ ამიტომაც) ედნა ო'ბრაიენის წიგნისაგან გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ბაირონიმა შეაყვარა თავი მთელ მსოფლიოს, მაგრამ საზარდად სოციალურ შეაძულა ინგლისს.

ახლა კი მივუბრუნდეთ ოთარ ჩხეიძის წიგნს — „იტალიური დღიურები ბაირონისა“. კარგი იქნებოდა, ეს წიგნი თარგმნილი რომ ყოფილიყო ინგლისურ ენაზე და ედნა ო'ბრაიენს ჩვენსავით „პარალელური კითხვის“ შესაძლებლობა მისცემოდა. საინტერესოა, როგორ აღიქვამდა ირლანდიელი მკვლევარი ქართველი კოლეგის „ბაირონიანას“ — მის ხედვასა და შეფასებებს...

ოთარ ჩხეიძე დაჯილდოებული იყო იშვიათი უნარით — გაეთავისებინა იმ ისტორიული გმირისა თუ ლიტერატურული წინაპრის ბიოგრაფია, რომელზეც წერდა. აი, რაღაც „სულიერი ტრანსპლანტაციის“ მაგვარი... არა მხოლოდ დეტალების ცოდნა, პეიზაჟის თუ ეპოქის ატმოსფეროსი, არამედ პირველ ყოვლისა სულის მოძრაობის თვალმიდევნება. ზოგჯერ, სიტუაციისა და მიხედვით, გამიზნულ ავტორისეულ დისტანცირებასაც ვგრძნობთ, როგორც წესი, ძალიან დელიკატურს. იმ ფაქტს შტრახებებს, წიგნის ბოლოსაკენ რომ ჯამდებიან და წარმოსახვენ „ჯადოქარი პოეტის“ კონტრასტული პორტრეტის შუქ-ჩრდილს...

„იტალიური დღიურები ბაირონისა“ იშვიათ საშუალებას გვაძლევს „დონ ჟუანის“ პროტოტიპი „ჩაილდ ჰაროლდისა“ და „მანფრედის“ თვალსაწიერიდან დაინახოს და ჩანვდეს „წამებას დიადი სულისა“.

ოთარ ჩხეიძემ დაინდო ბაირონი, დაინდო რაღაცნაირი მამაკაცური სოლიდარობით. საპირსწინედ ყველა იმ ბრალდებისა (და სამართლიანი ბრალდების!), რაზედაც ედნა ო'ბრაიენი წერდა, ოთარ ჩხეიძე პოეტის ბედში ხედავს იმ რაღაც ფატალურ „განმეორებადობას“, რომელზედაც თვითონ ბაირონი

წერდა და რომლის ჩხეიძისეული პერიფრაზიც ასე უღერს: „...იცოდა, ფათერაკი თუ ველარ მიუვიდოდა, თვითონ მოსძებნიდა ფათერაკს ბაირონი...“.

ბაირონისეულ „ფათერაკებზე“ ტომებია დაწერილი მაგრამ „იტალიური დღიურების...“ იშვიათი ღირსება სწორედ ისაა, რომ ოთარ ჩხეიძემ მწერლისა და მამაკაცის უტყუარი გუმანით, ეს, ნებისმიერი რეპუტაციისათვის მომაკვდინებელი ფათერაკები ისე „ჩახატა“ ბაირონის პორტრეტში, ისე დაუკავშირა მისი ნატურის სულისშემძვრელ სანყისს, რომ არა მხოლოდ დაგვანახა და გვაგრძნობინა, მეტიც — შეგვარიგა ამ ურთიერთგამომრიცხავ თვისებათა თანაარსებობას — რახან სწორედ ამ „ჯოჯოხეთური ნაზავის“ ალქიმიამ შვა გენიალური პოეზია.

ბუნებრივია, რომ ტერეზა გვიჩიოლი, ყველაზე ხანგრძლივი „იტალიურ გატაცება“ ბაირონისა, ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში საგანგებო ყურადღებას იპყრობს. არადა, როგორ არ მიაქცევ ყურადღებას ქალს, რომელმაც ასე დაატყვევა მოუხელთებელი გულთამპყრობელი, რომელმაც დანტეს საფლავის სიახლოვეს, მის ინგლისელ თაყვანისმცემელს სამარადისოდ დაამახსოვრებინა „სამოთხეც“ და „ჯოჯოხეთიც“, ხოლო თანამოქალაქეებს, რავენის მკვიდრთ კი ის „ისტორიული ფაქტი“, რომ პირველმა 200 წლის განმავლობაში შესძლო რომის პაპისაგან ქმართან განშორების უფლება მიეღო...

ტერეზა გვიჩიოლის (გამბას) ეძღვნება „იტალიური დღიურების...“ XXIV თავი, რომელიც ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი (და ასევე იკითხება!), მკაფიო ინტონაციური რიტმით, თავისი კონტრასტუქტით და რეფრენით — „ჩემო ბაირონი!..“ ო, რა ნეტარებითა და რა ავისმომასწავებელი კრთომითაა წართმეული ეს „ჩემო ბაირონი!..“ ეს რეფრენი „იტალიური დღიურების...“ დასასრულისას განმეორდება, XXX თავში. მაგრამ „ბაირონი“ უკვე „ჩემო“-ს გარეშე წარმოითქმის, მინავლებულ ბუხართან, თვალცრემლიანი ტერეზასა და მისი, უკვე განხიბული „ჩიჩიების“ განშორებისას... (მზამზარეული მიზანსცენა თეატრისათვის). აქ ავტორი განზრახ, თითქოს კალმის ათრთოლების შეეშინდაო, მოსხიპავს ფრაზას: „ჩაფერფლილიყო ბუხარიცა, ადამიანებიც ჩაფერფლილიყვნენ“...

„იტალიური დღიურების...“ თხრობა გამსჭვალულია ბაირონის ჩაუკლავი რომანტიზმით, რაზედაც მერე მთელი თაობები დაიზარდნენ, იმ პათოსით, რომლითაც ბაირონი ჯერ იტალიის გასაერთიანებლად შეთქმულ კარბონარიებს ამოუდგა გვერდში, მერე კი ბერძნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთო, სადაც თვითონ ბერძნები დაუსრულებელ ინტრიგებში იყვნენ გაბმულნი, განაწამები ბაირონისა კი — ხან ფული სჭირდებოდათ და ხან — სახელი... (როგორ ჰგავს ეს ყველაფერი აწვს გუმინდელ სინამდვილეს). ბაირონი მინც არ ნაწობდა არაფერზე, თუმცა ინგლისელი მეგობრებისადმი მინერული წერილებში წინასწარმეტყველებდა, რომ „ბერძნული ავანტიურა“ მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა...

რაღა თქმა უნდა მესმის, რომ ოთარ ჩხეიძეს სურდა ბაირონის სწორედ ამ, პოლიტიკური რომანტიზმის წარმოჩენა და ქართულ სინამდვილესთან მისადაგება (ბევრი დაინერა კიდევ ამის შესახებ რეცენზენტებისაგან). მაგრამ ისიც მგონია, რომ „იტალიური დღიურების...“ წერის პროცესში ავტორს თითქოს ხელახლა შეუყვარდა ბაირონი და წიგნი, რომელიც თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც სამეცნიერო მონოგრაფია, გატაცებით საკითხავ ბიოგრაფიულ რომანად გარდაიხაზა...

ტერეზა გვიჩიოლი 1863 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, წერდა: „რაც უფრო მეტი ეცოდინებათ ბაირონზე — მით უფრო ეყვარებათ იგი...“ ვერ გეტყვით, რომ ედნა ო'ბრაიენის გამაოგნებელი დეტალებით აღსავსე „შეყვარებული ბაირონი“ მკითხველს კიდევ უფრო შეყვარებს გენიალურ რომანტიკოსს, მაგრამ, აი, „იტალიური დღიურები ბაირონისა“ წარმტაცი ტერეზა გვიჩიოლის სიტყვების ჭეშმარიეტი დასტურია...

იოლანდა მარშევი

კიტა ჩხენკელის ბასსენება



დღეს, ოთხმოცდაცამეტი წლის ასაკს მიღწეული ვფიქრობ ჩემს განვლილ ცხოვრებაზე; ის წლები, რომლებიც გავატარე კიტა ჩხენკელსა და ქართულ საქმესთან ერთად, განსაკუთრებული შუქით მიდგას თვალწინ. არ მინდა გავქრე დედამინიდან ამ არაჩვეულებრივი ადამიანისა და მისი ამაგის ამ სახით პატივის მიუგებლად. კიტა ჩხენკელის გაცნობამ და წლობით ასეთი დიდი მასშტაბის მეცნიერთან თანამშრომლობამ ჩემს ცხოვრებას ღრმა აზრი მიანიჭა და მეტად შინაარსიანი გახადა. მინდა, რომ მის საყვარელ სამშობლოში გაიგონ, რა არაჩვეულებრივი შვილი და ქვმარიტი პატრიოტი შვა საქართველოში.

2013 წლის 22 ოქტომბერს შესრულდა 50 წელი ქართველი ქვმარიტი მამულიშვილის, სახელოვანი მეცნიერის, კიტა ჩხენკელის გარდაცვალებიდან. იგი დაიბადა 1895 წლის 8 ოქტომბერს, ქუთაისში. მამა, მღვდელი ივანე ჩხენკელი დიდ მრევლს ხელმძღვანელობდა. დედა, ირინე, კარგი ოჯახის შვილი იყო. ხუთი შვილიდან კიტა გახლდათ ყველაზე პატარა. ძმები: აკაკი — ვექილი და პოლიტიკოსი, შემდეგში ცნობილი მენშევიკი და თავისუფალი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-21). მეორე ძმა, მიხაკო — ექიმი, ლუკა — ვეტერინარი, ორი და — მარიამი, მეორის სახელი არ მახსოვს. კიტამ აკადემიური კარიერა აირჩია.

გიმნაზია დამთავრა ქუთაისში; საქართველოში რუსეთის ბატონობის დროს უნივერსიტეტი არ არსებობდა, ამიტომაც იძულებული გახდა წასულიყო მოსკოვში და იურიდიულ ფაკულტეტზე ესწავლა. 1917 წელს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა და იქვე დაიწვა დაიხრტაცია. როცა 1918 წელს საქართველო გათავისუფლდა, კიტას საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკაში სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. შემდგომ რიგ ნიჭიერ ახალგაზრდა თანამემამულესთან ერთად გაგზავნეს ევროპაში. ზოგი მიდიოდა ინგლისში, ზოგი საფრანგეთში, კიტა კი მოხვდა გერმანიაში, ჰამბურგში, სადაც ნაციონალური ეკონომიკა შეისწავლა. იქვე, 1936 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „საქართველოს აგრარული განვითარების საფუძვლები“, რომელშიც არაჩვეულებრივად აშუქებს თემას, მასში კარგად ჩანს ავტორის ღრმა ცოდნა საქართველოს ისტორიისა და ქვეყნის პოლიტიკური განვითარების, ამომწურავია შედარება საქართველოსა და რუსეთის აგრარული მდგომარეობის.

ამის შემდეგ გახდა რუსული და ქართული ენების ლექტორი ჰამბურგის უნივერსიტეტში. როცა რუსული ბოლშევიკური ძალები შეიჭრნენ საქართველოში, კიტა აღმოჩნდა უსახსროდ უცხო ქვეყანაში. თავის გასატანად სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა: ჰამბურგის ნავსადგურში ტვირთს ზიდავდა, მუშაობდა მაგდებურგის მაღაროებში, შემდეგში — ქარხნის ღამის დარაჯად. როცა პოლიტიკური მდგომარეობა გერმანიაში აუტანელი გახდა, ომის დროს დაიბოძა და მთლიანად დაინვა მისი სახლი, დაკარგა ყველაფერი, ერთ ღამეს ფარულად გადავიდა მეზობელ შვეიცარიაში, სადაც მეგობრები ჰყავდა. აქ მას ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო.

კიტა გახდა ციურისის უნივერსიტეტის ლექტორი. მისი ლექციები უდიდესი წარმატებით სარგებლობდა, იმდენი სტუდენტი ესწრებოდა, რომ დაუთმეს ყველაზე დიდი აუდიტორია. კლასიკური ფილოლოგია და რომანისტიკა (ლათინური და ფრანგული ენები) ახალი დამთავრებული მქონდა, როცა გავიცანი კიტა. რამდენჯერმე დავკატიყე სახლში. დედაჩემს მოეწონა ეს ნიჭიერი და უჩვეულო ადამიანი (მამა იმ დროს გარდაცვლილი იყო). მალე დავმეგობრდი. მე მივმართე როგორც მამას ჩემი პრობლემით, როგორ უნდა ამეწყო ჩემი მომავალი: ენები თუ მუსიკა (ვიოლინო). ის ხედავდა ჩემს ნიჭს ფილოლოგიაში და მითხრა: „მოდ, გასწავლით ქართულ ენას. გახდებით ქართველოლოგი, მეტად იშვიათი საგანია, საინტერესო კარიერა გელოდება.“ მე აღტაცებით დავთანხმდი. დაიწყო ინტენსიური სწავლა. ქართული ენა, საქართველოს ისტორია, მისი ბედი, ყველაფერი ცოცხლად გადამიშალა თვალწინ, ვგიჟდებოდი. ჩემთან ერთად ისწავლა ლეა ფლურიმ, რომელიც კიტას მეგობრებთან ცხოვრობდა. იგი არ ყოფილა ფილო-

იოლანდა მარშევი ცნობილი შვეიცარიელი ქართველოლოგი, დაიბადა 1920 წლის 11 მაისს, ციურისში.

1939 წელს დაამთავრა გიმნაზია. სწავლობდა რომანულ და კლასიკურ ენებს. ციურისის უნივერსიტეტში პროფესორ კიტა ჩხენკელის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. თანამშრომლობდა კიტა ჩხენკელის მიერ გერმანულ ენაზე გამოცემული „ქართული ენის შესავლის“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაში. კიტა ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ მარშევს მიენდო ამ ლექსიკონის დამთავრება. ლეა ფლურისა და რუთ ნოიკომთან ერთად მან ლექსიკონის გამოცემა დაამთავრა 1974 წელს (გამოიცა 3 ტომად). 1964 წლიდან განაგრძობდა ქართული ენის კათედრას ციურისის უნივერსიტეტში. ასწავლიდა ქართულ ენას, კითხულობდა ლექციებს ქართული ენის სტრუქტურისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე.

იოლანდა მარშევი ქართული კულტურის ამაგდარია, რომელმაც მთელი ცხოვრება შესწირა ქართულ საქმეს. იგი შვეიცარიაში „საქართველოს მეგობართა ასოციაციის“ ერთ-ერთი დამაარსებელია, ავტორია მრავალი სტატიისა და პროექტის, მისი თაოსნობით გამოცემულია საქართველოსთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი.

მისი სახლი ციურისში წარმოადგენდა ქართული კულტურის კერას ევროპაში, სადაც უმდიდრესი ქართული ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. აქვე ინახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და დავით კაკაბაძის ტილო სერიიდან „იმერეთის პეიზაჟები“ (საფრანგეთში გადასახლებაში მყოფი საქართველოს მთავრობის მიერ გადაცემული), უძველესი მონოგრაფიები ვატიკანის ბიბლიოთეკიდან და საქართველოსთან დაკავშირებული სხვა უნიკალური შრომები.

მარშევის სახლს სტუმრობდნენ ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, პოლიტიკოსები და იმართებოდა დისკუსიები საქართველოს კეთილდღეობაზე; თვით სახლი კი საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა 1982 წელს.

მარშევი შეყვანილია ქართულ და შვეიცარიულ ენციკლოპედიებში, მასზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კი ქართული კულტურის წინაშე განუღი განსაკუთრებული წვლილისათვის 2008 წელს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

1998 წლიდან იოლანდა ცხოვრობს აშშ-ში, ქალაქ ბოსტონის გარეუბანში, ნათლულის, ბატონ თენგიზ ტყეშუჩავას ოჯახში. ამჟამად გამოსაცემად გამზადებული აქვს ვრცელი თანამედროვე ქართულ-გერმანული ლექსიკონი მოკლე ქართული გრამატიკის თანხლებით, გერმანულად, საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა, ლათინური სახელმძღვანელო, როგორც ქართულ ასევე ინგლისურენოვანთათვის და ვრცელი ლათინურ-ქართული ლექსიკონი (დოქტორ თენგიზ და იო-ელენე ტყეშუჩავასთან ერთად). იოლანდა მარშევის თანადგომით შეიქმნა თენგიზ ტყეშუჩავას ვრცელი ინგლისურ-ლათინურ-ქართული და გერმანულ-ლათინურ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონები. ამჟამად მზადდება ამ სამედიცინო ლექსიკონთა უკუგარანტიები, ქართულ-ლათინურ-ინგლისური და ქართულ-ლათინურ-გერმანული. დასრულებული აქვს ქართველ კლასიკოსთა თარგმნაც გერმანულად და ინგლისურად (უკანასკნელი, იო-ელენე ტყეშუჩავას ასისტენტობით).

იოლანდა მარშევი ამჟამად წერს მემორიებს ქართულ და გერმანულ ენებზე.

ლოგი, მაგრამ ენების ნიჭი ჰქონდა. მალე შემოგვემატა მესამე, რუთ ნოიკომი, ჩემი გინაზიის პარალელჯგუფელი.

ასე, კიტას ხელმძღვანელობით ციურიხში შეიქმნა ქართველოლოგიის პატარა, მაგრამ ძლიერ აქტიური წრე. მე ვაგხდი პირველი ასისტენტი მისი მონუმენტური, ორტომიანი ქართული ენის თვითმასწავლებლის შედგენაში, რომელიც 1958 წელს მის მიერ დაარსებულ „ამირანის“ გამომცემლობაში გამოვიდა. ამ ნიგნის მთელი მასალა ჰამბურგში დაენვა დაბომბვის დროს და შემდეგ ვცდილობდით მის აღდგენას. იგი გვკარნახობდა, რაც ახსოვდა, ასე ვისწავლე ქართული ენა.

მან შეადგინა ვრცელი ქართულ-გერმანული ლექსიკონი. ამ შრომის პრინციპი ემყარებოდა უნიკალურ მიდგომას, ზმნების დალაგებას ფუძის მიხედვით. სამეცნიერო ღვანლისთვის 1961 წელს კიტა ჩხენკელს უბოძეს ციურიხის უნივერსიტეტის ფილოლოგიის საპატიო დოქტორობა. აი, ამ დოქუმენტის შინაარსი: „ციურიხის უნივერსიტეტის რექტორი — ფილოსოფიური ფაკულტეტის პროფესორი ჰაინრიხ შტრაუმანი, დეკან, პროფესორ მაქს ზილბერშმიტთან ერთად, კანონიერი უფლებით ანიჭებს ბატონ კიტა ჩხენკელს, პოლიტიკური ეკონომიის დოქტორს ფილოლოგიის საპატიო დოქტორის ხარისხს ქართული ენის ვრცელი პრეზენტაციისა და დაულალავი თავდადებისათვის, რისი წყალობითაც მან მთელი მსოფლიოსათვის თავისი კავკასიური სამშობლოს ენა, მისი მდიდარი ადრექრისტიანული დროიდან დაწყებული ლიტერატურით, ფართოდ მისაწვდომი გახადა და ამით წლების განმავლობაში მსხვერპლითა და გაჭირვებით შესრულებული მეცნიერული შრომის ბრწყინვალე მაგალითი აჩვენა.“

ასე გახდა კიტა ჩხენკელი მესამე დოქტორობის მატარებელი — ფილოლოგიისა. იურიდიული და პოლიტიკონომიის დოქტორობა მას უკვე ჰქონდა.

ლექციების შემდეგ, სადამოებით ჩემთან და რუთთან ერთად დაიწყო ქართული ლიტერატურის თარგმნა გერმანულ ენაზე. ასე, უდიდესი წარმატებით გამოვიდა „ვისრამიანი“. მას მოჰყვა რუსთაველი, რომელსაც ასეთივე წარმატება ჰქონდა, მკითხველები გიჟდებოდნენ. შემდგომ გამოვიდა თანამედროვე ლიტერატურის მოთხრობები. საბედნიეროდ, რუთი მუშაობდა უდიდეს გამომცემლობაში „Manesse Verlag“, რომელიც აქვეყნებდა უცხოური ლიტერატურის საუკეთესო თარგმანებს და სწორედ იმ გამომცემლობაში გამოვიდა ყველა ჩვენი ნაშრომი.

კიტას რეპუტაცია, როგორც ქართველოლოგის, მალე გავრცელდა საზღვარგარეთ და 1962 წელს ცნობილმა ბელგიელმა ქართველოლოგმა და ბუმბერაზმა მეცნიერმა გარიტმა მიიწვია ლუვენის ძველ პრესტიჟულ უნივერსიტეტში (ბელგიაში) დიდ კონგრესზე, სადაც კიტა მოხსენებით უნდა გამოსულიყო ქართული ენის პრობლემებზე. იმის გამო, რომ იქ გერმანული არ იცოდნენ, მე უნდა წამეკითხა კიტას მოხსენების ფრანგული ვერსია. წარმატება დიდი აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, კიტას ჯანმრთელობა უეცრად გაუარესდა: დროდადრო ჰქონდა შეტევითი ხველება სისხლის გამოყოფით. გვეგონა ბრონქიტიო. საუბედუროდ, აღმოჩნდა ბრონქების კიბო. ეს ფაქტი ექიმებმა დაუბნეს, მხოლოდ ჩვენ ვაგვიმხილეს, შოკში ვიყავით. ეტყობა, ეს გამონეული იყო კიტას ინტენსიური მონევით, რომელსაც

შეეჩვია გერმანიაში შიმშილობისას, ამით იკლავდა შიმშილის მტკივნეულ შეგრძნებას. მისი ჯანმრთელობა უარესდებოდა, ძალიან უჭირდა სუნთქვა, დასუსტდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვანვაგრძობდით შეუფერხებელ მუშაობას ლექსიკონზე.

კიტა უკანასკნელ დღემდე გმირულად ებრძოდა დაავადებას. ამბობდა: „მტერი რომ წინიდან მოდის, მაშინ ვხედავ და ვებრძვი. ეს კი უკნიდან მოდის და ვერ ვებრძვი“. საწყალი, ბოლომდე სჯეროდა, რომ ეს იყო მხოლოდ უცნაური, დროებითი ბრონქიტი.

სხვათა შორის, ბედის ირონია: მისი მკურნალი ექიმი გახლდათ სახელგანთქმული დოქტორ კართაგენერი, რომელმაც პირველად აღწერა გულისა და ფილტვების რთული შერწყმული პათოლოგია. 30 წლის შემდეგ კი ისევ ქართველმა, ახალგაზრდა კარდიოქირურგმა, ჩემმა ნათულმა თენგიზ ტყეშუჩავამ აქვე, ჰოსპიტალში მუშაობისას მსოფლიოში პირველად ჩაატარა ოპერაცია ასეთი პათოლოგიის პაციენტზე და აღწერა ეს ტექნიკა. მაშინ თენგიზმა მითხრა, ამან კიდევ უფრო დამაახლოვა კიტასთანო.

1963 წლის 22 ოქტომბერს, მუშაობის დროს კიტა უეცრად ცუდად გახდა, წამონვა, გაჩუმებული და ჩაფიქრებული იყო. მერე დასუსტებული ხმით წამწურჩულა: „ვერძნობ, რომ ამ ლექსიკონს ვერ დავამთავრებ, მაგრამ ვიცი, რომ შენ დაასრულე“. შემდეგ დასძინა: „გავა წლები და საქართველო ისევ დამოუკიდებელი გახდება და ქართული ენის შესწავლის მოთხოვნილება გაჩნდება მთელ მსოფლიოში“. ლეა და მე უხმოდ გამოვედით ოთახიდან ვერანდაზე და მოვრთეთ ზღავილი. ვგრძნობდით ცუდს. როცა დავბრუნდით ოთახში, მისი წამებული და დაუდგრომელი, საქართველოსთვის მფუჭე თვალები... მე დავუხუჭე თვალები...

მეცნიერებამ დაკარგა ბუმბერაზი მეცნიერი.

საქართველომ — ერთგული მამულიშვილი და თავდადებული მეზობლი (როგორც თვითონ ხშირად ამბობდა: „მე ვარ ჩემი სამშობლოს ჯარისკაცი“).

ჩვენ კი, მისმა თანამშრომლებმა, დეკარგეთ ყველაფერი: უდიდესი მეგობარი, მასწავლებელი და მენტორი ...

...მაგრამ მან დაგვიტოვა დიდი მემკვიდრეობა: მისი დაწყებული საქმე და საქართველოს ღრმა სიყვარული.

1963 წლის 26 ოქტომბერს კიტა ჩხენკელი დავასაფლავეთ ციურიხის სასაფლაოზე Enzenbühl. აუარებელი ხალხი შეიკრიბა ამ განსაკუთრებული პიროვნებისათვის უკანასკნელი პატივის მისაგებად: თანამემამულენი უცხოეთიდან, ციურიხის უნივერსიტეტისა და ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორები, მეგობრები, მსმენელები. ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტები მოვიდნენ დროში. ერნსტ რიში, ინდოევროპულ ენათა პროფესორი, ღია საფლავთან დაპირდა: „უნივერსიტეტი შეძლებისამებრ ხელს შეუწყობს შეწყვეტილი ქართული ლექსიკონის დამთავრებას“.

29 ოქტომბერს ციურიხის გაზეთში (Neue Zürcher Zeitung) პროფესორი რიშის ნეკროლოგი გამოქვეყნდა, რომელიც მშვენივრად ხატავს კიტა ჩხენკელის პიროვნებასა და მოღვაწეობას. აი ამ ნეკროლოგის უკანასკნელი ნაწილი: „ორივე შრომამ, ქართული ენის შესავალი და ქართულ-გერმანული ლექსიკონი, საერ-



მშობლები: ივანე და ირინე



კიტა ჩხენკელი

თაშორის სპეციალისტთა დიდი მონონება დაიმსახურა. ამ შრომების დიდი მნიშვნელობა უმთავრესად ის არის, რომ ქართველოლოგიის უკანასკნელ მიღწევებს ითვალისწინებს და მასალის თავისებური დალაგებით ქართული ენის სტრუქტურას, მისი ნორმების სიმდიდრეს დანვრებით და გასაგებად აჩვენებს, რაც არა მარტო პრაქტიკული სწავლის, არამედ ქართველოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანია”.

შეუძლებელია მაღლიერებით არ მოვიხსენიო ცნობილი რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე, რომელმაც კიტას გარდაცვალების შემდეგ დიდი დახმარება გაიწვია წინასწარ მომზადებული მასალის გადამუშავებაში. ის დროდადრო ჩამოდიოდა პარიზიდან, ზოგჯერ რამდენიმე თვეც რჩებოდა ჩემთან სახლში და განუწყვეტლივ ვმუშაობდით ლექსიკონზე.

კიტა ჩხენკელს დაუფასდა არამარტო ქართული ენის უნიკალური პრეზენტაციები, არამედ წლებს განმავლობაში დაუღალავი თავდადებით, მსხვერპლითა და გაჭირვებაში შესრულებული

შრომის სამაგალითო ღვაწლი. კიტა ჩხენკელი ყველაფერში დარჩა მჭიდროდ დაკავშირებული თავის სამშობლოსთან.

შეიძლება ითქვას, რომ მაშინ, როცა დაჟინებით, უამრავი სიძნელეთა მიუხედავად, სრული თავდადებით მუშაობდა თავის შრომაზე, ამავე დროს რჩებოდა ერთგულ შვილად იმ ლეგენდარული ქვეყნისა, რომლის ამაყი მცხოვრებნიც უძველესი დროიდან განთქმულნი იყვნენ უდრეკი ნებისყოფითა და საოცარი შემოქმედებით. სამშობლოსადმი მსახურება მისთვის წმინდათაწმინდა მოვალეობა იყო, მას ემსახურებოდა კეთილშობილური სინძინდით, რაც დღევანდელ ადამიანთათვის თითქმის წარმოუდგენელია, მას სწირავდა არამარტო თავის დროსა და ძალას, არამედ მთელ არსებასაც. ამიტომ კიტა ჩხენკელი გაცოლებით მეტი იყო, ვიდრე მასწავლებელი და მეცნიერი, იგი გახლდათ მოძღვარი თავისი დედაენის ტაძრისა.

მომავალად
სოფიკო ჯირვალიძე

იოსებ ჭუმბურიძე

...და რა ლამაზი გათენდა დილა

(ერთი დღის ორი შეხვედრის რეპორტაჟი ქუთაისიდან)

შეხვედრას პირობითად ვამბობთ, სინამდვილეში, ერთი საჯარო ლექციაა, მეორე — საიუბილეო საღამო. ლექციას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში **როსტომ ჩხეიძე** წაიკითხავს, მესხიშვილის თეატრში კი **ავთანდილ ყურაშვილის** დაბადების 70 წლისთავს აღნიშნავენ...

ლექციიდან სამოგზლომდე

უნივერსიტეტისაკენ მივდივართ და თეატრს ჩავუარეთ. მწერლის იუბილეზე არაფერი მიგვანიშნებს, იმის მაუწყებელი დიდი აფიშა კი გამოუდგამთ, რომ 20 ნოემბერს მარჯანიშვილის თეატრი **თემურ ჩხეიძის „Art-ხელოვნებას“** წარმოადგენს. გასახარია, გამოჩენილი რეჟისორის 70 წლის იუბილეს ქუთაისის თეატრიც რომ ეხმიანება, მაგრამ ქალაქს მწერლის საიუბილეო აფიშაც დაამშვენებდა.

„შინაურ მწერალს“ შენდობა არა აქვს?!

ავთანდილ ყურაშვილს კიდევ გაუმართლა: რამდენიმე თვის წინათ, აპრილში, **რეზო ჭყეიშვილის** 80 წლისთავი რომ აღინიშნებოდა, თეატრის წინ... გია სურამელაშვილის კონცერტის აფიშა იყო გამოდგმული...

...მაგრამ ჯერ უნივერსიტეტში ვართ. როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია **შალვა დადიანს** ეძღვნება.

შეხვედრას (ისევ — პირობითად ვამბობთ), უნივერსიტეტის პრორექტორი **შალვა კირთაძე** ხსნის. ის კიდევ ერთხელ გამოთქვამს მაღლიერებას იმის გამო, რომ როსტომ ჩხეიძე სტუდენტებთან შეხვედრას საკმაოდ ხშირად ახერხებს.

დღესაც დიდი სიამოვნება გელოდებათო, — მიმართავს ახალგაზრდებს.

ახალგაზრდები კი ბლომად არიან. პირთამდე აუვსიათ დიდი სამკითხველო დარბაზი. ეს ის ისტორიული დარბაზია, სადაც ერთ დროს სამლოცველო იყო და იქ დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები განისვენებდნენ.

ამ კედლებში სიმბოლურიც კია იმ ქართველ მწერალზე საუბარი, ვისაც **ვახტანგ ჭელიძე** ყველაზე მეცხრამეტე საუკუნისეულს ეძახდა.

როსტომ ჩხეიძის თქმით კი, შალვა დადიანი ღრმა ფესვებით დაკავშირებოდა XIX საუკუნეს, „რადგანაც მამამისი — დიდი ნიკოდ შერაცხილი — გამოჩენილი მოღვაწე გახლდათ და 60-იანელთა მეგობარი და თანამებრძოლი. და როდესაც ბავშვი უკვე ხელდავდა რჩეულ მოღვაწეთ, სულაც მათი საუბრების, ხმის, მეტყველების, თავისებური ინტონაციის, ლიმილის, სიცილის გარემოცვაში იზრდებოდა, წარმოიადგინეთ, როგორ შეეთვისებოდა ეპოქის სულსა და რაოდენ სასიკეთოდ და წარუშლელად დააჩნდებოდა ეს ყოველივე მის ფსიქიკას“.

როსტომ ჩხეიძეს შალვა დადიანზე წიგნი აქვს დაწერილი, ოღონდ, ჯერ არ გამოუცია, მეტიც, ფრაგმენტებიც კი არ გამოუქვეყნებია.

არ ვიცი, ბიოგრაფიულ რომანს დაარქმევს, თუ „ბიოგრაფიულ ნატეხებს“, მაგრამ ვიცი, რომ საკმაოდ სოლიდური მოცულობისაა.

ბუნებრივია, სათქმელი ბევრი აქვს, მაგრამ ორატორული ხელოვნება სწორედ ისაა, რომ ზღვა მასალიდან კონკრეტული აუდიტორიის წინაშე სალაპარაკო გამოარჩიო, ახალგაზრდებისთვის საინტერესოც და მიმზიდველიც რომ აღმოჩნდება.

როსტომის ორატორობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია და ეს ამ დღეს, ამ დარბაზშიც დადასტურდება — ისეთ საკითხებზე ისაუბრებს, სტუდენტებიც რომ ინტერესით მოისმენენ და პროფესორებიც. იმასაც იტყვის, შალვა დადიანი გრიგოლ ორბელიანსაც რომ მოსწრებოდა — ორჯერ ენახა საკუთარი თვალით და ერთხელ, იონა მეუნარგიას წყალობით, სულაც შინ წვეოდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქუთაისის ბულვარში (გიორგი წერეთელს რომის ფორუმი რომ შეერქმია) აკაკისთან შეხვედრის ეპიზოდი რად ღირს:

„უეცრად აკაკის დაინახავდა, მარტო მომავალს და მოკრძალებით მიეგებებოდა.

ის ღიმილით ჩამოართმევდა ხელს, ახედ-დახედავდა და... ჩაიქირქილებდა:

— როგორ ცოტნე დადიანივით გამოწყობილხარ?

ეს იგრძნობდა საყვედურის კილოს და სინითლე მოერეოდა, ის კი კვლავაც სუსხიანად განაგრძობდა:

— სულ მიატოვე საზოგადოებრივი საქმიანობა? თეატრი? მწერლობა?

არც ერთი მიეტოვებინა და არც მეორე და აკაკისთანაც ასევე იმართლებდა თავს, მაგრამ არც ის გახლდათ შემთხვევითი, რომ ჩოხა-ახალუხსა და ქამარ-ხანჯალს დაემართა მისთვის ეს „საჯაყი საქმე“.

დროება ისე გამოცვლილიყო, „ჩერკესკიანობა“ მუქთახობას, ლოთობასა და სკანდალისტობას გაიგივებოდა და აკაკიც სწორედ ამას შეეფიქრებინა — გარეგნულმა იერმა ეს ჩვენი საიმედო ჭაბუკიც თანდათან იქით არ გადაძალოსო.

მკაცრად კი ეთქვა საყვედური...

...სათქმელი მართლაც ბევრი იყო, მაგრამ უნდა იცოდეთ, „სად რა უნდა თქვა, სად უნდა თქვა, სად არ უნდა თქვა“ (მ. მაჭავარიანი).

როცა პროფესორი **ტარიელ ფუტყარაძე** ჰკითხავს, **კონსტანტინე გამსახურდიასთან** როგორი ურთიერთობა ჰქონდაო, როსტომი მოკლედ მოჭრის, შალვა დადიანი უკონფლიქტო კაცი იყო. საჭიროდ არ ჩათვლის, სტუდენტებთან იმ ეპიზოდზე საუბარს, ნიგში აუცილებლად რომ შეიტანს: 1951 წელს მწერალთა კავშირში წინა წლის ქართული პროზის მიმოხილვისას რომ განაცხადებს, „სამწუხაროდ, ჩვენს თანამედროვეობაში ქართული რომანი არ გაგვარჩია“-ო.

„ამაზე წამოვუღებოდა ბევრი პროზაიკოსი და განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდია გამოიღებდა თავს და აღარც ამის თქმას მოერიდებოდა:

— დედაწამი წერია — ადამიანს სიბერემ სიბრძნე უნდა მოჰგვაროსო, აქ კი პირუკუ მოვლენასთან გვაქვს საქმე და ასეთ ბებრებს ძველად გოდორს უწინავდნენ და ხრამში აგდებდნენ“.

საინტერესო კვლავ ბევრი ითქმება. კვლავაც იტყვის როსტომი, შემდეგ მასპინძლები — **ავთანდილ ნიკოლეიშვილი, თორნიკე ეფრემიძე, გია ხოფერი, ლუკა დვალშიშვილი** შეავსებენ შალვა დადიანის პორტრეტს.

ელგუჯა თავბერიძე ძირითადად შალვა დადიანის მემუარებზე („რაც გამახსენდა“) შეჩერდება.

ლია კუხიანიძე, როგორც ყოველთვის, ორიგინალურ და ფრიად საშურ იდეას წამოაყენებს: იაპონიაში სამშობლოს სიყვარული ისწავლება და ეს დისციპლინა ჩვენს სკოლებსა და უნივერსიტეტებშიც შემოვიღოთო...

რა ბედნიერება იქნებოდა, განათლების მესვეურნი ყურად რომ იღებდნენ...

მანამდე კი სამშობლოს სიყვარული ჩვენმა ახალგაზრდებმა ასეთი შეხვედრებით უნდა ისწავლონ.

სიზმრიდან განთიადამდე

...აფშია არსად ჩანდა, მაგრამ ვიცოდით, რომ საიუბილეო საღამოს არაჩვეულებრივი რეჟისორი ჰყავდა — **გიორგი სიხარულიძე**. წამყვანიც უკვე საკმაოდ გამოცდილი — **გიზო თავაძე**. ამ ტანდემმა რეზო ჭეიშვილის იუბილე დაუვინყარ სპექტაკლად აქცია.

ამის შესახებ დაწვრილებით ვთქვი მაშინდელ რეპორტაჟში, როსტომ ჩხეიძეს კი იმ საღამომ საგანგებო ესეც შეაქმნევინა: „მსახიობური ხიბლი გიზო თავაძისა“...

...მორიგ საიუბილეო საღამოსაც როგორც წარმოდგენას, ისე ველოდებით. ცხადია, არ გვინდა, ზუსტად იგივე რომ ვიხილოთ.

საბედნიეროდ, ეს განსხვავებული საღამო ჩანს. იქ, თუ „მოქმედება“ ბაღში მიმდინარეობდა, აქ სამოქმედო სივრცე ტაძარია — მოჩუქურთმებული სვეტებითა და ზარებით. იქ თუ თავიდანვე იუბილარი და წამყვანი საუბრობდნენ, აქ იუბილარი დარბაზში ზის და ჩვენსავით მაყურებელია. დარბაზიდან ისმენს საკუთარ ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებთა ფრაგმენტებს, რომელთაც ოსტატობით კითხულობენ მესხიშვილის თეატრის მსახიობები — **სოფო ჩირაძე, მაგდა ჩიხლაძე, ვახტანგ ამანათიძე, აბელ სოსელია**. შიგა და შიგ მხატვრულ კითხვას სიმღერა ენაცვლება. მომღერალი იგივეა — მომხიბვლელი **მიმი ჯავახიშვილი**, ვოკალური შესაძლებლობებითა და სცენური კულტურით გამორჩეული. რე-



ავთანდილ ყურაშვილი

ჰერტუარი განსხვავებულია — **მარია კვალაიშვილისა** და სხვა ცნობილ ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები.

ერთ მომენტში მსახიობები დარბაზშიც ჩამოდიან და ორივე მხრიდან, ლოყიდან თუ პარტერიდან, პოეტური სტრიქონები მოისმის...

ამკარაა, რომ დარბაზი მოხიბლულია. განსაკუთრებულ ემოციას იწვევს ფრაზა, რომელიც საღამოს რეჟერენად შეურჩევიათ: **„რა საშინელი ვნახე სიზმარი და რა ლამაზი გათენდა დილა“**.

რეჟერენი, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის შერჩეული: ცხრა თუ ათწლიანი სიზმარი უნდა ვიგულისხმობთ.

ეს ყოველივე საღამოს პირველი ნაწილია. მეორე ნაწილი კი მაშინ იწყება, როცა იუბილარი სცენაზე ადის. წამყვანის როლიც, ფაქტობრივად, აქედან იწყება. იწყება მისალმებებიც, რაც, ალბათ, აუცილებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორიგინალურ, მართლაც სპექტაკლივით აწყობილ საღამოს შაბლონურ იუბილედ აქცევს. ერთი და ორი გამოსვლა რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ...

თანაც ასეთი გამოსვლების დროს, ზომიერების გრძნობაც რომ არცთუ იშვიათად გვალაგატობს?!

მართლაც, რატომ არ შეიძლება, თვითონ „სპექტაკლში“ ჩაერთოს ეს მისალმებები, მაშინ ყოველი გამომსვლელიც მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობს, სიტყვა აღარ გაექცევა.

არადა, გამომსვლელთა გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტან. ისიც ბუნებრივია, რომ ბევრს აქვს სურვილი — მოეფეროს სამოცდაათი წლის მწერალს — შესანიშნავ პოეტსა და პროზაიკოსს, მოღვაწეს — „განთიადის“ მთავარ რედაქტორს, სახელოვან ჟურნალს ურთულესი წლები რომ გამოატარა.

ამ ყოველივეზე საუბრობენ **ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ზაალ ებანოიძე, თემურ ამყოლაძე, მანანა მიქაძე, ზაურ კალანდია**, გორიდან ჩამობრძანებულნი **ჯემალ ინჯია** და **ზაურ ნაქაძე**, ქუთაისის ვიცე-მერი **ნიკო კაჭკაჭიშვილი**, მე-7 საჯარო სკოლის დირექტორი **ენდი ნემსინვერიძე**, ცაგერის რაიონის სოფელ ლვირიშის სკოლის დირექტორი **ბახვა გუგავა**; იუბილარის მშობლიური კუთხის სხვა წარმომადგენელი, მსახიობი **ზაზა ყურაშვილი** მის ლექსს წაიკითხავს...

გზადაგზა იუბილარისა და წამყვანის იუმორიც გაგვახალისებს.

და საღამოდან რეჟერენად შერჩეული ფრაზის მეორე ნაწილი წამოგვყვება:

„და რა ლამაზი გათენდა დილა...“

ერთი საღამოსთვის ეს ცოტა არ არის...

მუდამ ბედნიერი დილა ვუსურვოთ ქუთაისსა და მთელს საქართველოს...

ეკა ბუჯიაშვილი

ნოოსფეროს იღუმალ მიჯნა

(მიხეილ ანთაძის
საჯარო ლექცია)

ნოველისტი, რომანისტი, ესეისტი, რეჟისორი, მსახიობი... — საზოგადოება მას მრავალმხრივი მოღვაწეობით იცნობს, და აი შარშან, „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ შეხვედრაზე, რომელზეც მიხეილ ანთაძის რომანი „სტრატეგია“ განიხილეს, გაიკვია, რომ მისი ავტორი დაინტერესებული ყოფილა ფიზიკითაც. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, ამავე სალონში წაეკითხა ლექცია თემაზე „ნოოსფეროს საიდუმლო და თანამედროვე სამყარო“, მითუმეტეს, რომ ამ საკითხებზე წიგნიც არსებობს, შესაბამისი აკადემიაც მუშაობს და, თანაც, ჩვენს რეალობაში აქტუალურ და დამაფიქრებელ თემადაც იქცა ეს ყველაფერი.

შეხვედრა შედგა. და ვიდრე მიხეილ ანთაძე შეკრებილებს ამ არაყოფით და უჩვეულო საკითხებზე ესაუბრებოდა, როსტომ ჩხეიძემ საზოგადოებას განუმარტა, რომ ნოოსფერო სამყაროს საზრისია, გლობალური ხედვა, რითაც სულ უფრო ინტერესდება კაცობრიობა.

წიგნი „ნოოსფერო“ მისი ერთ-ერთი ავტორი მიხეილ ანთაძე საუბრობს ტრანსდისციპლინარულ მიხედვებზე — შემეცნების გზაზე, როცა ერთ დისციპლინაზე დაყრდნობით არ უნდა შემოიფარგლოს ადამიანი, თუკი სამყაროს საიდუმლოს ამოხსნისაკენ ისწრაფის. იგი უნდა იცნობდეს მეცნიერებასაც, რელიგიასაც, ხელოვნებასაც...

კრებულში კი არის სტატია სინქრონისტულობის შესახებაც, რომელიც, ბატონი როსტომის თქმით, ფრაგმენტია მიხეილ ანთაძის პოსტმოდერნისტული ყაიღის თხზულებიდან „სინქრონისტულობის პრინციპი“ — დამოუკიდებლად და ძალიან საინტერესო. იგი ეყრდნობა ტომას სამუელ კუნსა და კარლ-გუსტავ იუნგს და თავისი საგულისხმო დაკვირვებანიც შემოაქვს.

სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა შეხვედრაზე ბატონმა მიხეილმა და იმთავითვე აღნიშნა, რომ ტერმინი „ნოოსფერო“ ან განსვენებული პროფესორის ირინე კალანდაძის სახელს უკავშირდება. მანვე ჩამოაყალიბა „ნოოსფეროს აკადემია — ადამიანის ინსტიტუტი“ — ტრანსდისციპლინური სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელსაც სიცოცხლის ბოლოს უძღვებოდა და საინტერესო კვლიც დააჩნია ამ მეცნიერებას საქართველოში.

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად...

ბატონი მიხეილის თქმით, ზოგადად ამ ტერმინის ავტორობა ცნობილ უკრაინელ მეცნიერს ვერნადსკის მიეწერება, ვისი აზრითაც, ისე, როგორც ლითოსფერო შეცვალა ბიოსფერომ — ანუ არაორგანული ნივთიერებით გარემოცული პლანეტა ევოლუციის პროცესში სიცოცხლით გარემოცულ პლანეტად იქცა — მომავალში დამყარდება ნოოსფერო, დედამიწა გონებით (vocs-ბერძ. გონება), ცნობიერებით გარემოცულ პლანეტად გადაიქცევა. ეს თეორია შემდგომ ფრანგმა მეცნიერებმა, მათემატიკოსმა ანდრე ლერუამ და ბიოლოგმა, კრეაციონისტმა და სასულიერო მოღვაწემ პიერ ტეიარ დე შარ-

დენმა განავითარეს. ამ უკანასკნელის წიგნი „ადამიანის ფენომენი“, რომელიც ბრწყინვალედ მიმოიხილა ბაჩანა ბრეგვაძემ თავის ესეიში „დრო, სიცოცხლე, ცნობიერება“ („ანთროპული პრინციპი“ ტეიარდისმის ფონზე) ფართოდაა განვითარებული მოძღვრება ნოოსფეროს შესახებ.

ნოოსფერო ადამიანის გაჩენიდან დაიწყო, მაგრამ ჯერ არ დამყარებულა, ადამიანი ჯერაც ბიოსფეროში ცხოვრობს, მისი კანონებით (ბრძოლა არსებობისთვის, პოლიტიკა, აგრესია და სხვა), თუმცა ნოოსფეროს ემბრიონები იმთავითვე დევს ადამიანის გონიერებასა და შემოქმედებაში, რელიგიაში, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში.

ნოოსფეროს თეორია ერთ-ერთი ის მიმართულებაა, რომელიც მიმდინარე სამეცნიერო-მსოფლმხედველობრივი პარადიგმის ცვლილებას უწყობს ხელს. პარადიგმების თეორიის შემქმნელის, ამერიკელი ფილოსოფოსის ტომას სამუელ კუნის თანახმად, ამაჟამინდელი ნიუტონურ-კარტეზიანული რაციონალისტური პარადიგმა ფინალისკენაა მიმართული. აზროვნების სივრცე, სადაც ყოველივეს აბსოლუტური სამგანზომილებიანი პარამეტრები, ვექტორული დრო, მიზეზ-შედეგობრივი დიალექტიკა, მათემატიკური ლოგიკა, ექსპერიმენტით დადასტურების აუცილებელი მოთხოვნა განსაზღვრავს, კარგა ხანია სერიოზულ რყევებს განიცდის.

პირველი მიწისძვრა, რალა თქმა უნდა, ალბერტ აინშტაინმა მოახდინა, როცა ფარდობითობის სპეციალური თეორიით დაამტკიცა, რომ დრო და სივრცე ისეთივე ფარდობითია, როგორც „მარჯვნივ“ და „მარცხნივ“, ხოლო ფარდობითობის ზოგად თეორიაში კი გვიჩვენა, რომ სამყაროში მატერიასა და გამრუდებულ სივრცეს ერთი და იგივე ადგილმდებარეობა აქვთ.

მერე წამოვიდა მეოცე საუკუნის უცნაური ფიზიკა-მათემატიკა, პლანკი და ბორი, კვანტური სამყარო, ბელი, დირაქი, ცერნის კოლაიდერი და ჰიგის ბოზონი... ამ ყველაფერმა (და მასთან ერთად სხვა ბევრმაც) პარადიგმა მძაფრად შეაყვია, მაგრამ ეს ყველაფერი (და მასთან ერთად ის ბევრი სხვაც) პარადიგმამ მაინც ალიარა. სხვა გზა არ ჰქონდა.

და ახლა, რაც ჯერ არ უღიარებია, იმისიც ვთქვათ (ოცდაათი წელი უძებნენ ჰიგის ბოზონს და ვიდრე არ იპოვეს, არ აღიარეს. ასე იციან პარადიგმებმა სიბერეში). რამდენი რამ ითვლება ჯერ მხოლოდ ჰიპოთეზად ან სულაც ცრუთეორიად იმიტომ, რომ ფაქტების კვლევის მიუხედავად, ესპერიმენტული საბუთი არ გააჩნიათ. აინშტაინმა ანდერძად დაიბარა, საერთო თეორიის მიაგენით. ჯერ ვერ მიუგენიათ: აჰა, სიმების თეორია; აჰა, M თეორია... ჰოუკინზი თავისი შავი ხვრელებით და ა.შ. ...

ერთ-ერთი ასეთი არაღიარებული თეორიაა რუსი ფიზიკოსის გენადი შიპოვის „ფიზიკური ვაკუუმის თეორია“, რომლის თანახმადაც სამყარო ბრუნვისა თუ გრეხის ერთი დიდი ველია (ანუ ტორსიული ველი). ყოველივე მატერიალური ბრუნავს და ამ რთული ბრუნვის შედეგად, რომელსაც სირთულის გამო სიტყვა „დაგრეხილობა“ უფრო უკეთ გამოხატავს, ფიზიკური ვაკუუმიდან ანუ სიცარიელიდან გამოდის ინფორმაცია და ქმნის მატერიას. თავის მხრივ, ტორსიულ ველში მოქცეული მატერიაც ბრუნვა-ტრიალისას გრეხს სივრცეს და ინფორმაცია კვლავ სიცარიელეს — ფიზიკურ ვაკუუმს — უბრუნდება შესაძლებლად. ფიზიკურ ვაკუუმში ანუ მატერიალურ სიცარიელეში ჩამალულია მთელი ინფორმაცია — იმპლიციტურიცა და ექსპლიციტურიც. მართალია, ტორსიული ველის არსებობა ჯერ კიდევ აინშტაინმა და მისმა განთქმულმა თანაავტორმა, მათემატიკოსმა ელი კარტანმა ივარაუდეს და ამას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება გაგებით მოეკიდა, მაგრამ აი, როცა, შიპოვის თეორია კიდევ ერთმა რუსმა მეცნიერმა ანატოლი აკიმოვმა განაზოგადა, და ამ ახალი დუეტის მოძღვრებამ თანამედროვე ფიზიკა ნეტარი ავგუსტინეს, ფსევდოდონისე არეოპაგელის, პლოტინისა და ძველი დროის სხვა მოაზროვნეთა მოსაზრებებს დაუახლოვა, ორივე

მკაცრი მეცნიერული რეპრესიების ქვეშ მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ ბიუროკრატიული პარადიგმის მესვეურები შიშოვ-აკიმოვებს ლამის ბნელეთის მოციქულებად რაცხენ, რომანტიკოს მეცნიერთა, მეტაფიზიკის, ეზოთერიკისა და ნოოსფეროს მოყვარულთა თვალში ეს მოძღვრება დიდ მომხიბვლელობას ინარჩუნებს. აი, დაემხოა რაციონალისტური პარადიგმა, შეიცვლება, დადგება ახალი ცოდნის დრო (როგორც აქამდე ხდებოდა მუდამ) და მაშინ ვნახოთ, ვინ ყოფილა მართალი...

შიშოვ-აკიმოვი რა უნდა იყოს, ვიდრე ექსპერიმენტულად არ დადასტურდება, ჯერ დევიდ ბომის, მსოფლიოში ცნობილი უდიდესი ფიზიკოსის „ჰოლომონური სამყაროს თეორია“ კი არ უღიარებია ჩვენს პარადიგმულ ბიუროკრატიას ოფიციალურად. არადა, ეს თეორია ბრწყინვალე ლოგიკითა და გამართული მათემატიკური არგუმენტაციით ხსნის ჩვენი საუკუნის უდიდეს საიდუმლოებას ფიზიკის დარგში — ალან ასპექტის 1981 წლის ექსპერიმენტთა გამოგენებლსა და ამოუცნობ შედეგებს. თუმცა ეს სიტყვები, უეჭველია, მკითხველთა უმეტესობას არაფერს ეუბნება, მათი განმარტება კი ამ მცირე ჩანაწერში ვერ მოთავსდება, ამიტომ ზოგადად ვიტყვი, რომ დევიდ ბომის თეორიის მიხედვით, სამყარო ერთი ვეებერთელა ჰოლოგრამაა, რაც, ერთი მხრივ, კვანტური ფიზიკისა და, საერთოდ, ბუნების მრავალ საიდუმლოებას ხდის ფარდას, მაგრამ, მეორე მხრივ, ექსპერიმენტული დადასტურების უქონლობის გამო, ჰიპოთეტურობის სტატუსს ინარჩუნებს.

ცოტა უფრო ადვილადაა საქმე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, კერძოდ, ფსიქოლოგიაში, რადგან, კაცმა რომ თქვას, ეს მეცნიერებები, ნიუტონურ-კარტეზიანული კრიტერიუმებით, მთლად მეცნიერებებიც არაა და, ფიზიკის დარად, ექსპერიმენტული დადასტურებით ვერ მონმდება. ამიტომ ამერიკელი ფსიქოლოგის კარლ პრიბრამის „ადამიანის ბიოჰოლოგრაფიული მოდელი“, რომელიც ადამიანს წარმოადგენს ჰოლოგრამად, არა მხოლოდ ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა — ბიოლოგიის, ბიოფიზიკისა და თვით ფიზიკის — მხრიდანაც მძლავრად არყვეს გაავრცელებულ რაციონალისტურ პარადიგმას.

საერთოდ, ფსიქოლოგია ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს, რადგანაც გადაუჭრელ ამოცანებსა და საიდუმლოებებს გვთავაზობს. ჯერ იყო და ფროიდმა შეაზანზარა კაცობრიობა, როცა ცოდნის ვექტორი ადრე სრულიად ტაბუდადებული მიმართულებით შეატრიალა. მერე მას სხვაც ბევრი მოჰყვა. თუნდაც ვექტორ ფრანკლი ავილოთ („უკანასკნელი რამ, რისი წართმევაც ჩემთვის არავის შეუძლია, ესაა ჩემი არჩევანი...“), სინდისს რომ ადამიანის ფსიქიკაში განთავსებულ „სხვა“ რეალობას აგენტად მიიჩნევს, ანდა ჩვენი დიმიტრი უზნაძე „განწყობას“ რომ არქმევს ამ მესამე ტრანსცენდენტურ რეალობას... კარლ-გუსტავ იუნგი თავისი „კოლექტიური არაბიოფიზიკა“, ან სტანისლავ გროფი — ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიით... სადაც ფიზიკა მორიდებით ჩერდება და ამბობს, ამის იქით ყოველივე ფიზიკური მთავრდება და ამიტომ „იქით“ რა არის, ეს მეცნიერების საქმე აღარააო, იქ ფსიქოლოგია უფრო თამამად გადალახავს აკრძალულ მიჯნას, თუმცა, როგორც ვნახეთ, ფიზიკის ჯერ აუღიარებელი თეორიებიც (ტორსიული ველები, ჰოლომონური სამყარო და სხვა ასეთები) იქითკენვე მიიწვევს, მეცნიერულად ინფორმაციას, ინფორმაციის საუფლოს რომ უნოდებენ, საიდანაც ყოველივე იღებს მატერიალური არსებობის დასაბამს, სადაც ყველაფერი იწერება და ინახება, თუმცა, ინფორმაციასთან ერთად, სადღესოდ ხშირად მეტაფიზიკასა და რელიგიასაც ახსენებენ ხოლმე.

კარლ-გუსტავ იუნგმა სცადა, სინქრონისტული მოვლენები მკაცრი მეცნიერების არეალში მოექცია. ეს მოვლენები, თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში ყოველდღიურად რომ ხდება და პატარ-პატარა სასწაულებად აღვიქვამთ (რადგან

მათი მიზეზ-შედეგობრივი ახსნა არ ძალგვიძს), თურმე დასაშვებზე მეტი ალბათობით ხდება. რატომ? ამ კითხვაზე მიმდინარე ნიუტონურ-კარტეზიანულ პარადიგმას პასუხი არ გააჩნია, ისევე, როგორც კიდევ უამრავ რამეზე. ზოგიერთი ჩამოვთვალთ: რა არის ინერცია, რომლის ახსნა დღემდე ვერ მოუხერხებია ფიზიკას? არსებობს თუ არა დღემდე ცნობილი ოთხი ფუნდამენტური ფიზიკური ძალის — გრავიტაცია, ელექტრომაგნიტურობა, ძლიერი და სუსტი ბირთვული ძალები — გამაერთიანებელი ერთი ფუნდამენტური ძალა, რომლის მიმართაც ის ოთხი ძალა კერძო შემთხვევა იქნებოდა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აინშტაინმა ამაოდ შეაღია თავისი ცხოვრების ოცდაათი წელი და, სხვა რომ ველარაფერი მოახერხა, ანდერძად დაუტოვა ფიზიკოსებს ეს საიდუმლო. აღარაფერს ვამბობ იმ უამრავ ენიგმაზე, კვანტური სამყარო რომ გვთავაზობს.

გნებავთ, ბიოლოგიასაც ჩავეკრათ თვალი. გენეტიკა-გენეტიკაო, გავიძახით ყოველნამიერად, მაგრამ შეუძლია კი ახსნას გენეტიკას, როგორ და რანაირად აქეთ ცოცხალ ორგანიზმებს თვითდასტრუქტურების, ფუნქციური რეგულაციის, რეგენერაციისა და რეპროდუქციის უნარები? არ შეუძლია. არადა, როდესაც ცნობილმა ინგლისელმა ბიოლოგმა რუპერ შელდრეიკმა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში თავისი „მორფოგენეტიკური ველების“ თეორია გამოამზეურა და ეს ყოველივე შესანიშნავად ახსნა, კონსერვატიულმა პარადიგმამ მას მეცნიერებისა და მაგიის ურთიერთალრევა დააბრალა. აქაც იმ მესამე რეალობასთან გვაქვს საქმე, რაც ტორსიული ველების თეორიის „ყოვლისმცოდნე“ ფიზიკურ ვაკუუმში, ფრანკლის სინდისში, უზნაძის განწყობაში, ბომის ჰოლოგრამებში გამოსჭვივის.

ბარემ ისიც გავიხსენოთ, შელდრეიკის თეორიის შესამონმებლად არაერთი ექსპერიმენტი რომ ჩატარდა და დადასტურდა, რომ, მაგალითად, ჩვენ — იაპონურის არმცოდნენი — გაცილებით ნაკლებ დროში დავიზუპირებთ ლექსს, რომელსაც იაპონიაში საუკუნეთა მანძილზე სწავლობენ, ვიდრე ახალშექმნილ აბრაკადაბრას. რატომ? იმიტომ, რომ აბრაკადაბრა აბრაკადაბრაა, ხოლო იაპონური ლექსი, რომლის უღერადობაც ჩვენთვის ასეთივე აბრაკადაბრაა, შინაარსი კი სრულიად არ გვესმის, იაპონელთა მიერ ადამიანის მორფოგენეტიკურ ველშია შეტანილი. თურმე, თუ რომელიმე სახეობის ასი მაიმუნი გარეცხილი ბატატის ჭამას მიეჩვევა, მსოფლიოს დანარჩენი ინდივიდებიც მყისიერად და, ერთი შეხედვით, უმიზეზოდ იმავე ჩვევას გამოამჟღავნებენ. ცალკეული კურდღელი კვდება, მაგრამ კურდღლად ყოფნის ჩვევა მორფოგენეტიკურ ველში ინახება, — ამბობს შელდრეიკი, ექსპერიმენტების ამასვე ადასტურებენ, მაგრამ პარადიგმა თავს იკავებს.

რას იზამ — მუდამ ასეთი წინააღმდეგობრივია პარადიგმის ცვლის ეპოქები. გავიხსენოთ, რა ამბავი აუტეხეს კოპერნიკს და გალილეის, არც ქრისტიანებს დააყენეს კარგი დღე წარმართებმა, არც სოკრატეს — ათენელებმა...

ამიტომაც რაღაც წარმოუდგენელ სითამამედ ჩანს ჩვენს დროებაში, მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატის, ბელგიელი ფიზიკოსის ილია პრიგოჯინის მიერ დაფუძნებული მეცნიერების ახალი დარგი — სინერგეტიკა, რუსი (ეროვნებით კომი) ფილოსოფოსის ვასილი ნალიმოვის „აზროვნების სპონტანურობის თეორია“, ინგლისელი ფსიქოლოგის ედვარდ დე ბონოს „ლატერალური აზროვნება“ და ამისთანები. ეს ის წიგნებია და ის ავტორები, რომლებიც ასე თუ ისე აღიარა ოფიციალურმა მეცნიერმა. რაღა ვთქვათ იმ უამრავ შემთხვევაზე, რომელთაც პარადიგმა საერთოდ არ აღიარებს, ახლოსაც არ იკარებს, ან სისულელედ მიიჩნევს, ან არააქტუალურად, ან სულაც მათ არსებობას არ იმჩნევს: რა ვთქვათ დრუნვალო მელქისედეკის „საკრალურ გეომეტრიაზე“, ჯონ ქერიუ ეკლზის, რაიმონდ მოუდის, ჩარლზ ლეტბიტერის კვლევებზე „სიცოცხლის შემდეგ (ან, თუ გნებავთ, სიკვდილის

შემდეგ) სიცოცხლის შესახებ“, რობერტ ალენ მონროს ნამ-
რომებზე ადამიანის ფიზიკური სხეულიდან გასვლაზე, კარ-
ლოს კასტანედას შემოქმედებაზე, სატია საი ბაბას მოღვაწე-
ობაზე, ეზოთერიკაზე, ექსტრასენსორიკაზე, ტელეკინეზზე,
ტელეპორტაციაზე, ლევიტაციაზე, რელიგიაზე, მეტაფიზიკა-
ზე???

კი ჯიუტობს ნიუტონურ-კარტეზიანული პარადიგმა, მაგ-
რამ ჰუმანიტარული მხრიდან „შემოპარული“ პოსტმოდერ-
ნიზმი უფრო შემწყნარებელია და ყოველივე ზემოთქმულს
დიალოგში ინვესტ, ირონიითა და ხალისიანი იუმორით ეუბნე-
ბა, მოდით, აბა, ვილაპარაკოთ, ვნახოთ, რა გამოვა აქედანო.

ინყება მესამე ათასწლეული კომპიუტერული ტექნოლო-
გიების (ინფორმატიკის) სასწაულებრივი განვითარების, ნა-
ნოტექნოლოგიებისა და კიდევ ათა-
სი ამოუხსნელი ენიგმის მოლოდინ-
ში. მეცნიერებაც თითქოს
გრძნობს, რომ ახალი სისხლი თუ
არ გადაისხა, ჩიხით დასრულდება
ყველაფერი, ამიტომ ინტერდის-
ციპლინარიზმსა და მულტიდის-
ციპლინარიზმს აღარ სჯერდება,
ტრანსდისციპლინარიზმისკენ მო-
წონდებს სწავლულებს.

ბატონო მიხეილის თქმით, 1986
წელს ვენეციაში ჩატარდა იუნეს-
კო-ს სიმპოზიუმი „მეცნიერება და
ცოდნის საზღვრები: ჩვენი კულტუ-
რული წარსულის პროლოგი“. სიმ-
პოზიუმის მონაწილენი განიხილა-
დნენ ფუნდამენტურ მეცნიერება-
თა, პირველ რიგში, ბუნებისმეტყ-
ველების განვითარების პრობლე-
მებს, რაც აისახა ვენეციის დეკლარ-
აციაში, სადაც ხაზი გაესვა „ადა-
მიანური შემეცნების მთლიანი გა-
მოცდილების შემადგენელ კოგნი-
ტიურ პრაქტიკათა შორის ეპისტე-
მოლოგიურად ორგანული დიალო-
გის“ აუცილებლობას.

კონფერენციაზე დაწყებულ დი-
ალოგში მისი მონაწილენი გლობალური პრობლემატიკის შე-
საბამისი ტრანსდისციპლინარული მიდგომების შემდგომი
განვითარების ამოსავალ წერტილს ხედავდნენ, რაც აისახა
კიდევ კონფერენციის „სამუშაო დღიურებში“. ხოლო 1998
წელს იმავე იუნესკოს ეგიდით პარიზში ჩატარებული კონფე-
რენციის — „XXI საუკუნეში უმაღლესი განათლების შესახებ“
— დეკლარაცია უმაღლეს სკოლებში ტრანსდისციპლინა-
რიზმის დანერგვისა და განვითარებისაკენ მოგვიწოდებს. ეს
კი ნიშნავს, რომ ცალკეულ დისციპლინებად დანილაკებული
ჩვენი მეცნიერება პრობლემებს ვეღარ აუდის.

— „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად, რაც ფილოსო-
ფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ,“ — ამბობს შექსპირი და
აჰა, პარადიგმის ცვლილება ამკარაა.

საქართველოში ნოოფეროს მეზარახებზე, ან განსვენე-
ბული პროფესორი ირინე კალანდაძე კი მიიჩნევდა, რომ ადა-
მიანმა თავი უნდა დააღწიოს სამ განზომილებაში ჩაკეტილ,
ეგოში კაფსულირებულ რაციონალურ არსებობას, რისთვისაც
თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს სრული გამოყენე-
ბა უნდა შეძლოს ანუ ცნობიერება გაუმთლიანდეს. ჯერჯე-
რობით ძნელი გასაგებია, თუ როგორ შეძლებს ადამიანი ამის
მიღწევას, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ ზემოთქმულიდან.
თავი შეგვიძლია ვინუგემოთ პოლ ვალერის სიტყვებით: „ყვე-
ლაზე სახიფათო მდგომარეობა მამინაა, როცა გგონია, გავი-
გეო.“

ჩიხში

ფიზიკა კი — ადამიანური ცნობიერების, ქეშმარიტების-
კენ სწრაფვის, სამყაროს იდუმალების ამოხსნის მეცნიერული
გზა — ახალი ათასწლეულის დასაწყისში თავის დასასრულზე
რომ ალაპარაკდა, ჩიხში მოექცა, აინშტაინივით ააფრიალა
თავისი კვლევები და მისი სასონარკვეთა გაიზიარა:

— არაფერი ვიცი... ღმერთი არსებობსო.

თუმცა ფიზიკის ჩიხში შესვლის თეორიას არ ეთანხმება
პაატა ჩიქოვანი, ვინც მიიჩნევს, რომ ჩიხში ადამიანური გო-
ნება მოექცა და არა მეცნიერება, მიზეზი ამისა კი ჩვენი ყო-
ფიერებაა.

— დღეს, როცა ათასგვარი საყოფაცხოვრებო საკითხები-
თაა მოცული ჩვენი ცნობიერება,
გვიჭირს ასეთი გლობალური თემე-
ბის აღქმა, არადა გვაგინყდება,
რომ კაცობრიობა დასაბამიდან
ფიქრობდა ამაზე. უძველეს ეპოხ-
შიც კი გილგამეში სინდისთან და-
კავშირებით ამბობს: მივიღვიარ საბ-
რძოლველად, რადგან აქ ჩემი უკვ-
დავება იმ სამყაროში კარგად ყოფ-
ნას ნიშნავსო.

ადამიანი ოდითგან ეძებდა კავ-
შირს მიღმა სამყაროსთან, მაგრამ
დღეს ეს თემა ყოფითმა საკითხებმა
გადაფარა. მეტიც: ყოფიერებამ მოი-
ტანა ის, რომ ფიზიკოსი, რომელიც
ცდილობდა სამყარო გაემარტივებინ-
ა და ამოეხსნა კაცობრიობისათვის,
მოგვიანებით, თავისივე კვლევებზე
დაყრდნობით, ატომურ ბომბს ქმნის;
როცა ერთი ექიმი საკუთარ თავზე
ცდის პრეპარატს და ადამიანებს
ბედნიერ აღმოჩენას უტოვებს, მეო-
რე მეცნიერი ამ მიღწევებით ბაქტე-
რიოლოგიურ და ბიოლოგიურ იარ-
აღს ამზადებს. მე მაინც მგონია, რომ
სამყარო ჩვენშია, ჩიხიც ჩვენშია და
ადამიანურ გონებას ხელდასხმა ის-



მიხეილ ანთაძე

ნის. ასეთი ხელდასხმაა რელიგია: ბუდაც, ქრისტეც, მუჰამე-
დიც... ცხოვრების ინტერესი კი იმედია, რომ რალაცას შექმნი —
უფრო უკეთესს, შედეგს, ანდა აღმოაჩენ რასმე...

ეს არის კაცობრიობის განვითარების გზა, და არა პოლი-
ტიზუბულ ყოფიერებაში მიმონყდომა რაიმე მერკანტილური
სარგებლის მისაღებად...

მიხეილ ანთაძე:

— ირინა კალანდაძისათვის ეს ყველაზე მეტად მიუღებე-
ლი იყო, სწორედ ასეთ ადამიანს უწოდებდა „სამგანზომილე-
ბიან სივრცეში კაფსულირებულ პიროვნებას“.

პაატა ჩიქოვანი:

— სხვათა შორის, ჩვენ გარშემო არსებული განზომილებე-
ბიც ძალიან სანტიერესო თემაა...

მიხეილ ანთაძე:

— აინშტაინის ანდერძის ძიებაში არაერთი თეორია შეიქმ-
ნა. მაგალითად, „სიმების თეორია“, რომლის ექსპერიმენტშიც
ჩვენი თანამემამულე გია დვალი მონაწილეობს.

აინშტაინის პირველი ნაშრომის შედეგად, განზომილებებს
დრო შეუერთდა, ის სივრცის ნაწილად მოიაზრება და, დრო-
სივრცესთან ერთად, ადამიანები ოთხგანზომილებიან სამყა-
როში ვცხოვრობთ.

დიდ მანძილზე ფიზიკოსები სივრცის საზომად დროით
ტერმინს იყენებენ — „სინათლის წელიწადი“ — რადგან არსე-
ბული სივრცის საზომები მეცნიერულ გათვლებს არ ჰყოფნის.

სხვათა შორის, საინტერესო ფენომენია ის, რომ ქართულ-მა ენამ თითქოს აინშტაინამდე გაცილებით ადრე იცოდა, ვინ იყო და რას აღმოაჩინდა იგი, საკუთარ ნიაღში იმთავითვე გააერთიანა ეს ორი ცნება — „მანძილს“, „განმავლობასთან“ ერთად, დროსთან მიმართებით იყენებდა: მრავალი წლის მანძილზე (განმავლობაში) — და დროისა და სივრცის ერთიანობის იდემალება გახსნა.

აინშტაინის კი ბევრი სადარდებელი ჩაჰყვა სამარეში.

უმთავრესად ის, სიკვდილის წინ რომ ჩიოდა:

— სულ მეგონა, აი ახლა „ჩავავლებ“ ღმერთს, აგერ ახლა, თუ როგორაა ეს ყველაფერი მოწყობილი, მაგრამ ბოლო წამს ჭეშმარიტება ყოველთვის ხელიდან მისხლტებოდაო.

„იქით უკვე ღმერთი ჩანს“

ფიზიკისა რა გითხრათ და... აი, პოსტმოდერნიზმი კი — არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ როგორც მოვლენა, სამყაროსეული მდგომარეობა — სწორედაც ჩიხში აღმოჩნდა, — ასე ფიქრობს **პაატა ჩხეიძე**, — ზუსტად ვერ გეტყვით, ფიზიკაში შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია ეს თუ სხვა რამემ, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში შემოჭრილი ზნეობრივი რელატივიზმი და სუბიექტივიზმი თანამედროვე სამყაროს უბედურებაა და სწორედ ეს არის პოსტმოდერნიზმის ჩიხიო.

აი, მაგალითად: გამოდის ჟურნალისტი ტელევიზიით და ამაცობს იმით, რომ აქვს სუბიექტური აზრი, რომელსაც „ობიექტურად“ გვახვევს თავს.

ბატონი პაატას თქმით, პოსტმოდერნიზმმა, რომელიც არსებული მოვლენა და კულტურის ისტორიასა და ფილოსოფიაში თავისი მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა — თავისი საწინააღმდეგო მოვლენები გააცოცხლა — ანუ ის, რაც XIX საუკუნეში იყო (რელიგია), XX-ში კი ადამიანი აღარც კი ფიქრობდა, რომ ოდესმე ისევ მობრუნდებოდა, მესამე ათასწლეულში კვლავ დამკვიდრდა ჩვენს ყოფიერებაში, და ეს სრულებითაც არ არის სიმულაცია, როგორც მოიაზრებენ პოსტმოდერნიზმის მტკიცე დამცველები.

— ამიტომაც, ვფიქრობ, ეს ჩიხიც იმას გულისხმობს, რომ ადამიანი მუდმივად რაღაც გამოსავალს ეძებს.

სხვათა შორის, ახლახან გამოვიდა პატარა ნიგნაკი, რომლის ავტორმაც ჟან ბოდრიარის ოთხი რიგის სიმულანტს მე-ხუთეც დაუმატა — ფეისბუქი, რაც სიმულაცია კი არა, ისეთი რეალობაა, რომლის მიღმაც არაფერი არ არის.

ესეც ერთგვარი ჩიხია ჩვენი გლობალური და პოსტმოდერნული სამყაროსი, საიდანაც სწორედ მარადიული ღირებულებანი — რელიგია და ზნეობრივი მოვლენები — გამოგვიყვანს.

მიხეილ ანთაძე:

— კაცობრიობა მეტ-ნაკლებად ყოველთვის ექცეოდა გარკვეულ კრიზისში, ძნელად თუ მოვძებნით ოქროს საუკუნეებს, როცა ყველაფერი კარგად იყო დედამიწაზე. ახლანდელი კრიზისის მიზეზიც ის არის, რომ პოზიტივისტური მეცნიერებები ვეღარ უმატებენ კაცობრიობის ცოდნას რაღაც ისეთს, რაც გაამართლებდა XIX საუკუნეში შექმნილ ილუზიას, რომ მეცნიერება ბედნიერს გახდიდა კაცობრიობას. — ამას დაერთო ისიც, რომ XVIII საუკუნეში ათეისტური მიმართულება, რომელიც განმანათლებლურ მოძრაობაში გაჩნდა, ამბობდა: თუ რელიგიას მოვიშორებთ, ბედნიერები ვიქნებითო. როგორი „ბედნიერებაც“ მოგვიტანა ამან, გასულ საუკუნეში საკუთარ თავზე გამოვცადეთ საბედისწეროდ. ამიტომაც, როცა ვსაუბრობ ფიზიკის ჩიხზე, ვგულისხმობ, რომ ის ისე ღრმად შევიდა მატერიაში, ფიზიკური პარამეტრები თვალსა და ხელსშუა გაუქრა და აღმოჩნდა, რომ იმის იქით აღარაფერი არსებობს. და თუ ფიზიკოსთან შეეცდებით ამ კითხვაზე პასუხის მოძებნას, იგი გეტყვით: ეს უკვე ფიზიკის საქმე აღარ არის, იქით ღმერთი ჩანსო.

მანანა გაბაშვილი:

— ეს ატომური ბომბის აფეთქების დროსაც ხომ დაადასტურეს მეცნიერებმა თავიანთი საქციელით — გაიქცნენ და ლოცვა დაიწყეს...

მიხეილ ანთაძე:

— ამაზე გამახსენდა, ბომბის შექმნაში აინშტაინის წვლილი ახსენა ბატონმა პაატამ, სხვათა შორის, უშუალოდ შექმნაში ის ნაკლებად მონაწილეობდა, უბრალოდ, ამერიკის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით: დააჩქარეთ ბომბის დამზადება, თორემ ჰიტლერმა თუ დაგასწროთ, საშინელება მოხდებოდა.

აინშტაინმა 1912 წელს გამოიყვანა თავისი ცნობილი ფორმულა $E = mc^2$, რომელიც მაშინ რიგიანად ვერავინ გაიგო, რას გულისხმობდა, მხოლოდ მოგვიანებით, როცა ცოლ-ქმარმა კიურებმა ურანის ატომი ნეიტრონების დაბომბვით გახლიჩეს და გამოიყო ენერგია, მიხვდნენ, რომ საფუძველი ამისა სწორედ ის აინშტაინისეული ფორმულა გახლდათ.

„იმ“ სამყაროს აზნებები

მანანა გაბაშვილი:

— არაერთ მეცნიერს უთქვამს, რომ როდესაც რაღაც მასალაზე მუშაობს, მისი გააზრებები „ღვთისგან მოდის“. თქვენ მაგალითად მოიყვანეთ შემთხვევა, როცა ჩვენს თანამედროვეობაში მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი მრეცხავი ქალი VII საუკუნის ჩინეთში მომხდარ ფაქტებს ყვებოდა, არადა წარმოუდგენელი იყო, ამის შესახებ რაიმე სცოდნოდა. ასეთი რამ ხშირად ხდება და არაერთხელ დაინტერესებულვარ, რამდენადაა შესწავლილი ეს ფენომენი მეცნიერთა მიერ? ხომ არ არსებობს რაღაც საინფორმაციო ბანკი ჩვენი მატერიის მიღმა, სადაც ყველას არ აქვს წვდომა?

ამასთანავე, თქვენ აღნიშნეთ, პოლიტიკა ცხოველთა საქმეაო. პირადად მე, რაღაც აზრით, გეთანხმებით — 90-იან წლებში ქართულ პოლიტიკაში სწორედ ასეთი ვითარება იყო და ფულსა და ინსტინქტებზე ორიენტირებულმა ადამიანებმა ისეთი საქმეები ჩაიდინეს, ქვეყანას მიმართულნი იყვნენ და საყრდენები შეუცვალეს. ფაქტობრივად, პოლიტიკა კეთილია და ბოროტის ბრძოლის ასპარეზია და ასეთი ცალმხრივი მიდგომა არ მგონია სწორი იყოს.

და კიდევ, ცერნის ექსპერიმენტზეც მინდა გკითხოთ: როგორც ვიცით, წარმატებულად მიდიოდა და უეცრად აღმოაჩინეს რაღაც ელემენტი, „ღვთაებრივი ელემენტი“, რომლის ახსნაც პირდაპირ ღმერთისკენ მიდის...

მიხეილ ანთაძე:

— ეს, ასე ვთქვათ, პოეტურად!

მანანა გაბაშვილი:

— დიახ, პოეტურად, მაგრამ ფიზიკაც ხომ პოეტური მეცნიერებაა, არ გაგიგონიათ, „физики и лирики“...

მიხეილ ანთაძე:

— ჯერ პოლიტიკის შესახებ გიპასუხებთ, უფრო იოლია: როცა ვამბობ, პოლიტიკა ბიოსფეროს მოღვაწეობაა და არა ნოოსფეროსი-მეთქი, ვგულისხმობ, რომ ნოოსფეროს მოღვაწეები, რომლებიც პოლიტიკაში ერთვებიან და გონიერება და სინათლე შეაქვთ ამ დარგში, სამსწახროდ, ამინდს ვერ ქმნიან...

მანანა გაბაშვილი:

— მაგრამ მორალურად ხომ იმარჯვებენ?

მიხეილ ანთაძე:

— მორალურად — კი! და ამ გამარჯვებებით იქმნება ნოოსფერო, იმას ვგულისხმობ, რომ როცა ნოოსფერო დამყარდება — გონიერება მოიცავს პლანეტას და ემპათია დაისადგურებს, რომლის დროსაც ადამიანები ისე გაუგებენ ერთმანეთს, როგორც საკუთარ თავს, პოლიტიკა საერთოდ არ იარსებებს და აღარც ეს კონფლიქტები იქნება.

რაც შეეხება საინფორმაციო ბანკს... კი, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ასეთი რამ მართლაც არსებობს — სადღაც, ჩვენი მატერიის მიღმა, მაგრამ რეალობაა.

აი, ფიქრის სიჩქარე კი ძალიან საინტერესო თემაა. ფარდობითობის თეორიის პარადოქსი ის არის, რომ რაც ჩემთვის, ნელა მოძრავისთვის, დიდხანს გრძელდება, სწრაფად მოძრავისათვის ხდება გაცილებით უფრო სწრაფად. ანუ თუ თქვენ ნახვალთ სინათლის სიჩქარით კოსმოსში სამოგზაუროდ და ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებით, ნახავთ, რომ აქ 30 წელი იქნება გასული...

დალი კახიანი:

— მე სულ მაქვს შეგრძნება, რომ დრო არ არსებობს.

მიხეილ ანთაძე:

— არსებობს, ოღონდ მატერიისთვის. თვითონ სინათლეს დრო არ სჭირდება. ეს როცა მე ვუყურებ 50 მილიონი სინათლის წლით დაშორებულ ვარსკვლავს, ვიცი, რომ ჩემამდე მოსასვლელად ამ სხივს ხუთი ათეული მილიონი წელიწადი დასჭირდა, თორემ თვითონ სინათლე მყისიერად აქ იყო და ამისათვის დრო არ დაუხარჯავს.

ფიქრიც ასევეა...

ისიც იმ სამყაროს აგენტია, რომლისაც სინათლე ჩვენს მატერიალურ სივრცეში.

სინათლეს რადიოტალღების მეშვეობით გადააქვს გამოსახულება, ინფორმაცია... ამ აღმოჩენაზე დაყრდნობით შეიქმნა ტელევიზია და ბევრი სხვა ტექნიკური საშუალება. ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადააქვს, რომ ფოტონის ჰოლოგრაფულ გამოსახულებას მიკროსკოპით თუ დააკვირდებით, ატომის ბირთვის დანახვასაც შეძლებთ.

მანანა გაბაშვილი:

— ადამიანსაც ასე შეუძლია უცხო სივრცესა და დროში მომხდარი ფაქტები დაინახოს?

მიხეილ ანთაძე:

— დიახ, ტროსიული ველების თეორია სწორედ ამას შეისწავლის.

ცერნის ექსპერიმენტზე მკითხეთ...

ნანახი მაქვს რეზერვუარდის ფოტო თავისი ცდისას, ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად, ამარქარებლით ხელში.

ეს ამარქარებელი, რომლითაც ფუნდამენტური აღმოჩენები გაკეთდა და პატარა ყუთისოდენა იყო, ახლა, ცერნის ექსპერიმენტისას, 27-კილომეტრიანი გიგანტური გვირაბია.

ნაწილაკი, რომელიც აღმოაჩინეს — შიგის ბოზონი — არის ის, რაც მასას ქმნის. აქედან გამომდინარე, მას უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია გამოაქვს და ალბათ ეს იგულისხმება, როცა მას ღვთაებრივს უწოდებენ, თორემ ისე ყველაფერი ღვთაებრივია ამქვეყნად...

მანანა გაბაშვილი:

— თვით ზოგიერთი პოლიტიკოსიც კი...

დაბრკენილი კაცობრიობა

აბა ვის არ მოგსვლიათ — გაგახსენდებათ ვიღაც და შეიძლება ცოტა ხანში ქუჩაშიც შეგხვდეთ, ან ისეთ დამთხვევათა შემსწრე გახდეთ, ამ საკითხებზე მთელი სიღრმითაც რომ დაგაფიქრებენ...

ჩვენი ცხოვრება უცნაური დამთხვევებითაა სავსე, რომლებიც უცნაური, და თანაც დამთხვევა, სულაც არ ყოფილა, რადგანაც თურმე გარკვეული კანონზომიერებით ხდება.

ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ფიზიკურ სივრცეში სინქრონისტული ნაკადის შემოჭრით აიხსნება და უკავშირდება მარადიულობის საიდუმლოს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ინფორმაციულობის პარადიგმას ჩანვდე. **თამარელა ნონორია** სწორედ ამ თემებით დაინტერესდა — მაინც რა

ენერგია განსაზღვრავს, როგორც თვითონ ამბობს, ამ გიგანტური მაგნიტური წრედის შეკვრას მატერიალურსა და მის მიღმა არსებულ სამყაროებს შორის?

ბატონი მიხეილის თქმით, ამ შემთხვევაში ენერგია, როგორც ფიზიკური ფენომენი, აქ არ მოიაზრება — ენერგია, რომელიც იზომება როგორც ფიზიკური სიდიდე, ინფორმაციულ დონეზე არ იხარჯება, მაგრამ... ის აღძრავს ფიზიკურ ენერგიას.

— მაგალითად, სიტყვით შეიძლება ქვეყანა დააქციო.

როგორ?

თვითონ სიტყვაში ხომ ფიზიკურად არ არის ჩადებული მეგატონები?

მაგრამ სიტყვას აქვს ძალა, რომელმაც შეიძლება აღძრას ისინი და გადააბრუნოს სამყარო ჩვენ ირგვლივ. სინქრონისტული ნაკადი კი ძალიან საინტერესო თემაა და, შეიძლება ითქვას, ადამიანებს ყველაზე მეტად „გვანტრიგებს“, — აღნიშნა ბატონმა მიხეილმა და ასეთი შემთხვევები საკუთარი ცხოვრებიდანაც გვიამბო.

ერთი შეხედვით რთულად გასაგები თემები, რომლებზეც მომხსენებელმა ისაუბრა, პროფესიით ფიზიკოსმა **თემურ ნადარეიშვილმა** მეცნიერულად შეაფასა. ლიტერატურული სალონის „უშტატო“ ფიზიკოსმა და ფიზიკის დარგის „უშტატო“ ლიტერატორმა აღნიშნა, რომ ამ მეცნიერების სირთულე სწორედ სიმარტივეშია. იგი შეეცადა საზოგადოებისთვის აეხსნა ის საკითხები, რომლებზეც ბატონმა მიხეილმა ისაუბრა — იმდენად კომპეტენტურად, რომ სპეციალისტი ალფრთოვანებული დარჩა, შემდეგ კი რამდენიმე საკითხი გამოყო მოხსენებიდან და აღნიშნა:

— ბ-ნმა მიხეილმა გასაოცარი სიღაღითა და სიმსუბუქით გადმოგვცა ფარდობითობის სპეციალური და ზოგადი თეორიების ძნელად გასაგები, ე.წ. „სალი აზრისთვის“ ერთი შეხედვით მიუღებელი დებულებანი. კერძოდ, კარგად ახსნა, რომ ფიზოსა და მაიკელსონ-მორლის ცდებზე დაყრდნობით, აინშტაინმა „დაანგრია“ ნიუტონის მექანიკის ქვაკუთხედი — დროის აბსოლუტურობის ცნება, და ლანდაუ-რუმერის კარგად ცნობილი სამეცნიერო-პოპულარული წიგნიდან თვალსაჩინო მაგალითები მოიყვანა დროის ათვისის სისტემაზე დამოკიდებულების ანუ მისი ფარდობითი ბუნების შესახებ (მოძრავე სისტემაში დრო უფრო ნელა მიდის, ვიდრე უძრავში!). ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ აინშტაინს „ცარიელ ადგილზე“ არ გამოუთქვამს ეს „პარადოქსული“ დასკვნა. კერძოდ, პირველად დროის აბსოლუტურობაში ეჭვი ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა ანრი პუანკარემ შეიტანა და ამაში ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრები „დაეხმარნენ“, რომელთათვისაც მთავარი იყო ხელოვანის მიერ სამყაროს აღქმა, შთაბეჭდილება ყოველ მოცემულ დროის მომენტში.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას აინშტაინმა საკუთარ თავს ასეთი „ახირებული“ შეკითხვა დაუსვა: შეიძლება თუ არა იმ სიჩქარით გავიქცე, რომ საკუთარი გამოსახულება ვერ დავინახო სარკეში?! და ამ კითხვაზე განუწყვეტელმა ფიქრმა მეცნიერი მოიყვანა ფარდობითობის თეორიის შექმნამდე (ამ თეორიის თანახმად, საკუთარ გამოსახულებას ვერ „გაექცევი“ სარკეში, რადგანაც ბუნებაში არსებული მაქსიმალური სიჩქარე სწორედ სინათლის ანუ სარკეში დანახვის სიჩქარეა!).

მომხსენებელმა ისაუბრა თანამედროვე ფიზიკის „მოწინავე ფრონტის“ ისეთ საკითხებზეც, როგორცაა ტროსიონები, სიმები, ერთიანი ველის თეორია. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკოსები ჯერ კიდევ ვერ შეჯერდნენ საყოველთაოდ მიღებულ თეორიაზე ამ საკითხების შესახებ. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ერთიანი ველის თეორიის პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ აინშტაინმა დასვა გასული საუკუნის 40-იან წლებში. საქმე ეხება ბუნებაში ამჟამად ცნობილი 4

ძალის (მათი შესაბამისი ველების) ერთ ძალაზე (ველზე) დაყვანის საკითხს.

აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი შესაძლებლობა: ა) ბუნებაში არსებული ძალები არ შეიძლება დავიყვანოთ ერთ ძალაზე და ამგვარი მისწრაფება ადამიანის აზროვნების რაციონალიზმიდან, მისი „ეკონომიურობიდან“ გამომდინარეობს — ანუ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ერთ ძალასთან გვეკონდეს საქმე, ვიდრე რამდენიმესთან! ბ) შესაძლოა, ოთხივე ძალა მართლა დადის ერთ ძალაზე, ანუ ამჟამად ცნობილი 4 ძალა, სინამდვილეში, ერთი ძალის სხვადასხვა გამოვლინებაა! აინშტაინის სიცოცხლეში, იმდროინდელი ექსპერიმენტული ბაზის პირობებში, შეუძლებელი იყო პასუხის გაცემა, თუ რომელი სცენარია სწორი, და მხოლოდ უკანასკნელ წლებში გაირკვა, რომ მართებული მეორე ვარიანტია, ანუ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ბუნება მარტივადაა მოწყობილი (მხოლოდ ერთი ძალა გვაქვს!) და მთავარია, ამ სიმარტივემდე მივიდეთ!

აქვე მინდა შევნიშნო, რომ მოხსენებაში არაფერი ითქვა XX საუკუნის აზროვნებაში მეორე რევოლუციურ „გარღვევაზე“ — კვანტურ მექანიკაზე, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბატონი მიხეილი ამ საკითხებშიც კარგად ერკვევა! საქმე ის არის, რომ კვანტურ მექანიკაში ანუ ატომური მიკროსამყაროს მასშტაბის მოვლენათა შესწავლისას მოხერხდა ისეთ კანონზომიერებათა დადგენა, რომელთა განზოგადება, „გატანა“, შესაძლებელი ყოფილა ფიზიკის გარეთაც — სხვა მეცნიერებებში, ხელოვნებაშიც კი! გამოვყოფ მხოლოდ ერთს — ჰეინზენბერგის განუზღვრელობის თანაფარდობას, რომლის თანახმადაც შეუძლებელია ერთდროულად ვიცოდეთ, მაგალითად, მიკრონაწილაკის კოორდინატი და სიჩქარე, რომელიც შემდგომ დამატებითობის პრინციპის სახით განაზოგადდა ცნობილმა დანიელმა ფიზიკოსმა ნილს ბორმა (ამასთან დაკავშირებით გირჩევთ წაიკითხოთ 1951 წელს მის მიერ დაწერილი, ფორმულებისაგან სრულიად „თავისუფალი“ სამეცნიერო-პოპულარული სტატია „ცოდნის ერთიანობა“), ვისი თქმითაც, სამყაროს შემეცნებისას არსებობენ გარკვეული წყვილები, რომელთაგან ერთ-ერთის ცოდნა იწვევს მეორის არცოდნას და პირიქით. მაგალითად, ცნობიერი და ქვეცნობიერი, გონება და ინსტინქტი და ა.შ.

ჩემი აზრით, ამ მოვლენის კიდევ ერთი გამოხატულებაა ე.წ. დუალიზმის პრობლემა. კერძოდ, ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ვიცით, რომ სინათლეს ორმაგი (დუალური) თვისება აქვს: დიდ ხერხეში გავლისას ის იქცევა როგორც ნაწილაკი (კორპუსკული), ხოლო ვიწრო ხერხეში გატარებისას ტალღად გვევლინება. ამიტომ კორექტული არ არის კითხვა: ნაწილაკია სინათლე თუ ტალღა? სწორი პასუხის მისაღებად აუცილებლად უნდა მივუთითოთ, რა პირობებში ვატარებთ ექსპერიმენტს. ასევე, შეგვიძლია ანალოგიურად ვიკითხოთ: ანგელოზია ადამიანი თუ მხეცი? კითხვა კვლავ არასწორადაა დასმული, რადგანაც, მაგალითად, ომში იერიშისას ადამიანი მხეცია (მან ხომ უნდა მოკლას მონინაღმდეგე — მნიშვნელობა არა აქვს, რა „იდეოლოგიური სარჩულითაა“ გამართლებული ეს უსასტიკესი, მხეცური აქტი!), ხოლო იგივე ადამიანი საკუთარ ბავშვთან თამაშისას ანგელოზია! ასევე კარგადაა ცნობილი ადამიანის გაორების (დუალიზმის) პრობლემა ლიტერატურაში, მაგალითად, ულიამ ფოლკნერის, ფრანც კაფკას რომანებში. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეცნობიერის შესწავლისას ფსიქოლოგები ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე ბორის ზემოაღნიშნულ სტატიას.

ასე რომ, ფარდობითობის თეორიამ და კვანტურმა მექანიკამ საგრძობლად დააბრძენა კაცობრიობა და ეს ორი მიღწევა უკვე დიდი ხანია გახდა ცივილიზაციის ნაწილი, რის გამოც მათ ელემენტარული საწყისებს ცოდნა ყველა განათლებულ ადამიანს მოეთხოვება და ამ შესაშურ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ბატონ მიხეილის დღევანდელ შესანიშნავ ლექციასაც!

ჯანო ჯიქიძე

ზარშეჰანდის სოლო

სოლო: „შეჭამანი“

ჩემი ცხოვრება წვნიანია, რომელსაც ბედისწერა ხარშავს. რითაც მიცხოვრია, იმით ამზადებს; როგორც მიცხოვრია, იმგვარად კაზმავს და შეჭამანდის გამოდის შესაბამისი. ალბათ სხვაც ასეა — ბედისწერა მასაც თავის შეჭამანდს უშზადებს. ზოგი თავისი ცხოვრების შეჭამანდს თვითონვე გემრიელად შეექცევა; ზოგსაც თავისაზე გული ერევა, სტუმრად ურჩევნია დანაყრება — საკუთარ ცხოვრებას სხვისი ცხოვრებით ცხოვრება ურჩევნია, რას გაიგებ! ზოგის შეჭამანდი აჯაფხანდალს ჰგავს, ზოგისა — მსუბუქ სალათს, ზოგისა სულ შამფური და მწვადია, ზოგისაც — ნამგალი და ურო; ზოგისა — გულახდილია, პიცასავით — ზედვე ეტყობა, რისგანაა მოზადებული; ჩემი — წვნიანია... კაცი რომ 50-ს გადააბიჯებს, უკან მოიხედავს, ნახევარი საუკუნე სახუმარო ხომ არ არის! „ნახევარი“ თავისთავად არაფერია, მაგრამ „საუკუნე“ ხომ მოითხოვს დაფიქრებას. მოიხედავს კაცი უკან: როგორ მიცხოვრია აქამდე? როგორ? — კითხვითვე პასუხობს ბედისწერა, — აგე, შენი შეჭამანდი! გასინჯე და მიხვდები! ჩაუჯდე მშიერივით, არა — დეგუსტატორივით. წინასწარ იცი, ბოლომდე ამ შეჭამანდის შემეჭმელი არ ხარ. ეგეც რომ არა, „მარტო კაცი ჭამამიც (ხომ) ცოდვია“; თუმცა, ვიდრე სხვას მიიწვევდე, მაინც სჯობს, ჯერ თვითონ გასინჯო. იქნება არც ღირს, მასპინძლობა დაიჩემო? თუ გადამლაშებულია, არაფერი უმეგლის — წყალს დაამატებ, უგემური გამოვა. თუ ისედაც უგემურია, სანელებლებს უზამ, რომ ჯერ საკუთარ გემოვნებას მოაწონო, მერე — სხვისას; მაგრამ ამას შეძლებ, თუ მზარეულობა გეხერხება. მე კი სულ არ მეხერხება მზარეულობა. რაც იხარშება, ჩემია, რამიც იხარშება, რაზეც იხარშება, ის ცეცხლიც ჩემია — 53 ცეცხლი. ეს ასაკი (ჩემთვის) განსაკუთრებულია. თუ ბოლომდე ვინვოდი, მეტი არ უნდა მეცოცხლა, მაგრამ ჯერ კიდევ ვცოცხლობ. დავით აღმაშენებელი ინვოდა და 53 წლის ასაკში აღესრულა. გოდერძი ჩოხელი ინვოდა და 53 წლის ასაკში აღესრულა. გამოდის, თავი დამიზოგავს — ჩემი შეჭამანდი იმ პიროვნებების ცხოვრებასავით განუმეორებელი ვერ იქნება, მაგრამ მაინც გეპატიუებო, სტუმრებო! მე თვითონ არ ვიცი, ჩამჩას რა ამოყვება, მაგრამ არ შეგემინდეთ, მონამლული არ იქნება! წვნიანი კი არის, მაგრამ წყალწყალა არაა, არც „მატყუარა“ სუპია; თუმცა, ხომ იცით, გემოვნებაზე არ დავობენო, ნათქვამია. აჰა, მოვიმარჯვე ჩამჩა — პირველი ვის დაფუსხა! ვინც მშიერია, ის ერთბაშად გემოს ვერ გაუგებს; ვინც ნასვამია — ვერც ის; ვინც მარხვაზეა, არც იმან გამოიძოს თავი — მოცდა მოუნევს; დაგემოვნებაში იმან იპირველოს, ვისაც საკუთარი ბედისწერის შეჭამანდი გაუსინჯავს. დანარჩენმა ცოტა ხანს მოიცადოს, ნუ ეწყინება: აბა, ვნახოთ, რა ამოყვა ჩამჩას?! 15. პავლე. შემზავე. ნატაშა. მდინარისპირული. მდინარის პირას კარგად დავლიეთ, მერე კოცონი დავანთეთ — ღამის გათენებას ვაპირებდით. ზაფხული იყო ცხელი. აფთიაქარმა პავლემ ნამოგვიყვანა ნატაშა და მე, საქეივლიდ კარგი ადგილი ვიცოქალაქარეთ, ღამის ყველგან, კი ადგილი იყო: ნაძვნარი და მდელი, ფიჭვნარი და მდელი, ნაძვნარი და ფიჭვნარი, ჭალა და მდელი, კიდე გაფარქლო?! პავლემ კი ისეთ ადგილზე მიგვიყვანა, არც ნაძვნარი იყო, არც ფიჭვნარი, გორინის პირას, მდინარის პირას, მაგრამ სათვეზაოდ ხომ არ ვიყავით ნამოსულები... მდელი იყო ნახევრადგადამხმარი და კიდევ, წელამდე ჭინჭა-

* თავები ავტობიოგრაფიული რომანიდან

რი: მდინარის გასწვრივ — ბლომად და ჩვენი დოსთარხანის სიახლოვესაც — აქა-იქ. რო ვუსაყვედურეთ, გვიპასუხა, — ზოთირ, აქ შეშის პრობლემა არ გვექნება და მთელი ღამე კოცონი გვენთებაო. პავლე იყო ზორბა, გამულასავით, არანაკლებ მოლაპარაკეც, მაგრამ მისგან განსხვავებით — მცოდნე და კეთილის მოსურნე. რალაცნაირად, ძალდაუტანებლად ხელს უწყობდა ჩემი და პოდოლიელი გოგოს ურთიერთობას, რალაცნაირად. რა უნდოდა, არ ვიცი. ჩვენი დაქორწინება უნდოდა თუ პირიქით — გაყრა, ვერ გაიგებდა კაცი. ზამთრისთვის შეშა მაშოვნინა, რომ მე და ნატამას არ შეგვცვივნოდა. ჯერ ის გამოიძია და გამოჩხრიკა, რომ მე — სამხედრო ექიმს, ორი თუ სამი ტომარა მურა ნახშირი და კიდევ 0,5 მმ შეშა კანონით მეკუთვნოდა; შემდეგ, მისი მორიგეობის დღეს, კვირას (ცელინაზე ექიმების წასვლის გამო კადრების ნაკლებობა იყო. ამიტომ მორიგეობა პავლესაც უწევდა ხოლმე; თუმცა პრაპორშჩიკი იყო, ავალებდნენ და ესეც ექიმის მაგივრად მორიგეობდა), წამოვიდა ბორტებიანი, ბრეზენტით დახურული ჩვენი სანიტარული „გაზ-66“-ით; ის ნახშირიც ამაღებინა, ის 0,5 მმ ჩემი კუთვნილი შეშაც და მერე სასროლეთზე წამიყვანა, უფრო სწორად — ტყეში. ტანკების ჭურვებისგან დახლეჩილი ხეები მოვავროვით, შემდეგ წამოსვლაზე „დრუებით“ დავხერხეთ და წავილოთო. თუ მანამდე ვინმემ არ მოიპარაო, ესეც დაამატა. წავედით, წავეყვავადით სასროლეთზე. უკანა მხრიდან, ტყის მხრიდან ვიარეთ და რას ვხედავთ: გააჩერე! — უბრძანა პავლემ შოფერ-სანიტარს, ისიც მაგარი ბიჭი იყო, რომ მასხენდება. მე ბრეზენტით დახურულ ძარაზე ვიჯექი და გვიან გავიგე, რატომ გავჩერდით. ვიფიქრე, მოვედით-მეთქი. ძარიდან ჩამოვხტი. მართლა მოვსულვართ თურმე. **Посмотри, везучий!** — მითხრა პავლემ და თითო გაიშვირა ოღროწოლორ გზიდან მარჯვნივ.

თავიდან ვერაფერი საყურადღებო შევნიშნე, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, ნაძვის ნაკადი ტოტების გროვა დავინახე, იქიდან კი თეთრად რალაცა გამოსჭვიოდა. მივედით. ნაძვის ტოტები გადავწიეთ და ვნახეთ: ლამაზად, ერთ ზომაზე დახერხილი მოკლე მორები და ერთიც გრძელი — 4 მეტრიანი. — ეს ხეები ჩვენი! — ისე თქვა პავლემ, თითქოს ვინმეს რამეს უმტკიცებდო, — ხო გეყოფა ამ ზამთარს? — რა თქმა უნდა, მეყოფა! — ვუპასუხე მე, — მაგრამ რა ვქნათ, მოვიპაროთ? — ქურდის ქურდი ქურდი არ არის! — ნაიანდაზა პავლემ და შოფერ-სანიტარს გასაძახა, — რას გაშტერებულხარ, მოდი, მოგვეხმარე! **Взяааа!** — დაიძახა და ეძგერა მორებს. ჩვენც (მე და ჯარისკაცი) მივეხმარეთ და ნახევარ წუთში მორები ძარაზე შევყარეთ. ის გრძელი მორი არ მინდა-მეთქი, ვიძახდი, მაგრამ ვინ დავიჯერა — მაინც დავუდეთ ძარაზე, — **потом спасибо скажешь**, — იძახდა და ხვეწმოდა — ცხენის ძალა ჰქონდა — **Конский** ტყუილად კი არ იყო გვარად. ის გრძელი მორი ძარაზე არ დაეცა — დარჩა გამოჩრილი. ბორტი ვერ ავკეცეთ, მაგრამ ამათ ყველაფერს მიხედეს, ბრეზენტით ჩამოუშვეს, მავთულით მიაბეს და ნაქურდალი ნახევრად შევუთეს. წამოვხტი, მე და პავლე ძარაზე ვიჯექით, „სკამეიკაზე“. ფეხებით ვანეგობდით დიაგონალურად დადებულ გრძელ მორს, რომ არ ეკოტრილა. ის მორი ერთი იყო, ჩვენ — ორნი, მაგრამ ვიდრე მოასფალტებულ გზაზე გავიდოდით, მაგრად დაგვალა. — რა ფათერაკიანი ხარ, პავლე! — ესაყვედურობდი ავთიაქარს, — ამ მორების პატრონს რომ წაეწრო ჩვენთვის, რა უნდა გვექნა, ხო შევრცხვებოდით!? — ეს მორები ისედაც მოპარული იყო, — თავისას ერეკებოდა პავლე, — ჩვენ კი მომპარავს მოვპარეთ. რა ცხვირი ჩამოგიშვია, გაიცინე. ასეთ რამეზე უნდა იცინო და ისე აკეთე. ეხ, შე ბოთი! — ფათერაკიანი ხარ, — ვიმეორებდი მე, — კინაღამ შარს გადამიკიდე. — **О, счастливчик!** — შესძახა პავლემ, — ფათერაკი მაშინ გენახა, ჩემთვის რომ მივდიოდი შეშაზე. მაშინაც ასე წამოვედით, მაგრამ არ გაგვიმართლა! ის-ის იყო ორი ღერი შეშა მოვიძიეთ, რომ ატყდა სროლა. ტანკებმა სროლა დაიწყეს; ამ გამოსირებული კურსანტებისგან ნასროლი, სინამდვილეში მიზანს აცდენილი, ლამის ჩვენი დამიზნებული ჭურვები ტყეში ცვიოდა, ხეები ლანალუნით იმტვრეოდა, იხლიჩებოდა — ძლივს გამოვასწარით,

ბენზე გადავჩით. აქეთ პირი აღარ მიქნია ვ წელია, მაგრამ ისევ შენი ხათრით, თორემ... შენ და ნატამა გემრიელად უნდა გამოგაზამთროთ. გამოგვაზამთრა კიდევ. მერე ქალაქგარეთ, ბუნებაში დავგვატიყა, ოლონდ ღამისთევითო, წინასწარ გავავფრთხილა. თითო ბოთლ არაყს ჩემთანაც კი დავლევდით — ერთი-ორი საათი წაქეფება რა ბედენააო. შაბათს საღამოს გამოვიარეთო. გავეუარეთ პავლეს. მისი ცოლი დავვატიყეთ, მაგრამ არ წამოგვეყა, შინ მირჩევნიაო. ღამისთევით მივდივართ და არ ეჭვინაობო, ჰკითხა ნატამამ. იმან კიდევ, პავლეს ცოლმა (სახელი არ მახსოვს), არხინდა უპასუხა: **Пусть гуляет, так лучше будет. И мне хватит, и другим достанется, ещё в землю закопаем (!)**. მის ნათქვამზე ნატამას ისტერიკული სიცილი აუტყდა, კაი ხანს ვერ გავაჩერე... პავლეს მხარზე გიტარა გაედო, მეორე ხელში კი უზარმაზარი ჩანთით მოჰქონდა არყები, სამწვადე, კიტრი, პომიდორი — ყველაფერი; მე და ნატამას კი ერთმანეთი მოგვეყავდა. ეს ნატამა ხან მხარზე მყავდა გადებული, ხან — ილიაში ამოჩრილი, ხან — ქამრზე გამობმული. მოკლედ, ჩვენ კი მაგრად ვერთობოდით, პავლესი რა გითხრაო. მივანეთ გორინის, მდინარისპირა მდელს. ამინდი იყო ღრუბლიანი — ჩრდილის ძებნა არ დავგჭირებდით. პავლემ შეგვარგო პატივისცემა — ცეცხლის დანთება, მწვადის შეწვა, სუფრის გაშლა — არაფერზე შეგვანუხა. ყველაფერი ეხერხებოდა. თან ისეთი სწრაფი იყო ეს ასკილოიანი კაცი, რომ გაოცდებოდი მისი სხარტი გარჯის შემყურე. სიმღერაც კი იცოდა. ეს შეყვარებულებისთვისო, იტყოდა და დაამღერებდა გიტარაზე. დალევდა. ეს ცალმხრივ სიყვარულისაო — ნატამას თვალს ჩაუკრავდა და დაამღერებდა, ეს — ჩვენი სახელოვანი დივიზიის საპატივცემულოდ, მართლა 9 მაისს რომ დაამთავრა ომიო და ა.შ. რო დაღამდა, წამოწვა ცეცხლთან; **Я трошки покемарю, а молодёжь пусть гуляет**, — ჩაილაპარაკა ჩვენს გასაგონად და ხვრინვა ამოუშვა. ნატამამ თქვა, იქით, ბუჩქებში წავალ, პატარა საქმე მაქვსო, და გაუჩინარდა სიბნელეში. მე კოცონს შევუკეთე. ცეცხლი რომ მომეცხუნა, ვიგრძენი, კაი მაგარი ნასვამი ვარ; მაგრამ გალემილი არა — მოსკიტები მკბენენ და ვგრძნობ, რომ მკბენენ. რადგან ვგრძნობ, გალემილი არ ვარ. ჩამთვლილმასაბით. ალის პარპალმა, ვერსი ტკაცუნმა შემაფხიზლა. პავლეს სძინავს. მოსკიტებს ვერ ვგრძნობ. მარტო ვარ. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ ჩანს, რომ მასთან ერთად მაინც ვიგრძნობ თავი. სევდა მომეძალა. ეს ცა ჰხურავს ჩემს საქართველოსაც, მაგრამ იქ სულ სხვანაირია — აბასთუმანში ცას რომ ვუყურებდი (ამ დროს — აგვისტოში), ბღღვიალა ვარსკვლავები იყო. კი არ ციმციმებდა (როგორც ქალაქის თავზე იცის), მიჭედებულივით უძრავად კაშკაშებდა. 1977 წელს ყანობილის მთიდან წამგვალა მთვარის ჩასვლა რომ ვნახე, დამამუნჯა — მართლა ვერცხლისფერი იყო, თურქეთის მხარეს ჩადიოდა... ჯერ „ნამგლის“ ქვედა რკალი ჩაიყურსა მთებს მიღმა, შემდეგ — შუანელი; ბოლოს „ნამგლის“ წვერი რომ იმალებოდა, ჩასვლის წინ, წამის მეათედში სხივები გაჰყარა, ალპურ ქედზე შუქის ბოლო ნასხლეტი გადმოაფრქვია და მართლა დაღამდა. უმთვარო ღამე მართლა ღამეა, როგორც ახლა... ადექი, ნავბანცალდი ბუჩქებისკენ. სადამდეც კოცონის შუქი უწევდა, იქამდე მივედი და გზა აღარ გავავარდეთ — მეთქი, ფეხზე არ დავიფსა, სადმე ორმოში არ ჩავვარდეთ. კოცონს კი მოვმორდი, მაგრამ ისე ვხურვარ, თითქოს ცეცხლის ალი თან წამომყვა. ახურებულმა ტანმა მდინარისკენ გამიტყუა, გავვრილდეთო. გორინი ჩემთვის მდედრია. გორინს



რომ მდებარეობით სქესი მივაკუთვნე, რამდენადმე მართალი ვარ, რადგან ის არის პეკტი. გრამატიკის მოტრფიალე დრევეობლები დამცინებდა, ეს რომ გაეგო, და ახსნას დამინყებდა, პეკტი მდებარეობით სქესს მიეკუთვნება, მაგრამ მდებარეობა არ არის. აბა, მამრია? ამას უყურე ერთი! ჩემზე ადრე მდინარეში გაგრილება სხვას მოსურვებია. კაბით ვიცანი — კოცონიდან წამოსული ათინათი ყვითელ კაბაზე დასთამაშებდა, ნატამა წყალში შესულიყო წელამდე და კიდევ უფრო ღრმად შედიოდა. ნატამას გორინი მამრი ჰგონია; და თუ ასეა, ახლა მეც რომ წყალში შევალ, ორნი კი არ ვიქნებით მდინარეში, არამედ — ოთხნი: ნატამა, ნატამას გორინი, მე და ჩემი გორინი, და კიდევ — ალკოჰოლი, და კიდევ — ლამე. რამდენი გამოვიდა? ექვსი. მთვრალის გაორებული მხედველობით რამდენი გამოვა? თორმეტი? სათვალავი ამერია უკვე. 9 მაინც ვიქნებით — დრევეობლების გრამატიკაც ხო ჩვენთან არის და თუ ისიც გაორებულია, თერთმეტი გამოვიდვართ, ფეხბურთელთა გუნდით — ბევრნი.

რა დროს ფეხბურთია, ქალი თავს იხრჩობს თურმე. ყველა ქალი არტისტია, ზვიადისტია — გამზვიადებულია. თუ ასაკი ოდნავ მაინც ხელს უწყობს, იმაზე უკეთესად წარმოგიდგენს თავს, ვიდრე სინამდვილეშია და ასევე წარმოგიდგენს იმასაც, ვინც უყვარს. გულითადობას რა სჯობს, შეყვარებულ ქალს რა სჯობს? ქალი რომ გეტყვის, იმ დროს, ჩვენ რომ ვიცით, **Солнышко ты моё!** შეიძლება ბავშვივით დაიმორცხვო, მითუმეტეს, როცა იცი, რომ ამდენის ღირსი არა ხარ — როცა ხვდები, რომ მეტად დაგაფასა, ვიდრე ღირხარ. მეც ვიმორცხვებდი, თუმცა ვცდილობდი, არაფერი შემემჩნია — ვიფერებდი, რომ იტყვიან. იმ ზაფხულის უფარსკვლავე, ღრუბლიან ღამესაც შევიფერე, ოღონდ ოდნავ მოგვიანებით. ახლა კი, ამ წამს მე (ვინც ცურვა არ ვიცი) დახრჩობას უნდა გადავარჩინო ქალი (რომელმაც ცურვა იცის). ახლა რო ვფიქრობ, ვასკენი, ვინც ცურვა იცის, თავს თავდაჯერებულად იხრჩობს — ღრმად ჩაყვინთავს, ჰაერს დახარჯავს, მარტინ ლუთერი რა შუაშია და, მარტინ იდენივით... და სიღრმეშივე განშორება თავის თვითმკვლელ სულს. ნატამას თვითმკვლელობისთვის იმდენი დრო ჰქონდა (მართლაც რომ სდომოდა), ჩემს იქ მისვლამდე მოასწრებდა; მაგრამ არა — დამელოდა და, რომ შენიშნა, მოდისო, მაშინ შეტოპა. კინაღამ დამაჯერა, ისე ღრმად შეიჭრა თვითმკვლელის როლში. გორინი მდორე მდინარეა. თუ თიხნარში არ ჩაეფალი, ისე წყნარად მიგიღებს ზაფხულის ღამეს, თითქოს ნელთბილი აბაზანააო. შევედი. ნატამა შეჩერდა. ზურგით იდგა. ყვითელი, ცეცხლის ათინათიანი კაბა მარაოსავით ჰქონდა გაშლილი წყლის ზედაპირზე. არ მოუხედა. უეჭველია, ესმოდა, როგორ შევებოტე წყალში მის ზურგსუკან. გაინია და უფრო ღრმად შევიდა. წამოვიყვანი, ხელი მოვხევე, მან კი ისევე გაინია და სიღრმისკენ გადადგა ნაბიჯი. შენ ხო არ გაგიყვდი! — ვუბნები, — მიგბრუნდეთ უკან, გაცივდები. მოდი, ხელში აგიყვან და კოცონთან მიგიყვან, გაგაშრობ და დაგახრჩობ ალერსში. ზოგჯერ ასე ნათქვამი ჭრის, მაგრამ ნატამამ ყურიც არ მათხოვა; ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა: სიცოცხლე აღარ მინდა. ნასვამი ქალის ატანა მიჭირს. აბა დროზე, სულელო! — შევანჯღრე და ჩემსკენ მოვქაჩე. ოფიცრულად დაეჭყვილე: **Рядовой Грышук, кругом!** ნუ მშველი, თავი დამანებე, — აკანკალებული ხმით მეუბნება, — გამიშვი, უნდა დავიხრჩო, ასე შენც მოისვენებ და მეც — ჩვენ ერთად ყოფნა მაინც არ გვიწერია. ერთხელაც გაინია, ვერ გადამძალა. თითქოს სულ გამოვფხიზლდი. ვფიქრობ, ცოტაც რომ შეტოპოს, ვედარ შეყვები და თუ შეეყვი, მე თვითონ ვიქნები გადასარჩენი (იმიტომ, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტი არა მაქვს, როგორც ჩემი ძმაცადაც მერაბი ამბობს — ნაჯახივით ვიძირები).

დავინყეთ ბლლარძუნი. ვაჯობე, ცხადია... როგორც მეცხვარემ დავარდნილი ცხვარი, ისე მოვიგდე კისერზე (ტრუსიკიც არ ცმია, თურმე) და ამოვწურწურდი — ხმა აღარ გაუღია. შუა ჭინჭრობში ვიყავით, დაგვიანებული გაძალიანება და სხმარტალი რომ დაინყო. დამსვი, დამსვი, გამიშვი! — იძახდა, თან, მისი

აზრით, მაგრად მჩქმეტდა. იმ სხმარტალით ნონასწორობა დამაკარგინა და წავექციეტი ჭინჭრებში — მოახერხა და ქვეშ მოყვა, გაიტრუნა, მერე აკანკალდა. მეგონა, გალუმპული რომაა, იმიტომ კანკალეს-მეთქი. არა, სხვა კანკალი ჰქონდა. კისერზე მომხვია ხელები და აღარ გამიშვა... ნალმა-უკულმა ვიგორავეთ, წრეზე გადავთელეთ და გადმოვთელეთ ჭინჭარი. ისე ვიყავით გადარეულები, ჭინჭარი და მოსკიტი კი არა, **СС-30**-ის რაკეტა რო ესროლათ, ისიც ვერ გაგვაჩერებდა... ვნების ღრუბელი რომ გაიფანტა, აქა-იქ ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ — გვერდი-გვერდ ვინექით და ცას ავყურებდით. **А могло было быть...** — ჩურჩულებდა ნატამა. არაყი თავიდან გამოდიოდა, ცხვირში სველი ჭინჭრის სუნი მილიტინებდა. დაბუჟებული ვიყავი. **Если б ты подошёл на пару минут позже,** — ასკვინდა ნატამა, მაგრამ დასკვნას არ ამთავრებდა. ერთბაშად მომედო ცეცხლი. თითქოს ჩვენი კოცონი იქ კი არ ენთო, საიდანაც ათინათი ჩანდა, არამედ აქვე, მიწაზე, ზურგზე, ხელ-ფეხზე — ყველაფერზე. თურმე დაბუჟებული კი არა, დასუსტული ვარ და როგორც იქნა მივხვდი. ნატამაც, ვიდრე უძრავად იწვა, ვერ გრძნობდა; როგორც კი ფეხზე წამოყენება დაეუპირე, მაშინვე იგრძნო, რომ დასუსტულია — ზამბარასავით ახტა და მეც ხელში დავიჭირე აკრობატივით. შევცვივდით მდინარეში და ყელამდე შიგ ჩავიყურსეთ; ნეტა გორინი უფრო გრილი ყოფილიყო; თუმცა მალევე კი შეგვცვივდა. ტანსაცმელს ვერ ვგულობდით, მაგრამ მაინც გვეცვა. ცალი ფეხსაცმელი დავკარგე, ჩემი ნაქები ბელგიური ფეხსაცმელი; მასხოს, ჭინჭარში ვეძებდი და ნატამა მეძახდა, ტყუილად ეძებო — იმას ეგონა, მის ტრუსიკს ვეძებდა... ნატამა იოლას გავიდა. ჩემი მაისური ჩაიცვა, ჟაკეტი ქვედაკაბად გამოიყენა, კაბა კი კოცონთან გაფინა გასაშრობად. მე კიდე ხან მცხელოდა, ხან მაციებდა, პავლეს — ეძინა (ლამისთევით, ლამისთევითო, რო დაგვძახოდა). აგე, რა საცოდავად მოკრუნჩხულა ეს დევივით კაცი, მუცლად მყოფი ნაყოფის პოზაში გდია კოცონთან. — **Водка спасение утопающих,** — თქვა ნატამამ და ჭიქა გამომინოდა, დამისხიო. დავუსხი. მეც დავლიე, მაგრამ რაღაც არ მესიამოვნა, მემწარა. მწვადის ნაჭერს დავუნყე ძებნა. ვიდრე ვიპოვიდი, სასმელმა ყელი დამწვა. ვახველე. ყოველ დახვევებაზე კანი უარესად მენვოდა. ისე მქონდა დაჭიმული, ზედ მასკვებოდა პირდაპირი მნიშვნელობით. მერე შემამცივნა, კოცონს შეშა შევუკეთე, ცოტა მეტიც მომივიდა — ცეცხლი ავაბრიალე. თან მძინარე პავლეს ვაკვირდებოდი — ჯერ კისერი გაასწორა, მერე წელში გამიშართა, მერე ფეხები განვართა. **Джикидзе у него столбняк!** — იცინოდა ნატამა („столбняк“, სლავურული ექთნების ჟარგონზე, ერექციას ნიშნავდა). ბოლოს პავლემ გაიღვიძა, წამოჯდა, დააზმულმთქნარა და თქვა: **Да ну вас, к чёрту!**.. მერე მიყვებოდა, ეძინა კი არა... რატომ ფოტოაპარატი არ მქონდა, რომ გადამელოო. ასი წელი არავინ დამიჯერებს, არც მე დავიჯერებდი, ჩემი თვალით რო არ მენახა სასიყვარულო სცენები ჭინჭარში. ფოტო კი არა, იმას ვდარდობდი, რამდენი სუპრასტინი და გადასხმები დასჭირდებათ ამ სულელებს. ერთი პირობა თქვენი გაშველება დავაპირე, მაგრამ ისეთი დამუხტულები იყავით, დენს დამარტყამდითო... როგორც იქნა გათენდა და ნატამას კაბაც გამრა. პავლემ ორი შამფური მწვადი შეწვა — სულ ნარჩილა ნაჭრები — ნუხელდანუნებულები; მაგრამ ისე გემრიელად ვჭამეთ ის ძვლიან-ხრტილიანი ნაჭრები, რომ ნატამას ბუენი ც გადაეყლაპა. ხუთი დღე მე და ნატამა ერთმანეთს არ მივკარებოვართ. ცალ-ცალკე ვინვოდით პირდაპირი მნიშვნელობით — დაფოთლილები ვიყავით. ყველაზე ძნელი მაინც ორშაბათი იყო — სამსახური. გაკვირებული გამულა სახეზე მაკვირდებოდა; დილიდან მითვალთვალებდა, მაგრამ არაფერს მეკითხებოდა. რა ბებიაშენის გინდა-მეთქი, ვფიქრობდი. ბოლოს მართლა ვკითხე. აღერგა ხომ არ გაქვსო... რაზე გაქვსო... ჩემზე გაქვსო?... გამულას ვერ ვიტანდი. სიძულვილი არ შემიძლია, მაგრამ იმ ოფიცერს, უფროს ლეიტენანტ გამულას მართლა ვერ ვიტანდი.

საქმრობაზე ნაღირობა

გასათხოვარი ქალები საქმროების ძიებაში იყვნენ. ადგილობრივი კანდიდატები უკვე გამოიფრული ჰყავდათ. დივიზიაში კი, ლამის ყოველდღიურად, ახალი „გაუშიფრავი“ ოფიცერი ჩამოდიოდა; ძველი, კარგად ნაცნობი და „უსინდისო“ კი მიდიოდა. ამ ქალების ფიქრის ნაკითხვა ძნელი არ ყოფილა; სახეზე ენერჯი, რომ საკუთარ თავს ესაუბრებოდნენ: რა კარგად გამოიყურებიან ეს ახალგაზრდა ოფიცრები! ზოგიერთები ითხოვნიან აჩაჩულ-დაჩაჩულელები კი არ დაიარებიან. როგორ უხდებათ სამხედრო ფორმა!.. კარგი ჯამაგირი!.. სამხრებზე ვარსკვლავები უბრჭყვიალებით, რა მნიშვნელობა აქვს — რამდენია... თუმცა როგორ არა აქვს მნიშვნელობა! რაც უფრო ცოტა ვარსკვლავი აქვს, მით უფრო ახალგაზრდაა, უფრო უცოლოა. ოთხვარსკვლავიანი (კაპიტანი) რომ კურკურს დაგინებებს, არ ენდო — შეიძლება II კრუგზეა, ან სულაც III-ზე. დიდვარსკვლავიანებზე არც იფიქრო. ეგ მერე, თუ ახლა არ გაგიმართლა და 30-ს გადაცილდი. მაიორები და პოდპოლკოვნიკები სამსახურში არიან მაგრები, სიყვარულში კი — არა. ლეიტენანტი ჯობია, „სტარში“ ლეიტენანტი — მთლად უკეთესი, ოღონდ... ოღონდ თავიდანვე კარგად გამოიძიე, კადრის ოფიცერი თუა. ასეთ კაცთან ერთად შეიძლება მთელი ქვეყანა მოიარო. ჯამაგირი კარგი აქვს. თადარიგში ადრე გადის. შემოივლით მთელ ქვეყნიერებას, მერე კი შავიზღვისპირეთში აირჩევ ნებისმიერ ქალაქს და იქ დასახლებით. აბა, რა! ჩემმა კლასელმა გენამ რო შემაცდინა და მერე უბნის ბიჭებში გამოიბაზრა, სამაგირო რით გადავუხადო! მის ჯინაზე ისეთ საქმროს გავიჩენ, თვალეები დაეთხრება გენასაც და ჩემს მეზობლებსაც, განსაკუთრებით გენას!.. მირჩევნია ნებისმიერ ოფიცერს მივცე, ვიდრე ამ უსაქმურს, რომელიც ყოველ საღამოს სადარბაზოსთანაა დაყუდებული თავის გამოსირებულ ძმაკაცებთან ერთად და ასე ერთად მიყურებენ, სიარულისას რა მოხდენილად ადი-ჩამოდის ჩემი თეძოები. ჰოდა, იოცნებონ, მე მაგათ ზედაც არ შევხედავ... ფრთხილად, უცოლო კადრის ოფიცერი შეიძლება მექალთანე იყოს. ასეთთან არ დაიმორცხვო, გაბეჭდოლე მოექეცი, ანუ ისე, რომ შენსკენ ღრმად შემოტოპოს. მისი მორჯულებისთვის ყველაფერი უნდა იღონო; თუმცა არც ყველა სურვილი უნდა აუსრულო. დროდადრო უნდა შეაფხიზლო, შეახსენო: შენ მე ვინ გგონივარ?! ქუჩის ქალი ხომ არ გგონივარ!.. და ასე საბოლოო გამარჯვებამდე. თუ აღმოჩნდა, რომ მოწონებული ოფიცერი მთლად ნამდვილი არ ყოფილა და „დეუზგოდინიკი“ აღმოჩნდა, არც ესაა ცუდი. აგე, ჩვენი სვეტა უფროსი და — ანიკა, შარშანდღე „დეუზგოდინიკს“ არ გაჰყვავა?! ამ ზაფხულს აქ არ იყვნენ სტუმრად ჩამოსულები?! ზავშიც შეძენიათ. როგორ ჰყვარებიათ ერთმანეთი — რა კარგად გამოიყურებოდნენ, განსაკუთრებით ანიკა — თვალეები ზედ დამრჩა. ეტყობა, სიყვარული მართლა კარგად მოქმედებს ქალზე. მანამდე ვინ იყო ანიკა? ერთი ჩვეულებრივი გოგო, ჩემსავით მეოცნებე, მაგრამ ნახე, როგორ გაუმართლა! იმ კაცსაც როგორ გაუმართლა, რომ მაინცდამაინც სლაუტაში მოუწია სამსახური. მოდი და თქვი, ბედისწერა არ არსებობსო. არსებობს და მერე როგორ!.. ის ბუკოვინელი ანდრეი არ იყო ჩემი ბედისწერა, თუმცა მასთან ყველაზე კარგად ვგრძნობდი თავს. თავსაც და ყვე-

ლაფერსაც. მამაჩემის ბუზლუნის მიუხედავად 32-ჯერ შევხვდი — 2-ჯერ აშკარად და 30-ჯერ ჩუმრუმად. მაინც ვერ მოვიხადირე. გამექცა, გამეპარა უსინდისო. როგორ ვერ მივხვდი, რომ რიხნოს ძმაკაცს არ უნდა ენდო. სწორედ ის რიხნო ეტყოდა ჩემზე რალაცებს — ცუდს ეტყოდა და ანდრეიც დაიჯერებდა. თუ დაიჯერა, რატომ კაცურად არ მიმატოვა... რატომ გაიპარა ბებრის მუცლის გაზივით?.. ასე იყო, ასე! ვინც კი გამენდო, ყველა ქალის ისტორია ერთმანეთს ჰგავდა გათხოვებამდე. ასე იყო! არაყი, კოცნა, ალერსი. კოცნა, არაყი, ალერსი. ალერსი, კოცნა, არაყი... თითქოს კაცი მართავდა ხომალდს, აფრები აშვებული იყო, ზურგის ქარი ქროდა და მიდილი!.. უცბად კითხვა, მეჩქივით შეკითხვა — **А ты на мне женишься?**.. ეს შეკითხვა უნდა დასმულიყო. ადრე თუ გვიან უნდა დასმულიყო. ამ შეკითხვას გულმოდგინედ ამზადებდა საქმროზე მონადირე ქალი



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

— დროს ურჩევდა, როდის დაესვა, სად ჩაერთო: ორ კოცნას შორის, ორ ალერსს შორის, ორ სადღეგრძელოს შორის, თუ სულაც სხვა დროს (მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტელეფონით საუბრისას, როცა „არა“-ს თქმა ნებისმიერს ეიოლებს). ასევე მნიშვნელოვანი იყო, სად უნდა დაესვა შეკითხვა საქმროზე მონადირე ქალს: გემზე ასვლამდე თუ ხომალდზე ასვლის შემდეგ; მაშინ, როცა გემი ჯერ კიდევ ნაპირსაა მიბმული, თუ პირიქით — როცა აფრები აშვებულია. აგე, მეჩქი! — ფიქრობდა ხომალდის მესაჭე კაცი, — შევჯდე მეჩქიზე თუ მოგუხვიო, ვიდრე გვიანი არ არის. ზოგი უხვევდა, კარგად მანევრირებდა; უფრო მეტიც, ზოგს ცურვა იმიტომ აინტერესებდა, რომ მეჩქიებს შორის მანევრირება არ-თობდა, ახალისებდა, რადგან ჯომარდი გახლდათ; ზოგიც პირველივე მეჩქიზე შეჯდებოდა და მერე როგორ ცხოვრობდა, ჩემისთანებისთვის უცნობი იყო. როჟკოს არც მანამდე ეხატებოდა გულზე სლაუტაში ცხოვრება. ალბათ გახსოვთ, ჩემს სამუშაო კა-

ბინეტში, სარკეს მიშტერებული, საკუთარ თავს რომ ეუბნებოდა: **Славута, тоска моя зелёная**... ცოლის შერთვის შემდეგ სულ აიყარა გული იქაურობაზე. იქნებ სადმე რიხნოიდულ გამონათქვამს მოჰკრა ყური. იქნებ ცოლი აძალეუბა, მოვმორდეთ აქაურობასო. გამოვიცანი: იმ ქალს თავისი ცუდი ნარსულის ქალაქში ცხოვრება აღარ უნდოდა. აბა, რა! ხომ დაუმტკიცა ყველას, როგორი ჭკვიანია. ხომ დაუმტკიცა ყველას, რომ, რიხნოს ნათქვამისა არ იყოს, „ცხრა ყ...ზე გადამხტარის“ გათხოვებაც შესაძლებელია. ჰოდა, დაოჯახებულს სულაც არ უნდოდა, რომ შვილი მისი ამ ქალაქში დაბადებულიყო, ამ „ვოენგოროდოკში“, სადაც აქა-იქ ბოლშევიკი, ბოროტი კავალრები, ყოფილი კავალრები ბინადრობდნენ. აქ, სადაც მისი შვილისთვის შეიძლება ვინმეს რამე უწმინდური ნაშრომია. თავიდან გამარჯვებულის როლში ყოფნა ძლიერ სიამოვნებდა. თავმომწონე მზერას მოირგებდა, ქმარს ხელკავს გაუყრიდა და დაატარებდა-დასაეირნებდა (როჟკოს პირიქით ეგონა — მე ვასეირნებო) ქალაქის ქუჩებში, ცენტრში, გაღმა-გამოღმა, სამხედრო გოროდოკში, ბაზრობაზე, ბუნებაში, პანაშვიდებზე, ქორწილებში (არა, ვტყუი).

ქორწილებში არ მიჰყავდა ქმარი. იქ ხომ სხვა გამარჯვებულ ქალი-პატარძალი დახვედებოდა, სავარაუდოდ — მასზე ლამაზი, და მერე რალა ექნა — ხო გასკდებოდა შურით; მითუმეტეს, ნეფეც, როჟკოსთან შედარებით, უფრო ახალგაზრდა თუ აღმოჩნდებოდა. ასე იყო, ვიდრე ორსულს ნაბიჯი დაუმიმდებოდა

და ნამდვილი ფეხმძიმე გახდებოდა. ფიქრობდა. ანმყო რომ წარმატებულად ჩათვალა, მომავლისკენ გაიხედა. როჟკოს ოჯახში, ცოლის მუცელთან ერთად, აყრის და სხვაგან გადასახლების სურვილიც იზრდებოდა. ამ სურვილის ნაყოფი უფრო ადრე იშვა, ვიდრე როჟკოს ქალიშვილი. **К тебе попрощаться придти не успеваю, хорошо, что встретились,** — მითხრა კაპიტანმა როჟკომ ერთხელ, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისას, — **переводят меня, не скажу — куда.** მიხრწნილი ბებერივით, უფრო სწორად, დამარცხებული ლეგიონერივით მელაპარაკებოდა. კი, დროშადაკარგული, გასაუქმებელი ლეგიონის მეომარივით ლაპარაკობდა. მეცოდებოდა-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვარგა — რაღაც ისე გამოვა, თითქოს მე რა გამჭრიახი ვარ და ის კაცი კიდე, რა სუსტი და დაცემულიაო. უბრალოდ, გული მწყდებოდა — კაცი ვიოლინოზე უკრავდა „მოსკოველი ვირტუოზივით“ და აღარ უკრავს. იაკუტის ფრუსტრაციიდან გამოსვლა ვერ მოასწრო, არ აცალეს, რომ „ვანს გაეყარა და უის შეეყარა“. ჩემს თვალწინ, ერთ წელიწადში დაბეჭავდა პიროვნება — დაიღალა, ალბათ. უკვე სულერთი იყო მისთვის, სად გარიყავდა დინება; მთავარი ის გახლდათ, რომ დინების მიმართულება სწორი იყო და ეჭვს არ იწვევდა, სავსებით სწორად ნაიღებდა კაპიტან როჟკოს და სავსებით დამსახურებულად გარიყავდა პენსიაზე. ე.ი. სად მიემგზავრებოდა, მაინც არ მითხრა. ადრე ნათქვამის მიხედვით ვიცოდი, განცხადება-თხოვნა ჰქონდა დაწერილი კადრების განყოფილებაში, რომ გაეგზავნათ ნებისმიერ სამხედრო ოლქში, ოღონდ მორიგი ზემდგომი ნოდების (ე.ი. მაიორის) შესაფერის თანამდებობაზე. მაგარი განცხადებაა, მე რომ მკითხოთ. არ ვიცი, ოფიციალურად როჟკოს განცხადება, მისივე ხელმოწერით დადასტურებული, როგორ წაიკითხა, მე კი ჩემებურად ნავიკითხავთ მის ფარულ შინაარსს: „ოღონდ ამ სლაკუტისგან მომამორეთ და ნებისმიერ სხვა ადგილზე წამსვლელი ვარ. თუ ნოდებით დანაწიურების შანსსაც მომცემთ, დიდად მადლობელი დაგრჩებით. თქვენი ტანჯული და მედიცინის ერთგული, კაპიტანი როჟკო“. ე.ი. არ მითხრა. ჰოდა, რო არ მოვეშვი, რომ ჩავაყინდი, სად მიდიხარ-მეთქი, გაეცინა: **В шангрилу, через шамбала.** მაშინ არც შანგრილა ვიცოდი (ახლა მთელმა თბილისმა რო იცის ვითომ) და არც შამბალა (რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ დაართქვას თავის ისედაც შეზღუდულ შპს-ს). სასიამოვნოდ გაკვირვებული დამტოვა და წავიდა. ცოტა იმედი მომეცა, გაუძღვებ-მეთქი **тоска зелёная**-ს, რომელსაც აქამდე სლავურტას სახელი დაანათლა, მაგრამ ცდებოდა. თავიდან ხო ასე არ იყო.

რეჟული

ერთხელაც შემომითვალეს, პოლიტმეცადინეობებზე არ დადიხარ, პაციენტები არ გიშვებენ, გასაგებია. ახლა კონსპექტების რეჟულს ვიგზავნით, გადაწერე და ერთ კვირაში გამოგვიგზავნე; თუ არადა, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალო. ასე ფურცლიანი რეჟული იყო გადასაწერი. ვილაც „ხუთოსანი“ ოფიცრის რეჟულიდან უნდა გადაამწერა მთელი წლის კონსპექტები ლენინურ-ბრეჟნეველი მოძღვრებისა. გამახსენდა, პაციენტი მყავდა ერთი, ოფიცრის ცოლი — შტაბში მუშაობდა. კბილის ამოღებისას ჰაიმორის ღრუ გაეხსნა და ჭრილობის შეხორცება გაუჭიანურდა. ერთხელ იყო, ორჯერ იყო შემომწმებაზე. ძალიან შეწუხებული ჩანდა, არა იმდენად თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, არამედ იმით, რომ (რადგან მე მასზე ვზრუნავდი, მასაც) უნდოდა, რაღაცით პატივი ეცა, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლეოდა. ერთხელ გაბედა და მითხრა, რამე არა გაქვს დასაწერი? მე დაგინერო (ოფიცრის ცოლი იყო და იცოდა, რომ ასეთი რაღაცა, ანუ კონსპექტების წერა, საჭირო იყო ხოლმე). მე მაშინ ვიუარე, არ მჭირდება-მეთქი, და ახლა, როცა ეს ოხერი დაკონსპექტება აუცილებლად უნდა მომეხსნო კვირის განმავლობაში, იმ ქალს ვთხოვე გადაწერა. საიმოვნებითო. არ ვიცი, ამაში რა საიმოვნება ნახა, მაგრამ ორ დღეში

ის ასე ფურცლიანი რეჟული გადაწერა და მომიტანა. მადლობა ვუთხარი. არაფრის, პირიქით მადლობა თქვენო — ძალიან პაციენტები დამტოვა. ის რომ წავიდა, გადავშალე რეჟული და თვალი ვერ მოვწყვიტე ნაწერს — კალიგრაფია ჰქონია ულამაზესი. ვიჯექი და ვათვალიერებდი, ნება-ნება ვფურცლავდი რეჟულს. ნაკითხვა არც მიცდია. არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ ლენინიზმის და ბრეჟნევიზმის თეზისების სწავლა მეზარებოდა, არამედ იმიტომ, რომ თვალმა გამიტაცა — გადამწერს ერთი ნაჩხაპნიც კი არ მიუყენებია იმ 100 ფურცლისთვის (ალბათ ასეთი ოქროს კალიგრაფიით წერდნენ გუტენბერგამდე). არცერთი შეცდომა, არცერთი კალმის „გაქცევა“, გადატანის წესები — დაცული, სიტყვებს შორის მანძილი — ზუსტად მოზომილი, „მინდორი“ — დაცული, პარაგრაფის ნიშნები — სტამბური ნაბეჭდვით სიმეტრიული... ეს მწერალი ქალი ადრე, შუა საუკუნეებში რომ დაბადებულიყო და ასე ეწერა, უსათუთეს ტექსტებს ანდობდნენ გადასაწერად... შევწუხდი. ორი დღის შემდეგ შემომიარა, არა როგორც პაციენტი, ისე — აინტერესებდა, როგორ მოგეწონათ შენ და შენი პოლიტმეცადინეობების პედაგოგს ჩემი ნაწერი კონსპექტებიო. იმას ეგონა, ვიკითხე-ვისწავლე და გამოცდა ჩავაბარე. მე კი ის რეჟული მაგიდის უჯრაში მედო და არც წამიღია სადმე, მრცხვენოდა. უჯრიდან ამოვიღე მისი ფაქიზად შევსებული რეჟული, გადავშალე, ვაჩვენე. ჩემი საქციელი უმადურობას ჰგავდა, მაგრამ რა მექნა, რადგან დაინტერესდა, მეც ჩემი სათქმელი ვუთხარი: ეს ლამაზად ნაწერი მე არ შემეფერება, მრცხვენია, ამას ვერ გავუგზავნავ პედაგოგს. რამე ოროსნულად გაგეჯღაბნა, ან ფურცელი ცოტა მაინც მოგეჭმეჭნა-მეთქი. ეგ არ არის პრობლემაო. რეჟული გამომართვა, გადააგრიხა-გადმოგრიხა, კარგად დაჭმეჭნა და მომანოდა — ახლა ცოტა ხანს ზედ დააჯექიო. დავაჯექი. კომპარტიული სიბრძნე თავში არ შედიოდა და უკნიდან როგორ შევიდოდა. საკმარისიაო, მითხრა, მომეცი, მე თვითონ წავუღებ იმათო. ავიღე ის შემთბარი რეჟული, გავფერთხე, თითქოს მტვრიანი ყოფილიყო, და მივანოდე. ნაილო. პოლიტმეცადინეობებიდან არაფერი ისმოდა. რადგან არავინ შემანუხა, ე.ი. რეჟულმა გამოცდა ჩააბარა. ის ქალი კიდევ ორჯერ იყო ჩემთან შემომწმებაზე. ჰაიმორის ფსკერიც, ბოლოსდაბოლოს, შეუხორცდა. დავემშვიდობე, კარგად ბრძანდებოდათ, მე აღარ დაგჭირდებათ-მეთქი. ისიც დამემშვიდობა მადლიერი პაციენტის მხრივ. მეგონა, ყოველთვის ვხვდებოდი ქალის ინტერესს, განზრახვას. თუ ქცევაზე არ ეტყობოდა, სიტყვებს შორის გამოსჭვიოდა სათქმელი, რომელიც მესმოდა — შესტიკულაციაზე, გამოხედვაზე, მგონია, ვრეაგირებდი ადეკვატურად. თუ ქალის ქცევა, სიტყვა, შესტიკი, გამოხედვა ნიშანდებული იყო მოწონებით, მეც ვპასუხობდი... და კარგადაც ვგრძნობდი ასეთ ქალთან თავს, ვიდრე თავთხელის და მეჩერიის მოჩვენებას არ დანწყნდებოდა. ჰოდა, ასე — თავს ვიქვს, ძალიან მიხვედრილი და გამგებიანი ვიყავი-მეთქი, იმ ქალს კი ვერაფერი შევატყვე. მას შემდეგ არც მინახავს. ნახევარი წლის შემდეგ ქმართან ერთად ლენინგრადის ოლქში გადავიდნენ საცხოვრებლად-სამსახუროდ; მანამდე პავლესთვის უთქვამს (მის მეზობლად ცხოვრობდა): ჩემი ნასვლის შემდეგ მაგ ბედოვლათს უთხარი, რომ მიყვარს და მისამართს გიტოვებ, გადაეციო... გაგიჟდები კაცი. ზოგი თავისი გრძნობების სხვასთან გათქმა-გამჟღავნებას ერიდება და მგონია, სწორიცაა. ამ ქალმა კი რა ქნა: მე არაფერი მაგრძნობინა, პავლეს კი გამოუტყდა; მისამართით ცო დაუტოვა, მომწეროსო! არადა ფსიქიკური აშლილობის ნიშნებიც არ შემინიშნავს, არანაირი. ჩვეულებრივად იქცეოდა. თუმცა სხვისი 100 ფურცლიანი რეჟულის საგულდაგულოდ გადაწერა, თანაც ორ დღეში, მთლად ნორმალური არ უნდა იყოს ქალისთვის, რომელსაც ქმარი ჰყავს; რადგან ოჯახში ისედაც ექნებოდა სავალდებულო საქმე, სარეცხი, საჭმელი და, გნებავთ, საწერიც. ასე „ვემსჯელებ“ პავლეს, მეგონა დამეთანხმებოდა, იმას კი გაეცინა. რა გაციენებს-მეთქი, გამიკვირდა. შენ ის კონსპექტები თუ ნაკითხე, თვალი თუ გადაავლე მაინცო. კი-მეთქი,

გადავთვალე ვერ დაგივთვალე რეზიუმე კარგადო. მაგ რვეულში ყოველი მესამე გვერდის ერთი აბზაცი შენთვის იყო მოძღვნილი. ის ქალი არაფერს გეუბნებოდა, მაგრამ 33 მოკლე წერილი ჰქონდა მონერილი, სიყვარულს გიხსნიდა. შენ კიდე ამბობ, ვერაფერი შევატყუო. შემრცხვასავით. დამაბნია ვაგონილმა... პავლეს მისამართი არ გამოვართვი — ქმარ-შვილიანი ქალის სიყვარული მაკლდა სწორედ, მასთან მიწერ-მოწერის გაბმა, მაკლდა. ამით თავი არ ავიტყვი, რვეულმა კი დამაინტერესა. მოვიძიე. რად გინდა ეგ კონსპექტებიო, გაუკვირდა პოლიტმეცადინეობის ინსტრუქტორს — აააა, მივხვდი! კომპარატივაში შემოსვლა მოგიხდა ხომ?

მე მაგ დონეზე არ მოგმნიფებულვარ-მეთქი, ვუპასუხე სრულიად მშვიდად (დამამშვიდა იმან, რომ ამ ვითომ-პედაგოგსაც არ ჰქონდა ნაკითხული ჩემი რვეულის არც თემატური ტექსტი, არც, მითუმეტეს — სასიყვარულო ჩანართები). რვეული ხომ ჩემია, მინდა დავიბრუნო, ხანდახან ჩავხედავდი, უფრო ღრმად გავიზრებდი შიგთავსის შინაარსს-მეთქი. პოლიტპედაგოგი კარგად დამაკვირდა, სახეზე ეწერა: შენ მგონი მთლად საღ ჭკუაზე არ უნდა იყო, მაგრამ ისეთი ვინმე ჩანხარ, მართლა რაღაცა გექნება ჩაფიქრებული, და აჰა, შენი კონსპექტები, არსად დაგეკარგოსო. მაჩვენა. რვეული ეგრევე ვიცანი — ლურჯი ზოლები ჰქონდა გარეკანზე და, მაშინ რომ ზედ ვაჯექი, იმის შედეგი — ყდის ნატეხი ხაზიც ეტყობოდა დიაგნოსტიკურად. ხელიდან გამოვტაცე პოლიტინსტრუქტორს და წამოვედი. გაზონებს შორის ქვეითად მოვედიოდი. ლაზარეთისკენ ფეხით სიარულში ვერ მოვითმინე და რვეული გადავშალე. ის ქალი ხომ არ მიყვარდა, მაგრამ მაინც მაინტერესებდა: იმას თუ ვუყვარდი, კალამს როგორ ათქმევინა სიტყვიერად. ის ხომ კალამს ფლობდა უმაღლეს დონეზე. კი არ წერდა, ხატავდა. სიყვარულს როგორ გამოხატავდა ნეტა?! ბევრი ძეგნა საჭირო არ იქნება, 33 წერილიდან რომელიმეს მალევე წავაწყდები, ერთ-ორ გადაფურცვლაზე. გადავშალე რვეული და... ფეხი-ფეხს წამოვკარი... კინაღამ სწორ ადგილზე კისერი მოვიტეხე — მოულოდნელობისგან წაგზარბაცდი და დავექი. კალიგრაფია ვერ ვიცანი: არც სტრიქონის სისწორე, არც გადატანის წესები, არც მინდორი — უარყოფილი პუნქტუაცია სადღაც გადაკარგულიყო... არც მეორე გვერდი დაბრუნებულა, არც მეთათეზე. წამდვილი ოროსნული ნაშრომი იყო — ასეთ ნაწერში სასიყვარულო ჩანართების მოძებნის ხალისი აღარ მქონდა (არც იქნებოდა)... მივდიოდი ლაზარეთისკენ და ვფიქრობდი. იმ ქალის საქციელი მიკვირდა. თხოვნა შემისრულა — არ დაიზარა და ის ოხერი 100 ფურცლიანი რვეული მეორედ გადაწერა, უკვე ოროსნულად, აცა-ბაცა კალიგრაფიით; შეცდომებით გაავსო და გადაავსო გვერდები — ინვალია ეს იგი. მომძვინვარედი. ხომ წარმოგიდგინათ, პროფესიონალ ვოკალისტს რომ სთხოვო, შენი არია თავიდან ბოლომდე გააყალბე და უსმენოდ იმღერეო. გაუჭირდება შენი თხოვნის შესრულება — ის ხომ სწორად სიმღერას არის მიჩვეული. ჰოდა, ასეთი ახირებული თხოვნა რო შეასრულოს, კარგა გვარია-ნად მოუწევს გარჯა, სინამდვილეში წვალება. რა უტანჯია იმ ქალს! ის კარგად ნაწერი რვეული კი ალბათ სანაგვეში მოისროლა... რა ეგონა მაინც, ჰა? მე რომ ბრეჟნევის ნაშრომების უსიცოცხლო ტექსტის კონსპექტებში სასიყვარულო ჩანართები აღმომეჩინა, ამით რა ხეირი ექნებოდა, ჰა-იმორის ნახვრეტი უფრო სწრაფად შეუხორცდებოდა თუ რა?! არც ეგ არი გამოცხადი. ორი „ტრუპის“ თეზისების გადწერისგან მოწყენილი, სიამოვნებით

თხზავდა საკუთარ თეზისებს (თუმცა 33 მაინც ჭარბია 2 დღე-ღამის განმავლობაში), სიამოვნებდა და დადებითი ემოციებით იყო დამუხტული. ეს კი ორგანიზმისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე ანტიბიოტიკი, რომელსაც ის ქალი ჩემი ხათრით სვამდა. ჰოდა, არ არის გამოცხადი, რომ დადებითმა ემოციებმა მისივე პატრონის ჰაიმორის ფსკერის შეხორცება დააჩქარა. თუმცა ყველაფერი ეს დადებითი, რაც წერას თან ახლდა, ჩემამდე არ მოჰყვებოდა. არაფერი ეტყობოდა, თორემ მართლა ბრმა ხომ არ ვიყავი, ხომ შევნიშნავდი!.. არა, ჩვეულებრივი პაციენტით იქცეოდა — სავარძელზე რომ დაჯდებოდა, ბორმანქანის შუქს ავანთებდი, თვალებს დახუჭავდა და პირს გაალებდა; ან პირიქით, განათებას რომ გამოვრთავდი — პირს მოკუმავდა და თვალებს გაახლდა. შეყვარებული ქალეზი ასე არ იქცევიან — ისინი მუდამ თრთიან (ან აჭრფოლებთ), მითუმეტეს შუქის ჩაქრობის შემდეგ... და შუქის ანთებისასაც, სხვათა შორის... ეჭვი არ მეპარება, იმ ქალს, ვისი არც სახელი მახსოვს და არც გვარი, იმ დღეების განმავლობაში, ვიდრე ჰაიმორი ღია ჰქონდა, დღე და ღამე ვახსენებდებოდი; მაგრამ ხმამალა არ მახსენებდა, თორემ ერთხელ მაინც ამივარდებოდა სლოკინი და მივხვდებოდი რამეს. ჰო, პირიდან ცხვირში ჰაერი რომ გარბი-გამორბოდა, ამის გამო ხშირად ვახსენებდებოდი; ალბათ, დაძინებამდე განსაკუთრებით ცხადად ვახსენებდებოდი, ქმარს კოცნაზე უარს ეუბნებოდა (რადგან ღია ჰაიმორით კოცნაობა ვერაფერი სიამოვნებაა, შეგიძლიათ სიტყვაზე მენდოთ). იქნებ ამის გამო ქმარი აეჭვიანა კიდეც და, რადგან აეჭვიანა, ამავედროულად ჩემი შეყვარებაც დააპირა. მე ბედოვლათმა მხარი არ ავუბი ამ გამოგონებაში. არადა, რა უშაკუნა ყოფილა, რა კარგად სცოდნია კაცის ავანაზანი, რა უკაიფია თავისთვის მარტოს! როგორც კალიგრაფია ჰქონდა — ზუსტი და პუნქტუალური, ისე ზუსტად და პუნქტუალურად დაუჭმუჭნია, ზუსტად ისეთი რვეული, ზუსტად ისე ჩაუტეხია ყდა იმ რვეულივით, მე რომ ვაჯექი... და შეიძლება თვითონაც ზუსტად ისე აჯდა ჩემსავით და გუნებაში ელიმებოდა: ადრე თუ გვიან ხო ნახავს თავის რვეულს, ისევ ის ეგონება (ლამაზად დანერვილი), გადაშლის, გადაფურცლავს და დაიშოკება. დაიშოკოს — ასე მოუხდება. ყველაფერს თუ დაფარულად აკეთებდა, განიცდიდა, საიდუმლოდ ინახავდა, რაღად გათქვა პავლესთან? ალბათ მის ფანტაზიებს ჯერ კიდევ ჰქონდა ინერცია. ამ ქალმა გრძნობა ვერ ჩაკლა ჯღაბნით, ოროსნულ რვეულთან სადისტური მოპყრობით და რა ექნა? რაც მოიფიქრა, ეგ არი — თვითდასმენა გადანყვიცა.

ახლახან გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტის გამოცემლობათა გაერთიანების ერთ-ერთმა ცნობილმა გამომცემლობამ „ვაიმარერ შილერ პრესე“ გამოსცა გერმანისტი ნინო ბაქანიძის ნიგნი „ოტილიე და ორი ქალი“, რომელიც აერთიანებს გოეთეს მოტივებზე შექმნილ სამ ნოველას: „ოტილიე და ორი ქალი“ (მთარგმნელი – თამარ მეცხოვრიშვილი), „მეფისტოფელი და პუდელი არტემონი“ და „დიდი ბაბუა გოეთე ანუ მათთვის, ვინც გოეთეს უკანონო შვილების ძიებითა და ინტერესებულნი“ (მთარგმნელი – პროფ. მანანა პაიჭაძე).

ნიგნის გაფორმება ეკუთვნის არქიტექტორ ირაკლი ბაქანიძეს, რომლის ილუსტრაციებმა გამომცემლობის განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა.

გამომცემლობის ლექტორატი ნიგნის დანართში აღნიშნავს, რომ ნოველებში პოეტთა მეფის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს პიროვნება მთელი მისი მრავალფეროვნებითაა წარმოჩენილი, რაც ქართველი ავტორის ფანტაზიის სიუხვეზე მეტყველებს. აღნიშნულია აგრეთვე, რომ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნინო ბაქანიძე არის ვაიმარის გოეთეს საზოგადოების თბილისის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, სამეცნიერო შრომებისა და მონოგრაფიების ავტორი. (მათ შორის - „გოეთე და ეზოტერიზმი“, 2004). საქართველოში მიღებული აქვს ლიტერატურული პრემიები.

ნინო ბაქანიძის ცნობით, გამომცემლობა „ვაიმარერ შილერ პრესე“ მომავალშიც აპირებს მასთან თანამშრომლობას.



ორი ტომი, ორი რეჯენზენცი

ლია კარიჭაშვილი

ერთობლივ, მთლიან სისტემად

„ქართული ლიტერატურის“ 4-ტომეულის I ტომი ეთმობა ძველ ქართულ მწერლობას (რედაქტორი - ბეგო ბეჟუაშვილი). წიგნი მოიცავს 424 გვერდს, იწყება იაკობ ხუცესისა და მთავრდება თეიმურაზ ბაგრატიონის შემოქმედებით. ნარკვევებს უძღვის შესავალი წერილი „ქართული დამწერლობისა და მნიგნობრობის სათავეებთან“, ერთვის წიგნის ავტორთა — გიორგი ალიბეგაშვილის, რევაზ სირაძისა და ნესტან სულავას — ბიოგრაფიები.


შესავალ წერილში, რომლის ავტორია გიორგი ალიბეგაშვილი, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია წამოჭრილი, მათ შორის უმთავრესი — ქართული დამწერლობისა და მნიგნობრობის საწყისი ეტაპი, მისი თავისებურებანი და მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე შემორჩენილია წარმართულ ეპოქაში შექმნილი ზეპირსიტყვიერების ცალკეული ნიმუშები, ქართულ სინამდვილეში წიგნი და მნიგნობრობა ქრისტიანობას დაუკავშირდა. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არგუმენტირებულია მოსაზრება, რომ ჰაგიოგრაფიული ჟანრის პირველ თხზულებად „წმინდა ნინოს ცხოვრება“ უნდა მივიჩნიოთ (რევაზ სირაძე). XI საუკუნემდე ქართული მწერლობა სასულიერო შინაარსისაა, თუმცა აქვე იგულისხმება მისი საისტორიო და საკუთრივ მხატვრული მნიშვნელობანი.

„როგორია შუა საუკუნეთა მწერლობა, ამ ხანგრძლივი ეპოქის სამწერლობო ენა, როგორ იქმნებოდა წიგნები, როგორ თხზავდა შემოქმედი თავის ნაწარმოებს, როგორ ყალიბდებოდა მარადიული მხატვრული სახეები ან წამიერი ზეშთაგონებით ნასაზრდეოები პოეტური ფრაზები თუ ხატები. ყოველივე ეს ერთობლივად, მთლიან სისტემად უნდა წარმოვიდგინოთ, რათა გავიანზოთ, თუ როგორ მყარდება დიალოგი არა მხოლოდ ჩვენს თანამედროვე მწერლებთან, არამედ წინაპარ შემოქმედებთანაც“.

სწორედ ამ გარემოებათა ჩვენება გვესახება გამოცემის უმთავრეს მიზნად.

შუასაუკუნეების მწერლობის ძირითადი თემა ადამიანის ფენომენია, ეს, ცხადია, ზოგადად მწერლობის უმთავრესი პრობლემაა, თუმცა სასულიერო ლიტერატურას ხედვის თავისი რაკურსი აქვს. მისთვის საყურადღებოა ადამიანის ორგვარი ბუნება, სულიერ და მინიერ საწყისთა შორის ყიდილი. ნების თავისუფლება და სხვა. განსხვავებულია მისი ესთეტიკაც. აქ ადამიანის გარეგნული მშვენიერება არ არის თავისთავადი რამ, არამედ განპირობებულია სულიერი ცხოვრების ხარისხით. ამიტომაც ეიკონური განსახოვნების პრინციპი ხორციელი სილამაზის წარმოჩენას არ გულისხმობს, არც დროის მითოლოგიზაცია ხდება, არც გამოგონილი სახე-პერსონაჟია მისაღები, რადგან იდეალურისა და სანიმუშოს ძიება რეალობაში ხდება. ჰაგიოგრაფი ისტორიული სინამდვილიდან იღებს მხოლოდ ღვთაებობით ნიშანდობლივ მოვლენებს. მისთვის მნიშვნელოვანია სამყაროს მშვენიერების, ადამიანის ღირსების, კოსმოსის წესრიგისა და ისტორიის კანონზომიერებათა ჩვენება.



ქართველი ერის მოქცევის გარემოებებთან ერთად, რამდენადაც ქართული მნიგნობრობის დასაწყისი ამ ისტორიულ ფაქტს უკავშირდება, საყურადღებოა ენის გაქრისტიანების საკითხიც, როგორც რევაზ სირაძე შენიშნავდა, „ერის საბოლოო გაქრისტიანება დაიწყო მაშინ, როდესაც გაქრისტიანდა მისი ენა, ე. ი. ცნობიერება და სული ენისა“. ენის გაქრისტიანება გულისხმობს არამხოლოდ ბიბლიური წიგნების თარგმნას, ქართულენოვან ლიტურგიკას, არამედ ენის უნარს, შესაძლებლობას, დაიტვიჩოს და ასახოს ქრისტიანული მსოფლხედვა, ცნობიერება. „იტივითოს ახალი რწმენა და ახალი სიბრძნე“ (რევაზ სირაძე). სწორედ ასეთ ენას ძალუძს შეაკავშიროს მამული და სარწმუნოება და მათთან ერთად შექმნას დაუნაწევრებელი მთლიანობა, როგორც ეს ფორმულირებულია გიორგი მერჩულის ცნობილ ფრაზაში: „ქართლად ფრიად ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“

როგორც შესავალ წერილშია აღნიშნული, ქართულ მწერლობას სამი უდიდესი ქრისტიანული სათნოება — რწმენა, სასოება და სიყვარული — განმსჭვალავს, ამ სამთავან სიყვარულია უმთავრესი. ასეა მწერლობაშიც, რადგან სიყვარული აღვსილი ენა აქცევს მწერალს შემოქმედად. როგორცია ენა, ისეთივეა ერის კულტურა.

ქართული მწერლობის ისტორიაში ტრადიციულად გამოყოფენ სამ პერიოდს — ძველს, ახალს და უახლესს. ძველი მწერლობა მოიცავს V- XVIII საუკუნეებს. მისი უმთავრესი ნიშანი ეროვნულობაა, რადგან ეკლესიასთან ერთად სწორედ მწერლობა იყო ენის ქომავი, ხოლო მისი ხასიათი, მხატვრული-ისტორიული ღირებულებანი გარკვეულწილად განსაზღვრა კულტურულ-პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ბიზანტიასთან, სპარსეთთან, სირია-პალესტინასთან, სომხეთთან, არაბეთთან და სხვა.

ამავე წერილში მიმოხილულია, ზოგადად, დამწერლობის წარმოშობის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები: პიკტოგრაფიული, ლოგოგრაფიული, ლურსმნული და იეროგლიფური გამოსახვის საშუალებანი. ბგერითი დამწერლობის ჩამოყალიბება ფინიკიურში, საიდანაც წარმოიშვა ბერძნული, და მოხმობილია არგუმენტები თეორიისა, რომლის მიხედვითაც, ქართული დამწერლობა სწორედ ბერძნულიდან მომდინარეობს.

აქვეა მცირე ისტორიული ექსკურსი საწერი მასალების შესახებ, ბრინჯაოს, რკინის, ქვის ან თიხის ფილებიდან დაწყებული ქალაქის გამოგონებამდე. გადმოცემულია პაპირუსის და პერგამენტის დამუშავების ტექნოლოგია, რა ხელსაწყობებს იყენებდნენ წერისას, რისგან მზადდებოდა მელანი და სამელნი, როგორ იქმნებოდა უძვირფასესი ხელნაწერები, რომლებიც დღესაც ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ.

რაც შეეხება უშუალოდ ნარკვევებს, განხილულია ძველი ქართული მწერლობის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორც სასულიერო, ისე საერო. სასულიერო მწერლობა წარმოდგენილია თითქმის ყველა ჟანრით: ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ბიბლიოლოგია, ასკეტიკა, დოგმატიკა, ეგზეგეტიკა, ლიტურგიკა, ჰომილეტიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტაო-კლარჯეთისა და ათონის ლიტერატურულ-სადღვთისმეტყველო სკოლებს. ცალკეა გამოყოფილი საისტორიო მწერლობა და „ქართლის ცხოვრების“ შედგენის გარემოებანი.

XII-XIII საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ტრადიციულ ავტორთა გვერდით (მოსე ხონელი, იოანე შავთელი, შოთა რუსთველი და სხვა) მკითხველი გაეცნობა წმინდა თამარ მეფეს, როგორც შემოქმედს.

XIII-XVI საუკუნეთა ზოგადი მიმოხილვის შემდეგ აღორძინების ხანის შემოქმედნი არიან წარმოდგენილი: თეიმურაზ I, არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი, ანტონ I კათალიკოსი, ბესარიონ გაბაშვილი და საიათნოვა, ხოლო XVIII-XIX საუკუნეთა მწერლობას მკითხველი გაეცნობა სამი ავტორის — დავით, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების — შემოქმედებით.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ავტორები ამ პრობლემატიკის უშუალო მკვლევარნი არიან. ამავე დროს მათი ნაშრომები ასახავს თითოეულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურის ყველა არსებით მონაცემს, რის საფუძველზეც მკითხველს

მკაფიო წარმოდგენა ექმნება ამა თუ იმ შემოქმედზე, მის თემატიკასა და მხატვრულ სამყაროზე, ზოგადად, ძველი ქართული მწერლობის ძირითად ტენდენციებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაშრომის ენა, რაც ნიშანდობლივია სამივე ავტორისთვის. ეს არის აკადემიური და ამავე დროს ექსპრესიული და დინამიკური თხრობა, რაც საცხებიტ მიზანშეწონილია, რამდენადაც წიგნი განკუთვნილია ახალგაზრდა თაობისა და მკითხველთა ფართო წრისთვის. სწორედ ამ ტიპის ნარატივია ახალგაზრდა თაობისათვის აზრობრივად მისაწვდომი, მიმზიდველი, და თავისთავად წინაპირობაცაა შემდგომი ინტერესების გამოკვეთისთვის.

სათუნა მემანიშვილი

აზრთა სიასლევით ალბეჭდილი ხანა

წელს გამომცემლობა „საქართველოს მაცნეში“ დაიბეჭდა ახალი ოთხტომეული სახელწოდებით „ქართული ლიტერატურა“. ეს სოლიდური გამოცემა მოიცავს ქართული მწერლობის ისტორიას დასაბამიდან დღემდე. გამოცემაზე ავტორთა კოლექტივი მუშაობდა, რომელთა ნარკვევებიც მკითხველს ნათლად უთვალისწინებს ქართული ლიტერატურის განვითარების თითოეულ ეტაპს. ამ წერილის მიზანი კი ხსენებული გამოცემის მეორე ტომის მიმოხილვაა, რომელიც მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას წარმოგვიდგენს. წერილის სათაურიც ამ წიგნიდანაა აღებული; რამდენადაც მე-19 საუკუნეს — დიდ და გამორჩეულ საუკუნეს ლიტერატურის თვალსაზრისით — თამამად შეიძლება ეწოდოს „აზრთა სიასლევით ალბეჭდილი ხანა“.

ამ პერიოდის ლიტერატურის კვლევა-ძიების სათავესთან დიდი ილია ჭავჭავაძე დგას თავისი „წერილებით ქართულ ლიტერატურაზე“. მას მოსდევს კიტა აბაშიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვანი. არსებობს მნიშვნელოვანი კრებულებიც, რომლებიც მე-19 საუკუნის მწერლობის ისტორიას გადმოგვცემს — ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი, გამოცემული 1956 წელს, ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, რომლის II ტომი უკვე მომდევნო თაობის მკვლევარებმა გამოსცეს 2003 წელს; უნდა მოვიხსენიოთ ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულის III (1969) და IV (1974) ტომებიც. ამ ზერელე ჩამონათვლიდანაც აშკარაა, რომ მე-19 საუკუნის ლიტერატურის კვლევას დიდი ტრადიცია აქვს. მაგრამ ქართული ლიტერატურის II ტომი ამ მიმართულებით ახალ საფეხურს წარმოადგენს.

ამ წიგნს, რომლის რედაქტორიც ბეგო ბეჟუაშვილი გახლავთ, ორი ავტორი ჰყავს — ლადო მინაშვილი და ან გარდაცვლილი იუზა ევგენიძე; მათ თავიანთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით კარგა ხნის წინათ მოიპოვეს ისეთ საპასუხისმგებლო საქმესთან შეჭიდების უფლება, როგორიცაა მე-19 საუკუნის მწერლობის ისტორიის შექმნა. ამის ნათელი დასტურია საეტაპო მნიშვნელობის სოლიდური მონოგრაფიები თუ ცალკეული გამოკვლევები, რომლითაც გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობა. ქართული ლიტერატურის II ტომში წარმოდგენილ მათ ნაშრომს მსგავსი შინაარსის წინამორბედი კრებულებისაგან არაერთი საყურადღებო ნიშანი განასხვავებს. პირველ ყოვლისა კი ის, რომ

ამ წიგნის ორივე ავტორი გახლავთ გამორჩეული ქართველი ლიტერატურისმცოდნის, გრიგოლ კიკნაძის მონაწე და მისი სკოლის წარმომადგენელი; გრიგოლ კიკნაძისა, რომელმაც სრულიად ახალი ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში. აქედან გამომდინარე, ამ წიგნის უპირველეს ღირსებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში წარმოდგენილი მე-19 ს.-ის ავტორების ცხოვრება და ლიტერატურული მემკვიდრეობა შეფასებულია ერთი მიდგომით, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა გამოცემებში. ამ წიგნს მართავს მწყობრი თვალსაზრისი, რომლის მიზანი ისიც გახლავთ, რომ მკითხველს ნათლად დაანახოს მე-19 ს.-ის მწერლობა, როგორც ერთი მთლიანობა; აჩვენოს, რომ ყოველი მომდევნო ეტაპი წინასწარ ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. აქ ყოველ ავტორს თავისი შესაფერისი და საპატიო ადგილი აქვს მიჩენილი, რამდენადაც თითოეული მონაწილეობას იღებს მე-19 ს.-ის ქართული ლიტერატურის სახის ჩამოყალიბებაში.


წიგნს წინ უძღვის შესავალი, რომლის სათაურია „ახალი ქართული ლიტერატურის სათავეებთან“. მასში მე-19 ს.-ში შექმნილი ახალი სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ვითარების გათვალისწინებით განხილულია, თუ რა პირობები დაედო საფუძვლად ახალი ქართული ლიტერატურის სპეციფიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბებას. ამ პერიოდში ჩვენი მწერლობა თვისობრივად განსხვავდა წინამორბედი „ძველი“ ლიტერატურისაგან და „ახალ“ ლიტერატურად გადაიქცა. შესავალში ნაჩვენებია, რომ „ძველი“ და „ახალი“ კულტურული ტერმინებია, ისინი „კულტურულ-ლიტერატურულ ღირებულებათა ორიენტაციის ცვლას“ გულისხმობს და არა მხოლოდ ქრონოლოგიურ სხვაობას. აღნიშნულია, რომ „ახალი ქართული ლიტერატურის“, როგორც სრულიად გარკვეული ისტორიულ-კულტურული მოვლენის ახსნის აუცილებლობა ჩვენი სინამდვილეში პირველად „ქართველთა ინტელექტუალურმა მეტრმა“ — ილია ჭავჭავაძემ დასვა და ის საველებით მართებულად „ევროპეზმის“ გაგებას დაუკავშირა. ახსნილია, რომ ახალმა პოლიტიკურმა გარემომ ახლებური ფსიქოკულტურული ტიპის ქართველის ჩამოყალიბება გამოიწვია, რამაც პრაქტიკულად განსაზღვრა მე-19 ს.-ის ქართული ლიტერატურის პრიორიტეტული მხარეები.

წიგნი დაყოფილია ხუთ ნაწილად, რომელთაგან თითოეული მე-19 ს.-ის ქართული ლიტერატურის განვითარების ერთ ეტაპს გამოხატავს. ყოველ მათგანს წინ უძღვის კონკრეტული პერიოდის თეორიული მიმოხილვა, რაც მკითხველს საჭირო ინფორმაციას აწვდის და უადვილებს იმდროინდელ ავტორთა ნააზრევის სწორად და ღრმად წვდომას.

რამდენადაც მე-19 ს.-ის ლიტერატურა რომანტიკოსთა შემოქმედებით იწყება, შესავალში მოცემულია ვრცელი მსჯელობა მათი წინამორბედი ავტორების შესახებ, რომელთა ნაწერებში გამოხატულმა რომანტიკულმა განწყობილებებმა ქართველი ხალხის სულიერ მზობასა და ახალ პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებასთან ერთად საფუძველი ჩაუ-

ყარა ქართულ სინამდვილეში რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების ჩამოყალიბებას.

ნიგნის პირველი ნაწილი ეთმობა ნარკვევებს ქართველ რომანტიკოსთა ღირსშესანიშნავი ნარმომადგენლების — ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების შესახებ. აქ დეტალურადაა განხილული თითოეულის შემოქმედების სპეციფიკური თავისებურებანი თუ მათი ადგილი ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში; მიდრეკილება მოვლენათა ფილოსოფიური ძირების გაშიშვლებისაკენ თუ მიმართება მსოფლიო რომანტიზმთან... ამ ნაწილშივეა ნარკვევი ფილოსოფოსის, მწერლის, ჟურნალისტის, ლიტერატურის ისტორიკოსისა და თეორეტიკოსის, ორატორული ხელოვნების თვალსაჩინო ნარმომადგენლის სოლომონ დოდაშვილის შესახებ. მას ქართული რომანტიზმის ჩასახვა-მომნიშვნების პერიოდში მოუხდა და მოღვაწეობა, და თუმცა არ დაუნერია რაიმე ტრაქტატი, რომელსაც ქართული რომანტიზმის ისტორიისათვის გარკვეული თეორიული ღირებულება ექნებოდა, მაინც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენში იმდროინდელი ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. საკმარისია ითქვას, რომ მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა რომანტიკოსთა მთელი თაობა. ამავე ნაწილში აქვს მიჩენილი ადგილი მამია გურიელს, რომლის პოეტური პიროვნება ერთი საუკუნის შემდეგ შთაგონების წყაროდ იქცა ქართველი სიმბოლისტებისათვის. როგორც აღნიშნულია, იგი თავისი მრწამსით ახლოს დგას ქართველ სამოციანელებთან, სინამდვილისადმი მიდგომის თვალსაზრისით კი ტიპური რომანტიკოსია.



ნიგნის მომდევნო ნაწილში ნარმომადგენელია XIX საუკუნის 40-50-იანი წლების კულტურულ-ლიტერატურული ატმოსფეროს მიმოხილვა. მოყვანილია ის გარემოებანი, რამაც ამ წლებში ვითარება არსებითად შეცვალა. ერთი მხრივ, ეს იყო მშვიდობიანობის დამყარება საქართველოს საზღვრებს შიგნით და, მეორე მხრივ, მეფისნაცვალ ვორონცოვის მიერ არჩეული პოლიტიკა. მითითებულია, რომ საზოგადოების ყველაზე ბოროტკარი ნაწილის — ინტელიგენციის დამშვიდებისა და მიმხრობის მიზნით მან ქართული ლიტერატურისა და თეატრის ხელშეწყობა გადაწყვიტა. ასეთ ვითარებაში აღმოცენდა ჟურნალი „ცისკარი“ და დაარსდა ქართული თეატრი. ორივე ნამოწყება გიორგი ერისთავის სახელს უკავშირდება, თუმცა ვრცელადაა საუბარი გიორგი ერისთავის სხვა დამსახურებათა შესახებაც ქართული ლიტერატურის წინაშე, რაც სინამდვილისადმი რეალისტური მიდგომის დამკვიდრებასა და სატირის შემოტანაში გამოიხატება. მითითებულია, რომ გიორგი ერისთავის რეალისტური პოზიცია იყო არა ნათლად გამოკვეთილი, არამედ რამდენადმე სტიქიური, რის გამოც იგი ადრეული, ყოფითი რეალიზმის ნარმომადგენლად მიიჩნევა.

გარდა გიორგი ერისთავისა, ნიგნის ამ ნაწილში განხილულია რაფიელ ერისთავის, დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის შემოქმედება. აღნიშნულია, რომ სამშობლოს ღრმა სიყვარულითაა განმსჭვალული რაფიელ ერისთავის არა მხოლოდ მხატვრული, პუბლიცისტური ნაწარმოებებიც; რომ იგი ნიჭიერი დრამატურგი, ენათმეცნიერი და ლექსიკოლოგია. დანიელ ჭონქაძე ნარმომადგენელია, როგორც ფხიზელი სოციალური ყნოსვის მწერალი; ლავრენტი არდაზიანი კი პროზაიკოსი, რომელმაც შეძლო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პროცესის დახატვა. ამასთან, ქალაქის ცხოვრება შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში.

ამ მწერლებმა, რომლებიც ქართული თეატრისა და ჟურნალ „ცისკარის“ გარშემო იყვნენ თავმოყრილნი, შექმნეს 40-50-იანი წლების საქართველოს ლიტერატურული პროფილი.

ნიგნის მომდევნო ნაწილი 60-70-იანი წლების დიდ ქართველ მოღვაწეებს — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს — ეთმობა. მას წინ უძღვის ვრცელი მიმოხილვა, რომელიც ეხება 60-70-იან წლებს რუსულსა და ქართულ სინამდვილეში და თაობათა ურთიერთობის საკითხს ქართულ მწერლობაში. აქ ნათქვამია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული აზრი, თითქოს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ბრძოლა „ძველსა“ და „ახალ“ თაობას შორის, ან, მეტიც, „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, რომელიც 70-იან წლებშიც გაგრძელდა, რეალურ ვითარებას არ ასახავს. ამგვარ ცნებათა მომარჯვება გულისხმობს, რომ ერთიმეორისათვის უცხოად ჩაითვალოს ორი ხანა — სამოციანელები და სამოციანი წლების შემდეგ; რომ „შვილებმა“ უარი განაცხადეს „მამათაგან“ ლიტერატურულ-კულტურული ღირებულებების მიღებაზე და ისინი ერთმანეთის უარყოფელნი არიან. მითითებულია, რომ მე-19 საუკუნის ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა ამგვარი დაყოფა უმართებულოა. დეტალურადაა განმარტებული, თუ რა უდევს საფუძვლად ამ მცდარ აზრს და როგორია მისი ნარმომავლობა. ავტორები თვით ამ პროცესის მონაწილეთა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნააზრევს ეყრდნობიან და მეტად საგულწიფოდ მსჯელობას გვთავაზობენ. ეს თავი ფართო მკითხველისათვის სიახლის შემცველია და, ამდენად, მეტად საინტერესო.

შესავალს მოსდევს მე-19 საუკუნის კლასიკოსთა ცხოვრების, მათი ლიტერატურული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ვრცელი განხილვა. აქ დიდი ადგილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის უზარმაზარი სულიერი მემკვიდრეობის გათვალისწინებას; ღრმადაა გააზრებული მისი პიროვნული თავისებურებანი; გამოკვეთილია დიდი ილიას მწერლური და მოქალაქეობრივი მრწამსი; ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი საკითხი თუ მოვლენა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში შეფასებულია ეროვნული პოზიციიდან. ნათქვამია, რომ ილიას მიერ დასახული გზა — ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, ლიტერატურის განვითარების ქვშარიტი გზა — საზოგადოდ ერის ხსნის გზაა. სწორედ ეს გზა გაიარა ილიასთან ერთად „მაღალი ნიჭით“ შემკულმა აკაკი წერეთელმა, რომლის „ძვირფას განძად“ ნოდებული ლიტერატურული მემკვიდრეობა ნიგნში საგანგებო განხილვის საგნადაა ქცეული. აქ აღნიშნულია, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ერთსა და იმავე დიდ იდეას ემსახურებიან, ერთიან პოზიციას გამოხატავენ. ერთგვარია მათი თვალსაზრისი საქართველოს წარსულისა თუ აწმყოს შეფასების ან მომავლის განჭვრეტის მხრივ. აკაკი წერეთელიც ისევე უყურებს ადამიანის დანიშნულების, ხელოვნების რაობის, ხელოვანის საქვეყნო მისიის საკითხებს, როგორც ილია ჭავჭავაძე. თუმცა ეს არ გვაძლევს მათი, როგორც ხელოვანთა გაიგივების საფუძველს, რამდენადაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია მათი მწერლური ბუნება და ინდივიდუალური — მათი მხატვრული შესაძლებლობანი.

ამ ორი დიდი მოღვაწის საქმის თანამოზიარეა ქართველ სამოციანელთა თვალსაჩინო ნარმომადგენელი, მწერალი, პუბლიცისტი, მეტად მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოჩეული გიორგი წერეთელი. ნარკვევში აღნიშნულია, რომ მას პრაქტიკულად ვერცერთი მისი თანამედროვე მწერალი ვერ

აქარბებს „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ყოფაში მიმდინარე პროცესების რეალისტურად ასახვით“.

ნიგნში სოლიდური ადგილი ეთმობა დიდ პედაგოგს — იაკობ გოგებაშვილს, რომლის დამსახურება და ღვაწლი ქართველი ერის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულია. მან მეცნიერულ საფუძვლებზე დააყრდნო პედაგოგიკა ქართულ სინამდვილეში, შექმნა სახელმძღვანელოები, რომლებიც დღესაც დაუძლეველ სიმაღლედ გვევლინება ამ სფეროში და მრავალი ათეული წლის მანძილზე წვრთნიდა ბავშვების გულსა და გონებას თავისი პედაგოგიური მოღვაწეობითა თუ მწერლობით. იაკობ გოგებაშვილი ჭეშმარიტი სამოციანელია იმ აზრითაც, რომ ქართველთა სულიერი წინამძღოლის — ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეალებს მოზარდი თაობის ენაზე თარგმნიდა და ამით ქართველი ახალგაზრდობის ეროვნულ განათლებასა და ცნობიერებას განსაზღვრავდა.

ნიგნის მომდევნო ნაწილი ხალხოსან მწერლებს ეძღვნება. მას წინ უძღვის ვრცელი გამოკვლევა, რომლის მიზანია ხალხოსანობის არსის გარკვევა როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. აღნიშნულია, რომ ხალხოსანობა პირნიმინდად რუსულ ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენაა. მისი წარმოშობა გულისხმობს დიდ განსხვავებას საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის, რაც კულტურულ-ფსიქოლოგიური და სოციალური კრიზისის საფუძვლად იქცევა. ნაჩვენებია, რომ საქართველოში ხალხოსანური მოძრაობის განვითარებას მყარი დასაყრდენი არ გააჩნდა, ის მხოლოდ რუსული ხალხოსანობის გამოძახილი იყო. თუმცა ჩვენს სინამდვილეში გამოჩნდა ჯგუფი მწერლებისა, რომლებიც თავიანთ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ხალხოსანურ სულისკვეთებას გამოხატავენ. გამოკვლევაში მითითებულია, რომ ხალხოსანობა არ არის ლიტერატურული მიმართულება, ის არის ნაკადი ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა, რომელმაც რეალისტურ ლიტერატურაში „ცალკე თემატური ერთეულის უფლება მოიპოვა“ სინამდვილისადმი სპეციფიკური მიდგომის საფუძველზე. ხალხოსან მწერალთაგან წინამდებარე ტომში წარმოდგენილია ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და იოსებ დავითაშვილი. მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვის საფუძველზე გამოკვეთილია ის საკითხები და თემები, რომელთაღმის განსაკუთრებული ინტერესი და თავისებური მიდგომა ამ მწერლებს ერთი სახელის ქვეშ აერთიანებს.

ნიგნის ბოლო ნაწილი მე-19 საუკუნის უკანასკნელი პერიოდის შესანიშნავ მწერლებს ეთმობა. მას წამძღვარებული აქვს წერილი, რომელიც დანვრილებით მიმოიხილავს მე-19 საუკუნის ბოლო ოცნლეულში მიმდინარე ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოვლენებს. აღნიშნულია, რომ ეს პერიოდი „მრავალმხრივ საყურადღებო მონაკვეთია ქართველი ერის გონებრივ ცხოვრებასა და, პირველ ყოვლისა, სიტყვა-კაზმულ მწერლობაში“. წერილში მითითებულია, რომ ერის ჩაგვრის პირობებში პიროვნული თავისუფლება ნაციონალურ თავისუფლებასთან გაიგივდა. ამდენად, პატრიოტულ მოტივს ქართულ ლიტერატურაში არასოდეს შეუძენია ისეთი სიმძაფრე და სისტემური ხასიათი, როგორც მე-19 საუკუნეში. რასაკვირველია, სამშობლოს სიყვარულის განცდა ყოველთვის ღვიოდა ქართველ ხელოვანთა სულში ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან მოყოლებული დავით გურამიშვილის ჩათვლით, მაგრამ „ჩამოყალიბებული, სასიცოცხლო ეროვნული კონცეფციის ნიადაგზე გამართული სახე მას არ ჰქონია“. ერთიანი საქართველოს გამოხსნის იდეა გამოკვეთილად სწორედ ამ საუკუნეში გამოიხატა. ქართველმა მწერლებმა გააცოცხლეს საქართველოს ისტორიული წარსული და ილია ჭავჭავაძის მიერ გახშიანებული ცნობილი თვალსაზრისი — „ანმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ — ერთგვარ პოსტულატად დაედო მე-19 საუ-

კუნის მეორე ნახევარში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ თაობას. მათ ქართველთა განცდაში ღრმად დამარხული პატრიოტული გრძნობა „ცნობიერების ზედაპირზე ამოიტანეს და ისეთი პუბლიცისტური ვნება მიანიჭეს, რომ გარდაუვალი გახადეს მოაზრე საქართველოსთვის ერის გადარჩენის სასიცოცხლო პერსპექტივა“. წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს პოლიტიკური უუფლებობის გამო ქართველი მოღვაწისთვის სამოქმედო ასპარეზი მხატვრული სიტყვის სფეროთი განისაზღვრებოდა. ამან გზა გაუხსნა „ქმედითი პათოსით სავსე პუბლიცისტიკას“. მე-19 საუკუნის ბოლო ოცნლეულში ქართულ სინამდვილეში უკვე ბევრია ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართულებების, მიზანდასახულობის, პოლიტიკური, სოციალური თუ ლიტერატურული ორიენტაციის ჟურნალ-გაზეთი, რომელთა არსებობა ცხადყოფს ქართველთა გონებრივ მზაობას ჯანსაღი მოაზროვნე ცხოვრებისათვის. როგორც მითითებულია, „XIX საუკუნის უკანასკნელი ორი ათეული წელი... არის ტალანტთა მრავალფეროვნების, ... აზრთა სიახლეებით აღბეჭდილი ხანა, სადაც ვხვდებით ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომის, თემატიკის და მხატვრული სტილის მწერლებსა და მოაზროვნეებს, რომელთაც ჰკვირავს, ასაზრდოებს და ურთიერთთან აკავშირებს საქართველოსა და ქართველის ეროვნულ, სოციალურ, ზნეობრივ, პიროვნულ თავისუფლებაზე ფიქრი“.

ტომის ბოლო ნაწილში ამ პერიოდის ბრწყინვალე წარმომადგენლები — ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ეგნატე ნინოშვილი და დავით კლდიაშვილი — არიან თავმოყრილი. ნიგნში ვრცელად განხილული ამ ავტორთა ლიტერატურული მემკვიდრეობა, საკითხებისა და პრობლემეტიკის წრე მათ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებებში, სიახლეები, რაც მათ ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრეს. აღნიშნულია ალექსანდრე ყაზბეგის საოცარი ოსტატობა, რითაც მწერალი ახერხებს ღრმად ჩანვდეს ადამიანის გრძნობებს მის დაუნაწევრებელ მთლიანობაში და ასეთადვე გადმოსცეს ის თავის ნაწარმოებებში. ნარკვევში ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოკვეთილია მისი შემოქმედების მოტივთა ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ასპექტები, დიდი ჰუმანიზმი, ღრმა ცოდნა ადამიანური ფსიქოლოგიისა და მის განცდათა სირთულის მთელი სისრულით გამოხატვის თავისებურება, სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება ბუნებისადმი და სხვ. ნაჩვენებია, რომ საგანგებო ყურადღებას იპყრობს დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა ფსიქოლოგიური სიღრმე, გრძნობათა ფაქიზი ანალიზი, თუმცა მისი გამორჩეულობა მაინც იმ თხზულებებთანაა დაკავშირებული, რომლებშიც ასახულია იმერეთის აზნაურთა ყოფა.

ბოლოს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნიგნის ავტორები სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიის მიმართ. ნიგნში შეტანილ ყოველ ნარკვევში ბიოგრაფია გარკვეული მიზანდასახულებითაა შედგენილი. ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე, არამედ საგანგებოდ შერჩეული და თავმოყრილია ისეთი დეტალები, რომელიც მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის პროზაიკოსისა თუ პოეტის პიროვნულ თავისებურებებზე და სავსებით ათავისუფლებს სქემატურობის განცდისაგან, რაც უმეტეს შემთხვევაში თითქმის გარდაუვალია. ასეთ ვითარებაში ბიოგრაფია დიდ მნიშვნელობას იძენს ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმად გააზრების თვალსაზრისითაც და მკითხველს პროზაიკოსისა თუ პოეტის ცხოვრებას და შემოქმედებას ერთ განუყოფელ მთლიანობად წარმოადგენინებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა განვცხადოთ, რომ ეს ნიგნი ღირსეული შენაძენია ქართველი მკითხველისათვის ზოგადად და მყარი დასაყრდენი — ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ბადრი დანელია

უიღბლო იღბლიანი

ვუძღვნი ბატონ ზურაბ ქუთათელაძეს

2003 წლის 4-10 აპრილის გაზეთში „ახალი ეპოქა“ გამოქვეყნდა გიორგი გაჩეჩილაძის ინტერვიუ „ამირანიდან — დღევანდელ საქართველომდე“. მასში ძალიან კარგადაა ახსნილი ყურშასა და მჭედლების სიმბოლური სახეები: ყურშა — ქვეყნის ერთგული და თავისუფლების მოყვარე ქართველი ერია, მჭედლები კი — მონობაში გადიდკაცებული ცრუ ელიტა, რომელიც საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ ამჯობინებს ამირანის მონობაში ყოფნას. იგი ამავე წერილში გამოთქვამს სინანულს ქართულ ლიტერატურაში „ამირანის“ მითის სათანადო დაუმუშავებლობის გამო. ბ-ნი გიორგი ფიქრობს, რომ ქართველი მწერლების მიერ ეს მითი „სრულფასოვნად არაა, მაგრამ ფრაგმენტულად კი“ არის გააზრებული. რაც მთავარია, იგი არაა გააზრებული პერსპექტივაში, — მომავალთან მიმართებით, მაშინ როცა ანალოგიური შინაარსის მქონე „პრომეთეს“ მითთან სხვაგვარი დამოკიდებულებაა ევროპულ ლიტერატურაში: იქ პრომეთეს ათავისუფლებენ, ქართულ ლიტერატურაში კი მსგავს აზრს მხოლოდ აკაკისთან ვხვდებით.



ვაჟა-ფშაველა

ჩემი აზრით, პრომეთეს ან ამირანის გათავისუფლება უფრო მწერლის სურვილია და არა ისტორიულ მოვლენათა ანალიზი და მასზე დამყარებული მოსაზრება. ამირანს ვაჟა-ფშაველაც ათავისუფლებს თავის ერთ-ერთ სიყმისდროინდელ პოემაში „დაჩაგრული მესტივირე“, თანაც გათავისუფლების გზასაც მიუთითებს და გულქვა მჭედლებსაც მისი ხელით სჯის, მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანია სწორედ ისტორიის ანალიზი და ამ ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნა ამირანის ხვედრის გაზიარება-შემსუბუქებისა, რაც შეიძლება ოდესმე მის გათავისუფლებაშიც გადაიზარდოს. სწორედ ამგვარი ანალიზის შედეგადაა დაწერილი ვაჟას მეორე პოემა „უიღბლო იღბლიანი“. ეს ნაწარმოები გამოირჩევა ზემოხსენებული მითის ღრმად გააზრებით და მშვენიერი მხატვრული დამუშავებით. მითების გაგების სირთულიდან გამომდინარე, იშვიათია მითების თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში მათი ასეთი სრულყოფილი გახსნა — მითის საუკეთესო კუთხით დანახვა-გააზრება: ვაჟამ აქ ამირანის მითს ჩამოაშორა ზოგიერთ ვერსიაში არსებული ჩვენთვის მიუღებელი და ჩვენს ისტორიასთან შეუსაბამო სიმბოლიკა, მაგალითად: ამირანის ბრძოლა ქრისტე ღმერთთან, — ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არ მომხდარა, — პირიქით, საქართველო იმ იშვიათი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის, სადაც განხეთქილება და მწვალებლობამ ფეხი ვერ მოიკიდა. მითის ვაჟასეული გაგება აბსოლუტურ შესატყვისობაშია საქართველოს ისტორიასთან. გარდა ამისა, ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანია თვით ვაჟა-ფშაველას ქრისტიანული მრწამსის თვალსაზრისითაც,

რაც ბოლო დროს, საოცარია, მაგრამ ეჭვქვეშაა დაყენებული. ამ პოემაში ვაჟა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქრისტიანული ცხოვრების წესს არა მარტო პიროვნების, არამედ მთელი ქვეყნისთვის. და, რა თქმა უნდა, პოემა გამოირჩევა ბევრი, ლამაზი პოეტური ფორმით გამოთქმული ბრძნული აზრით.

პოემის სათაური შედგენილია სრულიად საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებით და რადგანაც „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ მეთოდი გამოიყენება ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში, ამიტომ ის განხილულ უნდა იქნას სარწმუნოებრივი თვალთახედვით. მხოლოდ ასეთი მიდგომა იძლევა მისი სათაურისა და შინაარსის სრულყოფილი გაგების საშუალებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პოემა დარჩება ლამაზად გალექსილ ზღაპრად, თავისთავად ესეც კარგია, მაგრამ ეს ამ დიდებული ნაწარმოების დაკნინებაა.

მთავარი გმირი — სახელად საბრალო — არის ან გალარიბებული, მაგრამ ერთ დროს ძლიერი და ბედნიერი ოჯახის წევრი. სხვათაშორის, ერთ დროს ძლიერი და ბედნიერი ოჯახის შვილობა სხვაგანაც გვხვდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში (მაგ: პოემა „ნახევარ-წინილა“) და გვხვდება ისეთი აზრობრივი დატვირთვით, რომ, ფიქრობ, ესმინება იოანე-ზოსიმეს პოემას „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“: — „დანუნებულ არს ენაი ესე“... მაგრამ ეს განსაკუთრებული კვლევის საგანია და ცალკე საფუძვლიან დამუშავებას მოითხოვს.

ზეობის დროსაც საბრალო იყო წესიერი, თავდადებული და უანგარო შვილი თავისი ოჯახისა. ძმებისგან განსხვავებით ყოველთვის ეხმარებოდა გაჭირვებულსა და გლახაკს:

ორი ძმა ბევრს ყურს არ უგდებს გლახაკებს, იმათ ხახებსა, მხოლოდ საბრალო ჰმასპინძლობს პურით და ღვინით სანყლებსა.

რასაც მშვენივრად ხედავდა ყველა და შესაბამის შეფასებასაც აძლევდნენ:

ქვეყნის ყბა მოულალავი ბევრის რასმეა მთხრობელი, სამს ძმაში ორსა სწუნობდა სჯა-ფიქრით გამომცნობელი, უმცროსს კი ალალს ეძახდა უზარმაზარი სოფელი.

აქ სიმბოლური ფორმით ვაჟა ხაზს უსვამს საბრალოს სწორ სარწმუნოებას: „... ჰმასპინძლობს პურით და ღვინით...“ ზეობის დროს არ გაამაყებულმა საბრალომ ოჯახის გალარიბება და გასაჭირიც მორჩილად, ზედმეტი დრტივნის გარეშე მიიღო:

...თან ეტყვის: ძმებო ნუ გიკვირსთ, ღვთისია ჩვენი ქონება, მანამდე ჰნებავს — გვაკუთვნებს, როს სხვად გაუჭრის გონება, ისევ წავგართმევს თავისას, ჩვენ ან რა გვეთქმის მაზედა, ხომ იცით ხან ყინული წევს, ხან ყვავილია მთაზედა.

და ამიტომაც იგი მოქმედებს ყველაზე სწორად ძმებს შორის: თავმდაბლად, დაულალავად და უანგაროდ შრომობს ოჯახის გადასარჩენად და არ თაკილობს არანაირ პატიოსან შრომას:

...ჰფიქრობს საბრალო მუდამ ჟამს ოჯახის შესამეტებსა. თავის გარჯასა და შრომას არავის დააკვებებსა...

უფროსი ძმები კი ამ დროს ორგულობენ, მხოლოდ პირადულზე ფიქრობენ და მალულად საკუთარ თავსა და ოჯახებზე ზრუნავენ, საბრალო კი ძმობის კანონით მოქმედებს: ჯერ ძმას და მერე მე. შედეგიც შესაბამისია — ერთი მართალი არაა საკმარისი:

არ იქნა ერთის სიმართლემ ვერ გამოიხსნა ოჯახი...

და როგორც აუცილებლობა: მართალი, ღვთის ნებით, უნდა განემოროს უკეთურებას. პოემაშიც ზუსტად ასეა: უფროსი ძმების გადაწყვეტილებით ოჯახი გაიყრება და ძმები თანაბრად გაიყოფენ მცირე ქონებას. ამ ქონების ნაწილია პატარა ფეტვის ყანაც, რომლის მომკაც ძმებმა მეორე დღით გადაწყვიტეს, მაგრამ მოსამკელად გამზადებულ ყანას ღამით სეტყვა გადაუვლის და პირწმინდად გაანადგურებს საბრალოს ნილ შუა მესამედს, ისე, რომ ხელუხლებლად გადარჩება უფროსი ძმების კუთვნილი განაპირა ნაწილები. დაღონდება საბრალო, მაგრამ ხანმოკლეა გონიერი კაცის მწუხარება, რასაც მალე ღვთისადმი მადლიერება ცვლის:

სდგას თავდახრილი, დასცქერის გულ-ხელებ დაკრეფილია. მაინც ღმერთს მადლობას სწირავს მართალი, მართლის შვილია.

უკვირს თუმცა: ასე შუადამ როგორ გამოსჭრა სეტყვამა? — ასეთ უბედურს ვარსკვლავზე რად გააჩინა დედამა.

ამ ცხადი სასწაულის გამო, საბრალო გადაწყვეტს დატოვოს ოჯახი და თავისი ცხოვრება განგებას მიანდოს — ეძიოს მისთვის განკუთვნილი ღვთის ნება და მის შესაბამისად იმოქმედოს. იგი მიდის — არ იცის სად, მაგრამ უცილობლად იცის ერთი რამ:

იმას არ ფიქრობს, რომ სადმე წავა ბილიკით მრუდითა, და დარწმუნებულია იმაში, რომ:

...სიმართლე შვილით-შვილამდე, უსამართლობის მანძილი შუალამიდან დილამდე. მართალს ნუგეშად ესა აქვს გულში შეუდრეკელ ბურჯადა, რომ ღმერთი კაი კაცობას მას არ ჩაუღვევს ფუჭადა.

ოჯახიდან წასული საბრალო უანგაროდ ეხმარება და ემსახურება ყველა გაჭირვებულს, თავს არიდებს ყოველგვარ გასამრჯელოს და თუ მაინც დააძალებენ, იმასაც მალულად გლახაკებს ურიგებს.

თუ ვინმე დააძალებდეს, მისცემს ფასს თავის შრომისას, მაშინვე გლახებს ურიგებს, გაურბის ხაფანგს ცდომისას.

ნახეთ საბრალოს უანგარობა: გაჭირვებულისგან შრომის საფასურის აღება მისთვის სარწმუნოებრივი ცდომილების ტოლფასია.

საინტერესოა საბრალოს ცხოვრების წესი: ღვთის ნებას იგი თავდადებული, ადამიანისათვის შეუძლებელ სამუშაოს შესრულებაში ეძიებს — კარგად იცის, რომ რწმენით, თუ ღვთის ნებაც იქნება, მთის გადადგმაც კი შესაძლებელია, ანუ ასეთი საქციელით იგი სრულიად მინდობილია ღმერთს. ასეთი შრომის მაგალითად პოემაში ორი ეპიზოდია აღწერილი: საბრალო თავს იდებს ოთხ წელიწადში ათასი ცხვრის მოვლას თავისი ნამატიო და გასამრჯელოს მხოლოდ მაშინ აიღებს, თუ ამ ხნის განმავლობაში მას მგელი არც ერთ ცხვარს არ გასტაცებს. ის ამ — კაცისთვის შეუძლებელ — პირობას მართლაც შეასრულებს, მაგრამ ნება ღვთისა ბოლო წამს გაცხადდება: ოთხი წელი ტყე-ღრეში უდანაკარგოდ ნატარები გაათმავებული ფარა საბრალომ სოფელში ჩამორეკა და მაშინ, როცა უზომოდ კმაყოფილ და გაოცებულ პატრონთან ერთად ნამატის გაყოფას აპირებდა, დღისით, მზისით, შუაგულ სოფელში, ყველას თვალწინ, მწყემსებისა და ძაღლების გარემოცვაში მგელმა ერთადერთი ცხვარი გასტაცა, ამიტომ საბრალომ უარი თქვა გასამრჯელოზე, მიუხედავად ფარის პატ-

რონის ხვეწნა-მუდარისა, რომელსაც ეს არარეალური პირობა არც კი ახსოვდა და, საერთოდაც, მგლისაგან ცხვრის გატაცებას ბუნებრივ და აუცილებელ მოვლენად თვლიდა, ამიტომ მგლისთვის ცხვრის წართმევა სირცხვილად მიიჩნდა.

მეორედ საბრალომ ხუთი მუშის საფასურის სანაცვლოდ ერთ დღეში იხველა ყანის მომკა და ძნებად შეკონვა ითავა, რომლის შემოვლასაც ცხენით ერთი თვე სჭირდებოდა. ეს საქმეც თითქმის ბოლომდე მიიყვანა და ეს “თითქმის” ერთი ძნა იყო, რომლის შეკონვაც მზის ჩასვლამდე ვერ მოასწრო, აი, საბრალოს გულიდან ამონახეთქი განცდები:

ღმერთო, ცა-ქვეყნის პატრონო, რად გამაჩინე ბედ-შავი? რადა ხარ ქვეყნის მპყრობელო, შენ ჩემი დაუხედავი?! ბედკრულსა ჩემსა მშობელსა არა ვყოლოდი ნეტავი. მადლობა შენთვის, უფალო, მაინც მადლობა შენთვისა, ჩირი-ვაება მარგუნე, ვკისრულობ, იყოს ჩემთვისა.

დავუკვირდეთ: აქაც ჯერ კაცობის დამახასიათებელი ნუხილი და შემდეგ: მართალთა და კეთილგონიერთა განსჯა, — თავმდაბლობა და მორჩილება ღვთის წინაშე. ამ შემთხვევაშიც საბრალომ უარი სთქვა გასამრჯელოზე, თუმცა განცვიფრებული და აღფრთოვანებული ყანის პატრონი შეთანხმებულზე ბევრად მეტს გულწრფელად და დაუინებით სთავაზობდა, მაგრამ საბრალო ასე უხსნის განგების ნებას გაოგნებულ მოხუცს:

— ერთი მუშისაც არ მიწდა, აგერ ძნა შესაკონია, ღმერთს რომ არ უნდა ჩემთვისა, მიტომ არ მომცა ღონია, თორემ ამოდენ შრომასთან ეგ რალა მოსაგონია.

საბრალოს ასეთმა ზეადამიანურმა შრომამ, განსაკუთრებით, გასამრჯელოზე უარის თქმამ, ყანის პატრონი გულისთქმაში ჩააგდო, საბრალო გლახაკის სახით მოვლენილ უფლად აღიარა (სახარებაც ხომ ასე გვასწავლის: ყველა გაჭირვებულ და დამაშვრალი ისე უნდა მივიღოთ, როგორც უფალი), საკუთარი ცოდვიანობა და უსუსურობა დაანახვა და ღვთის წინაშე გლახაკთა შეწვევისა და ტაძრის აშენების აღთქმა დაადებინა:

არა მკადრულობ უფალო, თუმც არ ვარ შენი სადარი... ...მიბრძანდი, მაგრამ გულში მაქვს, რომ აგიშენო ტაძარი და ვექმნა მუდამ მფარველად ვინც კი სადმეა საპყარი, დაინყო წერა პირჯვრისა, სთხოვს ცოდვით მოტყეებასა, თუ რამ შესცოდა, შეუნდოს, რომ ვერ მოვიდა მცნებასა.

ამ ორ ეპიზოდში ცხვრის ფარა — სამწყსო და პურის ყანა — კეთილი თავთავი სახარებისეული სიმბოლოებია. საბრალომ—მწყემსმა დაკარგა ერთი ბატყანი სამწყსოდან; საბრალომ—მომკელმა ვერ შეკრიბა ბოლომდე ყველა თავთავი, სწორედ ამიტომ თავი დაისაჯა და უარი სთქვა კუთვნილ საზღაურზე.

...და ასე ხდებოდა მუდამ, ღვთის ნების ძიებაში და საკუთარი სულის განწმენდის დაუღალავ ღვაწლში საბრალომ

ბევრჯერ ხიდები აშენა, ბევრჯერ კოშკები მაღალი, ვერსითგან ვერა-რა ირგო, თვით ბენვის გამოსავალი. პირობას ცოტა რამ ჩაჰშლის, წყალს ატანს იმის შრომასა, შხამით და ნაღვლით ადებებს მის ქვეყანაზე რჩომასა. ან მზე ჩაუსწრებს უცბადა, ან უსწრებს მამლის ყვივლი. არა მრთელდება არასგზით საბრალოს გულისტივილი.

ყოველივე ამის შემდეგ საბრალოს ცხოვრებაში დგება ახალი ეტაპი: იგი მიადგება ტბას, რომელიც საქართველო—სათათრეთის მიჯნაზეა და ქართველ მამულიშვილთა სისხლი-

თავსავე. ურჯულ დამპყრობლები ამ ადგილზე მოითხოვდნენ ტყვედ წაყვანილ ქართველთაგან ქრისტეს უარყოფას და, ვინც უარს იტყოდა, თავს კვეთდნენ, სამაგიეროდ ამ ტბაში მათი სულები ულამაზეს ყვავილებად და ამოსული. ეს ყვავილები მხოლოდ ქრისტიან ქართველებს ეჩვენებოდა და “ტკბილის ქართულის ენით” ესაუბრებოდა, უცხოთ კი, განსაკუთრებით მუსლიმებს, ტბის სიღრმეში ემალებოდა ხოლმე. ამ ყვავილების ხილვის და მათთან საუბრის ღირსი გახდა საბრალო.

აქ სიმბოლურად არის გადმოცემული ის, რომ საბრალომ, გამორჩეულად თავდადებული ცხოვრების წესის გამო, გააძლიერა დროის საზღვარი და სულიერი კავშირი დაამყარა მართალ წინაპართა სულებთან. მსგავსი შემთხვევები ცნობილია ეკლესიის ისტორიიდანაც, როცა მართალ ადამიანებს ეცხადებოდა წმინდანთა სულები და ხან ანუგეშებენ, ხან მომავალს განუცხადებენ და ხანაც სწავლებას შთააგონებენ. ამავე ტბასთან ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: საბრალო ნუგეშად ევლინება უსუსურობისა და შიშისაგან სარწმუნოებაზეცვლილი თანამემამულეებს: ესეც ხომ დიდ მამულიშვილთა ხვედრია. ტბასთან საბრალო გაიცნობს გამუსლიმებულ ქართველ ქალს, სალიას, რომელიც მცირეწლოვანი დაატყვევეს და შიშისა და ბავშვური გამოუცდლობის გამო რჯული შეაცვლევინეს, ეს ქალი არის კრებითი სახე ჩვენი უბედური მოძმეებისა. გახარებული სალია სახლში წაიყვანს საბრალოს, რათა შვილებს აჩვენოს ქართველი ქრისტიანი. იგი მიიმედ განიცდის ქრისტეს უარყოფას და გულში ისევ მას სცემს თავყვანს, შვილებსაც ამამობლოსა და ქრისტეზე ესაუბრება მხოლოდ, ამიტომ მისი შვილები დიდი სიყვარულითა და სიხარულით მიიღებენ სტუმარს და, მიუხედავად სიღარიბისა, ძველსავე მიართმევენ, რომელსაც მათგან წამოსული საბრალო ისევ გლახაკებს დაურიგებს, გარდა სანირავისა და სინანულის წერილისა, რომელიც მას სალიამ გამოატანა სახურავზე, ვინდლო მართლმადიდებელი მღვდლების ლოცვით მიეტეოს ქრისტეს უარყოფა.

ამის შემდეგ საბრალო გადაწყვეტს ზღვის მეორე ნაპირზე გასვლას და ნავის ან გემის მოლოდინში გამოეხარჩლება ადამიანს, რომელსაც სამი სხვა უმოწყალოდ სცემს, როგორც ხშირად ხდება, მას გაცილებით მეტი მოხვედრა, ვიდრე იმ დაჩაგრულს და, ცოცხალ-მკვდარს, ზღვაში გადააგდებენ. აბო-ბოქრებული ზღვა მას მეორე ნაპირზე გარიყავს, საბრალოს სურვილი აუსრულდა: იგი აღმოჩნდა ზღვის გაღმა, მაგრამ არა გემით — ანუ განცხრომით, არამედ ზღვის მღვრიე ტალღით, სველი და ნაცემი—ნაგვემი, თავისი განუყრელი ქუდით თავზე

თვით ზღვა ქვეულა ვეშაპად, ზღვასვე მოარღვევს მკერდითა, თან მოაქვს რაღაც სულდგმული გაუტყეხელის ქედითა. კაცი გამოჰკრა მინაზე ღრიალით მეტის-მეტითა. თვითონ უკანვე გაბრუნდა იმავ გალიპულს გზაზედა, და დაისვენა ზღვამ ზღვაზე, როგორც ნისლებმა მთაზედა. საბრალო იყო, იცნობდით პირი-სახეზე, ტანზედა, ქუდიც არ მოჰპორებოდა, ისევ ესურა თავზედა.

აქაც სიმბოლური სახეები აქვს გამოყენებული ვაჟას, პირველი: მღვრიე ზღვა აქაფებული ტალღებით — წუთისოფელი თავისი დაუნდობლობითა და მაცდუნებელი ვნებებით, რომელმაც ვერ იგუა მართალი და გარიყა იგი; მეორე: ნაგვემი-ნაცემი საბრალო თავზე განუყრელი ქუდით — ბოროტებასთან მებრძოლი, გაუტყეხელი მართალი შეურყვნილი ნამუსით.

ზღვისაგან გარიყული და ასეთ ყოფაში მყოფი საბრალო მიადგება განდევნილ ბერს, რომელიც თავის სენაკში ლოცულობს განმარტოებით და შველას სთხოვს, ხიბლში მყოფი სანყალი ბერი კი, გარეგნული იერიდან გამომდინარე, ეშმაკად ჩათვლის მას:

მწირმა შეჭხედა: ეზარა იმისი სახე ტანჯული, ლამი, წყალი და ზღვის ქაფი სტუმრის თავ-პირზე დასხმული.

და ისედაც ღონემიხდილს, მიუხედავად საბრალოს სანყალობელი ხვეწნა—მუდარისა, ქვის კიბეზე დააგორებს, თვითონ კი ალტაცებული ლოცვას განაგრძობს: ეშმაკს ვძლიეო

მწირი — კი სენაკის კარზე ეშმაკსა სწყევდა, გრგვინავდა, რომ სძლია, გაჰხარებოდა, სულ მალლა-მალლა ფრინავდა.

საბრალო კი

საბრალო მოშორებითა იქვე თივაში გმინავდა. ამას ამბობდა მხოლოდ „ღმერთო მინყალე ცოდვილი და მიიბარე სულიცა ჩემი ათასგან კოდვილი“.

ზოგიერთი სასულიერო პირის არასწორი სულიერი მდგომარეობა, როგორც ჩანს, იმ დროსაც არ ყოფილა იშვიათი, რადგან არასწორი სულიერი ცხოვრების საკითხს ეხება წმ. ილია მართლის პოემა “განდევილი” და ეს საკითხია “უიღბლო იღბლიანშიც” ვაჟას მიერ მძაფრად დასმული, ყველაზე მტკივნეული ფორმით: სასულიერო პირის მიერ მართლის არმილება და მასთან დაპირისპირება. ალბათ ეს მარადიული განსაცდელია კაცობრიობისა: ვინც პირველმა უნდა შეიცნოს ჭეშმარიტება, სწორედ ის უპირისპირდება მას, განა ასე არ მოხდა ქრისტეს დროსაც?

ამ გმინვაში ჩაეძინა დაუძლურებულს და სიზმრად ნახა ელია, რომელმაც ყანა დაუსტყვავა. სიზმარით აღვსილი საბრალო დაუნდობლად სცემს მას კეტით, ვიდრე პირსისხლიან მგელს არ დაინახავს, რომელმაც ის ერთი ბატკანი გასტაცა. შურისძიებით აღძრული მასაც კეტით გაუხეთქავს თავს და ნიხლებით უწყებს ცემას, ამ ყოფაში ახლა მზეს მოჰკრავს თვალს, მზეს, რომელმაც იმ ბოლო ძნის შეკონვა არ დააცადა, და კეტით გამოუდგება, დაენევა, ნააქცევს და მასაც ლანძღვა—გინებით სცემს. ამ შემზარავი სიზმრით შემფოთებულს გაეღვიძება:

შეზარეს ფრიად სიზმრებმა, სწყინდა ნახული ზმანება, ნამოდგა ლოგინიდანა, თვის ზვინს თავი ანება. და ღმერთს სთხოვს, სიზმრების მური არ ჩაუთვალოს ცოდვადა. ხელები აპყრობილი აქვს, ისე დამდგარა ლოცვადა.

უმნიკვლო ადამიანმა სიზმარში ჩადენილი ცოდვაც კი მოინანი. ამ ლოცვის დროს, მოულოდნელად, საბრალოს თავს დააცხრება მტარვალი არნივი, ჩაასობს კლანჭებს და ასე ცოცხალ-მკვდარს გადააფრენს თავის მამულში და თავის სახლის გვერდით დაასვენებს.

საბრალოს სახლიდან ნასვლის შემდეგ უფროსი ძმები კვლავ გამდიდრდნენ, ოღონდ არა პატროსანი შრომით, არამედ ძარცვა-გლეჯითა და ყაჩაღობით. ისინი სასწაულებრივად დაბრუნებული ძმის მოვლა-პატრონობას კი არა, კეთილ სიტყვასაც ვერ იმეტებენ მისთვის: უსაქმურად და მუქთახორად მოიხსენიებენ, უმცროსი ძმა კი უსიტყვოდ და უშედეგოდ იწვდის მათკენ ხელებს და ასე უხმოდ, სიტყვის უთქმელად, ძმების სითბოსა და სიყვარულს დანატრებული, მიაბარებს სულს უფალს. ძმებმა გამორჩენის მიზნით გაუჩხრიკეს საბრალოს ჯიბეები, მაგრამ იქ ფულის ნაცვლად ნათათრალი სალიას წერილი იპოვეს და, როგორც ყველა ავისმჩხრეკელმა და ცილისმნამებელმა, მათაც შესაბამისი დასკვნა გამოიტანეს: ჩვენი ძმაც გათათრებულა და ქრისტიანთა სასაფლაოზე როგორ დავასაფლავოთო, ამიტომაც ერთ უკაცრიელ სერზე დამარხეს:

ან-კი რა? ყველას მიგველის ღია სამარის კარია,
ოქროს კუბო და ფიჭვისა მიწისთვის თანაბარია,
ან იქ ვიუბნოთ როგორა აქედან დანაბარია?
ბევრი სჭირს კაცის გონებას ამაოება მტკნარია!..
თუ რას მადლს იზამს ქვეყნადა,

მითი იცოცხლებს მკვდარია.
ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,

სხვა დანარჩენი — მჩვარია,
ან ცეცხლი დასწავს... თავისად მოიხმარს მინა მყარია.
სხვა ყველა ფეხთ ქვეშ ეგება მიწის ბუნების კანონსა;
სულს ვერ ერევა მის ძალი და ვერც გაუთხრის ხაროსა;
ვერ მოჰკლავს, ვერ დააბერებს, ტანს ვერ შეუცვლის
საროსა.

მიწისას მინა მიიღებს, ყველას, რაც მაზე ხარობსა.
მაინც ხომ სულის ბუნება მონა როდია მიწისა:
თავისი სამფლობელო აქვს, თავის გზა კარგად იცისა!..

და როგორც ხშირად ხდება, მართლის ცხოვრებისა და
ღვანლის შედეგს ხალხი მისი სიკვდილის შემდეგ იმკის, აქაც
ასე მოხდა: საბრალოს საფლავი აყვავდა და არემარეს განსა-
კუთრებული მადლი მოჰფინა: მაკურნებელი წყარო, უხვმო-
სავლიანობა, ადამიანთა და ცხოველთა საოცარი მფარველო-
ბა. უფროსი ძმების საფლავი კი აყროლდა, ბოროტების ბუ-
დედ იქცა და მშობლები ურჩ შვილებს იმ ადგილით აშინებდ-
ნენ.

ასეთია ამ პოემის ქარგა და შინაარსი: ვაჟას საბრალოს სა-
ხით აღწერილი ჰყავს სულიერი გმირი — მამულისათვის თავ-
დადებული ქრისტიანის ცხოვრება, “მსახურებაი წმიდაი და
შეუგინებელი ღმრთისა მიერ და მამისა ესე არს: მიხედვით
ობოლთა და ქურივთაი ჭირსა შინა მათსა და შეუგინებელად
დაცვაი თავისა თვისისაი ამის სოფლისაგან” (იაკობი 1-27).
მან უდრტივებელად, ღვთისადმი სასოებითა და მადლიერე-
ბით გადაიტანა უამრავი ტანჯვა—წამება, თვით სატანად შე-
რაცხვაც კი, სამაგიეროდ სამშობლოს ექცა წამლად და მად-
ლად. სწორედ ამ ძირითად შინაარსს მოჰყვება ვაჟას გენია-
ლური ხედვა ამირანის მითისა:

**ფრინველი, ნეტავ რა იქნა, ბედის მძებნელის
მტვრითველი?
—ენახათ, თორემ ამბისა არავინ ჩნდება მკითხველი...
უზარმაზარი მხრებითა იგი მთებისკე წასულა,
სადაც თვის მსხვერპლი გეგულის, იქ იალბუზზე ასულა.
და ისევ ამირანისას გულ-მკერდსა სწინკის შმაგადა.
ვერც ის გატეხა, არც თვითინ მოსწყინდა ქცევა ავადა.
ვერ გაუთავა გულ-ღვიძლი, ვერც ხორცში
სისხლი გაუშრო,
როდი მოსწყინდა მის ტანჯვა, ერთხელ,
ერთს ღამეს გაუშო,
როცა საბრალო იტვირთა და სამოგლოში დაუშო.**

აი, რამხელა შვებაა კავკასიონს მიჯაჭვული, არწივი-იმპე-
რიებისაგან გულ-ღვიძლ დაკორტნილი ამირანი-საქართვე-
ლოსათვის თითოეული თავდადებული მამულიშვილი. მათი
თავდადება უმსუბუქებს ამირანს ტანჯვას, რადგანაც მტარ-
ვალი ამ დროს მათ ჩააგლებს ბჯღალს და სჯიჯგნის, მაგრამ
ალბათ არწივსაც მისჯილი აქვს, რომ ისინი სამშობლოს არ
თუ ვერ განაშოროს — საქართველოში საბოლოოდ მაინც
აღიარებენ და აფასებენ მამულიშვილებს, თუმცა, სამწუხარ-
ოდ, ხშირად დაგვიანებით. საესეა საქართველოს ისტორია
საბრალოებით, განა მონამეთა და მართალთა მხრებზე არ გა-
დადის ჩვენი არსებობა? რამდენჯერ ერთ ადამიანზე გაუფ-
ლია ჩვენს ყოფნა—არყოფნას და მათი ტანჯვა გამხდარა
ხოლმე ჩვენთვის შვება. ასეთი ხანმოკლე და პერიოდული გა-
მონათებანი ანიჭებენ შვებას და უკვდავყოფენ ამირანს:

რამდენიც სიშმავე მოსდის სისხლის სმის,
ხორცის გლეჯისა,
იმდნად საბრაზოდ უხდება სალი კლდე გმირის თმენისა
ვერ გაუგია, საიდან ნაჭამი ლეში ივსება,
ან სისხლი რისილა უდგა, მისგან რამდენი ისმება?

ამირანს საბრალოების სისხლი უდგას, მისთვის ეს მცი-
რე დროც საკმარისია, რათა ძალები მოიკრიბოს: ქეთევან
დედოფალი და თევდორე მღვდელი, ცოტნე დადიანი და
ილია მართალი, დემეტრე თავდადებული და ძმები ხერხეუ-
ლიძეები, ვინ მოსთვლის, — ყველა ვის გაახსენდება, ანკი
ცნობილია ყველას სახელი? მხოლოდ წარსულის შეფასება
რომ არ გამოივიდეს (წარსულს ხომ ფარისევლებიც სწო-
რად აფასებენ), ჩემი მხრიდან დავამატებდი: ჩვენი დროის
საბრალოები, ილიას შემდეგ, არიან მერაბი და ზვიადი. ახლა
კი თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ვაჟას კიდევ ერთ სიღრ-
მისეულ ხედვას:

აი, იმ არწივს გმირისა ხეცნა-მუდარა ჰსმენია,
და ერთი მადლი მანაც ქმნა, სისხლის სმაც დაუთმენია
ცოტა ხანს, არა სამუდმოდ, — **ღმერთს მისთვის
გაუჩენია
და ამირანის გულზედა მის კლანჭი დაუბჯენია.**
კიდევ მადლობა უფალსა, რომ ვერა ვხედავთ თვალთა
თვით ამირანის ტანჯვასა, შავის ღრუბლის ძალითა,
ჩვენს და მის შორის რომ წეება, როგორც ვეშაპი დიადი,
მის ნახვის გვრჩება ფუჭადა მეცადინობა ფრიალი,
**და მხოლოდ გონების თვალთ უნდა
განვსჭვრიტოთ წყვილიაი.**

აი, მივადექით წერილის დასაწყისში ნახსენებ ბ-ნი გი-
ორგის მიერ გამოთქმულ სინანულს ამირანის გათავისუფ-
ლების შესახებ: ვაჟას აზრით, არწივის დანიშნულება ამირა-
ნის ტანჯვაა, ვიდრე მჭედლები არსებობენ, რომლებიც სა-
კუთარი ნებით ამირანის მონობას უზრუნველყოფენ. ამ პო-
ემამ მჭედლებად საბრალოს ძმები და ხიზლში მყოფი ბერი
უნდა მოვიხაროთ, მჭედლებს ხელს არ აძლევთ ამირანის
თავისუფლება, რადგან მათ საკუთარი, — პირადული ინტე-
რესები აქვთ, რომლებიც განსხვავდება ამირანის ინტერე-
სებისაგან,* როგორც ამ პოემაში უფროს ძმათა ინტერესები
— ოჯახის ინტერესებისაგან, ოჯახის ინტერესს მხოლოდ
საბრალო ითვალისწინებს, იმავე წიაღიდან გამოსული საბ-
რალო, რომელმაც საკუთარი თავი უარყო. ასეთი რამ არ შე-
უძლიათ მჭედლებს, ამიტომაც, რომ ქვეყნისთვის მარტივი-
ლობა ერთეულითა ხედვრია, ისინი ხედავენ და განიცდიან
ამირანის ტანჯვას, ჩვენ კი, ჩვეულებრივი მოკვდავნი,
ღვთის განუზომელი მოწყალებით, ალბათ ჩვენი სისუსტის
გამო, დაცულნი ვართ ამ განცდებისაგან, გარდა ამისა წუ-
თისოფელი თავისას ცდილობს და ბურუსში ხვევს სიმართ-
ლეს, ამიტომაც საჭირო სწორი აზროვნება, რათა “გონების
თვალთ მაინც განვსჭვრიტოთ წყვილიაი” და მჭედლებმა
ჯაჭვის ნაცვლად ხმალი გამოუჭედონ ამირანს, აი, მაშინ კი
შეიძლება ახდეს აკაკის ნატვრა:

**მოვა დრო და თავს დაიხსნის, იმ ჯაჭვს გასწყვეტს
გმირთა-გმირი,
სიხარულით შეეცვლება, ამდენი ხნის გასაჭირი.**

ამინ!

* ამირანისა და მჭედლების ინტერესთა დაპირისპირების მი-
ზეზეზე ალბათ ბ-ნი გიორგი დაასრულებს თავის მოსაზრებას,
რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მითის ჭეშმარიტი ტექს-
ტის დადგენაში.

მანანა გაბაშვილი

კინო და კინომაყურებლის ისტორია

ფილმის, „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ პრემიერა, ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმში“ შედგა, რომელიც 1908 წელს იტალიელი იოსებ პავოლონისა და ქუთაისელი გიორგი მაჭავარიანის ძალისხმევით გაიხსნა. 1911 წლიდან ის უკვე კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ აგებულ ახალ შენობაში ფუნქციონირებდა. თანამედროვეთა აღწერით, კინოთეატრი მშვენივრად ყოფილა მოწყობილი 450 ადგილით, ლოჟებითა და ფოიეებით, რაც მაშინდელი კინომაყურებლისთვის ძალზე კომფორტული გახლდათ და რომლის მსგავსი კინოთეატრი ევროპის ზოგიერთ ქალაქსაც არ ჰქონია.

რამდენად პარადოქსულიც უნდა იყოს, დღეს ქუთაისში, XXI საუკუნეში, კინოთეატრი აღარ არსებობს.

ფილმის პრემიერა 1912 წლის 20 სექტემბერს მაყურებელით გადაჭედვით დაარბაში გაიმართა. დილიდან უამრავი ხალხი მოვიდა და ბუნებრივია, ყველა მსურველი „რადიუმის“ კინოდარბაზმა ვერ დაიტია.

არაერთი მოგონება და საგაზეთო ქრონიკა არსებობს, რომელშიც აღწერილია, როგორ ჩამობრძანდა აკაკი წერეთელი სხვიტორიდან ამ პრემიერაზე დასასწრებად. კინოთეატრის წინ შეკრებილი ხალხი მას „ვაშას“ ძახილითა და ოვატაციებით შეხვდა. დარბაზშიც ფეხზე დამდგარი მაყურებელი (რომელთა შორისაც ზოგი პირველად იხილავს კინოს) ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდა პოეტს, სადაც იგი ყვავილებით მორთულ სავარძელში დააბრძანეს. სეანსებს შორის კინოთეატრის სიმებიანი ორკესტრი ქართული სიმღერების პოპურს უკრავდა. ეს იყო ნამდვილ დიდი ეროვნული დღესასწაული და აქცია, რასაც ყველა გრძობდა და განიცდიდა. აღელვებულ აკაკის მის თანმხლებ ვარინკა წერეთლისთვის (სიმღერა „სულიკოს“ ავტორისთვის) გადაულაპარაკია: „ვარინკა, ხედავ რა ამბავია?“

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ამ ფილმის ისტორიული მნიშვნელობა მაშინდელმა საზოგადოებამ თავიდანვე გაითავისა და შემდეგ დღეებშიც კინოთეატრ „რადიუმში“ ეკრანზე აკაკის სანახავად უამრავი კინომაყურებელი მოდიოდა. აღსანიშნავია, დიდი ეროვნული გამოფხიზლების ეს ნამდვილი დიდი აქცია, ეროვნული მოღვაწეებისა და ხალხის ერთობლივი ძალისხმევა, ქართულმა კინომ რომ აღბეჭდა.

მუხჯი კინოს ეპოქის ამ ფილმს ერთგვარად ახმოვანებს რაჭა-ლეჩხუმში ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა (თავად-აზნაურობისა თუ გლეხების) გამოსვლები, რომლებიც ერთსულოვანნი არიან ამ დიდი მოვლენის მიმართ. ეს კარგად ჩანს მაშინდელ პრესაში დაბეჭდილი, აკაკისადმი მიმართული მათი ტექსტების შინაარსიდან.

მხოლოდ ხუთი წელია გასული ილიას მკვლელობიდან და ჭრილობები ჯერაც არ შეხორცებია ერს. აკაკის თითქოს გაორმაგებულ სიყვარულს უდასტურებენ და განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ. მსცოვან მწერალს „ერის გუშავს“, „მტერთან მებრძოლს“ და „ნამებულნი ივერის ბედ-იბლისის ქომაგს უწოდებენ.“

ხალხის ეს სიტყვები მაშინდელ პრესაში მაშინვე, 1912 წელსვე დაიბეჭდა და ამ ფილმის გააზრებისა და გაგების კიდევ ერთ საშუალებად იქცა, რომელიც მუხჯი კინოს ეპოქაში მას ერთგვარად ახმოვანებს.

აკაკის ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა, ლადო ბზვანელმა (გაზეთის რედაქტორმა), 1912 წელსვე ცალკე წიგნად გამოსცა აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ამსახველი თავისი პუბლიკაციები, კოტე მიქაბერიძემ, ასევე პოეტის თანმხლებმა პირმა კი ფოტოალბომი გამოსცა: „აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.“ მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ამ ფილმის კადრების მთელი სია მაშინდელ პრესაში გამოქვეყნდა, რაც იმდროინდელი კინოსამყაროსა და პრესისთვისაც კი უცხო იყო.

მრავლისმეტყველია, რომ ინტერესი ამ ფილმისა და აკაკი მოგზაურობისადმი დღესაც არ განელეზულა, ამის დასტურია 2006 წელს გურამ შარაძის მიერ გამოცემული, შესანიშნავად გაფორმებული წიგნი: „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.“ საინტერესოა აგრეთვე, რომ ამ თემას არა მარტო შეეხო კინომცოდნე გოგი დოლიძე მონოგრაფიით „აკაკის მოგზაურობა“ (2002), არამედ აკაკის მაშინდელი მარშრუტი თავის თანმხლებ პირებთან ერთად გაიარა.

რაც მთავარია, თავად ფილმის შემქმნელმა ვასილ ამაშუკელმა, რომელიც პირველი ქართველი ოპერატორიცაა (დაიბ. 1886 წელს, ქუთაისში), თავის მოგონებებში: „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, 1912 წლი 21 ივლისიდან 1 აგვისტომდე,“ ფილმის გადაღებასთან დაკავშირებული ამბები და ისტორიები აღწერა. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ვ. ამაშუკელის ჩანაწერები კინოდოკუმენტალისტის მიერ დაწერილი ერთ-ერთი პირველი და უძველესი მოგონებაც იყოს.

ეს ფილმი დღეს კინომაყურებლისთვის მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. გარდა იმისა, რომ მას საკუთარ წარსულში ახედებს, საინტერესოა ქართული კულტურის, ქართული კოსტუმის, უძველესი ქართული ცეკვების (ხორუმი და სხვ.) თვალსაზრისითაც. ასევე ქართული ტიპებისა და ქცევის კულტურის მხრივაც, რაც XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჩამოსულმა ევროპელებმა საგანგებოდ აღნიშნეს. მათი სიტყვით, ქცევით და მანერებით, ზრდილობითა და გარეგნობით ქართველ გლეხს ქართველი თავადაზნაურობისგან ვერ გაარჩევდით. ამის ერთ-ერთი დასტური აკაკიზე გადაღებული ეს ფილმიცაა. ხოლო რაც შეეხება ხალხის განწყობასა და სულისკვეთებას, სამშობლოსადმი და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისადმი დამოკიდებულებას, საამისოდ აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს მისადმი თქმული ერთი უბრალო გლეხის სიტყვებს მოვიყვანთ:

„აქაურ მკვიდრთა შეგნებული აქვთ თქვენი ვინაობა, იციან, რომ თქვენ არ დაბადებულხართ ჩინ-ტემლაკებისათვის, არც მილიონებისათვის და არც პირადი თქვენი სარგებლობისათვის. იციან, რომ თქვენი დიდებული ნამოქმედარი ფასდაუდებელი არის კაცობრიობისათვის და განსაკუთრებით ჯერ კიდევ მიძინებული ჩვენი ერისათვის, რომელიც იღვიძებს და მოდის თვითცხოვრებაში თქვენი ჩანგის ზეგავლენით, იღვიძებს იმ იმედით, რომ ნაშრომი კარგად შეიგნოს და დასტკეპს თავის სამშობლოს ენაზედ თქვენი უკვდავი სიმთა ჟღერით.“

დღეს კვლავ აქტუალურია სოფელ წესში (ბარაკონში) წარმოთქმული მასწავლებელ გ. კვიციანიანის სიტყვა: „თქვენი პოეზია აღგვიძრავს გულში უტკბილესს გრძობებს მამულის და სამშობლო ენის სიყვარულისას. თქვენ ღალატით იმისთანა დიდა აზრებს, რომელნიც ჯერ განათლებულ ქვეყნებშიაც არ არიან განხორციელებულნი სრულად — ძმობა, ერთობა და სიყვარული! აი, ეს აწერია თქვენს დროშას და ამ წარწერას ჩვენც ვეტრფით... არ დაგიტოვებიათ უყურადღებოდ არც ერთი მოვლენა, რომელსაც კი საზოგადო ხასიათი ჰქონდა და ერი მიჰყავდა კეთილდღეობისაკენ. ავიღოთ თუნდ ბანკების დაწყება, ან მადნეულის წარმოება, ვაჭრობა-მრეწველობა ანდა სხვა-განათლების, — ყველგან თქვენი შორსმჭვრეტელი ჭკუა და მახვილი ენა კეთილგონივრობის გზას გვიჩვენებდა, თითქოს გვეუბნებოდით: ქართველებო, გამოფხიზლდით, თორემ ადგილ-მამული ნელ-ნელა გეცლებათ ხელიდან! იმრომეთ ყველამ განურჩევლად წოდებისა, რადგან-

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №25

ნაც შრომა არის საფუძველი ადამიანის კეთილდღეობისა: მოჰკიდეთ ხელი მეურნეობას და ვაჭრობა-მრეწველობას, რომ სხვა ერებს მეტოქეობა გაუწიოთ და საკუთარი ეროვნული სიმდიდრე შექმნათ... კარგად შეისწავლეთ სამშობლო ენა, თუ გინდათ ქართველად იწოდებოდეთ; ვინც უცხო ენებს და ჩვეულებებს ითვისებს და თავისას კი ივიწყებს, ის გადაგვარების მოსურნეა.”

სოფლის მასწავლებელი ასეთ ადამიანს, რომელიც სხვა ქვეყნის სიმდიდრისა თუ პირადი კეთილდღეობის გამო სამშობლოს მიატოვებს, ღამურას ადარებს.

ალსანიშნავია, რომ აკაკის მოგზაურობის დროს ხალხისათვის გაკეთებული დიდი საჩუქარი, უსასყიდლოდ დარიგებული მწერლის წიგნებიც ყოფილა, რასაც ხალხი უზომოდ გაუხარებოდა. ესეც ერთ-ერთი საინტერესო შტრიხია ქართული ხასიათისა და ინტერესების. იმისათვის, რომ ქართული კინოს სადავებთან, მის თავისებურებასთან, ქართულ კინომაყურებელთან მივიდეთ.

ასე რომ, ქართველი ხალხის ინტერესები, ფსიქოლოგია და მისი ისტორიის თავისებურება აკაკი წერეთელზე გადაღებული ფილმიდანაც კარგად გამოსჭვივის. ამ მხრივ საინტერესოდ მიგვაჩნია რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის (რომელსაც გრანდიოზულ ეროვნულ დღესასწაულსაც უწოდებენ) მომწყობი კომიტეტის წევრების — ნ. აგლაძისა და ნ. გომაძის — ნაამბობი, რომელიც კომუნისტურ ეპოქაში ერთ-ერთ კორესპონდენტს ჩაუწერია. ამ მოგონებაში ქართველი ხალხის ის ფენომენიც არის ახსნილი, რომელიც ქართულმა კინომ დააფიქსირა:

„რაჭა-ლეჩხუმის მცხოვრებლები-სათვის, განურჩევლად ასაკისა, ჯერ კიდევ იმ დროს, ყველა სავანძურზე უძვირფასეს ნივთს წიგნი წარმოადგენდა (რომელიც არც თუ ისე ხელმისაწვდომი იყო მასისათვის).

ხშირად მინახავს ბავშვი, რომელსაც ასაკის მიხედვით დედოფალასა და საკენჭო ქვების მაგივრად, დრო-ჟამისა და ხშირი ხმარებისაგან დაფლეთილი წიგნი სჭერია ხელში, ირგვლივ კი შემოკრებილი ჰყოლია სმენად ქცეული ტოლ-ამხანაგები.

მინახავს ყანაში მოშუშავე რაჭველი გლეხები დასვენების დროს ჩრდილში, შუადღის მხეს რორიდებულნი, ისეთ განყენებულ საგნებზე მოსაუბრენი, როგორც არის ვარსკვლავთმრიცხველობა. არც იშვიათად გაიგონებდი ადამიანი რაჭველი გლეხკაცისაგან მსოფლიო ტალანტების და მეცნიერების ხსენებას. მაგალითად, რაფაელის, მიქელანჯელოსი, გალილეისა და სხვათა.”

სხვათა შორის აკაკი, რომელიც ხშირად იგონებდა რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობას, ამბობდა, ჩემს განცვიფრებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, რადგანაც ბევრი გლეხკაც-თავანის სიტყვა საბერძნეთის ორატორებსაც კი შემურდებოდათ. ამ მოგზაურობის შემდეგ აკაკი ამასაც ამბობდა: ქართველი ხალხი ეძებს გმირსა და წინამძღოლს, რაც მას მომავალში ეყოლებოდა.

ქართველის წიგნისა და განათლებისაკენ მიდრეკილება ყოველთვის დიდი იყო, რაც ყველა დროსა და ეპოქაში ჰქონდათ შენიშნული. შუა საუკუნეების ერთი უცხოელი მემკვიდრე დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართველებს „ცოდნისმოყვარე ივერიელ ხალხს“ უწოდებს და სხვ.

ფაქტობრივად იმავეს აღნიშნავს რუსი მეცნიერი, პროფესორი ს. ანისიმოვი. რაჭაში სამეცნიერო ექსპედიციაში ყოფნისას

იგი შემთხვევით შეეხსრო აკაკის დახვედრის დიდ სახალხო ზეიმს და თვითონ აკაკიც გაიცნო. თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ის, რაც ქართველმა ხალხმა აკაკის მიმართ გამოხატა, არცერთ რუს მწერალს არ განუცდია. მაშინ, წერს იგი, 1912 წელს, ჩვენ არ ვიცნობდით ასეთ ლიტერატურულ დღესასწაულს. როდესაც ლევ ტოლსტოის 80 წლის იუბილე აღინიშნა, მას მხოლოდ მოსკოვის განათლების კომიტეტის წევრებმა მიაკითხეს. რაც შეეხება სოფელ იასნაია პოლიანას მცხოვრებლებს, სადაც დიდი მწერალი დაიბადა, გაიზარდა, თავისი ცხოვრების 70 წელზე მეტი გაატარა და სადაც ყველა მისი შედევრია შექმნილი, ეს დღე მათთვის არ ყოფილა დღესასწაული. მაშინ, წერს ს. ანისიმოვი, ლიტერატურულ იუბილეებს მხოლოდ ქალაქების კულტურული ზედა ფენები აღნიშნავდნენ. თავად ლევ ტოლსტოი კი, უკვე მსოფლიო სახელის მქონე მწერალი, დარდობდა იმის თაობაზე, რომ ის არ იყო „სახალხო“ მწერალი და მას რუსეთის მაშინდელი მოსახლეობის 130 მილიონიდან მხოლოდ ათი ათასობით ადამიანი თუ კითხულობდა. და უცებ ჩვენ თვალწინ გადაიშალა პოეტისადმი მიძღვნილი ასეთი მასშტაბის საერთო სახალხო დღესასწაული, იუბილესი, რომელსაც მთელი ქვეყანა აღნიშნავდა.

ამაზე აქცენტს იმიტომაც ვაკეთებთ, რომ თავიდანვე ქართულმა კინემატოგრაფმა — ხელოვნების ახალმა დარგმა — მხედველობაში მიიღო წიგნიერებისა და წიგნის განსაკუთრებული პოპულარობა საქართველოში, რის გამოც ქართულმა კინემატოგრაფმა, როგორც ამას ვასილ ამაშუკელიც აღნიშნავს, თავიდანვე როგორც ლიტერატურით, ისე მეცნიერებითა და ტექნიკით დაიწყო საზრდოობა. ქართულ კინოს არც ისტორიისა და კავკასიის თემატიკისთვის აუვლია გვერდი. მხედველობაში გვაქვს ს. ესაძის (XX დასაწყისი), კავკასიოლოგისა და ოპერატორის მიერ გადაღებული კავკასიის კინოქრონიკა და „კავკასიის დაპყრობა.”

ამგვარად, ფილმი აკაკიზე დასტურია, რომ ქართული კინო და ქართველი კინომაყურებელი ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან კავშირში იწყებს თავის ისტორიას. ალსანიშნავია, რომ ეს ფილმი თავიდანვე გაცდა საქართველოს ფარგლებს. მისი ნახვა მოსკოვის, პეტერბურგის, ხარბინისა და სტამბოლის კინომოყვარულებმა მოითხოვეს, რაც ქართული კინოს მაშინდელმა მესვეურებმა შეასრულეს. საინტერესოა, რომ ამ ფილმის მნახველთა შორის XVII საუკუნეში, შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებული ქართველთა შთამომავლები — ფერეიდნელებიც — არიან. ისინი ქართული კინოს ერთ-ერთ პირველ მაყურებლებს შორის აღმოჩნდნენ, რაც საინტერესო ფაქტია.

სამწუხაროა, რომ ფილმი აკაკის მოგზაურობაზე რაჭა-ლეჩხუმში დაიკარგა (1921) და 1200 მეტრიდან მხოლოდ მის ნახევარს (ლიტერატურის მუზეუმის არქივში) მიაკვლიეს. ეს ძალზე გულდასაწყვეტია, რადგანაც ესება ფილმს, რომელიც ქართული კინოს ისტორიის განვითარების ეტაპია, მაჩვენებელი ქართული კინოს მესვეურთა და საზოგადოების ძალისხმევით, ვინც კინოს შექმნიდან სულ რაღაც 17 წელიწადში აღნიშნულ დარგს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული დატვირთვა შესძინა.

ეს ფილმი, რომელიც მსოფლიო კინოს ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიოში პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, ბუნებრივია, ამ სიახლის გამოც მსოფლიოს კინოკრიტიკოსთა თვალსაწიერში რომ მოქცეულიყო. მაგალი-



თად, ცნობილი ფრანგი კინოკრიტიკოსი ჟორჟ სადული ამ ფილმის შესახებ წერდა: „ქართული კულტურა უძველესია, ხოლო მისი ნაციონალური ტრადიციები საკმაოდ ცხოველყოფელი. უკვე 1912 წელს საქართველოში გაჩნდა პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი (1200 მეტრი), რომელიც ოპერატორმა ვასილ ამაშუკელმა გადაიღო და ამით აღბეჭდა გამოჩენილი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის მოგზაურობა საქართველოს სოფლებში. ფილმი შემონახულია და მასში არის შესანიშნავი კადრების მთელი წყება.“

მნიშვნელოვანია აგრეთვე, სადულის მიერ აკაკი წერეთელზე შექმნილი აღნიშნული ფილმის უძველესი ქართული კულტურის განხილვა ზოგად ჭრილში, რაც მაშინდელი ქართული საზოგადოების ისტორიისა და ამ საზოგადოების ინტერესების ამსახველიცაა. ჩემდა გასაკვირად, ეს ფილმი ზოგიერთ ქართველ კინომცოდნეს ან ერთი ფრაზით, ანდა უბრალოდ გაკვრით აქვს მოხსენიებული.

„კინო უეკრანოდ“ კინორეჟისორ ლიანა ელიავას წიგნია, რომლის ერთ თავს: „სინემას“ დაუჯერებელი ამბავი“ ასეთ ეპიგრაფთ აქვს წამძღვრებული: „უძღვნი ფილმის კონსულტანტს, ქართული კინოს პიონერს — ვასილ ამაშუკელს, რომელიც ამ ფილმზე მუშაობისას გარდაიცვალა.“

„სინემას“ — კინემატოგრაფის ისტორიის ამსახველ ამ ფილმის შესახებ, ვენეციის ფესტივალის მაშინდელი დირექტორი კარლო ლიძანი გაზეთ „უნიტაში“ (22. 7. 1979) წერდა, რომ ეს ფილმი არის კინოს სამყაროსადმი, მისი პირველი ნაბიჯებისადმი, დიდი სიყვარულის დადასტურება.

სადული, აკაკი წერეთელზე გადაღებული ფილმიდან 18 წლის გასვლის შემდეგ ქართულ კინოსა და მიხეილ კალატოზიშვილზე (კალატოზოვი) დაწერს: „შესანიშნავად გადაღებულმა „ჯიმ შვანთემ“ („მარილი სვანებს“), 20-30-იანი წლების ამ ჟანრის საუკეთესო ფილმმა ქართველი მიხეილ კალატოზიშვილის ტალანტი გახსნა.“

ცნობილია, რომ ფრანგმა კინოკრიტიკოსმა „ჯიმ შვანთე“ 20-30-იან წლების საუკეთესო ფილმებს მიაკუთვნა და პარალელი გაავლო ლუის ბუნიუელის ოდნავ მოგვიანებით, 1932 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ფილმთან „ლას ურდესთან“ („უპურო მიწა“). ფილმი იმდენად მიიჩნეა და პესიმისტური, რომ წლების მანძილზე ესპანელი კინომაყურებლისთვის არ უჩვენებიათ, რეჟისორმა კი ქვეყანა დატოვა. ეს ფაქტიც კინოსა და კინომაყურებლის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. მაგალითად, „ლას ურდესთან“ შედარებულ „ჯიმ შვანთესა“ და მის ავტორს, რომელიც — განსხვავებით ლუის ბუნიუელისგან — სულ სხვა ქვეყანასა და სისტემაში ცხოვრობდა, მსგავსი ბედი ერგო. ორივეს ფილმები აუკრძალეს, ორივემ სამშობლო დატოვა.

მართალია კალატოზიშვილს „ჯიმ შვანთე“ მხატვრულ ფილმად ჰქონდა გადაღებული (სახელწოდებით „უსინათლო“, 1929), მაგრამ აკრძალვის შემდეგ, გადარჩენილი მასალით მან დოკუმენტური ფილმი შექმნა მხატვარ დავით კაკაბაძესთან თანამშრომლობით. ამ ფილმმა, რომელშიც — კინომცოდნეთა აზრით — ავტორი, კამერა, მაყურებელი და გმირი ერთმანეთს შეუერთდა, მსოფლიო კინოს ისტორიაში მ. კალატოზიშვილსა და ქართულ კინოს თავისი ადგილი დაუმკვიდრა.

ვფიქრობთ, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროსა და სისტემაში აკრძალულ ფილმთა ისტორია ერთ-ერთი საინტერესო თემაა, რომლის მონოგრაფიული შესწავლაც მნიშვნელოვანია. მითუმეტეს არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი და ამ კუთხითაც მდიდარი ისტორიის მატარებელია.

ბუნებრივია, რომ კინომაყურებელი არ არის კინომცოდნე, თუმცა კინომაყურებელიც თავისებურად აანალიზებს ნაწახ ფილმებს, რაც კინოსთან კინომაყურებლის მუდმივი შეხების შედეგია. როგორც კინომაყურებელი, გარკვეულ კავშირს ვხედავ აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობასა და „ჯიმ შვანთეს“ შორის. ორივე ფილმი დოკუმენტურია და ორივეში ქარ-

თველი ხალხია მოქმედი პირი, ერთში მოხეივნი, ქართული იდეით შეკრული, მეორეში — ყოველდღიურობასა და ცხოვრების უმძიმეს პირობებთან შერკინებული.

გარკვეულ კავშირს, როგორც ითქვა, ფილმ „აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობასა“ და მხატვრულ ფილმ „ქეთო და კოტეს“ (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი, ერთხანს ფრანგულ კინოშიც მოღვაწეობდა) შორისაც შევნიშნავ. ორივესადმი ყველა თაობის კინომაყურებლის დამოკიდებულება განსაკუთრებულია. ორივეში ქართველი ერისთვის ნიშანდობლივი განწყობა და ხიბლია. „ქეთო და კოტეს“ ამ ატმოსფეროს, რეჟისორსა და სამსახიობო დასთან ერთად, ქართველი მხატვრები — ფარნაოზ ლაპიაშვილი და იოსებ სუმბათაშვილიც ქმნიან.

საზოგადოდ მსოფლიო კინემატოგრაფიაში მხატვრის როლი დიდი თემაა. მათ კინოში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების შეტანით კინოკადრს მეტ გამომსახველობასთან ერთად (კინომაყურებლის თვალთახედვითაც), მეტი შთამბეჭდაობაც შესძინეს. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ავანგარდისტი მხატვრების ღვაწლი. თუმცა ამ გავლენას გაცილებით ადრეც ჰქონდა ადგილი.

ისევე როგორც ლიტერატურამ, მხატვრებმა კინოზე და, თავის მხრივ, კინომაც მხატვრებზე დიდი გავლენა მოახდინეს. საფრანგეთში მოღვაწე მარკ შაგალი და ფერნარ ლეჟე თავიანთ მხატვრობაზე ჩარლი ჩაპლინის ფილმების გავლენას აღნიშნავდნენ. მარკ შაგალი, როგორც კინომაყურებელი, მხატვრის პოზიციიდან ამბობდა: ჩარლი ჩაპლინი თავის ფილმებში ცდილობს მიაღწიოს იმას, რის მიღწევასაც მე ჩემს ნახატებში ვცდილობო. ფრანგი მხატვრის ოგიუსტ რენუარის შვილმა, კინორეჟისორმა ჟან რენუარმა კი ფილმი „წყლის ქალიშვილი“ (1925) მამის მხატვრობის განწყობითა და სტილისტიკით შექმნა და სხვ. ამ მხრივ სანტერესოა თავად მხატვრებზე (რემბრანდტი, მონე, მოდილიანი, ფიროსმანი და სხვ.) შექმნილი ფილმებიც.

ცალკეა აღსანიშნავი მხატვართა მიერ XX საუკუნის I ნახევრის ჰოლივუდის კინოვარსკვლავ ქალთათვის შექმნილი სამოსი, რომელიც დღეს, როგორც ხელოვნების ნიმუშები, ცალკე შესწავლისა და განხილვის საგანია. ჰოლივუდის ისტორიკოსები აღნიშნავენ თუ როგორ ბაძავდა მათ მაშინდელი კინომაყურებელი ჩაცმითა თუ ქცევით და ასე იყო ყველგან, ასეა დღესაც. სხვათა შორის, XX საუკუნის 30-იან წლებში ჯინსების დამკვიდრებასა და პოპულარიზაციაში, რომელსაც თავიდან საზოგადოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა და რომელიც დღეს უკვე მთელი მსოფლიოს საერთო სამოსია, დღია ჰოლივუდის კინოვარსკვლავთა — ჯონ უეინის, მარლონ ბრანდოსა და ჯეიმს დინის — როლი. საინტერესოა, რომ ფილმებში კინომსახიობთა კოსტიუმების ქმნილები მოდის ისეთი დიდოსტატებიც, როგორებიც იყვნენ პიერ კარდენე და სხვები.

ქართულ კინოშიც თავიანთი უნიჭიერესი მხატვრები მოღვაწეობდნენ — ლადო გუდიაშვილი, ვ. სიღამონ-ერისთავი, ი. გამრეკელი, დ. შევარდნაძე და სხვ. მაშინ საქართველოში მოღვაწე მ. კალატოზიშვილმა (კალატოზოვი) სპეციალური მოხსენებაც წაიკითხა: „მხატვრის როლი კინოში.“ დავით კაკაბაძე კი კინოტექნიკაში ნოვატორული გამოგონების ავტორიც გახდა. ცნობილია, რომ მან შექმნა კინოსტერეოპროექტორი.

რაც შეეხება კინომუსიკას, ის დღეს ერთ-ერთი პოპულარული ჟანრია. კინემატოგრაფს მსოფლიო სახელის მქონე კინომუსიკოსები ჰყავს, კინომუსიკა კი თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს. მაგრამ ადრე, როგორც ეს კინოს ისტორიიდან არის ცნობილი, მუსიკა სხვადასხვა გზით ცდილობდა კინოზე მორგებას დროისა თუ ტექნიკის განვითარების პარალელურად. ჯერ ე.წ. „ტაპირები“ იყვნენ, ხანაც ეკრანის უკან მომღერალს აყენებდნენ, რომელსაც დარბაზიდან ზოგჯერ კინომაყურებელიც აწყევლობდა ხოლმე. ეკრანის უკან მთელ ორკესტრსაც განალაგებდნენ, გრამაფონს დგამდნენ და სხვ.

მუსიკამ და მუსიკალურმა ენამ კინოში იმდენად დიდი დატვირთვა შეიძინა, რომ ემოციურად ყველაფრის, ზოგჯერ თვით მსახიობების გადაფარვაც კი შეუძლია. მუსიკა განსაკუთრებულ განწყობას უქმნის კინომსმელს, ამზადებს მას და იმდენად ძაბავს მოსალოდნელი ამბისათვის, რომ კინომსმელს შიშისგან ძარღვებში სისხლი ეყინება. ცალკე თემა ცეკვები კინოფილმებში. მაგალითად, ზოგიერთ ფილმზე კინომსმელის მხოლოდ ფრედ ასტერისა და ჯინჯერ როჯერის ცეკვების სანახავად დადიოდა. აღსანიშნავია, რომ ფრედ ასტერისთვის, რომელსაც ჯორჯ ბალანჩინი ცეკვის გენიოსს უწოდებდა, მუსიკას ჯორჯ გერშვინი და სხვა გამოჩენილი კომპოზიტორები წერდნენ. ფრედ ასტერთან ცეკვა ყველა ქალის ოცნება იყო და მე ეს ოცნება ავიხდინეო, — იგონებდა ოდრი ჰეპბერნი. ცხადია, ასევე ცალკე თემა მუსიკალური კინოფილმები, რომელსაც ყველა თაობის კინომსმელში, მათ შორის საქართველოში თავისი თავყანისმცემელი ჰყავს და ერთ-ერთი უსაყვარლესი კინოჟანრია.

მაგრამ კინოსადმი მუსიკის დამოკიდებულების სხვა მხარეც არსებობს. მაგალითად, ა. კონჩალოვსკი მ. კალატოზოვთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ იგი კინოს, როგორც მუსიკას ისე აღიქვამდა და ამგვარი მაგალითების მოყვანა სხვა კინორეჟისორთა მაგალითებზეც შეიძლება. მაგალითად, ავიღოთ თუნდაც დიდი იტალიელი კინორეჟისორის, ლუკინო ვისკონტის შემოქმედება, რომელიც მუსიკას ბავშვობიდანვე ეზიარა (ჩელოზე უკრავდა). მისი დამსახურებაა მარია კალასის დახვეწა გარეგნობით თუ სამსახიობო ოსტატობით, რითაც მისგან ნამდვილი მსოფლიო სასწაული შექმნა. გარდაცვალებამდე იგი განმარტოვდა და მხოლოდ მუსიკას უსმენდა. სიტყვებით, საკმარისია, გამორთო მუსიკა, — ლუკინო ვისკონტი გარდაიცვალა. ფრანგი კინორეჟისორი ჟან ლიუკ გოდარი მიიჩნევდა, რომ კინო ფერწერაა, რომელსაც შეიძლება მოუსმინო, როგორც მუსიკას.

არ ვიცი როგორ იყო საზღვარგარეთ, მაგრამ საქართველოში კინოსა და კინომსმელს ისეთი ისტორიაც აქვს, საოჯახო კინოს რომ ვუნდობდი და ტელევიზიის ერთგვარ წინამორბედს. ეს იყო კერძო კინოპროექტორით ოჯახებში ფილმების ჩვენება.

საინტერესო დამთხვევაა, სწორედ კოტე მესხის ქუჩაზე (მთანინდაზე), რომლის სახელიც ქართული კინოს ისტორიას უკავშირდება, პაპაჩემის, სერგი მაკალათიას ოჯახში, კინოსტუდიიდან მოტანილ ფილმებს სახლის აივნის კედელზე გაკრულ თეთრ ზენარზე უშვებდნენ. კინომსმელს — ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეზობლებსა და ბავშვებს — შორის მეც ვიყავი. ესეც ქართველი კინომსმელის ისტორიის ნაწილია, იმ კინოჩვენებებისა, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ამ ფილმებში არ ყოფილა აგრესია, იყო კარგი მუსიკა, იყვნენ ჰოლივუდის ლამაზი და დახვეწილი მანერების ადამიანები. დღემდე მახსოვს მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილება და განცდა. როგორ ჩამოდის თვითმფრინავის ტრაპზე ოპერის სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი ტიტო გობი, როგორ მღერის და უყვარს ლამაზი ქალი.

ეს განცდა კვლავ დამიბრუნდა, როდესაც რამდენიმე წლის წინათ, ვასილ ამაშუკელის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში, ძველი ინტელიგენციის ოჯახში, ძველი კინოაპარატი, თვითნაკეთ ეკრანზე ფილმი „ქეთო და კოტე“ გაუშვეს, რომლის ნახვაც მრავალ კინომოყვარულთა მსგავსად არ მზეზრდება.

კინო და კინომსმელის ისტორია XX საუკუნის მთლიანობაში გააზრებას ითხოვს. თუმცა კინოს ყველა ფუძემდებელი XIX საუკუნის მიწურულსა დაბადებული და მათი მეშვეობით ამ ეპოქის განწყობა და სულისკვეთება დიდხანს გაჰყვება კინოს. პირველი კინომსმელებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის კულტურის მატარებლები იყვნენ. ისინი კინოს განვითარებასთან ერთად მთელ რიგ ეტაპებს გადიოდნენ და კინოსთან ერთად იცვლებოდნენ.

მუნჯი კინოდან ხმოვან კინოზე გადასვლამ დააბნია როგორც კინოს შემოქმედნი, ისე არანაკლებ კინომსმელები, რომლებიც ხმოვან ფილმებზე ზოგჯერ იმისთვის დადიოდნენ, რომ დრო გაეტარებინათ და ეცინათ მუნჯი კინოს ამეტყველებულ კინოვარსკვლავებზე, მითუმეტეს, თუ მათი ხმა არ შეესაბამებოდა მათ წარმოდგენას ზოგ კინოვარსკვლავზე. მაგალითად, ჩარლი ჩაპლინი პრეტესტი ასე გამოხატა. მან თავისი კინოგმირები ყველასთვის გაუგებარ, აბსურდულ ენაზე ამეტყველა.

ნატო ვანნაძე, რომელიც ქართული კინოს ვარსკვლავად შემთხვევითობამ აქცია (მაშინდელ „დვარცოვზე“ გამოფენილი მისი ფოტოსურათის წყალობით), იგონებს: რაღაც ეტაპზე მეტყველების მხრივ თეატრის მსახიობებმა გვაჯობეს, რაც ჩვენგან, კინოსმსახიობებისგან დიდ შრომასა და ძალისხმევას ითხოვდა. ასე რომ „ჯერ იყო სიტყვა“ კინოს არ ეხება, რადგანაც კინოში პირიქით იყო. თუმცა მუნჯი კინოს ელემენტები (გამომსახველობის თვალსაზრისით, ყველაზე დახვეწილად მიჩნეული), ვფიქრობთ, ხმოვან კინოში რაღაც ფორმით მაინც აგრძელებს არსებობას. განსაკუთრებით მინიმალური ტექსტებით დატვირთულ ფილმებში, რითაც განსხვავდებიან იმ კინოსურათებისგან, კინომცოდნეები ზოგჯერ „ყბედ ფილმებსაც“ რომ უწოდებენ.

მუნჯი კინოდან ხმოვან კინოზე გადასვლა მართალია კინომსმელისთვის ნამდვილი გამოწვევა იყო, მაგრამ მალე ხმოვანი კინო ტექსტისა და გამოსახულების ერთობლიობის გზით კინომსმელს ზეგავლენის მძლავრ იარაღად იქცა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს, კინომ ერთგვარი ფსიქოთერაპევტის როლი იტვირთა. კინოს მესვეურებმა გააცნობიერეს, ადამიანებს სჭირდებოდათ იმედი და საამისოდ ჰოლივუდმა ბევრიც იღვანა. ჰოლივუდის ფილმები კინოდარბაზში მისულ კინომსმელს დროებით მაინც ავიწყებდა მძიმე ცხოვრებას და ოცნებებითა და ლამაზი ილუზიებით კვებავდა. კინოს გზით მსმელის იდეოლოგიზება ჰიტლერისა და მუსოლინის მიერ კინორეჟისორების, კინოსცენარისტების, კინოსმსახიობების საშუალებითაც ხორციელდებოდა, რაც კინომსმელის პოლიტიზებას უწყობდა ხელს. მას ახალი ტიპისა და დროის გმირებს სთავაზობდა.

საბჭოთა კინოსაც ჰქონდა საბჭოთა სისტემისთვის ნიშანდობლივი ბერკეტები, რითაც კინომსმელში მომავლის იმედსა და ენთუზიაზმს ნერგავდა.

როგორც ითქვა, კინოსა და კინომსმელის ისტორია XX საუკუნის მთლიანობაში გააზრების გარეშე შეუძლებელია, ყველა იმ მოვლენის გათვალისწინებლად, რამაც განსაზღვრა ამ საუკუნის სახე. ეს არის რუსეთის რევოლუციები, ძველი სახელმწიფოების ნგრევა, ახალი სახელმწიფოების, მათ შორის საბჭოთა კავშირისა ჩამოყალიბება, ევროპაში ფაშისტური რეჟიმების მოსვლა (გერმანია, იტალია), პირველი და მეორე მსოფლიო ომები (რომელშიც არაერთი კინემატოგრაფისტი დაიღუპა), გლობალიზაცია და სხვ. ყველა ამ მოვლენამ ახალი თემები და ხედვები შემოიტანა კინემატოგრაფშიც, გაჩნდა ახალი ტიპის კინომსმელისტი.

ცნობილია, რომ II მსოფლიო ომმა და ანტიფაშისტურმა მოძრაობამ იტალიურ ნეორეალისტს დაუდო სათავე, რომელმაც მილიონობით კინომსმელის ცნობიერებაში ესთეტიკური, იდეოლოგიური გადატრიალება მოახდინა და საზოგადოდ უმძიმეს პრობლემებზე (სოციალურ თუ სხვ.) ნიჭიერად გადაღებული ფილმებით (ზოგიც ნამდვილი შედეგია) მსოფლიო კინემატოგრაფზე მოახდინა ზეგავლენა.

მაგრამ ამ პერიოდსაც კინომსმელის განწყობის ცვალებადობა ახლდა. ამ ცვალებადობას კინოინდუსტრია ისევე აკონტროლებდა, როგორც ომის თემატიკას (სპეციალური სამხედრო ქრონიკები და სხვ.), პატრიოტიზმსა და მძიმე პრობლემებისადმი სხვადასხვა მიდგომებს. საქმე ისაა, რომ

კინომაყურებელი, თვით ომის დროსაც, გაჭირვებასა და მუდმივ დაძაბულობაში მყოფი, განტვირთვის მიზნით სათავგადასავლო და გასართობი, კინოკომედიებსა და მუსიკალურ ფილმებს ითხოვდა. ამიტომ კინომაყურებლის განწყობიდან გამომდინარე, კინომრეწველები ბალანსს იცავდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამავე პრინციპით (ომგადახდილი ხალხისთვის II მსოფლიო ომის დროს შექმნილი პატრიოტული ფილმების „გიორგი სააკაძე“ და სხვა შემდეგ) ასევე სტალინის მითითებით შეიქმნა „ქეთო და კოტე“ — კომედიური მუსიკალური ფილმი ავქსენტი ცაგარელის „ხანუმასა“ და ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეზე“ დაყრდნობით. შემოქმედებითმა ჯგუფმა (რომელიც თავიდან არ აღფრთოვანდა ამ იდეით) შექმნა ბრწყინვალე ფილმი, ყველა დროისა და ყველა თაობის ქართველთათვის, სადაც კინო, თეატრი და ოპერა ჰარმონიულად თანაარსებობენ.

ომის შემდეგ საბჭოთა კინომაყურებლის გუნება-განწყობის გამოკეთებაში დიდ როლს ასრულებდნენ „ნადავლ ფილმებად“ (ე.წ. „ტროფეინი“) ცნობილი ჰოლოიუდის მუსიკალური, სათავგადასავლო ფილმები და კომედიები. ამ ფილმებს უფროსი თაობა, თავის ახალგაზრდობასთან ერთად, სიამოვნებითა და აღტაცებით იგონებდა. ეს ფილმები განსაკუთრებული მოვლენას წარმოადგენდა ომის შემდგომი საზოგადოებისა (მრავალი უბედურებისა და გაჭირვების თვითმხილველი რომ იყვნენ) და ახალი თაობის ცხოვრებაში. მათი მნიშვნელობა, როგორც იმ ეპოქის ადამიანთაგან, ანუ მაშინდელი კინომაყურებლებისგან მომისმენია, სათანადოდ არ არის გაცნობიერებული. ეს არის ე.წ. „ოქროს ფონდის“ ფილმები, რომელსაც XX საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით უჩვენებდნენ და დღესაც, როგორც კლასიკას, დიდი სიამოვნებით უყურებენ ახალი თაობის კინომაყურებლები. მაშინდელ დროში კი ეკრანებზე ამ ფილმების გამოსვლა კულტურული მოვლენა და ერთგვარი ზეიმიც იყო, რაც აუცილებლად განხილვისა და მსჯელობის საგანი ხდებოდა. კინოთეატრები ივსებოდა კინომაყურებლებით. რაც ასევე მნიშვნელოვანია, მათ ამ ფილმებით საუკეთესო თვისებებს უღვივებდნენ — კეთილშობილებას, სიყვარულსა და სილამაზის განცდას. ამან თავისი კვალი დააჩნია ამ ფილმების მაშინდელი კინომაყურებელს, მთელ თაობას, რომელიც გაცილებით ახლოს იდგა ჭეშმარიტ დასავლურ კულტურასთან (თუმცა ამაზე არავინ გაჰყვიროდა), ვიდრე ზოგიერთი დღევანდელი კინომაყურებელი.

ამ ფილმებს უყურებდა ყველა, მოყოლებული უმაღლესი საბჭოთა ეშელონებიდან და უბრალო საბჭოთა ადამიანებით დამთავრებული. ცნობილია, რომ იოჰან შტრაუსზე გადაღებული მუსიკალური ფილმი „დიდი ვალსი“ სტალინის უსაყვარლესი ფილმი იყო, რომელიც ერთ-ერთი აქტიური კინომაყურებელი გახლდათ და ვისაც მისთვის განკუთვნილი სპეციალური კინოდარბაზი ჰქონდა. მას, ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, ყოველ ახალწელს უჩვენებენ, როგორც განსაკუთრებული განწყობისა და სიხარულის მატარებელ არაჩვეულებრივ კინოფილმს. სხვათაშორის, ეს კინოშედეგები, რომლებსაც კინომცოდნეები და კინომაყურებლები ნოსტალგიურსაც უწოდებენ, ჰეისის კოდექსის საფუძველზეა შექმნილი (რაც მორალურ-პრინციპების დაცვასა და დადებითზე ყურადღების გამახვილებას ითხოვდა), 1966 წელს გაუქმდა. ამ აკრძალვის გაუქმება ეთხოვეს სექსუალური რევილუციის დანაყების ხანას, რომელმაც გარკვეულწილად შეცვალა დასავლეთი და დასავლური კინო. როდესაც მარლონ ბრანდომ, ხელოვნებისთვის ამ სახიფათო ტენდენციების გამო, ჰოლოიუდის გარკვეული მესვეურნი გააკრიტიკა, მას განადგურებით დაემუქრნენ და ბო-დიშის მოხდაც აიძულეს.

XX საუკუნის შუა ხანებიდან ტელევიზიის მეშვეობით ახალი ტიპის კინომაყურებელი ჩნდება. ტელევიზია, XX საუკუნის ტექნიკური პროგრესის პირმშო, დიდ ცვლილებებს შეიტანს

კინოსამყაროში. მართალია, ის კინომოყვარულთა დიდ ნაწილს ტელევიზორის ეკრანს მიაჯაჭვებს, კინოს ვიზუალურ მხარეს კი პატარა ეკრანის გამო დაზარალებს, მაგრამ მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც აღმოაჩნდება. ტელევიზიის მეშვეობით კინოს იოლი ხელმისაწვდომობა და სახლის კომფორტი, კიდევ უფრო გაზრდის კინომაყურებელთა აუდიტორიას.

ბევრს ახსოვს საბჭოთა პერიოდის კინომაყურებლებს შორის საქართველოში პოპულარული სატელევიზიო გადაცემა „ილუზიონი.“ ეს იყო დასავლური კინოპროდუქციის ჩვენების კარგად მოფიქრებული სამუალები. ტელევიზია ამ ფილმებით კინომაყურებლის ერთგვარ მართვასაც ახერხებდა, როდესაც მაგალითად, აღდგომის ღამეს დასავლურ კინოშედეგს უჩვენებდა, რათა ხალხი ეკლესიებში არ წასულიყო და მინ დარჩენილიყო.

XX საუკუნის ბოლოდან უკვე კომპიუტერია კინოთეატრებისა და ტელევიზიების ახალი და ძლიერი კონკურენტი, რომლის საშუალებითაც ფილმებს შეგიძლია უყურო ყველგან და ყველა ვითარებაში — ქუჩაში, გზაში, მოგზაურობის დროს.

ცხადია, სხვადასხვა ქვეყნის კინომაყურებელი რაოდენობითაც სხვადასხვაა, რაც დიდ გავლენას ახდენს კინოინდუსტრიასა და დაფინანსებაზე. ამ მხრივ, აღმოსავლურმა სამყარომ კინოს მილიონობით კინომაყურებელი შესძინა. ავიღოთ თუნდაც ინდური კინო, უზარმაზარი შიდა ბაზრითა და იაფი ბილეთების ხელმისაწვდომობითა და სხვ.

უდიდესი შიდა ბაზარი საბჭოთა კინოსაც ჰქონდა, რაც ასევე საბჭოთა კინოს მასობრიობითა და იოლად ხელმისაწვდომობით იყო გაპირობებული.

1921 წლიდან, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართული კინო საბჭოთა კინოს ნაწილი გახდა. ძველი კინომაყურებლის გვერდით, ახალი ტიპის, ქართველი საბჭოთა კინომაყურებელიც გაჩნდა.

პირველი ქართული საბჭოთა ფილმი ალ. დილმელოვს ეკუთვნის. ეს იყო დოკუმენტური კინოსურათი საქართველოში საბჭოთა ოკუპაციური ჯარის ნაწილების შემოსვლის შესახებ. პირველი ქართული საბჭოთა მხატვრული ფილმი რევილუციონერ არსენ ჯორჯიაშვილზე გადაიღეს, თუმცა მისი გადაღება ი. პერესტიანინმა ჯერ კიდევ საქართველოს ოკუპაციამდე — დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო. ი. პერესტიანინი შენიშნავს, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას სურდა მრავალფილმიანი კინოეპოპეის შექმნა კავკასიის რევილუციური მოძრაობაზე, 1905 წლიდან მოყოლებული რუსეთის მონარქიის დამხობით დამთავრებული. ამასთან დაკავშირებით იგი შემდეგ კომენტარსაც აკეთებს: ეს გასაკვირი არ იყო, რადგანაც გაზეთებს მაშინაც, როგორც დღეს, ეწერა „პროლეტარეო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მარქსის სურათი ასევე ყველგან ეკიდა და მსოფლიო პროლეტარულ რევილუციასაც ისევე ოცნებობდნენ, როგორც 20-იანი წლების შემდეგ.

რასაკვირველია, ქართველ კინომაყურებელთა დიდ ნაწილს ის სიხარული არ განუცდია, როგორც საბჭოთა კინოსადმი მიძღვნილ ნაშრომებშია გადმოცემული. საბჭოთა ჯარის შემოსვლა, დაფიქსირებული ქართული კინემატოგრაფის მიერ, იყო დიდი ეროვნული ტრაგედია, რასაც მსხვერპლი და ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, იძულებით გასაბჭოებულ საქართველოში ყოველთვის იყო როგორც საბჭოთა, ისე ანტისაბჭოთა კინომაყურებელი. მაგრამ ახალ, სრულიად უცხო სისტემაშიც, ქართულმა კინომ, რომელიც ყველაზე ხანგრძლივია ქართული კინოს ისტორიაში, ნიჭიერ შემოქმედთა წყალობით კვლავ საინტერესო განაცხადის გაკეთება და საბჭოთა კავშირის მასშტაბით როგორც პროფესიონალთა, ისე კინომაყურებლების ყურადღების მიპყრობა შეძლო.

1923 წელს ივანე პერესტიანინს მიერ გადაღებული „წითელი ემპაქუნები“ საბჭოთა ვესტერნად და 20-იანი წლების საუკეთესო საბჭოთა მხატვრულ ფილმად მიიჩნეეს. საბჭოთა კინო-

ნოს ისტორიაში აღიარებულია, რომ კინომაყურებლებში ამ პერიოდის არც ერთ საბჭოთა ფილმს არ ჰქონია ისეთი დიდი წარმატება და არც ასეთი ხანგრძლივი ცხოვრება, როგორც „ნითელ ემპაქუნებს.“ ასეთივე დიდი წარმატება ხვდა პერესტიანის „სამ სიცოცხლესაც,“ რომელიც გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით დაიდგა და საზღვარგარეთაც გადიოდა. ა. ლუნაჩარსკი (განათლების მაშინდელი სახალხო კომისარი) მას არათუ საუკეთესო საბჭოთა ფილმად აღიარებდა, არამედ მალაღმსახურული დასავლური ფილმების გვერდითაც აყენებდა. ამ ფილმმა მსახიობი ნატო ვაჩნაძე საბჭოთა კინოს ვარსკვლავად აქცია.

ქართულ საბჭოთა კინოში იყო ისეთი თემატიკაც, სავესტეჟეტებით, რაც მეფის რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნეთისა და ზოგადად კავკასიის ბრძოლას ეხებოდა. ეს იყო ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო,“ აღსავსე ოპტიმიზმითა და კავკასიელი ხალხის გამარჯვებაზე მინიშნებით. ყველაზე კარგად ამ ქვეტექსტების ენას საბჭოთა კინომაყურებელი ხვდებოდა, ამ ენის აღქმისა და გაგების ნამდვილი დიდოსტატი, რითაც ის სხვა ქვეყნის კინომაყურებლისგან განსხვავდებოდა. ალბათ ამიტომაც „ელისო“ ერთ დროს აკრძალული იყო. ნიკოლოზ შენგელაიას ამ ფილმის ტემპერამენტი და რიტმი განსაკუთრებით ახლოსაა ქართველ კინომაყურებელთან. ცნობილია, რომ სანდრო ახმეტელი რიტმს ეროვნული ხასიათის ნიშანთვისებად მიიჩნევდა.

ბუნებრივია, საბჭოთა კინო საბჭოთა კინომაყურებლის უზარმაზარ აუდიტორიას საბჭოთა ცხოვრების უპირატესობის პროპაგანდით ზრდიდა, საბჭოთა პატრიოტიზმის დანერგვის გზით.

ხალხის მტრის სასამართლოებისა თუ გრანდიოზულ მშენებლობათა ჩვენებისას (ბელომორ კანალი და სხვ.) საბჭოთა კინო პროპაგანდის ორ მძლავრ იარაღსაც იყენებდა — ენთუზიაზმსა და ოპტიმიზმს. ასეთი მიდგომა საბჭოთა კინომაყურებელს დიდი აღმშენებლობის თანამონაწილედ ხდიდა და მომავლის რწმენით ავსებდა.

ამ მხრივ გამორჩეულად მიიჩნევა სერგეი ეიზენშტეინის გახმაურებული ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი.“ ეს ფილმი საბჭოთა სახელმწიფოს დაკვეთა იყო, მისადაგებული 1905 წლის რევოლუციის 20 წლისთავთან.

ს. ეიზენშტეინი განათლებული, ძველი ინტელიგენტის (არქიტექტორის) ოჯახიდან იყო გამოსული, რაც მის მხატვრულ გემოვნებაზე აისახა და რომელიც მან რევოლუციურ თემატიკას მორავო.

საზოგადოდ ბუნტი, რევოლუციები, ძალადობა და სისხლი ჭეშმარიტი ინტელიგენტისთვის მიუღებელია. ამიტომ დატოვა საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (ე.წ. ფილოსოფიური გემითაც) რუსეთი. მაგრამ ეიზენშტეინმა ბუნტი, კინემატოგრაფის დონეზე, შედეგად, აღტაცების საგნად აქცია. „ჯავშნოსანმა პოტიომკინმა,“ მსოფლიო კინემატოგრაფში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. დღემდე უდიდესი ემოციური დატვირთვის მქონე ეს ფილმი, ორიგინალური კინომიგნებებითა და ოპერატორის ბრწყინვალე ნამუშევრით (ე. ტისე), შესწავლისა და განსჯის საგანია. ის კინოზე დაწერილ ყველა ნაშრომშია შეტანილი. ჩარლი ჩაპლინი მას მუხჯი კინოს მწვერვალად მიიჩნევდა.

საინტერესოა, რომ ამ ნოვატორული და ორიგინალური ფილმის გარშემო მსჯელობა დღემდე გრძელდება, რაშიც რიგითი კინომაყურებელიცაა ჩართული და რაზეც ინტერნეტში დადებული მასალაც მეტყველებს. მაგრამ მასების თემის წინ ნამონევას თავად საბჭოთა მასები დიდად არ აუღელვებია და ცოტა ხანში ამ ფილმმა უკვე მეორეხარისხოვან საბჭოთა კინოთეატრებში გადაინაცვლა.

პარადოქსულია, მაგრამ გაცილებით დიდი წარმატებით „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ დასავლეთის ქვეყნებში გადიოდა. მართალია დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მისი ჩვენება აკ-

რძალეს, მაგრამ ხალხის მოთხოვნით ტაბუ მოხსნეს. ჰოლანდიაში კი ფილმის ნახვის შემდეგ მეზღვაურებმა ისეთივე აჯანყება მოაწყვეს გემზე, როგორც ეიზენშტეინის ფილმში ნახეს. ჰოლანდიელმა აჯანყებულებმა არ იცოდნენ, ეს რეჟისორი თავს „არაადამიანურად“ რომ მიიჩნევდა და წერდა: კინოში მას ადამიანი კი არა, არამედ მოძრაობა აინტერესებდა, არა ის თუ რა მოძრაობდა და როგორ მოქმედებდა. სხვათა შორის სულის შემძვრელი სცენა ოდესის კიბეზე დაგორებული საბავშვო ეტლისა, რომელშიც ჩვილი წევს, სხვადასხვა თაობის მილონობით კინომაყურებელს განსაკუთრებით რომ აღელვებდა და დღესაც აღელვებს, ეიზენშტეინმა ასეთ ვითარებაში მოიფიქრა. იგი ოდესის ცნობილ კიბეზე იჯდა, ბალს მიირთმევდა და კურკებს კიბეზე ისროდა, თან თვალს აყოლებდა, წკაპა-წკუპითა და ხტუნვა-ხტუნვით დაბლა რომ ცვიოდნენ.

ძნელია იმის თქმა თუ როგორი იქნებოდა მარქსის „კაპიტალზე“ გადაღებული მისი ფილმი, რომლის განხორციელება, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ შეძლო.

საბჭოთა კინომაყურებელი, არც ეიზენშტეინის „გაფიცვით“ მოხიბლულა, დღემდე გენიალური მონტაჟის მაგალითად რომ განიხილება. გაცილებით მეტად, საბჭოთა კინოსმაყურებელს, პუდოვკინის ფილმი „დედა“ მოსწონდა, გადაღებული მაქსიმ გორკის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. ეს ფილმიც, ასევე მსოფლიო კინოს მიღწევად მიიჩნევა.

ე. წ. „აგიტკებსაც“ (XXI. 30-იანი წწ.), საბჭოთა აგიტაციური ფილმებსაც, საბჭოთა, მათ შორის ქართველი კინემატოგრაფისტებიც ნიჭიერებითა და მხატვრული აზროვნებით, შეძლებისდაგვარად საბჭოური კლიშეებისგან ათავისუფლებდნენ და მხატვრული თვალსაზრისით კინემატოგრაფისტთვის, შესაბამისად კინომაყურებლისთვისაც საინტერესოს ხდიდნენ. მათ შორის იყვნენ მიხეილ ჭიაურელი (რომელიც მხატვარი და მოქანდაკეც იყო), მიხეილ კალატოზიშვილი და სხვები.

კინოს ისტორია იცნობს რეჟისორებს, რომლებსაც თაობათა ცვლასა და დროსთან ერთად კინომაყურებელი ივინყებს. მაგრამ არიან შემოქმედნი, რომლებიც ყველა თაობისა და დროის კინომაყურებლის (კინომაყურებელთა შეფასებითაც) კინორეჟისორები არიან. მათ შორის ზოგიერთის შემოქმედება სცილდება საკუთრივ მათი ქვეყნის ფარგლებს, ასეთია, მაგალითად, მიხეილ კალატოზიშვილი, მსოფლიო კინემატოგრაფისტის კალატოზოვად ცნობილი.

მ. კალატოზიშვილმა კინოშედეგით დაიწყო საქართველოში კინომოღვაწეობა და მოსკოვში გადასვლის შემდეგ, შედეგებითვე დაასრულა თავისი რთული შემოქმედებითი გზა. იგი დღემდე ერთადერთია ქართველ, რუს, და ზოგადად საბჭოთა კინორეჟისორებს შორის, ვინც ყველაზე მაღალი ჯილდო — კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტო“ (1958) დაიმსახურა ფილმისთვის „მიფრინავენ წეროები“ (1957). ეს ფილმი, რომელიც საბჭოთა კონიუნქტურისგან თავისუფალია, შინაგანად თავისუფალ პიროვნებისა და შემოქმედის გადაღებულია.

შვილიშვილი თავადის ასულ მაკრინე ავალიშვილისა, ილია ჭავჭავაძის ეროვნულ ფრთას რომ მიეკუთვნებოდა, ქართული საზოგადოებისთვის იმითიც იყო ცნობილი, რომ მან ილიასა და აკაკის ლექსები ქართულ სუფრაზე ამოქარგა. ამდენად მ. კალატოზიშვილი, ერთი მხრივ, ქართული კულტურისა და ტრადიციების მატარებელი იყო, რითაც შლიდა საბჭოთა ეპოქის კლიშეებს; მეორე მხრივ, მისი მოღვაწეობა ერთგვარი კლასიკური მაგალითიცაა საბჭოთა შემოქმედისა, რომელიც საესეა ამ სისტემის პარადოქსებით. დენილიც იყო და წარმატებულიც, დაპატიმრებულიც და ერთხანს ქართული კინოსტუდიის დირექტორიც (1934-1938). მის ფილმებს კრძალავდნენ და ასახიჩრებდნენ, სტალინური პრემიითაც აღნიშნავდნენ. იყო კომუნისტური პარტიის წევრი (1939 წლიდან), საქართველოს სახალხო არტისტი (1965წ.), საბჭოთა კავშირის სა-

ხალხო არტიტი (1969წ.). ორი წლით (1943-1945) როგორც საბჭოთა კინოს წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იმყოფებოდა, ერთხანს საკავშირო კინემატოგრაფიის მინისტრის მოადგილეცაა.

კინორეჟისორი ს. სოლოვიოვი მას XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე იდუმალებით მოცულ ფიგურასა და კინემატოგრაფის ტიტანებს შორის კინემატოგრაფიის ყველაზე მონუმენტურ ფიგურას უწოდებს.

უკვე მოსკოვში მოღვაწე კალატოზოვის კარიერა სოციალისტური რეალიზმისთვის ნიშანდობლივ სტაბილურსა და კომფორტულ გარემოში მიედინებოდა. მოსკოვის კინორეჟებში იგი უყვარდათ და დიდ პატივსაც სცემდნენ, მაგრამ მისგან, როგორც კინორეჟისორისგან, რაიმე განსაკუთრებულს არ ელოდებოდნენ. ასევე ფიქრობდა კინომაყურებელიც. შესაძლებელია ქართველი კინომაყურებელიც, რომელმაც „მიფრინავენ წეროების“ კანის კინოფესტივალზე გამარჯვება ქართველი კინორეჟისორისა და ქართული კინოსკოლის წარმატებად აღიქვა. არ არის შემთხვევითი, „მიფრინავენ წეროებმა“ პროფესიონალებს, ასევე კინემატოგრაფში კარგად გარკვეულ კინომაყურებლებს, „ჯიმ შვანტეს“ რიტმი და ტემპი, მისი გენიალურობა რომ გაახსენა.

საბჭოთა კინემატოგრაფისტების გამოკითხვით, „მიფრინავენ წეროები“ საბჭოთა კინემატოგრაფის საუკეთესო ნამუშევრად აღიარებული. მსოფლიოს გამოჩენილი კინორეჟისორები კი — ფრენსის კოპოლა და მარტინ სკორსეზე კალატოზოვის ფილმებით — „დაუმთავრებელი წერილი“, „მე — კუბა“ — ახალგაზრდებს კინოს მომავალ პროფესიონალებს კონოენას ასწავლიან. ეს იმის დასტურია, რომ კალატოზოვის შემოქმედება მსოფლიო კინოსა და მსოფლიო კინომაყურებელს ეკუთვნის. სხვათა შორის სკორსეზემ ფილმი „მე — კუბა“ აღადგინა და კანის კინოფესტივალზეც გაიტანა.

კინომაყურებლის ისტორია შემდეგი თვალსაზრისითაცაა საინტერესო.

ცნობილია, კინემატოგრაფს ზოგჯერ კინომაყურებლის მთელი ცხოვრება შეუცვლია. მაგალითად, გაა დანელიამ, მოქმედმა არქიტექტორმა, უარი თქვა თავის სპეციალობაზე და მ. კალატოზოვის ხელშეწყობით კინოს ეზიარა. არქიტექტორი იყო მარჩელო მასტროიანიცი, გენიალური ფელინის უპირველესი მსახიობი.

ანდრეი კონჩალოვსკი მუსიკოსობას აპირებდა და კონსერვატორიაშიც სწავლობდა, მაგრამ ფილმის — „მიფრინავენ წეროების“ — ნახვამ გადაწყვეტილება შეაცვლევინა და კინორეჟისორი გახდა, რის გამოც მთელი ცხოვრება კალატოზოვის მადლიერია. იგივე გადაწყვეტილება ამ ფილმის ნახვის შემდეგ მიიღო კინორეჟისორმა სერგეი სოლოვიოვმაც. მოგვიანებით, 2006 წელს, მათ კალატოზოვზე — რუბრიკით „კინოლემენტები“, ლ. მელმანის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში მსახიობ ტ. სამოილოვასთან ერთად მიიღეს მონაწილეობა. კინომაყურებელთა შორის პოპულარული ფილმის „ქალი და მამაკაცი“ დამდგმელმა ფრანგმა კლოდ ლელუშმა კინორეჟისორობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მოსკოვში ყოფნისას „მიფრინავენ წეროების“ გადაღებას დაესწრო, კერძოდ, ცნობილი კიბის სცენას. ამ გადაღებებმა და გადაღებული მასალის ნახვამ მასზე ასეთივე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგრამ გაცილებით ბევრია შემთხვევა, როდესაც რიგითი კინომაყურებელი, შემთხვევის წყალობით, პროფესიონალი და მსოფლიოში სახელგანთქმული კინოვარსკვლავი გამხდარა (ალენ დელონი და სხვ). თუმცა კინომაყურებლის ბედი კინემატოგრაფში ამით არ ამოიწურება.

მსოფლიო კინო იცნობს შედეგებს, რომელშიც არაპროფესიონალები, სამსახიობო პროფესიისგან შორს მყოფი, ზოგჯერ პირდაპირ ქუჩაში, გამველებს შორის აღმოჩენილი ადამიანები თამაშობენ. მაგალითად, ჰოლივუდის კინოვარსკვლავის ინგრიდ ბერგმანის ქმრის როლს ერთ-ერთ ფილმში,

იტალიელი მეთევზე ასრულებს. იტალიურ ფილმში, „ველოსიპედის გამტაცებლები“, კი პროფესიით ჟურნალისტი და მუშა შესანიშნავად ართმევენ თავს მთავარ როლებს. თუმცა კინოსთვის ეს შემთხვევითობა თავიდანვე ნიშანდობლივი იყო. მაგალითად, გრიფიტმა ერთ-ერთ თავის ფილმში ნამდვილი განგსტერები ათამაშა...

არაპროფესიონალები გვხვდებიან ქართულ ფილმებშიც. ასეთი შანსი, როდესაც ქუჩაში გამაჩერეს და კინოსტუდიაში ერთ-ერთი ფილმის სასინჯ გადაღებებზე მიმინვიეს მეც მქონდა. კინორეჟისორობას სურვილი კი ყოველთვის მანვალებდა და დღესაც თავს კითხვას ვუსვამ თუ როგორი კინორეჟისორი ვიქნებოდი. არაპროფესიონალ მსახიობთა თემა კინოში იმდენად საინტერესოა, რომ (მსოფლიო კინოს მასშტაბით) ასევე ცალკე მონოგრაფიულ კვლევას ითხოვს.

ქართულმა საბჭოთა კინომ, მიუხედავად კინოსადმი მოსკოვის უნიტარული მიდგომისა, შეძლო მთავარი — შექმნა ქართული ეროვნული კინო, თავისი ინდივიდუალური კინოეზიკითა და ერთგვარი იგაფური სტილით, რომელიც მსოფლიო კინემატოგრაფში ქართული კინოს ფენომენის სახელწოდებითაა ცნობილი.

ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარეობით, იუმორითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ქართულ კინოს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც, მისთვის ნიშანდობლივი ხიბლის გამოც, რაც ქართველი კაცის ინდივიდუალობასა და ბუნებას ასახავდა, ყოველთვის დიდი კინოაუდიტორია ჰყავდა. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ქართული საბჭოთა კინო არაერთ აქტუალურსა და მტკივნეულ საკითხს შეეხო, თვით რეჟისორების თემასაც კი („ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ რეჟ. გიორგი შენგელაია და სხვ.).

თუმცა ქართულ საბჭოთა კინოსაც, რომელიც პროპაგანდას, მაყურებელზე ზეგავლენის ფაქტორს დიდ ყურადღებას უთმობდა, ჰქონდა სიუჟეტთა დამძიმებისკენ მიდრეკილება. ასე მოხდა „მაგდანას ლურჯას“ შემთხვევაში, როდესაც ფილმის ფინალი (მაგდანას სასამართლოს წესით ლურჯას ართმევენ) განსხვავდება ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობის ფინალისგან, რომლის თანახმადაც სამართალი იმარჯვებს. ამ ტყუილს ზოგი მაშინვე აპროტესტებდა, მათ შორის მწერლის ვაჟიც, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე რევაზ გაბაშვილი. სხვათა შორის ამ მხრივ „პირველი მერცხლის“ ისტორიაც საინტერესოა. ფილმის თანახმად, ფოთში ჩამომდგარი ინგლისური გემის მეზღვაურები ქართველებს ფეხბურთში ამარცხებენ. ამასთან დაკავშირებით აკაკი ბაქრაძე წერს: ინგლისელებთან დამარცხება ბუნებრივი იყო. ქართველებს „არ ეყოთ ნიჭი, გამოცდილება, ძალა.“ მაგრამ რეალურად ყოველთვის ეს ასე არ ყოფილა.

ფოთში ინგლისელ მეზღვაურებთან გამართული ერთ-ერთი მატჩის მონაწილე (1918 წლამდე) ცნობილი ქართველი პოეტი ვიქტორ გაბესკირიაც ყოფილა. ქართველებს გამანადგურებელი ანგარიშით დაუმარცხებიათ ინგლისელი ფეხბურთელები. განაწყენებულ ინგლისელებს ქართველებისთვის ახლა უკვე „ბოქსში“ შეუთავაზებიათ შერკინება, მაგრამ კვლავ მწარე დამარცხება უგემიათ. ცხადია, ქართველი კინომაყურებლისთვის ფეხბურთის სამშობლოდან ჩამოსულ ინგლისელთა დამარცხების ეს ვარიანტი გაცილებით საინტერესო და მრავალმხრივ ყურადღაღები იქნებოდა, ვიდრე გარდაუვალი მარცხი.

პარადოქსულია, მაგრამ ქართული საბჭოთა კინოსგან განსხვავებით, დამოუკიდებელმა საქართველოს კინემატოგრაფმა ვერ შექმნა ეროვნული კინო, რასაც, ცხადია, ღრმა მიზეზები აქვს.

ამასწინათ ეროვნული კინოცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა, კინორეჟისორმა ნანა ჯანელიძემ ტელევიზიით განაცხადა — ჩვენი მთავარი ამოცანაა დავიბრუნოთ კინომაყურებელი. მაგრამ, ჯერ უნდა დაისვას კითხვა, რატომ დაკარგა ქართულმა კინომ ჩვენი კინომაყურებელი.

ამის მიზეზი პირველ რიგში დღევანდელ ქართულ კინოში არსებული საერთო ტენდენციაა, დეგრადირებული, ფსევდო ალმონიონი ადამიანებით ზედმეტად გატაცება — მათი პრიმიტიული სამყაროს ჩვენებით, უხამსი, შოკისმომგვრელი ლექსიკითა და საუბრებით, რაც ყოველად მიუღებელია ქართული საზოგადოებისა და ტრადიციებისთვის, რასაც, ყველაფრის მკადრებლობასთან ერთად, 1991-92 დეკემბერ-იანვრის ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ მიეცა ფართო ასპარეზი. ამ მოვლენებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ზოგსაც სამშობლო დააკარგვინა, არაერთს ცხოვრება გაუმრუდა. დააზარალა სხვადასხვა დარგი (მეცნიერება, ეკონომიკა, არქიტექტურა და სხვ.), მათ შორის კინოც, გაიძარცვა ქართული კინოსტუდია. ამ მოვლენებმა ბზარი გააჩინა არამხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას შორის, არამედ ქართული კინოს მესვეურებსა და კინომაყურებლებს შორისაც. რადგანაც ამ ბზარის რეალური მიზეზები და მასთან დაკავშირებული სი-მართლე შეგნებულად თუ შეუგნებლად უახლესმა ქართულმა კინომატოგრაფმა (ხელოვნების ამ ყველაზე სახალხო დარგმა) ვერ ასახა.

მართალია, ქართული კინო თითქოსდა აღწერს ამ მოვლენებს, მაგრამ რამდენადაა მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ის ქართველი კინომაყურებლისთვის, რომელიც ამ მოვლენების თვითმხილველი და უახლესი ისტორიის მატარებელიცაა. მითუმეტეს, არასწორად გაგებული თავისუფლებით, ფილმებში ბილნსიტყვაობითა და სექსით, რომელიც ისე უხდებდა ქართულ კინოს, როგორც ვირს კურტანი — უნიჭო კინორეჟისორის ხელში.

საქმე ის არის, ამ თემატიკის ამგვარი ფილმები არ სცდება აღწერით მხარეს, თანამედროვე ქართული პოლიტიკის მსგავსად, გაურბის პრობლემის სიღრმისეულ გააზრებასა და სიმართლეს. სამაგიეროდ, როგორც ითქვა, ან დეგრადირებული ელემენტები არიან წინა პლანზე, ანდა დამცირებული, დაბეზრებული ქართველები და მინასთან გასწორებული საქართველო, თითქოს სხვა საქართველო, ღირსეული და ამაყი, სამშობლოსათვის თავდადებული არც არსებობდეს. სწორედ ამ დამცირებასა და უხამსობით გაჯერებულ ნატურალიზმს, რომელიც ქართულ კინომაყურებელს, ინსტინქტურად გაურბის ქართველი კინომაყურებელი, ვისთვისაც ზოგიერთი სათაური თანამედროვე ქართული ფილმისაც უკვე გამომწვევია და ცინიკური, რეკლამირება კი უადგილო.

ამის მაგალითს წარმოადგენდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის II კორპუსის ვესტიბიულში თვალსაჩინო ადგილას გამოკიდული კინოაფიშა ფილმისა — „ჭამა და სექსი.“ ეს აფიშა უნივერსიტეტის დამაარსებელთა — დიდ და სახელოვან პატრიოტ ქართველ მეცნიერთა — ასევე პირველ კურსდამთავრებულთა საიუბილეო ფოტოგამოფენის გვერდით ეკიდა.

კიდევ ერთი, ყოველად მიუღებელი ტენდენცია, რამაც კინომაყურებლის ქართული კინოსადმი გაუცხოება გამოიწვია.

ქართული კინო, მსგავსად სხვა დარგებისა (პოლიტიკა, არქიტექტურა...) თავისი არსითა და სულისკვეთებით სხვაზეა ორიენტირებული. ეს არის ყოველად მიუღებელი ტენდენცია თანამედროვე ქართული კინოსი, რაც დასავლურ კინოზე მის მორგებას, სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას გულისხმობს. მიზანი საფესტივალო ფილმების ავტორობაა და საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობა. ამიტომ ამ ტიპის ქართველ კინორეჟისორთათვის მთავარი არა ქართველი, არამედ უცხოელი კინომაყურებელია. დასავლელ შემკვეთ-დამფინანსებლებსაც პირადი ისტორიები და მძაფრ სიუჟეტური ამბები აინტერესებთ — ასეთ ფილმებზე მოთხოვნის გათვალისწინებით, რაც მათთვის ეგზოტიკაა. ანუ აინტერესებთ არა არსი და მიზეზები ჩვენი პრობლემებისა, არამედ საქართველოში მომხდარ მოვლენათა აღწერა და სათავგადასავლო ჟანრში გადმოცემა, რაც მათთვის მოგების მომტანია.

ამდენად, ქართული კინო დღეს არ დგას ეროვნულ ნიადაგზე, არ ასახავს იდეურსა და ზნეობრივ, მებრძოლსა და ჯანსაღ საქართველოს. არა ჰყავს დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესების გამომხატველი, ერისთვის მისაბაძი საყოველთაო გმირი.

ლიტვური წარმოშობის ფრანგი კინორეჟისორის მიშელ ხაზანავიჩიუსის მუნიციპალიტეტის კინოს ესთეტიკითა და ტიტრებით გადაღებული ფილმის „არტისტი“ (2011) ფრაზას, ფილმის პირველივე კადრებიდანვე რომ ჩნდება, ჩემთვის, ქართველი კინომაყურებლისთვის, დიდ მნიშვნელობასთან ერთად, უზარმაზარი ემოციური დატვირთვაც აქვს. ეს ფრაზაა — „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.“

20 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ამ ხნის მანძილზე არცერთი ქართული ფილმისგან მსგავსი ემოცია, სიამაყისა და ეროვნული ღირსების განცდა არ მიმიღია. ამ ერთ მოკლე, მრავლისმთქმელ ფრაზაში ყველაფერია ნათქვამი, საქართველოს მთელი ისტორია — თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა გადმოცემული. თანაც არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ როგორ ფილმშია საქართველო ამ კუთხით წარმოდგენილი.

„არტისტი“ რიგითი ფილმი არ არის, მან მთელ მსოფლიოში ნამდვილი ფურორი მოახდინა და მისი მსოფლიო პრემიერები სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართა. „არტისტი“ ოსკარის რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა და ევროპის სხვადასხვა კინოჯილდოც დაიმსახურა. ასეთი აღიარება პროფესიონალებისა და კინომაყურებლებისა ამ ფილმმა (გარდა მახვილკონივრულობისა და ორიგინალურობისა), იმ მხრივაც მოიპოვა, რომ ის მარადიულ ღირებულებებს ეფუძნება, ზნეობისა და ჭეშმარიტი სიყვარულისადმი შემობრუნებისკენაა მიმართული. ამის გამოც ამდენი ძალადობისა და მკვლევლობის, უზნეობით შეწუხებულმა კინომაყურებელმა, ამ ნოსტალგიური ფილმით ნამდვილი შვება და სიხარული იგრძნო.

ამ დროს საქართველოში „არტისტს“ არათუ სათანადო რეკლამა არა ჰქონია, თვით საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ფრაზაც მიიჩქმალა და, ცხადია, არც რეზონანსი არ მისცემია, რაც ნესით, დამოუკიდებელ ქვეყანაში უნდა ჰქონოდა.

სულ ახალაზნა, სოციალურ ქსელებში ამ ფილმის ამ ფრაზის გაშვებას („გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“) საინტერესო რეაქცია მოჰყვა, რაც დღევანდელი კინომაყურებლისა და ზოგადად ქვეყნის ისტორიისთვისაც საინტერესოა და მრავლისმთქმელი. აღმოჩნდა, ქართველ კინომაყურებელთა ნაწილს ფილმის ნახვისას ამ ფრაზისთვის — „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ — ან ყურადღება არ მიუქცევია, ანდა უბრალოდ არ აღუქვამს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოციალურ ქსელებში მათ ეს ფრაზა სათანადო კონტექსტით მიანაწილეს და გაუცნობიერეს, გაკვირვება ვერ დამალეს. ეს არის ნიშანი ქართული სულის ჩაკვლისა ქართველ ერში, დამოუკიდებლობის აღქმის უნარის დაკარგვისა, შინა-არსგამოცლილი დეკლარაციულ დონეზე რომ არის დატოვებული. მიზეზი ეროვნული იდეოლოგიის არქონა და დამოუკიდებლობისადმი უდიერი დამოუკიდებულება, რომელიც 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შემთხვევითი ადამიანების ხელთ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ხაზანავიჩიუსი ამჟამად საქართველოშია და მთელი კავკასიისათვის უმნიშვნელოვანეს თემაზე — რუსეთ-ჩეჩნეთის ომზე ფილმს იღებს.

1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ იმ მრავალ ქართველს შორის, ვინც სამშობლო დატოვა, მიხილ კალატოზიშვილიც აღმოჩნდა, სახელგანთქმულ მ. კალატოზოვის შვილიშვილი. პაპის მსგავსად სამოღვაწეოდ ისიც რუსეთში გადავიდა, სადაც მ. კალატოზოვის ფონდს ჩაუყარა საფუძველი. XXს-ის 90-ან წლებში დაწერილი სცენარის მიხედვით კი, რომელსაც ხელს არავის არ მკვიდა, მისი დაწერიდან (ავტორები რუსები არიან)

ჯული გაბოძე

პარიაციები აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

„ბიოგრაფიული რომანი ნოველებად“ — ასე უწოდებს როსტომ ჩხეიძე ელგუჯა თავბერიძის ნიგნს „აკაკის ლანდი“, და იქვე გვამცნობს, რომ ეს არის პირველი მცდელობა ამ ჟანრის ბიოგრაფიული რომანისა და, შეიძლება ითქვას, რომ საინტერესო და წარმატებული მცდელობაც, ამით გაცხადდა და ალბათ, აცხადდა კიდევ ავტორის სურვილი აკაკის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისა. იმავდროულად ამ ბელეტრისტიულ-მხატვრული ნარკვევების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ბევრი უცნობი მოვლენის ახსნა და არაერთი პერსონის ღვანლიც გახდა საცნაური მკითხველისათვის, ეს კი განსაკუთრებით ფასეულია ახლა, როცა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ტექსტოლოგთა მიერ მზადდება აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეული.

საბედნიეროდ, საქმე დაიძრა და ნელ-ნელა რეალური ხდება პოეტის სანუკუვარი ოცნება: სრულად გამოეცა თავისი ნაწერები, რომელთა ნაწილიც თავის დროზე ცარიზმის ცენზურის, შემდეგ კი საბჭოთა კონსერვატიური მსხვერპლი გახდა. დიახ, ახლა ჩვენ ყველანი „მეათერთმეტე ჟამის“ მუშაკნი ვართ და ვისაც როგორ და რამდენად ძალგვიძს, ისე უნდა შევენითო ამ მამულიშვილურ საქმეს.

სწორედ ამ მოლოდინით შევუდექი ბატონი ელგუჯას ნიგნის კითხვას, კალმით ხელში, რათა აკაკის გამოცემისათვის სარგო საკომენტარო მასალა მომენიშნა, ბოლოში რომ გავედი, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ შუნტირებული (რევაზ თვარაძის ტერმინია) ნიგნი შემოწა ხელთ. ბევრ ნოველში აღმოჩნდა საჭირო ინფორმაცია თუ კომენტარი, ცხადია, ყველას ვერ შევხვები, მხოლოდ რამდენიმეზე გავიზიარებთ ჩემს მოსაზრებას. უპირველეს ყოვლისა, მინდა შევნიშნო, რომ ეს ნარკვევები რამდენიმე ტიპისაა: **დოკუმენტური**, ანუ წერილები, რომლებიც ეფუძნებიან კონკრეტულ დოკუმენტურ მასალას; **ინტერპრეტაციული**, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანუ ნოველები, რომლებშიც ავტორი განიხილავს აკაკის ლექსსა თუ პუბლიცისტურ წერილს და მისი ერთი ფრაზის ან სულაც სათაურის ინტერპრეტაციას გვთავაზობს (მაგალითად „შატარა და ჩახმახიო“); და არის **ასოციაციური** (მაგალითად „ორი სიტყვა“), როცა ავტორი საუბრობს რომელიმე კონკრეტულ პირსა თუ მოვლენაზე და იქვე უჩნდება სხვა ასოციაცია, რომლისკენაც მიდის და მკითხველსაც მიაქნებს, თუმცა ძირითად სათქმელს არ სცდებდა, უფრო მეტიც, მასაც განაწყობს ფიქრისთვის.

„**ღმერთი და საქართველო**“ ჰქვია ნარკვევს, რომელშიც ავტორი ბევრ სხვა საკითხთან ერთად ეხება აკაკის თითქმის უცნობ ლექსს „შამილის სიზმარი“. სასვებით ვიზიარებთ ბ. ელგუჯას მოსაზრებას, რომ ლექსის მოღწეული ავტოგრაფი ბოლონაკლებია და ძირითადი არსი (სიზმარი) ამ სტროფების გარეშე არც კი იკითხება, დიახ, იმასაც ვიზიარებთ, რომ უეჭველად არსებობდა ლექსის **სხვა ავტოგრაფი** (და არა „ავტორისეული ავტოგრაფი“, როგორც თქვენ ბრძანებთ). შემდეგ განიხილავს ამ ლექსის ხელნაწერ ახლს, რომელიც კირილე ლორთქიფანიძეს ეკუთვნის და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: „შეიძლება ვიფიქროთ კირილემ მამამატა ისინი, რაც საეჭვოა, ამაში უფრო აკაკის პოეტური ნიჭი გამოსჭვავის, ვიდრე იმ კაცისა, რომელიც მართალია მუზასთან მწყურლად არ იყო, მაგრამ აკაკის ელვარე პოეტურ ტალანტს ვერაფრით მიუახლოვდებოდა“ (გვ. 224).

გეთანხმებით, შეუძლებელია კირილეს თვითნებურად მიემატებინოს რაიმე აკაკის უკითხავად, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ალბათ იშვიათი გამონაკლისი, რომელსაც აკაკის ნაწერებში ცვლილებები შეჰქონდა, მაგრამ ამას ყოველთვის ათანხმებდა ავტორთან და ისიც ზოგს იზიარებდა და ზოგსაც — არა (მაგალითად „სალამური“ — მის მიერ მომზადებული კრებული აკაკის ლექსებისა, „ნათელა“, „განთიადი“, რომელიც მისი

თოთხმეტ წელზე მეტი ხნის გავლის შემდეგ ფილმი „ველური მდელო“ (2008) გადაიღო. ეს არის უნიჭიერესი კინორეჟისორის მასშტაბური და ეპიკური ნაწარმოები, რომელშიც 90-იანი წლების ქაოსი და ნგრევაცაა ასახული. ეს ფილმი ასოციაციებს იწვევს საქართველოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ქაოსსა და თვითნებობასთან, სისასტიკესთან, საზოგადოდ კი სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ მოვლენასთან. მაგრამ ფილმი, რომელიც ყაზახეთის სტუდენტთა გადაღებული და რომლის ველური სივრცეც, ფილმის სიუჟეტური განვითარებაშია ჩართული, ზოგადასაცობრივია.


ეს არის საზოგადოებასთან პიროვნების ურთიერთობის ურთულესი თემაც (ამ შემთხვევაში ექიმი, რომელიც სამუშაოდ ქალაქიდან უბადრუკ, ველურ პირობებში ჩადის). რაც მთავარია, ეს არის პიროვნების მოვალეობის, საზოგადოებისადმი უანგარო და თავგანწირული მსახურების დიდი თემა, რომელიც ზოგჯერ ამ პიროვნებისათვის უმადურებით, ანდა ტრაგიკულადაც მთავრდება. ეს დახვეწილი და ურთულესი ფილმი ყოველგვარ პოზას მოკლებული, ძუნწი ხერხებით ამბობს სათქმელს და კინომაყურებელში მრავალ ფიქრს აღძრავს, მათი განათლებისათვის ინტელექტის შესაბამისად.

„ველური მდელო“ რუსეთის წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს, მან მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდო და პრიზი მოიპოვა. მის ავტორს მსოფლიო კინოს ასპარეზზე დიდი პერსპექტივები ეხსნება, რომ არა (50 წლის ასაკში) მისი მოულოდნელი გარდაცვალება. ამ ფილმს საქართველომ დუმით აუარა გვერდი და ქართველი კინომაყურებლის უდიდესი უმრავლესობისთვის ის უცნობია. მეც ეს ფილმი მხოლოდ კინომაყურებლის რეკომენდაციით ვნახე.

ცხადია, ქართული კინო მსოფლიო კინოს ნაწილია და თავიდანვე (თემების მრავალმხრივობითა და ამოცანებით) ასეთი იყო. მაგრამ დღეს, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით არსებულ რთულ პირობებში, ქართულ კინოს ქვეყნისა და ერის წინაშე კიდევ უფრო დიდი, მნიშვნელოვანი მისია აკისრია. ეს არის ერთი საუკეთესო თვისებების გამოვლინება, იმედი და უკეთესობისკენ სწრაფვა, სწორი ორიენტირების განსაზღვრა, რაც საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი გზაც არის. ეს პრინციპები (ზნეობრიობასა და განათლებასთან ერთად) ჩამდებულია „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც ერის გაძძელობისა და გადარჩენის აუცილებელი პირობა, რითაც საუკუნეების მანძილზე, რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა, დიდი ქართველი მოღვაწეები ხელმძღვანელობდნენ. ქართული კინოსთვის ამ პრინციპებს დღეს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა ენიჭება. მითუმეტეს, რომ კინოს შესაძლებლობათა და პოპულარობა განუზომელია. ეს ის გზაც არის ეროვნული და ნაცადი, რითაც ქართული კინო ქართველ კინომაყურებელს დაიბრუნებს.

რაც შეეხება საკითხს: „კინო და კინომაყურებლის ისტორია“, ვფიქრობთ, ეს არის ყოველ-ღმისმომცველი თემა, რაც დღემდე კვლევის საგანი არ გამხდარა. ასეა (თუ არ ჩავთვლით ცალკეულ სოციალურ კვლევებს) დასავლეთშიც.

კინომაყურებლის ისტორია ფაქტობრივად საზოგადოების ისტორიაა, მისი ინტერესებისა და განწყობის, გემოვნების, გარკვეულ შემთხვევებში კი პოლიტიკური შეხედულებების. თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, „კინო და კინომაყურებლის ისტორია“, მონოგრაფიული კვლევის საგანი უნდა გახდეს.



ჩანერჩილია აკაკის კარნახით და ა.შ. დაბოლოს, ყველაზე სარწმუნოა თავად კირილეს სიტყვები: „ეს ლექსი დაწერე თვითონ მისი სიტყვებით 1862 წ. თებერ. ამაში ზოგი შეცვლილია და ზოგი გამოტოვებულია ორიგინალიდან, რომელიც დაინერა 1859 წელს, მოვიყვანთ გადაკეთებულ ადგილებს და გამოტოვებულებს“ — და ჩამონერჩილია დანერჩილებით. ეს ხელნაწერი, „განთიადისა“ არ იყო, ავტორიზებული ხელნაწერია და ავტოგრაფის ღირებულება აქვს.

„პატარა და ჩახმახიო“ — ეს ნოველა აკაკის ერთ პუბლიცისტურ წერილს ეხმანება, რომელშიც ავტორი მიმართავს ინტერპრეტაციას სიტყვისა ჩახმახი, ანალიზებს, რა კავშირი აქვს მას ქუთაისელი ქალების მიერ მომზადებულ „ქართული ბიბლიოთეკის“ გამოცემასთან. აქ წარმოდგენილი ინტერპრეტაციები სიტყვა „ჩახმახისა“ თუ ფრაზეოლოგიზმისა „ხელის ჩამორთმევა“, რომელიც ელენე ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილი განიორის „მამულის სამაგალითო შვილის“ ერთ-ერთ

პერსონაჟს, გერჰარდის ქვრივს, ეკუთვნის, და მისი დაკავშირება მამია გურიელისა და გიორგი შარვაშიძის იდეასთან მეტად ორიგინალური საზოგადოების დაარსების თაობაზე, სწორედ რომ ინტერპრეტირების შესანიშნავი ნიმუშია.

ძალიან საინტერესოა ნარკვევი „ოცი სიტყვა“, რომელშიც მოთხრობილია, როგორ დაეხმარა აკაკი სტუდენტ ილია ბახტაძეს 100 მანეთით, რომლის მიცემა ილიას ბიძას ლუკა ქორქაშვილს უთხოვია. მიზანი ამ წერილის განხილვისა კეთილშობილური, ავტორი საზოგადოებას შეახსენებს, რომ აკაკი არა მხოლოდ სესხვლობდა ფულს, არამედ თვითონაც გასცემდა. მშვენივრად აცოცხლებს ავტორი ქარაგმას „ოცი სიტყვა“, რომლითაც მიანიშნა აკაკიმ ილია ბახტაძეს, და შესაბამისად, თანამედროვე მკითხველსაც, რომ, რამდენად დაიტევს ან გამოხატავს ოცი სიტყვა მადლიერების იმ სიხარულს, რომელსაც განიცდის გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი.

კარგ ასოციაციას იწვევს ეს ნოველა და უნებურად მახსენდება არაერთი მოგონება, რომელთა ავტორები მოგვითხრობენ, თუ როგორ აბრუნებდა აკაკი ვალებს.

ასევე ძალიან საინტერესოა ახსნილი აკაკის გამოთქმები „გოცირიძის კვანძი და კლიაშვილის ლობია“, ეს შესანიშნავი საკომენტარო მასალაა. ნოველა „გაფიფინაშვილული ფიფინოვი“ ასევე მრავალმხრივ საყურადღებოა — აკაკი ჩამოთვლის იმ არაქართულ გვარებს, რომლებითაც გაივსო მაშინ ქუთაისი და, სამწუხაროდ, ეს მიგრაცია არ ყოფილა ურბანიზაციისათვის ესოდენ ჩვეული პროცესი, ეს იყო ლამის ეთნიკური კოლონიზაცია. საინტერესოა განხილული აკაკის ლექსი „კენიების ლათაის“ და „ალლა-ვერდი“.

ნარკვევში „რაც იწველა. ქე დააქცია“ ავტორი გაცხადებს ვერ მალავს, რომ აკაკიმ თითქოს ერთმანეთს გაუტოლა ალექსანდრე ორბელიანისა და გრიგოლ გურიელის ღვანლი, ამის მიზეზს კი, რომელიც აკაკიმ თავის დროზე არ გამოაშკარავა, ელგუჯა თავბერიძე დანერჩილებით უხსნის თანამედროვე მკითხველს. დიას, ამის მიზეზი გრიგოლ გურიელის ის დიდი ღვანლი ყოფილა, რომელიც მიუძღოდა მას მაჰმადიანი აჭარლების მიმართ.

წიგნის კითხვისას გაგვიჩნდა ერთი უკმარისობის გრძნობა, არ ვიცი რამდენად მისაღებია, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელი გვგონია, რომ წიგნს უნდა დაერთოს პირთა საძიებელი, რომლის მეშვეობითაც ბევრი პერსონაჟის ამბავს მოძებნის მკითხველი. მით უფრო, როცა სახეზეა დოკუმენტური პროზა, რომელშიც ასეთი რაოდენობის კონკრეტული პირია მოხსენიებული, ვფიქრობ, ეს კარგი იქნება.

დაბოლოს, ბატონო ელგუჯა, თქვენი ერთი ნარკვევი ასეა დასათაურებული „კომენტარად ხომ მაინც გამოდგება“, რომელშიც განხილული აკაკის წერილი „ფეხთა ბანა“ (კვალი 1894), მრავალმხრივ საყურადღებოა და ბევრ საგულისხმო ცნობასაც შეიცავს. გარდა ამისა, აღნიშნეთ აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის დიდი მნიშვნელობა, თუმცა იქვე, პირუთვნელად, რამდენიმე შენიშვნასაც გამოთქვამდით ზოგიერთი კომენტარის გამო, რაზეც სატელეფონო საუბრისას მოგახსენეთ მადლობა. ეს ნარკვევი ასე მთავრდება: „ამ გამოცემამ ის მაინც გააქეთა, „ფეხთა ბანაზე“ რაღაც დაწერე. მართალია, ის არ გამოვიდა, რაც მინდოდა, მაგრამ კომენტარად ხომ მაინც გამოდგება“.

დიას, ბატონო ელგუჯა, აკაკის ახალი აკადემიური გამოცემა დიდი ეროვნული საქმეა და მომავალშიც ბევრ კარგს გააკეთებს და გავაკეთებინებს, თუნდაც ის რად ღირს, რომ აკაკის სანუკვარ ოცნებას უხსნებ და ნახეთ უკვე რამდენი ჟამის მუშაზე შეგვკრიბა. ვისურვებდი, რომ ღმერთმა კვლავაც ბევრი აზიაროს ამ სამკალს, მათი ნამუშავენი კი დროულად მოგვესწროს ამ დიდ საქმეში და „უკანმდევნებულ ლამპრად“ არ დარჩეს.

„ორი მაცესტრო“ და „თემურ ჩხეიძის ავტოგრაფი“ — ამ ორი წიგნის წარდგინებაში ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარული ადამიანები ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეკრიბა. ორივე წიგნი ეკუთვნის ნინო ჩხიკვიძის, რომელიც გამოირჩევა უდიდესი თავმდაბლობითა და წერის ორიგინალური სტილით... „ნინო ჩხიკვიძელი წერს სადად, თუმცა ეს სისადავე არის ორაზროვანი, რომელიც მკითხველს ფიქრისკენ უბიძგებს. კარგი წიგნის დანიშნულებაა ხომ ეს არის“. „ორი მაცესტრო“ — წიგნი თითქოს ექოა იმ ეპოქისა, რომელიც ჩვენს გვერდით არსებობდა, მაგრამ ჩვენს მიერ შეუმჩნეველი დარჩა... ამ კრებულში თავმოყრილი ესეისტური ჟანრის წერილები ცოცხლად აღადგენს ორი მწერლის — ოთარ ჩხეიძისა და ერლომ ახვლედიანის არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს და ამით არის საინტერესო და ორიგინალური. ოთარ ჩხეიძე, თემურ ჩხეიძე და ერლომ ახვლედიანი იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა მმართველობას და შეინარჩუნეს ცნობიერების მთლიანობა“ — აღნიშნა ნინო კუპრეიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის მესვეურებს, რადგან მათი წყალობით მიეცათ საშუალება, რომ უშუალოდ მკითხველისთვის წარედგინათ ეს წიგნები.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა ახალციხიდან ჩამოსული სტუმარი, ადრინდელი კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი ნათელა იაქე, რომელმაც გაიხსენა ნანა დემეტრაშვილი — „ის იყო პირველი რეჟისორი, რომელიც 60-იან წლებში ჩავიდა ახალციხეში და აღადგინა ქართული თეატრი. თეატრის არსებობა კი დაინყო ოთარ ჩხეიძის „თედორეით“ ... ეს იყო აღზევება...“ აღნიშნა თვალტრემლიანმა და ისაუბრა იმაზეც, თუ როგორ სდევნიდნენ ამ სპექტაკლის გამო რეჟისორს.

მსახიობმა და პუბლიცისტმა ჯემალ მელქაძემ გაიხსენა ის რთული დრო, როდესაც იდგებოდა ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისი“.

საქწიგნის ღირებულების მოადგილემ, ჟურნალისტმა ლია მეტრეველმა და მსახიობმა ლამარა ჩხეიძემ ისაუბრეს წიგნების ღირსებზე. ჟურნალისტმა ვანო ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ნინო ჩხიკვიძელს იმ დიდი სიყვარულისთვის, რომლითაც გაუღწილია ორივე წიგნი.

ღარბაზში მყოფთ საკუთარი აზრი გამოთქვას წიგნის შესახებ. გორიდან ჩამოსულმა პოეტმა ჯემალ ბაშარულმა წაიკითხა ლექსი. იამზე ქელიძემ, ბადრი ბარამიძემ და რევაზ თოფურიაშვილმა გულისტკივილი გამოთქვას იმის შესახებ, რომ საღამოს არ ესწრებოდნენ ახალგაზრდები.

საღამო ნოდარ მგალობლიშვილმა შეაჯამა. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ჩვენს დროში ახალგაზრდა თაობას აღარ აინტერესებს წიგნის კითხვა, რაც ევს გადაგვარებას უქადის. თქვა, ასეთი საღამოები წმინდათაწმინდააო, და აღნიშნა, რომ ხშირად ესწრება „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ ღონისძიებებს, რადგანაც მხოლოდ კულტურა გადაარჩენს საზოგადოებას.

ზოია ცხადაია

ჯანსუღ კორძაიას პოეტური ხმა

სამასამდე ლექსი, რომლებიც თავმოყრილია რჩეულ პოეტურ კრებულში, კიდევ ერთხელ შეახსენებს დაინტერესებულ მკითხველს, თუ რა ძალა აქვს პოეზიად გარდაქმნილ სიტყვას, რამდენს იტევს, რამდენს ინახავს, რომ შეეხოს და დაინახოს ადამიანი, ინდივიდი თავისი სულიერი ბიოგრაფიით, ცნობისნადილით და მუდმივი ძიების გზით, ტანჯვით და სიხარულით, სევდით და ეჭვებით, აღმაფრენით და გულისტკივილებით, კითხვისნიშნებით, რომელიც არ ასვენებს მოკვდავს. ბ-ნი ჯანსუღ კორძაიას — პროფესიით ფილოსოფოსის, ლირიკაში განსხვავებული სიღრმით ჩანს ეს ყოველივე და უნდა ითქვას, რომ პროფესიული ხედვა არ ამძიმებს, პოეტურ ნიბლს და სიმსუბუქეს არ უკარგავს მის ტექსტებს. უფრო მეტიც — ეს განასხვავებს, ანიჭებს შორი ხედვის, შორი ჭკრეტის მადლს, ამასთან — მშვენიერებით ტკბობის უნარს. „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და... იმანუელ კანტი“ — ნამძღვარებული აქვს ლექსს, რომელშიც ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა, მომწუსხველ ემოციებთან ერთად, მტანჯველი უკმარისობის განცდასაც ბადებს როგორც მარადისობის, სამყაროს შეუცნობელი დიაღმაც:

**ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცაც,
სიყვარულიც, სულის დიაღმაც,
გამოუცნობ ამოცანად მექცა,
ამოუხსნელ ამოცანად მრჩება.**

სინამდვილის ძიების სულიერ გზაზე არაერთხელ ააფორიანებს იგივე ხილვები იმავე სათქმელით, რომ „ჯერ მხოლოდ ერთხელ ანათო კანტი ვარსკვლავებიან ცით გაოცებამ;“ რომ კვლავ შორსაა, „ჯერ კვლავ შორსაა, ჯერ კვლავ შორსაა ის სინამდვილე“ („ჯერ მხოლოდ ერთხელ“)...

თვალახილული კაცისათვის არაფერია იმ სანახაობაზე მშვენიერი, თუ როგორ ერკინება გონება რეალობას, რომელიც მას აღემატება... ცხოვრებას მარადიული ამბოხი ანიჭებსო სიდიადეს (კამიუ). „ამბოხი, ჯანყი“ — ჩვეულებრივი მოკვდავის ენაზე ის სულიერი პოტენციალია, რომელიც აძლებინებს ადამიანს ამ წუთისოფელში, როგორც პოეტი იტყვის, „ღვთის ხატად შექმნილ სამყაროში“, აძლიერებს მოუსვენრობით, მაძიებლობით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც „ჟამს დაეძებს, ჟამს ღვთაებრივს, უკვდავს, მარადისს“. გილგამეშიდან დაწყებული — ეკლესიასტე, მითიური ამირანი, ბარათაშვილი... ძიების არსი — ადამიანმა „საკუთარ თავს წამოუმართოს, ფიქრში რომ ხედავს, მზიურ ფიქრში, ის სინამდვილე“. მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მეტად სინამდვილისა და ოცნების ჭიდილია რეალურსა და სასურველს შორის, რაც ასე წარმოუდგენია მას:

**და მაინც არ ჰგავს ეს სინამდვილე
იმას, რომელსაც ოცნებით ვხატავ...
რამდენჯერ უნდა გაფითრდეს ფიქრი
ყოფნა-არყოფნის დანყველილ ზღვართან...**

სიცოცხლის საზრისი პოეტისთვის (ზოგადად — ადამიანისთვის) მაინც იმ მიუწვდომლის ძიებაში და მუდმივ გამეორებაშია:

**ჩვენ ვიმეორებთ,
რადგან ვერ ვწვდებით,
ჩვენ ვიმეორებთ,
რადგან ვერ ვაგნებთ...
(„ჩვენ ვიმეორებთ“)**

დროის უწყვეტი და სევდისმომგვრელი ერთგვაროვნება მზის წითელ მარჯანში გახვეული მეტაფორითაა განათებული:

**დრო თავზე ივლებს მზის წითელ მარჯანს
და დროც გარდასულ დროს იმეორებს.**

რაგინდ ძლიერი არ უნდა იყოს პიროვნება, მით უმეტეს, პოეტური ნატურის ადამიანი, ცხოვრება მაინც ხშირად ჰგავს „იყო და არა იყო რას; განსაკუთრებით, რაც დრო გადის („უფრო და უფრო ბინდდება“ — ხალხური სიბრძნით). ასეა პოეტის ამ ლექსებშიც, ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც ახარებს და აოცებს ეს სამყარო და ანაღვლებს კითხვები, რომელთაც მხოლოდ რიტორიკული ფუნქცია აკისრიათ:

**ნუთუ მართლა მიუწვდომი
რჩება ჟამთა იგავი,
ნუთუ მართლა ზმანება,
მართლა გაუშიფრავი.**

სიკვდილ-სიცოცხლეზე დამაფიქრებელი მრავალი ტექსტია მის პოეზიაში, საინტერესო, განსხვავებული განწყობითა და ემოციით შექმნილი, ფიქრისკენ რომ აგვიყვლინებს და განსჯისთვის რომ განგანყობს. ბუნებრივია და დამაფრთხილებელი განცდათა და შეფასებათა მონაცვლეობა, არაერთფეროვნება. ძალზე ემოციურ და მწვავე კითხვებსაც კი, პოეტის ნათქვამში, მაინც მოეძებნება ხელჩასაკიდი, ესოდენ საჭირო, — სამყაროს არსში ბოლომდე გაურკვეველი ადამიანისთვის. იგი ხშირად ახედენს ცნობილი ფილოსოფოსების ციტირებას. „ისევ ჰეგელი“ (ლექსის სათაური); ლექსში პოეტი მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანს სჭირდება დაკვირვება, გონის ნათელი, დაფიქრება „ვულკანზე მდგარ სინამდვილეზე“, რათა არ მოსწყდეს „აბსოლუტურ გონს“ ანუ ღმერთს, მის გზას არ ასცდეს და ფანტომს არ აჰყვეს. პოეტი ცდილობს ამ პრინციპით, ამ შეგონებით ვლიდეს ცხოვრების რთულ და საინტერესო სივრცეში, მაგრამ არაფერი ადამიანური უცხო არ არის მისთვის: იქნება ეს გულგატეხილობა „ცრუ წუთისოფლის გამო“, „შიშით ავსებული“ ყოფის განცდა და თუ „ეკლესიასტეს“ შეგონებაც. ეს იკითხება მრავალგან, განსაკუთრებით ლექსში „ჩანანური ჰაიდეგერის კითხვისას“.

**შიშით ავსებულ ყოფნაში გლოვა,
მიუსაფრობის ნისლი და გესლი...
სიცოცხლე, როგორც პირველი ცოდვა,
ამაოებად მიცურავს ბნელში.**

საგულისხმოა, რომ კრებულის იმ ციკლს, რომელშიც ეს ლექსები შედის, ჰქვია „რაღაც აკლია ამ სინამდვილეს“. მაინც რა უნდა ვიგულისხმოთ, რა შეიძლება, აკლდეს ამ სინამდვილეს? გამომდინარე ჯ. კორძაიას ტექსტებიდან, სინამდვილეს, ალბათ, აკლია ის, რომ ბოლომდე შეუცნობელია და თავსატეხია მისი ღრმად მაძიებლისათვის; აკლია კონკრეტული ჟამის კონკრეტული ტკივილებით წართმეული ბევრი რამ წარსულის ქრონიკებიდან თუ თანამედროვე ქართველებიდან... „საუკუნის მინურული“ — როგორც ბოლო აკორდი — ამთავრებს ლექსების აღნიშნულ ციკლს. როგორი იყო ეს საუკუნე, საუკუნე მეოცე — ქართველი პოეტისთვის, ქართველი კაცისთვის (და, ალბათ, არა მხოლოდ ქართველისთვის)?.. ასი წლის წინ, როცა „დრო იწყებოდა უსპეტაკეს იდეალებით“, ოცნებით დაუნჯებულ მეტაფორებით, „თავისუფლების ფსალმუნებად ქვეულ ოდებით... ნათელ მიზნებით შეაბჯრული ავანგარდებით... რევოლუციის აწყვეტილ და ველურ რაშებით“ და ა. შ., თითქოს იყო უკეთესის მოლოდინი, მაგრამ...

**რა შეგჩნა ხელში...
დამსხვრეული
ილუზიები,
ფანტასტიკური
ოცნებებით**

სავსე იზმები,
მიულწვევლი მიზნები და
ყალბი მითები,
ამაო სისხლი
და ამაო
კატაკლიზმები...
განამებულთა
და ჯვარცმულთა
მისტერიები,
აპოკალიფსის
მძვინვარებით
მქროლი ომები...
ატომურ ბომბით
ძალმოსილი იმპერიები
ხიროსიმა და
ნაგასაკის
თეატრონები...

ასე წარმოუდგენია „ტკივილებით გულდასერილი“ ახლო წარსული პოეტს მომავალი, ოცდამეერთე საუკუნის მოლოდინში. ასწლეულის მიწურულმა მაინც იმედები და თავისუფლების განცდა მოიტანა. სწორედ მოახლოებული ნანატრი დღეების განცდითაა ნათქვამი:

**მე დავიბადე
დამონებულ საქართველოში,
დღეს თავისუფალ
საქართველოს მზეს ვეგებები.**

მაგრამ პოეტს მხედველობიდან არ რჩება კიდევ ერთი და დიდი ტკივილი საქართველოს უახლეს ისტორიაში — 90-იანი წლები, რომელსაც არაერთმა ქართველმა პოეტმა უძღვნა ლექსები, ლირიკული ციკლებიც კი (ალბათ, განსაკუთრებით საინტერესო იქნება მომავალი თაობისთვის, 20-30 წლის შემდეგ უფრო მეტად ღირებული, როგორც ჩვენი ისტორიის პოეტური მატინე, განვლილის შესაფასებლად, კრიტიკული დისკურსისათვის). ბ-ნი ჯანსულის ამ თემაზე შექმნილ ლექსებში ერთი რამ, სხვებისგან გამოსარჩევი, ვფიქრობ ისაა, რომ ლირიკულ პერსონაჟთა სახეები არ იყოფა მოძალადეებად და მსხვერპლებად, კონკრეტულად არ სჭირდება ამ სათქმელს. მთავარია ტრაგიკული ფაქტების რეალისტური გაცნობიერება და ტკივილის ამო-თქმა ლექსად, რომელიც შვებისმომგვრელია თავად ავტორისთვის და დამაფიქრებელი ყველასათვის. იმ სასტიკ დროს პოეტი „იმ დღეების ქრონიკას“ უწოდებს.

**და დრო სავსეა გასროლის ხმებით,
და დენთის სუნით და ზეცის ნგრევით,
და გაოგნებით და შეძრწუნებით
ჩასაძირავად განწირულ გემის.
და სიძულვილი ველურად კივის
და კივის ტყვია, ჭურვი და ნაღმი,
ინვის და სახე შემოლია თბილისს
სახე — ქალაქის, ქუჩის და სახლის...
(„...მაინც მწამს“)**

ცამეტსტრიქონიან ლექსში „როგორ ერთბაშად“ სათაურში გამოტანილი ეს ორი სიტყვა, ანაფორის სახით, ცხრაჯერ მეორდება. რა არის აქცენტირებული ამ განმეორებით, რა არის ის, რაც ასე ადელეგებს ავტორს? — ექსპრესიული ეპითეტებითა და მეტაფორებითაა გადმოცემული რეალობის შემზარაობა: გათეთრებული სისხლი, გაცოფებული შხამი (ურთიერთსიძულვილი), გაშავებული ნისლი, ამღვრეული ყოფა, არითმიული, დარღვეული მაჯა (ანუ მოშლილი რიტმი ცხოვრებისა), აზვავებული ბოღმა, გაქვავებული განსჯა (ანუ გონდაკარგულთა დაპირისპირება), დადუმებული გონგი (შემადრ-



ჯანსულ კორძაია

წუნებელი ფინალის ალეგორია), ბოლოს კი — სიჩუმე და გამსკდარი გული. ასეთივე განწყობილებისაა ლექსები: „ეს სასჯელიც მხვდა“, „ჩვეულებრივი დღის ქრონიკა“ „ეპოქა“, „უძილო ღამე“, „ზღვასთან“ (წარმოსახვა: გაგრის სანაპირო, 1992 წლის ოქტომბერი) — შავი დრო საქართველოს ისტორიისა:

**საით მიჰყავს ფიქრი,
ამ უდაბურ ტრამალს...
დრომ არ შეგარჩინა
ფერადების გამა...**

...და გასაგებიცაა, რატომ ინერება ყოველივე ამის შემდეგ ლექსი „მინანერი შექსპირის სამოცდაამეექვსე სონეტზე“.

**ვკითხულობთ შექსპირს!
ტრიბუნაზე,
დროის პირისპირ
ხელახლა ვუხმობ
ოთხასი წლის
ტრიბუნს და პოეტს,
და როგორც დასტურს
პოეზიის
მარადუამობის —
დღევანდელი დღით
ვათარიღებ
შექსპირის სონეტს!**

ესაა შემაჯამებელი სიტყვა (თუ შეიძლება რომ ასე ითქვას, ამ მცირე და ტევად პოეტურ ტექსტზე), რომელიც ეპოქის უღმობელი მონაკვეთის შეფასებაცაა და შექსპირის პოეტური სიტყვის მარადიულობის გამომხატველიც, სიტყვისა, რომელიც ყველა დროში ცოცხლობს.

მრავალი მიძღვნილი ლექსის ავტორია ჯანსულ კორძაია (XX საუკუნის ქართული პოეზია საერთოდაც მდიდარია ამ მხრივ); ლექსები გალაკტიონზე, ტერენტი გრანელზე, ტიცთან ტაბიძეზე, პაოლო იაშვილზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, ვახტანგ კოტეტიშვილზე, ვეგენი მიქელაძეზე, შალვა ნუცუბიძეზე, ლადო ასათიანზე და სხვ.; შორეულ წინაპრებზე: ფარნავაზი, ქუჯი, კოლხი მედეა, მღვდელი თევდორე, დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, გიორგი სააკაძე, სულხან-საბა და სხვ... თითოეულ ლექსში ეპოქა მოსჩანს. ამ

მხრივ, როგორც ისევ და ისევ უახლოესი ისტორიის ტრაგიკულ ფაქტს, გია აბესაძის სახელს გავიხსენებთ ლექსიდან „მეორედ დაბადება“. ჯანსუღ კორძაიამ ცალკე წიგნადაც კი გამოსცა „ბალადა გია აბესაძეზე“ (1995). ეს ის შემთხვევაა, ალბათ, რომელიც კომენტარს არ მოითხოვს, და მანაც — ორიოდვე სიტყვით: ლექსს წამძღვარებული აქვს გია აბესაძის სტრიქონები, რომელიც მან სიკვდილის წინ ანდერძად დატოვა: „თუ ქართველთა შურისგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას, ბოლო. შვილო, მაპატიე. ვიცი, რომ გამოიგებ“...

ეს ტრაგიკული გადაწყვეტილება გამომდინარეობდა „გაორებულ, გახლეჩილ ქართულ სინამდვილიდან“, როცა ძალა დაკარგა სიტყვამ, ლოცვამ, ვედრებამ... საქართველოს იდენტობის ყველა ღირსეულ, უკვდავ ნიშნებს იხსენებს პოეტი: „ვეფხისტყაოსანი“, ბაგრატი, გელათი, მცხეთა, ალავერდი... აღარაფერს აქვს ძალა: „ხსნა არ ჩანდა, გეხვია / გაუვალი ტევრები, / გადაფერადებული / მრუმე აკვარელები“... ამ მეტაფორულ სახეებში იხატება იმ დროის თბილისი, რომელმაც მოითხოვა მსხვერპლი იმ იმედით, რომ ქვეყანას შეძრავდა თვითუარყოფით, „ცეცხლად აბრიალებით, ცეცხლად ავიზგიზებით“ დაღუპული ახალგაზრდა კაცი, ლექსი ვრცელია (ბალადაა, უფრო ზუსტად), რიტმი — ექსპრესიულია, განწყობის შესაფერი.

**ერთი წამი!
ტკივილად
ანთებული ლამპარი,
როგორც ყოფნა-არყოფნის
სამანი და საზღვარი...**

**და აფეთქდა სამყარო,
მრუმე, ყრუ, უდაბური,
და კიოდა სამრეკლო,
რეკდა ზარი გაბმული.**

**შენ კი
ვინც ქაოსიდან
ცოცხლად ამოიტყორცნე,
კვლავ გრძელდები!
უკვდავ და
მარადიულ სიცოცხლედ.**

ეს ის სიტყვაა, რომელსაც მართლაც გმირზე და გმირობაზე იტყვიან. ეს მომავლის ლექსი უფროა, რადგანაც გმირს და გმირობას რომ გაუგონ, დროის დისტანციაა საჭირო. ეჭვი არ არის, რომ გაივლის დრო და გია აბესაძეს იმ გმირთა შორის მოიაზრებენ უთუოდ, როგორებიც არიან: ცოტნე დადიანი, მღვდელი თევდორე, თუ ხერხეულიძეები. ჩვენმა თანამედროვე გმირმა თითქოს ვერაფრით შეძრა თანამემამულეთა გული, ვერ შეაჩერა მათს თავზე დატეხილი ღვთის რისხვა, მაგრამ შეუძლებელია ამ ლექსის მკითხველი, როგორც ვთქვით, მომავლის მკითხველი, კიდევ უფრო ღრმად არ დააფიქროს წარსულის სირცხვილზე და მომავლის გაკვეთილად არ გაიაზროს, რათა არასოდეს დასჭირდეს ქვეყანას ამგვარი მსხვერპლი!

წარსულის ყველა ტკივილი ცოცხლდება ამ ციკლის ლექსებში: 20-იანი წლების უმძიმესი დასაწყისი საქართველოს ისტორიაში და ამ დროის სიმბოლური სახე — ტერენტე გრანელი, „ვაების ღამით დატყვევებული“, შემლილი და ნახანძრალი სივრცის ფონზე. სწორედ ეს „შემლილი სივრცე“ იყო მიზეზი, ავტორის აზრით, გრანელის მარტოობისა და განწინრულობისა...

პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში, მონოლოგის სტილში ათქმევინებს მას პოეტი „ცოფიანი დროის“ უსამართლობასა და თავის ვაჟკაცურ გადანყვეტილებაზე: „ტყვიას, რომელიც ჩემთვის მზადდება“ არ დაგანებებთ, თვითონ გავის-

ვრი!“ „ტიციან ტაბიძის უკანასკნელი ლექსი“ კი მთლიანად ტიციანის საუკეთესო ლექსების რემინისცენციითაა შექმნილი:

**ვინ გააშიშვლა გზა და ფესვები?
რად გახდა უამი ასეთი უნდო?
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
ჩემო პაოლო! სიამის ტყუპო!**

**ახლაც მონა ვარ! კვლავ მონა ქართლის!
კვლავ საქართველოს მადგას უღელი!
და რისი მსხვერპლი და წერა გავხდი
მონა — ერთგული და განუყრელი?**

**პოეტს სხვა რა აქვს ოცნების მეტი?
რა შეუძლია ოცნების გარდა?
...კიდევ წამიც და... ტყვია ცამეტი
ერთად იქუხებს სიცოცხლის ზღვართან!..**

**...რამ გადაბუგა ეს სილამაზე?
ვინ ამომანთა სიცოცხლის კვალი?
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე
და სხვას არ უღვეს სიკვდილში ბრალი!**

ზუსტი მიგნებითაა დაწერილი „ლადო ასათიანის წერილი დედისადმი“ (ციკლიდან „1937“) — ლადოს ბიოგრაფიის ყველაზე ზარმაცეში ფაქტი — დედის გადასახლება. 20 წლის, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ლადოს ბედისწერა, ალბათ, იმ დღეს გადაიკვეთა, როცა დედა გადაუსახლეს... განცდა, დარდი, მზრუნველობამოკლებული, მოსიყვარულე შვილი და დიდი პოეტური გული... ეს განცდები შიშვლად იგრძნობა ამ ლექსში. იგრძნობა, რომ ჯანსუღ კორძაიამ საოცრად კარგად იცის თავისი წინაპრების (შორეული თუ ახლო წარსულიდან) ბიოგრაფიები, ყველაზე მტკივნეულს ეხება და ითავისებს. ის ყველგან, ყველაში და ყველაფერში, დიდ, ღირსეულ პიროვნებათა სახეებში თუ ქართულ ციხე-ტაძრებში თავის კუთვნილს ხედავს. მას, როგორც მემკვიდრეს, ღირსების გრძნობა ემატება და ამიტომაც ჩნდება კითხვები: „სად ვარ ყველაზე უფრო მაღალი, მცხეთის ჯვარზე თუ ცოტნეს ანისში“... შოთას შაირში თუ დიდგორის ანუ ყინწვისის ფრესკის ნათელი ღიმილის გახსენებისას... სულხან-საბას ტკივილში თუ ტატოს მერანის ფრენაში და ა.შ. როგორც საერთოდ, ჯ. კორძაიას პოეზიაში ამ ციკლის ლექსებშიც იგრძნობა უშუალოდ და სინრფულე, განუყოფელი ავტორისა და ლირიკული პერსონაჟების სულიერი დრამისა. არაფერია პოეტისთვის მარტივი, უბრალო... ყველგან ცდილობს, ჩადოს სიყვარული და სითბო. ეს მისი სულიერი მოთხოვნაა, არასოდეს — ხელოვნური და საგანგებო...


რამდენად კარგად ჩანან ამ ლექსებში ჩვენთვის ცნობილი, ჩვენი თანამედროვე, ან გარდასული ადამიანები (თუნდაც, ნოდარ ალანის გახსენება ოთხ სტრიქონში); რამდენი სითბო და სიყვარულია მეუღლისა თუ შვილიშვილებისადმი მიძღვნილ ლექსებში. შვილიშვილების სიყვარული რა გასაკვირია, სიყვარულის გამოხატვის ფორმაა ძალზე ემოციური, ფაქიზი, სათქმელი — გულთან მისატანი და დასამახსოვრებელი, რომელიც, ზოგადად, ახალი, XXI საუკუნის თაობისთვის ნათქვამადაც შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ანდერძი და სურვილი.

სიყვარული დიდი თემაა ჯ. კორძაიას პოეზიაში. აქაც უშურველია; მხოლოდ ერთს გავიხსენებ: სიტყვას „გოლუაფირო“, რომელიც თითქოს კრავს, ამთლიანებს ამ ლამაზ გრძნობას. „გოლუაფიროს“ პირდაპირი თარგმანი (ერთ სიტყვაში) შეუძლებელია. დაახლოებით ასე შეიძლება გავიგოთ: „შენ შემოგვცლებო (შემოგვცლებოდეს) ჩემი თავი...“ მთელი მისი ლირიკიდანაც ამ სიტყვის სითბო და მაღლი იგრძნობა — პოეტი თავს ევლება სამყაროს.

პოეტური თანავასკვლავები



ჟან მორეასი




პოლ-ჟან ტულუე



მორის მეტერლინკი



ანდრე შენიე



ფრანსუა შატობრიანი

ლოტრეამონი
(1846-1870)

გაბერი ოკეანე

ბებერო ოკეანეც ბროლის ტალღებიანო, პროპორციებით იმ ლაყვარდოვან ნაჭდევებს ჰგავხარ, რომლებიც მოსჩანს ქაფის დაჭმუჭნულ ზურგზე. მიწის სხეულზე შენ ხარ მიკრული უსაზღვროდ ლურჯი. მიყვარს ეს შედარება. შენს პირველ სახედ გვევლინება სევდიანი, ხანგრძლივი ამოსუნთქვა, ჰგავს რომელიც შენი ნიავის დამატყვევებელ ჩურჩულს, ჩავლისას ერთიანად შეძრულ სულში წარუშლელ ნაკვალევს რომ სტოვებს და უცოცხლებს შენს მიჯნურებს მოგონებებს ისე, რომ თავად ვერას ხედებიან, მოგონებას უძნელესი დასაწყისისა, როცა კაცი ეცნობა ტკივილს, რომელიც მერე აღარ ტოვებს აღარასოდეს. მოგესალმები ბებერო ოკეანე!

ბებერო ოკეანეც, შენი ჰარმონიულად სფერული ფორმა, რომელიც ახალისებს გეომეტრიის პირქუშ სახეს, მე მაგონებს მხოლოდ მეტისმეტად პატარა თვალებს კაცისა, სიპატარავით გარეული ღორის თვალებს რომ ჰგვანან. მხოლოდ და მხოლოდ აქეზებულს ამპარტავნებით ყველა დროსა და საუკუნეში კაცს მშვენიერი ეგონა თავი. მე ვფიქრობ, რომ ის ნამდვილად არ არის ტურფა და თავადაც ეჭვი ეპარება ამაში ხშირად. ამიტომაც ხომ არ შესცქერის უსიამოდ თავის მსგავს სახეს? მოგესალმები ბებერო ოკეანე!

ბებერო ოკეანეც, იგივეობის შენ ხარ სიმბოლო, მუდამ საკუთარ თავის ტოლ-სწორი. შენ ხომ ნამდვილად არ იცვლები და თუ ზოგან შენი ტალღები მძვინვარებენ, უფრო შორს, ცოტა სხვა გარემოში, ისინი სრულ სიმშვიდეში განისვენებენ. არ ჰგავხარ შენ კაცს, რომელიც ქუჩაში ჩერდება ზოგჯერ, რათა უყუროს, თუ როგორ უგარებს ერთმანეთს კისერს ორი მოჩხუბარი, მაგრამ არასდროს არ გაჩერდება იქ, სადაც გლოვას გადაეყრება, ვინც დილით ხშირად გულლია და საღამოს კი—გულმოქუშული, ვინც დღეს იცინის და ხვალ იტირებს. მოგესალმები ბებერო ოკეანე!

ჟან მორეასი
(1856-1910)

არ თქვათ...

არ თქვათ: სიცოცხლე უდარდელი ღვინია მხოლოდ ან ნაყოფია შლეგი გონის ან მდაბალთ ვნება.
არ თქვათ: ტანჯვაა გაბმული და არ უჩანს ბოლო.
—ის განწირული სიმხნევეა, სწრაფად რომ ქრება.

იცინეთ, როცა გაზაფხული შტოებში ღელავს, იტირეთ მსგავსად ზამთრის ქარის, ტალღის მსხვერუელის, იგემეთ ყველა სიამე და ტკივილი ყველა და თქვით: ეს მართლა ბევრია და სიზმარეული.

პოლ-ჟან ტულუე
(1867-1920)

* * *

საწოლი ფართო და არეული...
ვახელ თვალებს და გვერდით ის არის და მას მაცდურად კოცნის სიზმარი, ჩემი შეხებით გაცელქებული.

სინათლის ზოლი ვინრო და გრძელი კანრავს ჩემს ჭერზე ციმციმა ხაზებს. სადღაც, ძლიერ შორს, შემთხვევით ქვაზე ენანაკრული წკრიალებს ცელი.

მორის მეტერლინკი
(1862-1949)

სათბურები

სათბურნო, მდგარნო შუაგულ ტყეში!
სათბურის კარნო, ჩარაზულნო სამარადისოდ!
ყველაფერს, რაც თქვენს გუმბათქვეშ სუფევს, ჩემს სულისკნელში ჰყავს ალიკვალა.

მშიერ პრინცესას ფიქრები მწარე და უდაბნოში გაბეზრება მეზღვაურისა, უკურნებელთა ფანჯარაში საყვირთა ჰანგი.

ჰა, მოიხილეთ უსიცოცხლო ეს კუნჭულები,
ნახეთ, ქალსა ჰგავს გულშეღონებულს,
ნაყოფის მოსთვის ჟამი რომ უდგას.
საავადმყოფოს ეზოში მიმოდინ მეტელეები.
შორს მოსჩანს, ჩქარობს მონადირე,
ან მომვლელად გადაქცეული.

მაშ, მთვარის შუქზე მოიხილეთ გულდასმით არე!
[არაფერია თავის ადგილზე]
თითქოს შეშლილ ქალს ასამართლებენ...
არხში შემოდის საბრძოლო გემი აფრებგაშლილი.
ლამის ჩიტები შროშანებზე...
შუადღის რეკვა სამგლოვიარო,
[იქ, ზართა ქვეშე]
შუა მინდორში ლაზარეთი სახელდახელო
და დღემზიანში ეთერის სუნი.

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, როს გვეღირსება
სათბურში წვიმა, თოვლის ფიფქი და ქროლვა ქარის?

ავრიპა და ობინიე
(1552-1630)

მეშავევა შროშანები

მეშავევა შროშანები, მემშავევა თაფლი,
ვარდი კარგავს სურნელებას, მიხაკები ფერებს,
მირტიც, დაფნაც გახუნდნენ და ველარ ხასხასებენ,
და უთქვენოდ ძილი მთრგუნავს ელდითა და ზაფრით.

მახსოვს თეთრი შროშანი...და...თაფლიც იყო ტკბილი,
ვარდები და მიხაკები ფერ-სურნელით სავსე,
თვალს ხიბლავდნენ მირტი-დაფნები მწვანედ მოხასხასე
და მათობდა ნეტარებით თქვენთან ერთად ძილი.

სხეული თუ იტანჯება, სული იყოს შვებით.
შროშან-ვარდებს, თაფლს თუ მიხაკს არ
ინალვლებს გული.

მირტს და დაფნას მაისშივე დაეკარგოს ფერი,
რის ძილი და მოსვენება, არ მსურს არაფერი,
დე, უთქვენოდ ყველაფერი დარჩეს ასე მტრული

ანდრე შენიე
(1762-1794)

ოდა მარი-ან-შარლოტ კორდეს

შავმა ასპიტმა, გამომძვრალმა ბილნი ხვრელიდან,
თავად იხილა რღვევა შენი მტკიცე ხელითა
მის ბინძურ დღეთა შხამიანი საფარველისა,
ვეფხვის ბუნაგში თავად მიდი ქალო ძლიერო,
რათა უშიშრად მოგეთხოვა სამაგიერო
მისგან შესმული კაცობრივი სისხლის ზღვებისა.

სიმამაცვა ქვეყნად მხოლოდ თავისუფალი.
ან ისტორიის დიდება ხარ გარდაუვალი.
ვაუკაცი მხოლოდ შენ აღმოჩნდი, მოჰკითხე ბრალი.
ჩვენ საჭურისთა მხდალი ბრბო ვართ, სულდაკარგული
და შეგვიძლია ნუნუნნი და მოთქმა ქალური,
მაგრამ გვაკრთობს და გვემძიმება ფარი და ხმალი.

ქვეყანას ჩვენსას მოაშორე ერთი მყვლეფელი,
ისმის გალობა მაგ გმირობის სადიდებელი.
ლამაზო გმირო, ზეცა შენთვის გალობს, გაგონებს,
სიმამაცე და ხანჯალია დღეს სასოება.
წმინდა იგი იარალი, როცა დროებამ
ამეფა ბილნი და შენ მიგცა იმათ კანონებს.

ფრანსუა-რენე დე შატობრიანი
(1768-1848)

**ო, ღმერთო, შენ რომ
სანატრალი ქალი გაგოქავინა...**

ერთხელაც გზა დავეკარგე უსიერი ტყეებით გარემოცულ
მანანის მაღალ ბუჩქნარში. სულ ცოტა სჭირდებოდა ჩემს
ოცნებას: გამხმარი ფოთოლი, რომელსაც ჩემს თვალწინ მი-
აფრენდა ქარი, ქოხი, საიდანაც ამოსული კვამლი ხეების გა-
შისვლებულ კენწეროებს უწევდა, ხავსი, რომელსაც მუხის
სხეულზე აცახცახებდა ჩრდილოეთის სუნთქვა, გამოქვა-
ბული ტყეში, უდაბური ტბორი, სადაც ჩურჩულებდა გამხ-
მარი ლერწამი. შორს, მინდორში აღმართულმა ეულმა სამ-
რეკლომ ბევრჯერ მიიტაცა ჩემი მზერა, ბევრჯერ მივადევ-
ნე თვალი გადამფრენ ფრინველებს, ზემოდან რომ გადამიქ-
როლებდნენ. წარმოვიდგენდი უცნობ ნაპირებს და შორეულ
მხარეებს, იდუმალი გულისხმა მალელებდა, ვგრძნობდი,
რომ ოდენ მოგზაური ვიყავი, მაგრამ თითქოს ზეციური ხმა
მეუბნებოდა: “ ადამიანო, ჯერ არ დამდგარა ჟამი შენი ყა-
რიბობისა, ჯერ შეიცადე, ამოვარდეს სიკვდილის ქარი, რა-
თა გაფრინდე იმ უცნობი მხარეებისკენ, შენი გული რომ ასე
ესწრაფვის”

“მაშ, ამოვარდით დაუყოვნებლივ სანატრელო გრიგალე-
ბო და გამიტაცეთ სივრცეებში სხვა ცხოვრებისა”-ასე ვამ-
ბობდი და ანთებული მივიწვედი ფართო ნაბიჯით. ქარი უს-
ტვენდა ჩემს თმებში, არა ვგრძნობდი არც სუსხს, არც წვი-
მას დამაშვრალი და მოხიბლული, დატყვევებული ჩემი გუ-
ლის დემონის მიერ.

ლამით კი, როცა ჩრდილოეთის მსუსხავმა ქარმა შეა-
ტორტმანა ჩემი ქოხი, როცა წვიმა ნაკადებად უტევდა სა-
ხურავს და ფანჯრებში აღწევდა, ვხედავდი, როგორ აე-
ლებდა კვალს ახუნულავებულ ღრუბლებზე მთვარე, ისე
ვით ხნული გაჰყავს ტალღებზე ფერგამკრთალ ხომალდს.
მეჩვენებოდა, რომ სიცოცხლე ორმაგდებოდა ჩემი გულის
სიღრმეებში და მეძლეოდა სამყაროს შექმნის ძალმოსი-
ლება, ო, როგორ მსურდა სხვისთვის გამეყო ეს აღტაცება
უკიდევანო. ო, ღმერთო, შენ რომ ჩემთვის სანატრელი ქა-
ლი გებოძებინა, ისევე როგორც მიუბოძე ჩვენს პირველ მა-
მას, ჩემთვისაც გეძღვნა ერთი ევა, თვით ჩემგანვე ამოყვა-
ნილი...

ო, ზეციურო სილამაზე, მე შენს წინაშე დავემხობოდი,
მერე კი მკლავებს შემოგხვევდი და მარადიულ უფალს შეე-
თხოვდი, შენთვის მოეძღვნა დარჩენილი ჩემი სიცოცხლე.
ვაგლახ, ვიყავი მარტო, მარტო ვიყავი ამ ქვეყანაზე.

**ფრანგულიდან თარგმნა
ბადრი თევზაქია**



ლორდ ბაირონი

ჰარეში: გულბაიანი

(„ღონე ჟუანის“ მეხუთე თავი)

ოდეს ხვეწა-კოცნის მოყვარული პოეტები უმღერენ თავიანთ სატრფოთ შარბათივით დამტკბარი და გაცვეთილი სტრიქონებით, და რითმებს ისე აწყვილებენ, თითქოს ვენერას დაუღლებია თვისი მტრედებიო, ნაკლებ ფიქრობენ, თუ რა ზიანი მოაქვთ; რაც მეტ წარმატებას აღწევენ, მით მეტად აშავებენ, რასაც ოვიდოუსის ლექსიც გვაუწყებს; თვით პეტრარკაც კი, თუ მკაცრად განვსჯით, პლატონური მაჭანკალია შთამომავალთათვის.

ამიტომაც ვამხელ ყველანაირ ამურულ მწერლობას, გარდა იმისა, რაც არ მოგვწუხხავს; ნათელი, სადა, მოკლე და არაფრისდიდებით — თავბრუსხვევი, ყოველ შეცდომას მორალი უნდა ახლდეს, შეთხზული დასამოძღვრად და არა დასატკობად, და ყოველ ვნებას რიგრიგობით აცამტვერებდეს.

ახლა კი, თუ ჩემი პეგასი ცუდად არ დაჭედოდა, ეს პოემა მორალურ მოდელად უნდა იქცეს.

ვეროპული და აზიური სანაპიროები, მოკაშკაშე სასახლეებით; ოკეანის სამოცდაათოთხმეტი ნაკადი, აქეთ-იქით მიმართული;¹ სოფიას ოქროსფრად მოკაშკაშე გუმბათი; კვიპაროსები; მალალი და ჭლარა ოლიმპი; თორმეტი კუნძული, და მეტი, ვიდრე ვიოცნებები, აღსანერად მიუწვდომელი სანახაობა, რამაც მოხიბლა მომავადობელი მერი მონტეგუი.

მიყვარს სახელი „მერი“, რადგანაც ერთ დროს ჯადოსნურად ჩამესმოდა; და ახლაც მაგონებს ჯადოსნურ სამყაროს, სადაც ვიხილე, ახდენა რასაც არ ეწერა; ყველა გრძობა გაჰქრა და ეს კი სულ ბოლოს შეიცვალა; ეს მონუსხვა, რისგანაც ჯერაც ვერ დამიღწევია პირწმინდად თავი; მაგრამ დავევდიანდი და დაე ამბავიც განელდეს, და პათეტიკურად ნულარ ითქმება.

ქარმა გაინავარდა ევქსინზე, ტალღა შეასკდა ლურჯ სიმპეგადებს და დაიმსხვრა; დიდებულთა ეს სანახაობა გოლიათის საფლავიდან,² ოდეს მშვიდად უმზერ, თუ როგორ ეხლებიან და განბანენ ევროპასა და აზიას ბოსფორს შუა მოქცეული მბრუნავი ზღვები; არ არის ზღვა უფრო საშიში, ვინემ ევქსინი, სადაც კი მგზავრს გულსრევა დამართნია.


შემოდგომის სუსხიანი და მტირალა დღე იდგა, როცა ღამეებია ერთნაირი და არა დღეები; პარკებმა მოულოდნელად შეწყვიტეს ზღვაში გასულთა ბედის ქსოვა, ღრიალა ქარიშხლებმა აამლევარეს წყლები და გაუღვივეს მონანიების სურვილი ყველას, ვინც კი ზღვის უფსკრულებში მიიკვლევდნენ გზას — აღთქმას დებდნენ: უამოვსნორდებითო, — თუმც ტყუილად, რადგან თუ დაიხრჩობოდნენ, რალას გამოსწორდებოდნენ, და თუ გადარჩებოდნენ — აღარც გაახსენდებოდათ გამოსწორება.

ბაზარზე ჩაემწკრივებინათ ბრბო ყველა ეროვნების, ასაკისა და სქესის მოცახცახე მონებისა; მოექუჩებინათ ვაჭრებს თავთავიანთ სადგომებთან: საბრალო ქმნილებანი! კარგი გარეგნობა მწუხარებით შეცვლოდათ. ყველა, შავკანიანთა გარდა, ბოლმით იტანჯებოდა — დაშორებულნი სახლს, მეგობრებს, თავისუფლებას; ზანგები უფრო ფილოსოფიურად განწყობილიყვნენ, უეჭველია შეჩვეოდნენ, როგორც გველთევზა ტყავის გაძრობას.

ჟუანი ახალგაზრდა გახლდათ და, როგორც მის ასაკს შეჰფერის, აღვსილიყო იმედითა და სიჯანსაღით; და მაინც ცოტა მოწყენილი გამოიყურებოდა, ხანდახან ცრემლიც მოსწყებოდა; ალბათ სისხლის დაკარგვამ გატეხა მცირედ მისი სიმტკიცე, სიმდიდრისა და მიუღლის, მშვენიერი სახლ-კარის და-

კარგვამაც და თათრების აუქციონზე მოხვედრამაც.

ეს ყოველივე სტოელსაც კი შეარყევდა; და მაინც მშვიდად იტანდა გასაჭირს: მისი აღნაგობა და სამოსის ბრწყინვალეობა, რაზეც ოქრომკედი ლერაც შერჩენილიყო, მისკენ მიაპყრობდა ყველა მზერას და ცდილობდნენ გამოეცნოთ, რამდენად მალა იდგა მდაბიოებზე თვისი იერთი; და თუმც ფერმკრთალი იყო, მაინც მშვენიერი გახლდათ; და ლამობდნენ გამოეცნოთ თუ რამდენს გადაიხდიდნენ მის გამოსასყიდად.



ნარდის დაფასავით მოენიშნათ ის ადგილი, თეთრად და შავად, საჩვენებლად ჯგუფ-ჯგუფად გასაყიდი საქონლისა, მაგრამ მაინც უნესრიგობა სუფევდა: ზოგი შავტუხას ყიდულობდა, ზოგს ფერმკრთალი ერჩივნა. ისე მოხდა, სხვებს შორის ერთი ოცდაათიოდე წლის ზორბა და ჯანსაღი კაციც იყიდებოდა, შავი, უტეხი გამოხედვა ჰქონდა, და მის მერე კი ჟუანი იდგა, და ელოდა, ვინ აარჩევდა საყიდლად.

ინგლისელს ჰგავდა; რადგან ნელში გამართულიყო, თეთრ-ყირმიზი, კარგი კბილები ამშვენებდა, დახვეული ხორბლისფერი თმა; ალბათ ფიქრმა, გადალლამ თუ მეცადინეობამ ოდნავ შეუკრა გაშლილი წარბები; ერთ ხელზე სისხლიანი სახვევი დაეხვიათ; და ისე აულელვებლად იდგა, უფრო დიადს ვერავის წარმოიდგენდა მნახველი.

და როცა მხარდამხარ ყმანვილი კაცი იხილა, ამკარა გულმაგარი, თუმც ისეთ მძიმე დღეში ჩავარდნილი, ყველას რომ დასცემდა, ბუნდოვანი თანაგრძნობით განეწყო მის ბედქვემ მყოფი ჭაბუკისადმი, ვინც ამ ყველაფერს ისე უმზერდა, როგორც კიდევ ერთ გაკანვრას ცხოვრების გზაზე.

— ყმანვილო! — უთხრა, — მთელ ამ ჭრელ ბრბოში ქართველებისა, რუსებისა, ნუბიელებისა და, რა ვიცი კიდევ, ვისთანაც მოგვახვედრა ბედმა, ადამიანებს ძონძების ფერით თუ გამოარჩევ, ჯენტლმენები მხოლოდ მე და შენ ვჩანვართ, ასე რომ, გავეცნოთ ერთმანეთს, სასიამოვნო იქნება თუ თქვენ დახმარებას შევძლებ, მითხარით, რა ეროვნებისა ბრძანდებით?

და როცა ჟუანმა მიუგო:

— ესპანელი!

კაცმა განაგრძო:

— მართლაც, ვფიქრობდი, ბერძენი არ იქნებოდი; ამ ღამეა ძალღებს ასეთი ამაყი გამოხედვა არ გააჩნიათ: ბედს მუხთალი ფანდი უხმარია შენზე, ასე ექცევა ადამიანებს, როცა გამოცდას უწყობს, მაგრამ შეიცვლება, დამიჯერე, ალბათ იმ კვირაშივე; მეც შენსავით მომექცა, ოლონდ ეგაა, ჩემთვის აქ ახალი არაფერია.

— გემუდარებით, სერ, — უთხრა ჟუანმა, — შეიძლება გავიკო, აქ რამ მოგიყვანათ?

— ო, ისეთმა არაფერმა, ექვსმა თათარმა და ჯაჭვმა. ეს ბედისწერა, მაგრამ რაც მოხდა, თუ სამართლიანად შევაფასებთ, ჭკუა უნდა მასწავლოს... რამდენიმე თვე რუსეთის არმიამ ვიმსახურე, ხან აქეთ, ხან იქით, დაბოლოს, სუვოროვის ბრძანებით, ერთ ქალაქს ვიღებდი, და ალების ნაცვლად საკუთარი თავი ჩავაბარე.

— მეგობრები არა გყავთ?

— მყავდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს აღარ შევუწუხებდვარ. ახლა, როცა ძალდაუტანებლად გიპასუხებთ შეკითხვებზე, საპასუხო თავაზიანობას მოველი თქვენგან.

— ეჰ! — მიუგო ჟუანმა, — სევდიანი ამბავია და ძალზე გრძელიც.

— ოჰ, თუ ასეა, უფლება გაქვს არაფერი თქვა; სევდიანი ამბავი ორმაგად გასევდიანებს, როცა გრძელია. მაგრამ ნუ დალონდები, მართალია ბედმა ქალივით გილაღატა, მაგრამ არ მიგატოვებს (ცოლი ხომ არ არის შენი) დიდხანს ასეთ მწარე დღეებში. ბედისწერასთან შებრძოლება კი იმას დაემგვანება, სამკალი რომ ნამგალს შეებრძოლოს; კაცი სათამაშოა გარემოებათა ხელში, თუნდაც ეგონოს, გარემოებას ვათამაშებო.

— განა, — უპასუხა ჟუანმა, — ანმყოს სიდუხჭირის გამო ვგლოვობ, არამედ წარსულისა: ყმანვილი ქალი მიყვარდა...

გაჩუმდა და შავი თვალები კიდევ უფრო დაებინდა, ობოლი ცრემლი დაეკიდა და მოწყდა ნამწამს:

— იმას ვამბობდი, ანმყოს ხვედრის გამო არ ვდარდობ, რადგან გადამიტანია უდიდესი გასაჭირი, ზღვის უფსკრულს გადავრჩენილვარ, მაგრამ ეს ბოლო ტალღა...

და აქ კვლავ შედგა და სახე მიაბრუნა.

— ჰო, — უთხრა მეგობარმა, — ვფიქრობდი, ალბათ ქალბატონი ურეგია ამ ამბავში-მეთქი; და ამ თემას ნაზი ცრემლი მოსდევს, და მეც დავღვრიდი ცრემლებს შენს ადგილას, დავიტრებდი ჩემი პირველი ცოლის გარდაცვლის დღეს, და იმასაც, მეორე ცოლი რომ გამექცა: მესამე კი...

— მესამე! — ნამოიძახა შემობრუნებულმა ჟუანმა, — ოცდაათისა ძლივს იქნები, სამი გყავს?

— არა, მინის ზემოთ მხოლოდ ორი: მართლაც არაფერია საოცარი კაცის ხილვაში, ვინც სამჯერ შეება წმინდა ქორწინების უღელში!

— კეთილი, მაშინ, მესამემ რა ჰქნა? — ჰკითხა ჟუანმა, — ისიც გაიქცა, ჰა, სერ?

— არა, ღმერთმანი.

— მაშ რა?

— მე გამოვექეცი.

— სერ, თქვენ გულგრილად უყურებთ მოვლენებს, — თქვა ჟუანმა.

— რას იზამ, — მიუგო მან, — რა შეუძლია კაცს? ჯერ კიდევ ბევრი ცისარტყელა შენს ცაზე, ჩემები კი ჩაქრა. როცა სიცოცხლე იწყება, ყველას ტკბილი აქვს ფიქრები და ამაღლებები — ოცნებანი, მაგრამ ცხოვრება გვძარცვავს, გვაცლის ფერად-ფერად ილუზიებს და თანდათან რაღაც დიდი შეცდომა ნაადრევად გაგვადრობს გველივით კაშკაშა კანს. მართალია მერე ახალ ტყავს ირგებს, ბრჭყვიალასა და ცინცხალს, ან უფრო ცინცხალს, უფრო ბრჭყვიალას, მაგრამ წელი ჩაივლის და ეს კანიც უნდა გაიძროს, შეიძლება ორიოდ კვირაც არ შერჩეს; როცა სიყვარულის ბადე შლის თავის მოგაკვინებელ ყულფს, პატივმოყვარეობა, სიხარბე, შურისმგებლობა, დიდებით ტკობა შეაკონინებს ჩვენს წარსულ დღეთა დაფნის გვირგვინებს, და კვლავ შევხარით გროშებსა თუ ქება-დიდებას.

— ვთქვათ, ეგ ყველაფერი სიმართლეა, — თქვა ჟუანმა, — მაგრამ მაინც ვერ ვიგებ, რით ნავგადგება ჩვენი ანმყო ყოფა, ან შენ, ან მე.

— ვერა? — ჰკითხა მან, — იმას ხომ მაინც შეძლებ, რომ სწორად აღიქვა მოვლენები, რაღაც მაინც ხომ ვისწავლეთ: ვთქვათ, ის, რომ ვიცით, თუ რა არის მონობა, და ჩვენი უბედურება გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთ, ბატონები როცა ვართ.

— ახლა რომ ბატონები ვყოფილიყავით, ეგებ გვეცადა და გვესწავლებინა მათივე გაკვეთილები ჩვენი წარმართი მეგობრებისათვის, — თქვა ჟუანმა და გულისჩამწველი ოხვრა ჩაყლაპა, — ღმერთი შეენიოს სწავლულს, ვისაც ბედისწერა აქ ამოაყოფინებს თავს!

— ალბათ დრო გავა და ერთ დღეს განვისწავლებით, — შეუერთდა მეგობარი, — როცა უიღბლობას ბოლო მოეღება; მანამდე კი (შეხე ბებერი შავი საჭურისი მოგვჩერებია)

ღმერთს ვევედრები, ვინმე გვიყიდოს. მაგრამ ბოლო-ბოლო, როგორია ჩვენი ახლანდელი ყოფა? ცუდია და შეიძლება გაუმჯობესდეს; ასეთია ადამიანთა ბედი; უმრავლესობა მონები არიან, ყველა, დიდ ადამიანთა გარდა, თავიანთივე ხუმტურებისა და ვნებებისა და რისაც ვნებავთ; საზოგადოება კი, სიკეთეს რომ უნდა ჰქმნიდეს, იმ ცოტაოდენსაც გვართმევს, რაც გაგვარჩნია. გულგრილობა ჭეშმარიტი სოციალური ხელოვნებაა სმოფლიოს სტოიკოსთა, უგულუო ადამიანებისა.

სწორედ იმ დროს შავ-შავი, ბებერი, უგრძობი არსება, მესამე სექსისა, წინ წამოდგა და დაამტერდა ტყვეებს, აწონდა-წონდა მათი იერი, ასაკი და უნარი, რათა გაეგო, თუ რამდენად შეჭვროდნენ გამიზნულ გალიას; არცერთი ქალბატონი არ შეჰყურებს საყვარელს ისეთი ვნებიანი თვალთ, ცხენს ისე არ აფასებს აზარტული მოთამაშე, ჰონორარს არ ითვლის ისე ადვოკატი, საშუალოდ დამნაშავეს არ უთვალთვალეს ციხის ზედამხედველი, როგორც მონებს ათვალთვალეს ყიდვის მსურველი. სასიამოვნოა ჩვენნაირ არსებათა შესყიდვა; და ყველა შეიძლება გაიყიდოს, თუ შევფასებთ მათი ვნებებითა და მოხერხებულობით; ზოგს გარეგნობის გამო ყიდულობენ, ზოგს მეომარი ყიდულობს, ზოგსაც, გააჩნია სად, ასაკისა და ბუნების გამო; უმრავლესობას ნაღდი ფულით შეიძენენ, მაგრამ ყველას აქვს ფასი, მათივე ცოდვების საფერი.

საჭურისმა ყურადღებით დაათვალიერა ისინი, ვაჭარს მიუბრუნდა და შეევაჭრა ჯერ ერთზე და მერე ორივეზე; კამათობდნენ, ჩხუბობდნენ, ივინებოდნენ, არ დაუკლიათ არაფერი! თითქოს უბრალო ქრისტიანულ ბაზარზე ყოფილიყვნენ და ხორცზე ევაჭროთ, ვირზე, ცხვარსა ან თხაზე; მათი ვაჭრობა ბრძოლასა ჰგავდა, რაკი უღელ ადამიან-საქონელს ეხებოდა.

ბოლო-ბოლო ბუზღუნით შეთანხმდნენ, უხალისოდ ამოიღეს ქისები და ატრიალეს თვითივე ვერცხლის ფული, ზოგი დაუვარდათ, წამოკრიფეს, ზოგი ხელში აწონეს, შეცდომა რომ არ მოსვლოდათ, იქოთქოთეს, იცახცახეს, ვიდრე ზუსტად შეაგროვებდნენ თანხას, და ვაჭარმა ხურდა დაუბრუნა, ვექსილებს ხელი მოაწერა და სადილზე შეუდგა ფიქრს.

ნეტა კარგი მადა თუ ჰქონდა? და თუ ასეა, ნეტა როგორ იხელბედა? ვფიქრობ, ჭამისას უცნაური აზრები უნდა სწევოდა, და სინდისს ახირებული შეკითხვები დაესვა, თუ ვით ამართლება ზეცა სისხლისა და ხორცის გაყიდვას. და როცა სადილი ჩაშამდებდა კაცს, ვფიქრობ, ყველაზე პირქუშ საათად ექცევა ამ სევდიან ოცდაოთხ საათში.

არაო, ამბობს ვოლტერი; კანდიდი მიიჩნევდა, ცხოვრება ყველაზე უფრო ასატანი ჭამის მერეაო; ცდება — ადამიანი რომ ღორი იყოს, მართლაც გაძლომა მოუმატებდა გრძობებს; თუკი მთვრალია, მისი ტვინი უთუოდ თავისუფალია ჭყლეტისა და ტანჯვისაგან. ჭამაზე ფილიპეს ვაჟივით ვფიქრობ, ან ამოწინით (არცერთ ქვეყანას რომ არ სჯერდებოდა და არცერთ მამას);

ალექსანდრესავით ვფიქრობ, რომ პურისჭამა, სხვა ამგვარ ორიოდ ქმედებასთან ერთად, შეგვგრძობინებს, მართლაც ორმაგად მოკვდავნი რომ ვართ; როცა შემწვარი თუ მოხრაკული, თევზი, წვნიანი, ჭურჭლეულით კარგად მორთმეული, ან ტკვილის ან სიამოვნებას მოგვანიჭებს, ვინდა შეერკინება ინტელექტს, როცა კუჭის წვენი შემწვობის ამარა რჩება.

ერთ საღამოს (წინა პარასკევს) — ეს რეალობაა და არა პოეტური იგავი — ოდეს ის იყო მოსასხამი მომასხეს, ქუდი და ხელთათმანები ჯერაც მაგიადაზე ეწყო, სროლის ხმა გაეგონე — ჰადაჰა რვას გადასცილებოდა — და გარეთ გავვარდი მთელი სისწრაფით და ვნახე ქუჩაში გამოტილი სამხედრო მეთაური — ძლივსლა სუნთქავდა.⁴

საბრალო კაცი! რაღაც მიზეზით, უთუოდ ცუდი მიზეზით, ხუთი ტყვიით მოკლეს და იქვე დატოვეს, ქვაფენილზე დასალუპავად; შინ შევიყვანე და კიბეზე ავათროკიალე, სამოსი გავაძრე და დავათვალიერე, მაგრამ რაღა ბევრი გავაგრძელო? ამო იყო ყველანაირი მზრუნველობა; სული განუტევა საბ-

რალომ რომელიღაც იტალიურ ჩხუბში — ძველი თოფის ლუ-
ლიდან გამოსროლილი ხუთი ტყვიით.

დავყურები, რადგან კარგად ვიცნობდი; და თუმცა ბევრი
გვამი მინახავს, არასოდეს — ასეთი რამ რომ შემთხვეოდა და
ასეთი მშვიდი გამომეტყველება ჰქონოდა; თუმცა კუჭიც დაეცხ-
რილათ, გულიც და ღვიძლიც, თითქოსდა სძინავსო, და ვერც კი
იტყოდი (რაკი შინაგანი სისხლდენა ჰქონდა, შედეგებული სის-
ხლის მდინარე არ ამხელდა სიკვდილის მიზეზს), მკვდარიაო.

და რომ დავყურებდი, ვიფიქრე თუ ვთქვი: „ეს არის სიკვ-
დილი? მაშ რა არის სიცოცხლე ან სიკვდილი? მიბასუხე!“ მაგ-
რამ არა მომიგო რა. „გაიღვიძე!“ მაგრამ ეძინა: „...მაშ ვინ იყო,
გუშინ რომ მძლავრად სუნთქავდა? ათასი მეომარი მის სიტყ-
ვას უდრტვინველად ემორჩილებოდა: „ნადი“ და „მიდიოდნენ“;
„მომი“ და ნაბიჯი აქეთ იდგებოდა. საყვირები დუმდნენ, ის
როცა ლაპარაკობდა, და ახლა კი მისგან
დადუმებული დოლილა დარჩენილა.“

და ვინც ერთ დროს ელოდნენ და
ეთაყვანებოდნენ, ახლა სანოლს შემოხ-
როვოდნენ და უხეში სახეებით დასცქე-
როდნენ მეთაურის თიხას, რასაც უკა-
ნასკენლად, თუმცა არა პირველად, სდიო-
და სისხლი; ასეთი ბოლო! იგი, ვისაც
მრავალჯერ უნახავს, თუ როგორ გარ-
ბოდნენ ნაპოლეონის მტრები, შეტაკები-
სას იქნებოდა თუ ჩასაფრებისას, ახლა
ქალაქის ვინრო ქუჩაში დაეცხრილათ.

ძველი ნაიარევეები მიახლოებოდა
ახალს; ის ღირსეული იარები, დიდება
რომ მოუტანა; შემზარავი იყო მათ შო-
რის განსხვავება... მაგრამ ნება მიბოძეთ
დავასრულო; რადგან ასეთი რამეები ალ-
ბათ მეტ ყურადღებას ითხოვს, ვიდრე სა-
ჭიროა ჩემგან; დავცქეროდი (როგორც
ხშირად მოვცქეულობარ) და ვცდილობდი
გამეგო, თუ რას მასწავლიდა ეს სიკვდი-
ლი, რას დამიმტკიცებდა, შემძრავდა თუ
რწმენას ჩამინერგავდა;

მაგრამ ყველაფერი საიდუმლოებას
მოუცავს. აჰა, აქა ვართ და იქით მივდი-
ვართ, მაგრამ საით? ტყვიის ხუთი ნაჭერი-
საკენ თუ სამის თუ ორის თუ ერთისაკენ — შორს გაგზავნილის-
კენ! და ნუთუ ეს სისხლი დასაღვრელად შექმნილა? შეუძლია
ყოველ ელემენტს ჩვენს ელემენტთა დაბინძურება? და ჰაერი,
მინა, წყალი, ცეცხლი ცოცხალი და მკვდრები ვართ? ჩვენ, რო-
მელთა გონებაც ყველაფერს სწვდება?

მორჩა; მოდი ისევ თხრობას მივუბრუნდეთ.

ჟუანისა და მისი ნაცნობის მყიდველმა შექმნილი საქონე-
ლი მოოქროვილ ნავთან მიიყვანა, ჩასვა, თვითონაც ჩაჯდა და
გაეშურნენ ისე ჩქარა, ნიჩბების მოსმასა და წყლის გაჭრას
რაც შეუძლია; ისე მოჩანდა, თითქოს სასჯელის აღსრულები-
სათვის მიჰყავდათ. ნეტა რა იქნებაო, ფიქრობდნენ, ვიდრე
თურქული ქაიქი⁵ მიადგებოდა კედელთან მდებარე მცირე,
მუქმწვანე, მაღალი კვიპაროსებით დაფარულ ყურეს.

აქ მათმა მეგზურმა დააკაუნა მომცრო რკინის კარზე; კა-
რი გაიღო და შიგნით შეუძღვა, ჯერ პატარა, ორი მხრიდან
მცენარეებით დაფარულ ქალაშ; თითქოს გზა დაჰკარგეს და
ეძიებნო.

ლამე ეშვებოდა მინაზე. საჭურისმა ნიშანი მისცა ნავში
მყოფთ, მათ ნიჩბები მოუსვენს და უსიტყვოდ გაშორდნენ.

ნელა მიუყვებოდნენ მიხვეულ-მოხვეულ გზას, ციტრუ-
სებსა და იასამანს, და ასე სხვათა შორის (მათზე ბევრი რამ
შემიძლია ვთქვა, ჩრდილოეთში ასეთი სიუხვით არ მოგვეპო-
ვება აღმოსავლური მცენარეები, „et cetera“, მაგრამ თქვენნი
მჩხაპნელები მაინც ახერხებენ მთელი სათბურები მოახყონ



თავიანთ თხზულებებში, რადგან ერთ პოეტს უმოგზაურია
თურქთა შორის).

და ვიდრე გზას მიუყვებოდნენ, ჟუანს თავში ერთი აზრი
მოუვიდა და ამხანაგს ჩასწორებულა: ეს აზრი ყველას გაუელ-
ვებდა, თქვენცა და მეც.

— ვფიქრობ, — თქვა მან, — დიდი სირცხვილი არ იქნება
თუ ვცდით, გავბედავთ და გავთავისუფლდებით; მოდი ამ ბე-
ბერ შავკანიანს თავში ჩავარტყათ და გავქუსლოთ, ამის ქმნა
უფრო იოლია, ვიდრე თქმა.

— დიას, — უპასუხა მეორემ, — და როცა გავიქცევით, მე-
რე? გარეთ როგორ გავაღწევთ? და თუ იოლად გავაღწიეთ და
წმინდა ბართლომესაგან განსხვავებით ტყავიც გადავირჩი-
ნეთ,⁶ ხვალ სხვა ბუნაგში ამოვყოფთ თავს, და უარეს დღეშიც
ჩავცვივდებით, ვიდრე აქამდე ვიყავით; ამასთან, მშია და, ესა-
ვისა არ იყოს, პირმშობას ბიფშტექსში
გავცვივდი. ადამიანის საცხოვრებლის
ახლოს უნდა ვიყოთ; ამიტომ მიზოზი-
ნებს ასე თავდაჯერებულად ბებერი
ზანგი, ორ ტყვესთან ერთად, ასეთ უც-
ნაურ გზაზე; იცის, მის ამხანაგებს არ
სძინავთ; ერთს დაიყვირებს და ყველა
თავს მოიყრის: ამიტომ ჯერ მოვზომოთ,
ვიდრე გადავხტებოდეთ, და აი, ხედავ,
ამ მოსახვევმა სად მიგვიყვანა, იუპი-
ტერსა ვფიცავ, დიდებული სასახლეა!..
თანაც განათებული.

წინ აღემართათ მართლაც ვრცელი
და დიდი შენობა, რომლისთვისაც
ბლომად შეესხურებინათ ოქროს და
სხვადასხვა ფერის საღებავი, თურქული
ჩვეულების კვალობაზე; უგემოვნებაა
ჭრელა-ჭრულების სიყვარული და მარ-
თლაც ნაკლებ არიან ჩახედულნი ხე-
ლოვნებაში, რასაც ამ მიწამ დაუდო სა-
თავე; ბოსფორის თვითეული სასახლე
ჰგავს ოპერის სცენას, ახლახან მიხატუ-
ლი თეჯირებით.

და ახლოს რომ მივიდნენ, ხალისიანი
სუნი იგრძნეს კერძეულისა, ხორცეუ-
ლისა თუ ფლავეულისა, იხილეს, რასაც

მოკვდავის თვალი ყველაფერს ამჯობინებს და რამაც ჟუანს
გაუქრო მგზნებარე მისწრაფება და კეთილგონიერებისაკენ
მოაბრუნა; მისმა ამხანაგმაც აღმოთქვა მხსნელი წინადადება:

— ღვთის გულისათვის, მოდი ახლა ვივანშმოთ და მერე
შენთანა ვარ, თუ ჩხუბს აპირებ.

ზოგს უყვარს საუბრით ვნებების გამონვევა, ზოგი გრძნო-
ბებს მიმართავს, ზოგიც საღ აზრს; თუმცა საღი აზრი არასო-
დეს ყოფილა მოდამი, რადგან გონებას მიაჩნია, რომ ყველანა-
ირი განსჯა ყავლგასულია. ზოგი მოსაუბრე ნუნუნებს, ზოგი
მათრახით გიტევს, ზოგიც გააჭიანურებს და გალიზიანებს
მსჯელობით, რაშიც, ჰგონია, ძლიერი ვარო, მაგრამ არვის
მოუვა თავში, მოკლედ მოჭრას.

მაგრამ კიდევ გადავუხვიე.

ყოველ მიდრეკილებათაგან — თუმცა პათოსის ძალასაც
ვითვალისწინებ — ოქრო იქნება, სილამაზე, მლიქვნელობა,
მუქარა თუ გროში... ვერცერთი მეთოდი ვერ შეაკავებს და-
მიანთა გრძნობებს, რაც, როგორც ყოველდღე ხდება, განაზ-
დება ხოლმე, ოდეს ყველაფრის დამამშვიდებელი, ყოვლის-
დამძლევი ხმა დაირხევა, სულის გამოძახილი, სადილის ზარი.

თურქებს ზარი სად აბადიათ, და მაინც ადამიანები სადი-
ლობენ; და თუმცა ჟუანსა და მის მეგობარს ქრისტიანული ზა-
რით არ უხმობდნენ, არც სუფრის მომსახურე ლაქიათა რიგი
დაუნახავთ, მაინც იგრძნეს შემწვარი ხორცის სუნი, იხილეს
მოგიზგიზე ცეცხლი და ხელდაკაპანებული, მოფუსფუსე მზა-

რეულები, მარცხნიდან და მარჯვნიდან რომ მოსჩერებოდნენ მადისალმძვრელი მზერით.

და უკუაგდეს წინააღმდეგობის ყოველგვარი სურვილი, ახლოს მიჰყვებოდნენ თავიანთ შავტუხა მეგზურს, ვისაც აინუნშიც არ მოსდიოდა, რომ მისი საბრალლო არსების ყოფნა-არყოფნა გადაიდო; მან ტყვეები შეაჩერა და კარზე დააკაკუნა; კარი გადაიხსნა და დიდი, აზიური ბრწყინვალეობითა და ოტომანთა სიდიადით აღბეჭდილი დარბაზი გამოჩნდა.

არ აღწერს; აღწერა მემარჯვებმა, მაგრამ ამ ჩვენს ნათელ დღეებში ყველა სულიერი ახერხებს აღწერას თავისი ბრწყინვალე მოგზაურობისა უცხოურ სამეფო კარზე, დაახვავებს წიგნში და მკითხველს ქებასა სთხოვს, გამომცემელს კი სიკვდილს უსურვებს; მისთვის ეს სპორტია; მაშინ, ოდეს ბუნება ოციათას გზას გამოტანჯავს და სანიმუშო მოთმინებით ჩაეფლოება სამეგზურო წიგნებში, რითმებში, საათებში, ჩანახატებში, ილუსტრაციებში.

ამ დარბაზში ზემოთ და ქვემოთ ფეხმორთხმით ისხდნენ მავანნი და ჭადრაკს ამღერებდნენ; სხვანი სიტყვაძუნნად მუსაფოზბდნენ, კიდევ სხვანი საკუთარი სამოსის ცქერით ტკბებოდნენ; კიდევ სხვანი განსაცვიფრებლად ლამაზ ჩიბუხებს აბოლებდნენ უძვირფასესი ან ძვირფასი ქარვით მოოჭვილი სატურქებით; ზოგი მიმოდოდა, ზოგს ეძინა და ზოგიც ჭიქა რომით ხელში სავახშმოდ ემზადებოდა.⁷

ოდეს შავი საჭურისი შევიდა ნაყიდ ურჯულოთა ასხმულით, ზოგმა ამოხედა, ისე, რომ საქმიანობა არ შეუწყვეტია; ვინც ახლოს ისხდნენ, ოდნავ შეირხნენ, ერთმა თუ ორმა ტყვეებს სახემიც შეხედა, ცხენებს როგორც ათვალეიერებენ ფასის გამოსაცნობად, ზოგმაც ადგილიდან დაუკრა თავი ზანგს, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს.

ზანგი კი წინ მიუძღოდათ დარბაზის გავლით, შეუჩერებლივ, გაიარეს რიგი ლაზათიანი ოთახებისა, ბრწყინვალეთა, თუმც მდუმარეთა, გარდა ერთისა, სადაც ჩქეფდა⁸ მარმარილოს შადრევანი, რომლის ექოც გაისმის ღამის სიბნელეში, სამყოფელს რომ შემოჰხვევია, ან სადაც რომელიღაც ახირებულ ქალს სურს შეიჭყიტოს შავი თვალებით, კარიდან იქნება თუ იტხრიდან, რათა გაიგოს, თუ რა ჯანდაბა ხმაურობს.

აქა-იქ, მაღალი კედლებიდან ჩირაღდნები ბუჭტავდნენ და იმდენად უნათებდნენ, რომ გზა გაეკვლიათ, მაგრამ არც იმდენად, რომ გამოეჩინათ საიმპერიო დარბაზები მთელი სისავსითა და სიკაშკაშით; შეიძლება არც არაფერია, არც იმას ვამბობ, შიშისმომგვრელია-მეთქი, მაგრამ სევდისმომგვრელი კია, დღისით თუ ღამით, უზარმაზარი ოთახი, სადაც ადამიანის სული არა ტრიალებს ამ უსიცოცხლო ბრწყინვალეების დასარღვევად.

ორი თუ სამი ძალზე ცოტა ჩანს, ერთი სულ არ ჩანს: უდაბნოებში, ტყეში, ბრბოში თუ ზღვის ნაპირზე მარტოობა პატარა წერტილიდან იზრდება მეტისმეტად და მარადილობად გადაიქცევა; ხოლო დიდ დარბაზებსა და გალერეებში, თანამედროვე იქნება თუ გარდასული ჟამის, თითქოსდა სიკვდილივით მოგვეახლება სიმარტოვე, ოდეს ვხედავთ, რომ მარტო ვართ მრავალთა შორის.

კრიალა, მყუდრო კაბინეტი ზამთრის ღამეში, წიგნი, მეგობარი, ერთადერთი ქალი — ან კლარეტი, სენდვიჩი და მადა — ის საგნებია, ინგლისურ საღამოებს რომ გავატარებინებს; თუმც, ცხადია, ისეთ დიდებულ სანახაობას ვერ შეედრება, როგორც გაზით განათებული თეატრია. მე საღამოებს ვრცელ დარბაზებში ვატარებ, მარტოდმარტო, და ესაა მიზეზი ჩემი სევდისა.

ეჰ, კაცი იმხელა შენობებს აგებს, რომ თვითონ პატარავდება მათში: გეთანხმებით, ეკლესიაში ეს ყველაზე უკეთ ჩანს; ზეცის შესახებ მოკვდავი არსი ლაპარაკობს, მაგრამ ძლიერი და გამძლე, თუმც ვერა ენა იტყვის ამგებთა სახელებს; მაგრამ უზარმაზარი სახლები აავადებს კაცობრიობას — და უზარმაზარი აკლდამები ხომ უარესი — მას შემდეგ, რაც ადამი დაეცა; ვფიქრობ, ბაბილონის გოდოლის ამბავი უკეთ ასწავლის, ვინემ მე შემიძლია.

ბაბილონი ნებროთის სანადირო ადგილი იყო, მერე ბაღნართა ქალაქი, განსაცვიფრებლად მდიდარი, სადაც კაცთა მეფე ნაბუქოდონოსორი მბრძანებლობდა, ვიდრე ერთ დღესაც არ გაავდებოდა, და დანიელი ლომებს მოარჯულებდა ხაროში, ხალხს შეეშინებოდა და განცვიფრდებოდა; ცნობილია პირამოსის და თისბეს ამბავიც და ისიც, თუ როგორ დასწამეს ცილი სემირამიდას.⁹

მემატინენი გადმოგვცემენ, რომ შეურაცხყოფილი დედოფალი უხეშად დაადანაშაულეს (ვეჭვობ, შეთქმულნი არ ყოფილან) უზნეო კავშირში საკუთარ ცხენთან (სიყვარული, რელიგიისა არ იყოს, ერესისაკენ იხრება ხანდახან); ამ მახინჯ ამბავს ალბათ თავისი წყარო აქვს (აქა-იქ ვხვდები მსგავს გადაჭარბებებს), როგორც შეცდომით „მერანის“ ნაცვლად „ვერანის“ დაწერენ; ვისურვებდი მსაჯულთ განეხილათ ეს საქმე.

მაგრამ უკან დავბრუნდეთ, ნუთუ შეიძლება მოიძებნონ ურჯულონი (რას აღარ შეხვდებით ჩვენს დღეებში?), ვისაც ამისა არ სჯერათ, რადგან ვერანაირ კვალს ვერ ნახავ იმ ადგილას, სადაც ბაბილონი იყო, რადგან არა სწამთ (თუმც კლოდიუს რიჩს, ესკვიარს, რაღაც აგურები აქვს და ორიოდ მემუარეც დაგვიწერა ამის თაობაზე), არ სჯერათ ებრაელების იმ ურწმუნობებს, ვისაც უნდა დაუჯერო, თუმც მათ სჯერათ შენი.

და მაინც, დაე ფიქრობდნენ, რომ ჰორაციუსმა მოკლედ და ლაზათიანად გამოხატა მასონური ახირებულობა მათი, ვინც დაავიწყდა დიადი მნიშვნელობა განსვენებისა, ვინც თავფეხიანად ეძლევა არქიტექტურას; ვიცით, თუ სად დაასრულებენ არსებობას ყველაზე უკეთ საგნები თუ კაცები (ყველა ზნეობრიობასავით) — ზნეობრივ მელანქოლიაში; და „Et sepulchri immemor struis domos“ გვიჩვენებს, რომ ვაშენებთ მაშინ, როცა მარტოდენ უნდა დავიმარხოთ.

ბოლოს მიაღწიეს ყველაზე მოშორებულ სამყოფელს, სადაც ექო თითქოსდა ხანგრძლივი ძილის შემდეგ იღვიძებდა; თუმც სავსე იყო ყველაფრით, რაც კი სასურველია, კაცი იფიქრებდა, რაში მოვიხმარო ამდენი რამ, რაც არავის უთხოვიაო; აქ სიმდიდრეს ყველა საზღვრისათვის გადაეჭარბებინა და გადაეტვირთა მშვენიერი ოთახი ავეჯით, რითაც საგონებელში ჩაეგდო ბუნება, რომელმაც იცოდა, თუ რას ნიშნავს ხელოვნება.

ეტყობოდა, აქედან სხვა დარბაზების რიგი იწყებოდა, რაც, ღმერთმა უწყის, საით გაუძღვებოდათ; მაგრამ ამ ოთახში უაზროდ მდიდრული ავეჯი გამოეფინათ; ისეთი სავარძლები ეწყო, ისე ძვირფასი, ცოდვა იყო ზედ დაჯდომა, ხალიჩების თვითუფლი ხაზი ისეთი ხელოვნებით იყო ნაქსოვი, სურვილი გიჩნდებოდა ოქროს თევზით გეცურავა მათზე.

შავტუხას არც კი დაუხედავს ძირს გაფენილისათვის, რამაც მოწინა აღაფრთოვანა, გადათელა, რაზეც ბიჯსაც ვერ შედგამდნენ, არ დავალაქაოთო, თითქოს ღრუბლებზე დადიოდნენ და ვარსკვლავები შემოჯარვოდნენ; და დაძაბულებმა მიღწიეს რაღაც თაროებსა თუ კარადას იმ შორეულ კუნჭულში, რომელსაც ხედავთ... და თუ ვერ ხედავთ, ჩემი რა ბრალია...

მაგრამ მსურს გარკვევით გითხრათ, რომ შავტუხამ, ყური დამიგდეთ, გაალო კარადა და გამოიღო სამოსი, რომელსაც ვერცერთი მუსლიმანი ვერ დაინუნებდა; და თუმც მრავლად იყო ყველაფერი და, ვითარ გაუნყეთ, ვერაფერს მოისაკლიებდო, თვითონ აარჩია, რაც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ შეჭფროდათ ახალნაყიდ ქრისტაინებს.

სამოსი ორივესათვის შესაფერისად რომ ცნო, იყო — ჯერ უფროსისა და უფრო ზორბასათვის — გრძელი, მუხლამდე კრეტული მოსასხამი, შარვალი არცთუ შემოტკეცილი, რათა არ გარღვეულიყო, არამედ აზიურ ნესზე შეკერილი; ქაშმირში მოქსოვილი ბაღდადი, ზაფრანისფერი ფლოსტები, მდიდრულად მოოჭვილი და ლაზათიანი ხანჯალი, მოკლედ ყველაფერი, რაც თურქ დენდს სჭირდება.

და ვიდრე იცვამდა, ბაბამ, შავტუხა მეგობარმა, სიტყვა გადაუკრა იმ უპირატესობებზე, რისი მიღწევაც შეეძლო ორი-

ვეს, თუ რიგინად მოიქცეოდნენ და გაჰყვებოდნენ ბედ-ილბ-ლის მიერ ნაჩვენებ გზას, და დასძინა:

— საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, დიდად წაგადგებათ, თუ წინდაცვეთას დათანხმდებით. პირადად დიდად გავიხარებდი, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულთ რომ გიხილავდეთ, მაგრამ მაინც არჩევანი თქვენთვის მომინდვია.

ჟუანის ახალშეძენილმა მეგობარმა მაღლი უძღვნა ასეთი უზომო სიკეთისათვის, მათ რომ მიანდო ამ უმნიშვნელო საკითხის გადაწყვეტა, და რომ არ შეეძლო სრულყოფილად გამოხატვა საკუთარი აღფრთოვანებისა რჩეული ერის ამ ადათისადმი:

— ჩემი მხრივ, მცირე დაბრკოლებას ვხედავ უარი ვთქვა ამ უძველესი რიტუალის შესრულებაზე.

და მცირედი დანაყრების შემდეგ, რამაც კიდევ უფრო გაუღვივა მადა, დაუეჭვებლად განაცხადა:

— საათებიც არ დამჭირდება ამ საკითხის გადასაწყვეტად.

ჟუანმა კი ცხარედ წამოიძახა:

— მირჩევნია თავი დავკარგო და მოვკვდე, ვიდრე წინდაცვეთას დავთანხმდე! ათასი თავიც რომ დაგორდეს...

— თუ შეიძლება, — შეეპასუხა მეგობარი, — ნუ გამანყვეტინებთ, სათქმელი დამასრულებინეთ. სერ! როგორც მოგახსენეთ, ვივასშემებ თუ არა, დავფიქრებდი, თუ შევძლებ თქვენი წინადადების მიღებას, და, რასაკვირველია, თქვენს მიერ გამოჩენილი სიკეთე ზეგავლენას მოახდენს ჩვენს კეთილ ნებაზე.

ბაბამ კი ჟუანს შეხედა და უთხრა:

— კეთილი ინებეთ და ჩაიცვით, — და მიანიშნა სამოსზე, რაშიც პრინცესაც სიამოვნებით გაუყრიდა კიდურებს; მაგრამ ჟუანი სიტყვადაუძრებლად იდგა და მიანიშნებდა, სამასკარადო განწყობაზე არ გახლავართო, და ოდნავ გაჰკრა თავისი ქრისტიანული ფეხი, და როცა მოხუცმა ზანგმა უთხრა:

— გაემზადე.

მიუგო:

— ბერიკაცო, მე ქალი არ ვახლავარ.

— რაც უნდა იყოთ, არ მადარდებს, — უთხრა ბაბამ, — მაგრამ გახიზოვთ ისე მოიქცეთ, როგორც გეტყვიან, არც დრო მაქვს და არც სიტყვები დასახარჯავი.

— ის მაინც მითხარით, — თქვა ჟუანმა, — რაა მიზეზი ამ ახირებული გადაცმისა?

— ფრთხილად, — უპასუხა ბაბამ, — ცნობისწადილს ნუ გამოიჩენთ; თავის დროსა და ადგილას გამოჩნდება, მე კი უფლება არა მაქვს მიზეზი გითხრათ.

— და თუ დაგყვებით, — თქვა ჟუანმა, — მე ხომ...

— ჩიუ, — შეეპასუხა ზანგი, — ნუ გააგრძელებ, გთხოვ, კარგია გამბედაობა, მაგრამ ნუ გათავხედდები, თორემ ნახავ, რომ ხუმრობას არ ვაპირებ.

— რაო, ბატონო! — შესძახა ჟუანმა, — სად გაგონილა, სქესი გამოფუცვალო ჩემს სამოსს?

აქ კი ბაბამ ძირს დაყარა ნივთები და თქვა:

— გამაბრაზებ და დავუძახებ მათ, ვინც მთლად უსქესოდ დაგტოვეს. მშვენიერ სამოსს გთავაზობ, მართალია ქალისას, მაგრამ არსებობს მიზეზი, თუ რატომ უნდა ჩაიცვა და ატარო.

— რაო, მიუხედავად იმისა, რომ სულის სიღრმემდე მძაფს ეს ქალაჩუნური ტანსაცმელი?

...ამრიგად, მცირე დახანების შემდეგ, ჟუანმა ოხვრითა და მოკლე ლოცვების ბუტბუტით: რა ჯანდაბა მოვუხერხო ამ ბადეებსო? — ასე უფიცად მოიხსენია უმშვენიერესი მაქმანები, რასაც კი ოდესმე დაუმშვენებია საქორწინო სახე.

მერე ოხვრითა და გინებით ამოიკვა ხორცისფერი აბრეშუმის შარვალი, საქალწულო ქამარიც აქვე იყო, რაც რძესავით თეთრ პერანგს ერტყმოდა; აი ქვედაკაბის ჩაცმაზე კი განვალდა, მართლაც ახალი რამ იყო მისთვის;

ბოლოს, როგორც იქნა, მოირგო და მოიპირისფარეშა ყველაფერი, თუმც უეჭველად ცოტა წალმა-უკუღმა; ცოტას ზანგი ბაბაც ნახებარა, როცა რომელიღაც ნაჭერი გაჯიუტდებოდა და გაიჭედებოდა, და როცა მკლავებიც გაუყარა ბოლო სამოსში, შედგა და დაათვალიერა.

ერთი სიძნელე მაინც რჩებოდა, ჟუანის თმა საკმაოდ გრძელი არ იყო; მაგრამ ბაბამ მრავლად მოძებნა დამარაგებელი ხელოვნური კულულები, ასე რომ, მალე თავი სწორედ ისეთი თმით დაუფარა, როგორც მაშინ იყო მოდაში; და ძვირფასი თვლებიც დაემატა მორთულობის დასაგვირგვინებლად, მაშინ კი ბაბამ თმაც დავარცხნა და ზეთიც აჰკურა.

და ახლა მაკრატლის, ფერუმარილისა და პინცეტის მცირედი ჩარევით მთლიანად ქალურად მორთული ყველაფრით ქალწულსა ჰგავდა, და ბაბამ წამოიძახა:

— ხედავთ, ბატონებო, სრულყოფილი გარდაქმნა აშკარაა, და ახლა კი შეგიძლიათ გამომყვეთ, ბატონებო, ანუ ქალბატონო.

ტაში შემოჰკრა ორჯერ და ოთხი შავტუხა წამსვე მის წინ გაჩნდა.

— თქვენ, ბატონო, — მიმართა ზორბას ბაბამ, — ამ ჯენტლმენებს გაჰყვებით სავახშმოდ; ხოლო თქვენ, ღირსო ქრისტიანო მონაზონო, მე გამომყვებით; ნუ დანვრილმანდებით, სერ, რასაც ვიტყვი, მაშინვე უნდა აღსრულდეს. რისა გეშინიათ? ლომის ბუნაგში ხომ არა გგონიათ თავი? სასახლეში ხართ, სადაც ნამდვილად ბრძენი ხალხი წინასწარმეტყველთა სამოთხეს უნდა ელოდეს. სულელი! გეუბნები, არავინ აპირებს რამე დაგიშავოს.

— მათთვისვე ასე აჯობებს, — თქვა ჟუანმა, — თუ არადა ჩემი ხელის სიმძიმეს იგრძნობენ, რომელიც არც ისე მსუბუქია, როგორც შეიძლება გეგონოთ. გეუბნებით, ამ მომხიბვლელ გარეგნობას წამსვე დავამსხვრევ, თუ ვინმე შეეცდება სამოსის კვალობაზე მომექცეს; ასე რომ, ყველას ვარწმუნებ, ეს სახეცვალება არაფერს შემაშლევინებს.

— ბრიყვო, წამოდი და ნახავ, — უთხრა ბაბამ.

ამ დროს ჟუანი თავის მეგობარს მიუტრიალდა, ვინც თუმც უნდა, მაინც ძლივს შეიკავა ღიმილი ამ სახეცვალების შემხედვარემ.

— მშვიდობით! — ერთად ამოიძახეს, — ეს მინა ახალ, უცნაურ თავგადასავლებს გვთავაზობს: ერთი ნახევრად მუსლიმანად აქცია, მეორე — ქალწულად, ამ შავი ჯადოქრის თვითნებური ნაშეველებით.

— მშვიდობით! — თქვა ჟუანმა, — ერთმანეთს ალბათ ვეღარ შევხვდებით, კარგ მადას გისურვებ.

— მშვიდობით! — მიუგო მეორემ, — თუმც სევდა მერევა, მაგრამ როცა კვლავ შევხვდებით, საამბობი ბევრი გვექნება; ბედისწერას უნდა აყვეთ. სახელს გაუფრთხილდი, თუმც ერთხელ ევაც დაეცა.



ნახატები ნოდარ ბაღურაშვილისა

— ვერა, — უბასუხა ქალიშვილმა, — სულთანი ვერ დამი-
ყოლიებს, თუნდ დაქორწინებასაც დამპირდეს მისი უდიდეს-
ბუღესობა.

ასე დაცვილდნენ ერთმანეთს, და სხვადასხვა კარით გა-
ვიდნენ; ბაბა ჟუანს გაუძღვა, გაიარეს ოთახები, კაშკაშა დე-
რეფენები, გადაიარეს მარმარილოს იატაკები, ვიდრე გოლია-
თურ კარიბჭეს მიაღებოდნენ ბინდბუნდში, უზარმაზარი და
შემზარავი მოჩანდა შორით და შორიდანვე აფრქვევდა მდიდ-
რულ სურნელს: ისე ჩანდა, თითქოს ტაძარს მისდგომოდნენ,
რადგან ვრცელი იყო, კეთილსურნელოვანი და ზეციური.

გოლიათი კარიბჭე ფართო იყო, მაღალი და კაშკაშა, მო-
ოქროვილი ბრინჯაოსი, მოხარატებული უცნაური ჩუქურთ-
მებით; სასტიკად მებრძოლი მეომრები ამოეტივფრათ; აგერ
გამარჯვებული, იქით დამარცხებული წევს; იქით თავდახრი-
ლი ტყვეები მიჰყავთ ტრიუმფისათვის, შორს ფლოტი მოჩანს
და, გგონია, რომ — დროის თამაშით — აქ გადმონერგული
რომი დაცემულა კონსტანტინესთან ერთად.

ეს მასიური პორტალი უზარმაზარ დასკუბულიყვენ — მა-
ხინჯ ჭინკებივით, და თითქოს სასაცილოდ შერწყმოდნენ
უზარმაზარ კარს, თავს რომ წამოჰყუდებოდათ პირამიდული
სიამაყით; და ისე ბრწყინვალედ მოჩუქურთმებულიყო კარი¹⁰,
რომ ეს ციციქნა ქმნილებანი არც კი გაგახსენდებოდათ მანამ-
დე, სანამ ზედ არ წაადგებოდით და მსწრაფლ უკანვე არ დაი-
ხვედით ამ კაცუნათა განსაცვიფრებელი სიმახინჯის დასათ-
ვალიერებლად. არც შავები იყვნენ, არც თეთრები, არც რუხე-
ბი, რალაც უცხო ფერი დაჰქრავდათ, კალამი რომ ვერ აღ-
წერს, მახინჯი ჰიგმები იყვნენ, ყრუ-მუნჯები... ურჩხულები,
და ალბათ ასევე ჯოჯოხებულად ძვირად ფასობდნენ.

ევალებოდათ კარის გაღება, რასაც ყოჩაღად ასრულებდ-
ნენ, რადგან ტანდაბლობის მიუხედავად ჯან-ლონით იყვნენ
სავსენი და ისე ატრიალებდნენ კარს ანჯამებზე, თითქოს მხი-
არული როჯერის რიტმზე ცეკვავდნენ.

ხოლო ხანდახან, როგორც აღმოსავლური ტრადიცია მო-
ითხოვს, მშვილდის საბელს მოუჭერდნენ ყელსახვევად რომე-
ლიმე მუამბოხე ფაშას, რადგან მუნჯები საზოგადოდ ამისათ-
ვის სჭირდებოდათ.

ნიშნებით აგებინებდნენ ერთმანეთს, ანუ სულ არ ლაპარა-
კობდნენ; ორ ჭინკას ჰგავდნენ, თვალებს აბრიალებდნენ, რო-
ცა ბაბამ თითებით ანიშნათ, შეეხსნათ ბჭენი; ამან გადაარჩი-
ნა ჟუანი, რადგან ეს ციციქნა წყვილი ასპიტის თვალებით მის-
ჩერებოდა; და თითქოს შეეძლოთ მზერით მოენამლათ ან მო-
ეჯადოებინათ, ვისაც მიაშტერდებოდნენ.

შეგვლამდე ბაბამ ანიშნა და მსუბუქი გაკვეთილი ჩაუტა-
რა, როგორც მეგზურმა.

— თუ შეგძლია დაიშალო, — უთხრა მან, — ეგ მამაკაცუ-
რი გაჯგიმული სიარული, და უკეთესი იქნებოდა (თუმც სუ-
ლაც არ არის ძნელი) ნარნარად გაიარო, რწევა-რწევით, არა-
ბუნებრივად, და ცოტა მოკრძალებით დაიჭირო თავი, ასე
აჯობებს, რადგან ამ მუნჯებს ნემსებივით თვალები აქვთ,
რომელთაც შეუძლიათ თხელ სამოსში შეძვრნენ და, თუ გაი-
გეს, გადაცმული ყოფილაო, ხომ იცი, აქვე ახლოს ბოსფორის
ღრმა დინებებია, და საშუალება მოგვეცემა დილაადრიან
მარმარილოს ზღვაში მცვეურთ უნავებოდ, ტომრებს ჩაკე-
რილებმა — ამგვარ ზღვაოსნობას აქ ხშირად მიმართავენ,
როგორც კი შემთხვევა გაუჩნდებათ.¹¹

ასე გაუმაგრა გული და შეუძღვა უფრო მდიდრულად
მონყობილ ოთახში, სიმდიდრე ისე ჩახლართვოდა ყველა-
ფერს, თვალი ვერაფერს გამოარჩევდა; ძვირფასი საგანი სა-
განს ცვლიდა ისეთი ბრწყინვალეობითა და ისე სწრაფად, მზე-
რას ისე მოგჭრიდა ძვირფასი თვლების სიმრავლე, ოქრო და
ბზინვა, რომ იბნეოდი ამ მოკაშკაშე უნესრიგობაში.

სიმდიდრე გასაოცარი იყო, გემოვნება კი — ერთიბენო;
ასეთია აღმოსავლური სასახლეები და თუნდაც შედარებით

მოკრძალებული სასახლენი დასავლელ მეფეთა (ესენიც მინა-
ხავს ექვსი თუ შვიდი), სადაც ვერ ვიტყვი, რომ ოქრო ან ალმა-
სები ბზინავდეს მომეტებულად, მაგრამ აქაც ბევრი რამაა
ვერსაპატივებელი — უშნო ქანდაკებათა ჯგუფი, მაგიდები,
სკამები და სურათები, რომელთა კრიტიკისგანაც თავს ვერ
შევიკავებდი.

ამ სამეფო დარბაზში მოშორებით, გადახურულქვეშ, დე-
ლოფლურად წამონოლილიყო ქალბატონი; ბაბა შედგა, მუხლი
მოიყარა და ჟუანსაც ანიშნა მისთვის მიებაძა, ვინც, თუმც არ-
ცთუ მიჩვეული იყო ლოცვას, ინსტინქტურად დაიჩოქა, თან
ფიქრობდა, ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდესო, ბაბა კი თავდახ-
რილი იყო, ვიდრე ცერემონია დასრულდებოდა.

ქალი ისე წამოდგა ფეხზე, თითქოს ვენერა ამოსულიყოს
ზღვის ქაფიდან, და მათ თავზე დაიხარა და პაფიელი ქურცი-
კით შეანათა წყვილი თვალი, ძვირფას თვალთა ბუდეთაგან
მომზირალი; ასნია მთვარის შუქივით ლამაზი მკლავი და
ანიშნა ბაბას, ვინც ჯერ მისი მენამული მოსასხამის კალთას
ემთხვია, ხმადაბლა მიმართა და ჟუანზე მიუთითა, ვინც
კვლავ მუხლებზე იდგა.

მისი გარეგნობა მის ყოფას შეჰფეროდა; მისი სილამაზე
ყოვლისდამორგუნავი გახლდათ, და აღწერით მხოლოდ და-
ვანინებთ; უმჯობესია თქვენვე წარმოიდგინოთ, ვიდრე მე
მოგიხსროთ, დაგასწავლოთ აღნაგობა და ნაკვთები; სრუ-
ლად აღწერა რომ შემეძლოს, დაგაბრმავებდით; ასე რომ,
ორივე ჩვენგანის ილბლად, ჩემი სიტყვათწყობა უკან იხვეს.

თუმც უნდა აღვნიშნო, რომ სიმნიფის ასაკში შედიოდა,
ასე ოცდაექვსისა უნდა ყოფილიყო; მაგრამ არის ნაკვთები,
რასაც დრო ვერას აკლებს და თავის ცელს უფრო მადბიო საგ-
ნებისაკენ მიმართავს, ასე იყო სკოტების დედოფალ მერის-
თან; მართალია ცრემლები და სიყვარული ანგრევს და მწუხა-
რება დალად ედება მომხიბვლელ გარეგნობას, თუმც ვერასო-
დეს ამახინჯებს; მაგალითად, ნინონ დე ლ'ენკლო.

ქალბატონმა რამდენიმე სიტყვა უთხრა თანმხლებთ, გო-
გონების გუნდს, ათსა თუ თორმეტიოდეს, ყველა რომ ერთნა-
ირად გამოწყობილიყო ჟუანივით, ერთ ფორმაში, ბაბამ რომ
შეარჩია; ფერიებს ემსგავსებოდნენ, შესაძლოა დიანას ქოროს
ბიძაშვილები გენოდებინათ, გარეგნულად სწორედ ასე გამო-
იყურებოდნენ, სხვა ვერაფერზე თავს ვერ დავდებ.

მათ მორჩილად დახარეს თავი და გავიდნენ, მაგრამ არა იმ
კარში, საიდანაც ბაბა და ჟუანი შემოვიდნენ, ჟუანი, ვინც მო-
ხიბლული იდგა მოშორებით და უყურებდა, თუ რა ხდებოდა
ამ უცნაურ სალონში, ხან გრძნობდა ალტაცებას და ხანაც უკ-
ვირდა, და უნდა ვთქვა, რომ არასოდეს მიხილავს დიდი ბედ-
ნიერება მონოდებაში „Nil Admirari“ (არაფერი გაიკვიროს).

„არ გავიკვირო, მთელი ხელოვნებაა რაც შევივინეს (სი-
მართლე, ძვირფასო მერი, სიტყვაკაზმულობას არ საჭირო-
ებს) აღდამინათა გასაბედნიერებლად ან ბედნიერების შესა-
ნარჩუნებლად (თუნდაც არამკითხვობად ჩაითვალოს)“ — ასე
წერდა ჰორაციუსი, ყველას მოგვესენება, დიდი ხნის წინათ;
და ასე გვანჯდის პოუპი ხელახლა დასამოდღვრად თავისი
თარგმანით, მაგრამ... რომ არაფერს გაეკვირვებინათ და
აღფერთოვანებინათ, განა იმღერებდა პოუპი და შთაგონება
აღანთებდა ჰორაციუსს?

გოგონები გაიკვირნენ თუ არა, ბაბამ ჟუანს მოუხმო და
კვლავ უბრძანა, მუხლი მოეყარა და ქალბატონს ფეხზე
მთხვეოდა, და როცა გაუმეორა, ჟუანმა წარბი შეიკრა, მთელი
ტანით წამოიმართა და თქვა:

— ძალიან ვნუხვარ, მაგრამ ვერავის ვემთხვევი ფეხზე,
გარდა პაპისა.

ამ მოულოდნელი სიამაყის მნახველი ბაბა აღშფოთდა და
მკაცრად შეუტია, დაემუქრა (იმაზე მკაცრად, ვინემ გარეთ)
მშვილდის საბელით, მაგრამ ამაოდ, მაშინაც კი არ დაიჩოქებ-
და ჟუანი, მუჰამედის პატარძლის წინ რომ მდგარიყო; ასეთი
ეტიკეტი არსადაა მსოფლიოში, არც მეფეთა ოთახებში, არც

იმპერატორთა დარბაზებში, არც შეჯიბრებებსა თუ საგრაფო ზარზეიმებზე.

ატლასივით იდგა, ქვეყანა სიტყვებს ჩასძახოდნენ ყურში, მაგრამ არ იხრებოდა; კასტილიელ ნინაპართა სისხლი უდუღდა ძარღვებში, ათასობით ბრძოლაში გამონართობილი ჯიში, ათას უბედურებას გადარჩენილი და, რაკილა „ფეხზე“ არა თანხმდებოდა, ბაბამ შესთავაზა, ხელზე ეკოცნა.

ღირსეული უკუსვლა გახლდათ, დიპლომატიათვის საფერი, როცა შეუძლიათ მშვიდობიანად მორიგდნენ, და ახლა უკვე შუანი გამოხატავდა მზადყოფნას შესაბამისი ტაქტიკითა და თავაზიანობით, ამბობდა: ეს ხომ გავრცელებული და საუკეთესო ჩვეულებაა სამხრეთში, როცა ჯენტლმენი ლედის ხელზე კოცნისო.

და წინ წარდგა მოხდენილად.

და აროდეს არვის დაუტოვებია თავისი კოცნის კვალი ისე, როგორც მას, ამ ჯიშთან და მშვენიერ თითებზე.¹² თითქოს ერთი კოცნით კმაყოფილების ნიშანი აღბეჭდა და, იცით, როცა თქვენი სატროფიც იმავე ნიშანს გიბრუნებთ, ან ხანდახან თუნდ მშვენიერი უცნობიც, დიდი ხნის ერთგულებას ექმნება საფრთხე.

ქალბატონმა ერთხანს ათვალაფერა და ბაბას ანიშნა გასულიყო, ისიც ჩვეული წესითა და ლაზათით დაემორჩილა, როცა იცი, თუ რას განიშნებენ; ჟუანს ჩასჩურჩულა: არ შეგემინდესო, — ღიმილით შეჰხედა და გავიდა ისეთი კმაყოფილი სახით, კარგ კაცებს რომ აქვთ, ოდეს ღირსეულ საქმეს თავს დაადგამენ.

გავიდა თუ არა, მყის ყველაფერი შეიცვალა; აბა რა ვიცი, რას ფიქრობდა ის ქალბატონი, მაგრამ მშვენიერ წარბებს უცნაური მღელვარება დაეტყო და ღანებზეც სისხლი მოანვა და აუწითლდა ისე, ვითარცა ზაფხულში მზის ჩასვლისას ღრუბლები შეიფერება ცის კაბადონზე; დიდ თვალელებში რაც გრძნობის ნაზავი გამოკრთა, ნაწილობრივ მბრძანებლური და ნაწილობრივ — ვნებას დახარბებული.

მისი გარეგნობა აღვსილიყო მისივე სქესის სინაზით, ნაკვეთები კი — სიტკბოებით ეშმაკისა, ოდეს ანგელოზის სახე მიიღო და (ღმერთმა იცის, როგორ) გზა გაუკვალა ბოროტებას; მზესაც კი უფრო ნაკლები ხინჯი ექნებოდა, ვინემ მას, რაც უნდა ყურადღებით გაეცინჯა; და მაინც, სადღაც, როგორღაც, რაღაც აკლდა, თითქო ბრძანებდა უფრო, ვინემ მოწყალებას გასცემდა.

რაღაც იმპერიული თუ მბრძანებლური შემოსჯაჭვოდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა; თითქოსდა ყელზე მოგდებოდა ჯაჭვი და აღტაცება ტკივილს გაყენებდა, რაღაც, დესპოტიზმს რაც ნააგავს, თუკი გასინჯავ; სულელები მაინც ხომ შეგვრჩა თავისუფალი, თუმცა ამაოდ — რაკილა ხორციელ მათ ვემონებთ, სული ბოლოს ხომ მაინც დაიხსნის თავს.

ტკბილად იღიმოდა, მაგრამ მაინც ამპარტავნულად, თავს დაგიკრავდა და არ დახრიდა, პატარა ფეხებზეც კი თავნებობა ეტყობოდა, თითქოს იცოდნენ თავისი ადგილი, და ისე იძროდნენ, თითქოს კისერზე გაბიჯებენო; და ყველაფერს აგვირგვინებდა (მისი ერისათვის დამახასიათებელი) ქამარში გარჭობილი ხანჯალი, ნიშანი — სულთნის პატარძალი გახლავართო (მადლობა ღმერთს, რომ ჩემი არა).

„გაგონება და მორჩილება“ დაბადებითვე კანონი გახლდათ მის გარემომცოფთათვის; მისი ყველა ფანტაზიის აღსრულება, რაც მის კმაყოფილებასა და მხიარულებას გამოიწვევდა, მონებისათვის უმთავრესი სიხარული იყო; არისტოკრატიული სისხლისა გახლდათ, მშვენივით არამქვეყნიური და, აბა განსაჯეთ, წინ რა დაუდგებოდა მის ახირებებს; ქრისტიანი რომ ყოფილიყო, „მუდმივი ძრავის“ აღმოჩენას მოვესწრებოდით.

რასაც დაინახავდა და მოისურვებდა, მაშინვე მოურბენებდნენ; რაც არ ენახა, მაგრამ ვარაუდობდა, არსებობსო, ბეჯითად ეძებდნენ, და იპოვნიდნენ თუ არა, მაშინვე იძებნენ;

დასასრული არ უჩანდა მის მიერ შეძენილ ნივთებს და ჭირ-ვა-რამს მისი ახირებულობის გადამკიდეთა; და მაინც, მის ტირანის ისეთი მომხიბვლელობა ახლდა, ქალები ყველაფერს პატიობდნენ, გარდა სახისა.

ჟუანი ბოლო იყო მის ახირებათაგან.

გასაყიდად გაყვანილს მოჰკრა თვალი და სასწრაფოდ უბრძანა ბაბას მისი ყიდვა, ყოველთვის უზიფათოდ ვინც აგვარებდა ასეთ დავალებებს, იცოდა, როგორ გაემარჯვა აუქციონზე; ბაბა ფრთხილი იყო და წინდახედული, რაც ქალს არ გააჩნდა, და ამიტომაც ჩააცვა ჟუანს ის შეუფერებელი სამოსი.

სჯობდა დამალულიყო მისი სიტკბოე და გარეგნობა; და თუ იკითხავთ, როგორ უნდა მოსვლოდა თავში ასეთი ფანტაზია ან როგორ უნდა გაეებდა ასეთი რამ სულთნის მეუღლეს, ამას მასვე დავუტოვებ გადასანყვეტად; იმპერატორები მხოლოდ ქმრები არიან ცოლების თვალში, მეფე და ქმარი ხშირად ერთმანეთში ერევათ, ეს შეგვიძლია დავიბეჯითოთ გამოცდილებასა და ტრადიციაზე დაყრდნობით.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ მთავარს, საითაც მივდიოდით.

ქალმა იხილა, ყველა სიძნელე უკან დარჩაო, და ძალზე კეთილად განენყო თავისი საკუთრებისადმი, და შესავლის გარეშე, ცისფერ თვალელებში გამომჭვირვალე ვნებითა და ძალით, შეჰხედა და უბრალოდ ჰკითხა:

— ქრისტიანო, სიყვარული თუ ძალგის?

დარწმუნებულმა, ეს ფრაზა საკმარისია ასაგზნებადო.

და ასეც იქნებოდა შესაფერის დროსა და ადგილას, მაგრამ ჟუანმა, ფიქრებში ჯერაც ჰაიდეს კუნძულსა და ნაზ იონიურ სახეს რომ დასტრიალებდა, იგრძნო, სახეზე მოწოლილი სისხლი თუ როგორ ჩაუბრუნდა გულშივე, სწრაფად ალაგსო და ლოყები კი თოვლივით გაუფთოდა; ეს სიტყვები სულში ჩაერქო არაბული შუბივით და ვერაფერი თქვა, ცრემლებად დაიღვარა.

ქალი დაიბნა. ცრემლებმა კი არ დააბნია — ქალები ხომ ისე ღვრიან ცრემლებს და ისე იყენებენ, როგორც მოეგუნებებათ... მაგრამ როცა კაცს უსველდება თვალები, რაღაც უამაური და თავზარდამცემია; ქალის დაღვრილი ცრემლი დნება, კაცისა — ნვავს, როგორც გამდარი რკინა; ისე გრძნობენ, თითქოს გული ამოგლეჯოვდეთ მარწხით; მოკლემ, მათთვის ცრემლი შევბაა, ჩვენითვის — ტანჯვა.

ქალი უთოოდ თანაუგრძნობდა, მაგრამ არ იცოდა თუ როგორ; არასოდეს ჰყოლია ტოლი, ვინც მასში თანაგრძნობას აღძრავდა, და ვერასოდეს წარმოიდგენდა რამენაირ ნამდვილ წუხილს, თუმც ტყუილად გაბუსხული ტურჩებიც უნახავს, რაზეც წარბს შეკრავდა, მაგრამ ახლა უეკირდა თუ როგორ შეიძლებოდა მის თვალწინ სხვა თვალებს ცრემლი დაეღვარათ.

მაგრამ ბუნება მეტს გვასწავლის, ვინემ ძალაუფლებას შეუძლია ნახადინოს, და როცა ძლიერი — თუნდ უცხო — გრძნობს შეძრავს, ქალის გული, რა ეროვნებისააც გინდ იყოს, კეთილგანწყობილი ხდება თბილ განცდათათვის; და ბუნებრივად ამოაფრქვევს „ღვინოსა და ზეთს“, და სამართელთ ემსგავსება.

და გულბეიანმა რაღაც მბრწყინავი სისველე იგრძნო თვალებში, თუმც არ იცოდა, რატომ.

მაგრამ ცრემლები ისევე თავდება, როგორც სხვა ყოველივე, და მალე ჟუანმა, ვინც წუთიერად შეძრა და სევდა მოჰგვარა შემამფოთებელმა სიტყვებმა „სიყვარული თუ შეგიძლიათ“, გამძლეობა მოიკრიფა და თვალნი გაიმამაცურა, სისუსტე დაძლია, და თუმცა მგრძნობიარე იყო სილამაზის მიმართ, აღმფოთებულიც გახლდათ ტყვეობისა გამო.

პირველად სიცოცხლეში გულბეიანში ძალზე დაიბნა, რადგან ჯერ აროდეს შეხვედროდა არაფერს, გარდა ხვეწნა-ვედრებისა, და რაკი მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ეს კაცი რომ ეპოვათ, ვისაც სიყვარული უნდა ესწავლებინა მისთვის პირისპირ მოხერხებულად დარჩენილს, თუკი გავიდოდა ერთი საათი, ეგებ წამებაშიც აღსრულებულიყო, არადა თითქმის საათის მეოთხედი უკვე შემოეხარჯათ.

ჯენტლმენებს შევთავაზებდი დროისა და განწყობილების შერჩევას ამგვარ შემთხვევათათვის, ჰო, ჩვენ მეტი უფლება გვაქვს ნადირობისას, მაგრამ ასეთ დროს მცირე დაგვიანებამ დიდი ზიანი შეიძლება მოიტანოს; გახსოვდეთ, უსაზღვრო თავაზიანობის გამოსახატად ორიოდე წუთი გაქვთ, და ერთ ნაშეშე შეიძლება ეგნოს თქვენს რეპუტაციას.

ჟუანმა ეს კარგად იცოდა და უკეთაც შეეძლო მოქცევა, მაგრამ ჰაიდე არ სცილდებოდა გონებიდან; რა უცნაურიც უნდა იყოს, ჯერაც ვერ დავეინყებინა, ვის გამოც ასეთ დღეში ჩავარდნილიყო და ასე ტლანქად იქცეოდა.

გულბეიაზი, ვინც მას მოვალის თვალთ უყურებდა სასახლეში ასე მოყვანის გამო, ჯერ განითლდა ყურებამდე, და მერე გაფითრდა მიცვალებულივით და მერე კვლავ განითლდა.

ბოლოს მეფურად დაადო ხელი ჟუანის ხელს და მისკენ დახარა მზერა, რასაც იმპერია არ სჭირდებოდა დასარწმუნებლად, და თვალბეიაზი ჩაჰხედა სიყვარულისთვის, საიდანაც პასუხი არ მიუღია; ნარბები შეჰკრა, მაგრამ არ შეურისხავს, და უკანასკნელ ხერხს მიმართა, რასაც ამაყი ქალი ჩაიდენდა. ადგა, ერთ ნაშეშე უმანკოდ იდგა, მერე კი მკერდზე მიეყრდნო.

ჟუანი მიხვდა, ძნელი გამოცდის წინაშე ვდგავარო, მაგრამ ჯერაც აღვსილიყო მწუხარებით, ბრაზითა და სიამაყით: ნაზად მოიშორა გულბეიაზის თეთრი მკლავები და გვერდით მოისვა მისუსტებული, ფეხზე წამოდგა, ამაყად მიმოიხედა ირგვლივ, ცივად ჩაჰხედა თვალბეიაზს და ჩასძახა:

— დატყვევებული არწივი არ დანყვილდება, ვერც მე მოვემსახურები სულთნის მეუღლის სქესობრივ ფანტაზიას. მეკითხები, შემიძლია თუ არა სიყვარული? დაე ეს იყოს დასტურით, თუ როგორ მიყვარდა, რომ შენ ვერ შეგიყვარებ! ამ სამარცხვინო სამოსში ქსლის ბეჭვა და ნკმუტუნი უფრო შემეფერის; სიყვარული თავისუფალთათვისაა! მე არ მაოცებს ეს ბრწყინვალე ჭერი, თქვენი ძალაუფლება, რაოდენ დიდიც უნდა იყოს; თავს დაეხრით, მუხლს მოვიყრით, თვალს მივაპყრობთ ტახტს და ხელებს დაეუმორჩილებთ, მაგრამ გული ჩვენვე დაგვრჩება.

ეს იყო ჩვეული სიმართლე ჩვენთვის, მაგრამ ქალისთვის — არა, მას აროდეს სმენოდა მსგავსი რამ; მიაჩნდა, რომ მის წერილმან ბრძანებასაც კი ნეტარება უნდა გამოეწვია, რომ სამყარო მხოლოდ მეფეთა და დედოფალთათვის გაჩენილიყო. გული მარჯვნივ მხარეს იყო თუ მარცხენა, არც კი იცოდა, არც ის უწყობდა თუ რა სრულყოფილებას ანიჭებს კანონი მის მიმდევართ, როცა შეგნებული გაქვს შესაფერისი სამეფო უფლებანი ადამიანებზე.

ამასთან, როგორც ითქვა, ისეთი მშვენიერი გახლდათ, უფრო დაბალ საფეხურზე რომ მდგარიყო, მაშინაც კი შეეძლო, სადაც გნებავთ, თუნდ სამეფოში, არეულობა გამოეწვია; ისიც უნდა ითქვას დაბეჯითებით, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მომხიბვლელობას, რასაც ხიზლის მქონენი ვერავის დააჩრდილინებენ; ფიქრობდა, რომ ორმაგად ჰქონდა მინიჭებული ღვთაებრივი უფლება, თუმც ეს ნაწილობრივ ჩემი ვარაუდებია.

გახსოვდეთ ან (თუ არ შეგიძლიათ) წარმოიდგინეთ საკუთარი თავი, ოდეს უმანკოებას უფრთხილდებოდით სიყმანვილეში, როცა ვილაც თავზეხელაღებული მდიდარი ქვრივი სიყვარულის ყიდვას ცდილობდა თქვენგან და ძალის ნაკლებივით სტიკოდა თქვენი უარი, გაიხსენეთ ამგვარ ქალთა განრისხება! ან ის მაინც გაიხსენეთ თუ რამდენი უთქვამთ ან უმღერიათ ამგვარ საგნებზე; და მერე წარმოიდგინეთ სახე ახალგაზრდა უარყოფილი მშვენიერებისა — ამ შემთხვევაში.

წარმოიდგინეთ, მაგრამ ალბათ თქვენითაც წარმოიდგინეთ, ფოტიფარის ცოლი, ლედი ბუბი, ფედრა და ყველა ის ამბავი, რაც კარგ მაგალითად გამოდგებოდა; სამწუხაროა, რომ ასე ცოტა აღწერეს პოეტებმა და კერძო აღმზრდელებმა, რათა ამით გაენათლებინეთ — შენ, ახალგაზრდა ევროპავ! მაგრამ თუნდ წარმოიდგინო ჩვენთვის ნაცნობი ეს რამდენიმე ამბავი, ვერ წარმოიდგენ გულბეიაზის მრისხანე წარბშეყრას.

ვეფხვი, ბოკვერი რომ წაართვეს, ან ლომი ან რომელიმე მტაცებელი მხეცი გამოდგება შედარებისათვის იმ ქალთა განწყობილებისა, რომელთაც სურვილი ვერ შეისრულეს; და თუმც ყოველწინად ვცდილობ აღვწერო, ნახევრადაც ვერ გამოვხატავ, რისი თქმაც მსურდა; ნაშეირის წართმევა, ცოტა იქნება თუ ბევრი, ხომ ამცირებს იმედს ბავშვის ყოლისა?

ნაშეირის სიყვარული ბუნების კანონია, ვეფხვი იქნება და ბოკვერი თუ იხვი და იხვის ჭუჭყული; ისე არაფერი აფხავებს ნისკარტსა და ბრჭყალს, როგორც ძუძუდან მოგლეჯა შვილისა; და ვისაც უნახავს ბავშვის მოვლა, ეცოდინება, თუ რარიგ ახალისებთ დედებს ბავშვების ტიტინ-ჭიჭყინი; და ეს ძლიერი გრძნობა (რომ აღარ გადავალო თქვენი ყურადღება) გვიჩვენებს, რომ შედეგები უფრო ძლიერიც უნდა იყოს.

თუ ვიტყვი, გულბეიაზის თვალბეიაზი დაკვესა-მეთქი, დიდი ვერაფერი იქნება, გულბეიაზის თვალბეიაზი მუდამ კვესავდნენ; ან თუ მის ლოყების განითლებაზე ვიტყვი რამეს, ფერის მიმნიჭებელს შევარცხვენ; ისეთი ზებუნებრივი იყო მისი მრისხანება, რადგანაც პირველად მოხდა, რომ სურვილი დაუმუხრუჭეს, და ვისაც გამოუცდია, რას ნიშნავს შეჩერებული ქალი (კმარა, ღმერთმა უწყის), დიდ მარცხს იწვევდა ამ საქმეში.

გულბეიაზის მრისხანება ერთ წუთს გაგრძელდა, და კიდევ კარგი, ასე მოხდა, თორემ უფრო მეტი მოკლავდა, მაგრამ ვიდრე გაგრძელდებოდა, ჯოჯოხეთის გამონაშუქს ჰგავდა; არაფერია უფრო გრანდიოზული, ვინემ ენერგიული ნალველი, რამდენადაც შემზარავია საცქერლად, იმდენად ძნელია გამოსათქმელად, ოკეანესა ჰგავს, კლდოვან კუნძულზე თავდამტყდარს, და ღრმა ვნებებმა, გამომკრთალმა მის ნაკვთავან, მშვენიერ, ხორცშესხმულ გრიგალად აქცია.

უბრალო ბრაზი მის მრისხანებას რომ შევადაროთ, ისე გამოვა, ყოველდღიური ქარაშოტი ტაიფუნს დავატოლოთ, და მანინც მთვარეს არ დაუპირა შენვდომა, როგორც ზომიერმა ჰოტსპურმა იმ უკვდავ ფურცელთაგან; მისი ბრაზი უფრო დაბალ ხმაზე გადმოიღვარა, ალბათ მისი სქესისა და ასაკისა გამო...

ერთი რამ სურდა მხოლოდ ღირსით — „მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალ“. და შემდეგ სისხლის წყურვილი ცრემლებად გადმოედინა.

ქარიშხალს ჰგავდა და ქარიშხალივით ჩაიარა, უსიტყვოდ, ან სად შეეძლო ლაპარაკი, და მერე ქალურმა სირცხვილმა ამოხეთქა ბოლოსდაბოლოს, გრძნობა, რომელიც ადრეც ჰქონია მცირეოდენი, ახლა ბუნებრივად და სწრაფად გადმოიღვარა, როგორც წყალი, უეცრად რომ მოძებნის ნაპრალს.

დათრგუნულად გრძნობდა თავს და დათრგუნვა ხანდახან კეთილად მოქმედებს მისი მდგომარეობის ადამიანებზე.

ასწავლის, რომ სისხლისა და ხორცისაგან შედგებიან, და თავაზიანად მიანიშნებს, რომ სხეებიც თიხისაგან არიან შექმნილი და არა ტალახისაგან, რომ ღარნაკები და ქოთნები ჩვენივე მყიფე ძმები არიან და, ცუდად თუ კარგად, ერთსა და იმავე მეთუნესთან დაუმზადებიათ, თუმც ყველანი ერთი და იმავე შემქმნელ-მშობელის მიერ არ არიან გაჩენილნი, გვასწავლის... ღმერთმა უწყის, რას გვასწავლის, მაგრამ ზოგჯერ გამოსწორებას შეეცდება და მიზანსაც აღწევს.

პირველი, რაც გულბეიაზმა გაიფიქრა, ჟუანის თავის მოკვეთა იყო, მეორეც — მოკვეთა, ოღონდ... ნაწილის; მესამე — ეკითხა, სად გაიზარდო; მეოთხე — ენანებინა საქციელი; მეხუთე — გოგონებისათვის დაეძახა და დასაძინებლად წასულიყო; მეექვსე — დანაზე დაგებულიყო; მეშვიდე — ებრძანებინა ბაბას გაროზგვა, მაგრამ ყველაზე მეტი რაც შეძლო, კვლავ დაჯდომა და ტირილი იყო.

დანას დავიცემო, ფიქრობდა, და ხანჯალიც ხელთ ეპყრა, რადგან აღმოსავლურ ქაშაშაში ძნელად რომ რამე არ იყოს გაყრილი, და მცირე ხანჯალს თუ კარგად დაკრავდი, გაჭრაც შეეძლო; იფიქრა, ჟუანს მოგვკლავო. საბრალო ბიჭი თუმც სიკვდილს იმსახურებდა უგუნურებისა გამო, თავის მოკვეთა არაფერი იქნებოდა, ქალის მიზანი იყო — გულში ჩაეცა.

ჟუანი შეიძრა; იცოდა, გამოფაშვავენ, ან ოთხად გამოკვეთენ ძაღლების საჭმელი ხორცივით, ან წამებით ამომხდინა სულს, ან ლომებს მიუგდებენ ჩემს თავს, ან თევზის სატყუარად მაქცევნო, და იდგა ამაყად განწირული და არა ცოდვილი, თავისივე სურვილით; მაგრამ მთელი ეს დიადი სასიკვდილო სამზადისი თოვლივით დადნა მტირალი ქალის დანახვავზე.

როგორც ბობ აკრს ეპარებოდა ფრჩხილებში სიმამაცე, არ ვიცოცხლე — როგორ, მაგრამ ისე დაემართა ჟუანსაც; ჯერ ინანა, რატომ უარყავა, მერე იფიქრა, რა ვუშველოო; მერე თავისი სიფიცხე დაგმო, როგორც ბერი გმობს მიცემულ ალთქმას, როგორც ქალბატონი გმობს დადებულ ფიცს, რასაც მცირე დარღვევა მოსდევს ორივე შემთხვევაში.

და ჟუანი მოსაბოდიშებლად ალულულდა; მაგრამ ასეთ დროს სიტყვები არა კმარა, თუნდ მუზათა სიმღერებიდან გქონდეს ნასესხები ან თუნდ დენდის დენდური ლაყბობიდან, ან თუნდ კასლრის ნაბოდვარიდან; და როგორც კი მსუბუქი ღიმილი აკაიფდა, მისმა დამშვიდებამ გაჭრა და, ვიდრე მეტს გაბედავდა, მოხუცი ბაბა შემოვარდა.

— მზის მელღვე! და დაო მთვარისა! — ასე იცოდა ლაბარაკი, — და დედოფალი დედამინისა! ვისი წარბის შეკვრაც ცთომილთ გადაცდენს ორბიტიდან, ვისი ღიმილიც პლანეტებს აცეკვებს სიხარულით, შენმა მონამ ამბავი მოგიტანა — იმედი აქვს, არა უდროო დროს — რაც შენი ამალღებული ყურადღების ღირსი იქნება: თვით მზემ გამოგზავნა როგორც სხივი, რათა მეცნობებინა, რომ აქეთ მოდის.

— მართლა? — ნამოიძახა გულბეიაზმა, — როგორც შენ ამბობ? ღმერთს ვთხოვდი, მზეს დღამდე არ ამოენათებინა! მაგრამ უბრძანე ჩემს სეფექტებს, მოუშადონ ირმის ნახტომი. ამიტომ, ჩემო ბებერო კომეტავ! შესაბამისად დაარიგე ვარსკვლავები, და ქრისტიანიც! მათ შორის შენებურად შეურიე, და რაკი მთხოვე მეპატიებინა წარსულის...

აქ კი სიტყვა შეანყვებინა გუგუნმა და მერე ძახილმა:

— სულთანის მობრძანება!

ჯერ მისი სეფექტები შემოვიდნენ, ლაზათიანი კრებული, შემდეგ მისი უდიდებულესობის საჭურისნი, შავი და თეთრი; მთელი ამაღა მეოთხე მიღს უნედა: მისი უდიდებულესობა ყოველთვის ისეთი თავაზიანი გახლდათ, რომ წინასწარ აცხადებდნენ მის ვიზიტებს, განსაკუთრებით ღამით; რადგანაც თუმც ბოლო ცოლი იყო იმპერატორისა, გულბეიაზი ყველაზე საყვარელი გახლდათ ოთხთავან.

მისი უდიდებულესობა კუშტი გარეგნობისა იყო. ცხვირამდე შებურვილი და თვალებამდე წვეროსანი, ციხეს დააღწია თავი და ტახტზე დაჯდა, მისი აღმასვლა ძმის საბელით მოშობას მოჰყვავ; კარგი მმართველი იყო, მათი მსგავსი, კანტემირი და კნოლსი რომ აღწერენ; მათ შორის მცირედნი თუ კამკაშებენ, გარდა სულეიმანისა, შტოს მანათობლის.¹³

მეჩეთში დადიოდა და ღოცვებს ამბობდა, „აღმოსავლურად კეთილგონივრულზე“ უფრო მეტად; ვეზირს მიანდო სახელმწიფო საქმენი, და მხოლოდ მცირედენ მეფურ ინტერესს ამჟღავნებდა: არ ვიცოცხლე, შინაურულ საქმეებზე თუ ზრუნავდა, არაფერი ადასტურებს, რომ ოჯახი არ უყვარდა; ოთხი ცოლი ჰყავდა და ორგზის ხუთასი ხარჭა, თვალთუნახავნი, იმწყემსებოდნენ ისევე მშვიდად, როგორც ქრისტიანი დედოფალი.

აქა-იქ, ხანდახან მცირედი დარღვევა ხდებოდა, დანაშაულსა და დამნაშავეებზე იშვიათად თუ გაიგონებდი; კბილი კბილზე ეჭირათ, ყველა შეთანხმებულიყო და საიდუმლო არ გაიცემოდა: საზოგადოებამ იმდენივე იცოდა, რამდენიც ამ ლექსმა უწყის; არავითარი სკანდალი, არავითარი პრესის აურზაური, ზნეობა უკეთესი გახლდათ და თევზი არცთუ უარესი.

საკუთარი თვალთ ხედავდა, რომ მთვარე მრგვალია, და დარწმუნებული იყო, დედამინა ოთხკუთხედიანო, რადგანაც ორმოცდაათი მილი ჰქონდა გავლილი და მომრგვალება არსად უნახავს; მის იმპერიას საზღვარი არ უჩანდა; მართალია აქა-იქ აურზაური ხდებოდა, აჯანყებული ფაშებისა და დაპყრობილი

გაიურთავან, მაგრამ ვერასოდეს აღწევდნენ „შვიდ კომკამდე“, გარდა ელჩებისა, ვინც იგზავნებოდნენ იქ, სადაც ომი ატყვებოდა ერების ჭეშმარიტი კანონის მიხედვით; „ჭეშმარიტ კანონში“ ეს არამზადები არასოდეს იგულისხმებოდა, ვისაც არასოდეს სჭერია მახვილი თავის ბინძურ დიპლომატიურ ხელებში, ნალველს შუღლის დათესვით იქარგებენ და ფრთხილად გამოთქვამენ ხოლმე ტყუილებს, ფირმანად სახელდება, ყოველგვარი რისკის გარეშე; ჰა და ჰა, ბალანი შეეტრუსოთ.

ორმოცდაათი ქალიშვილი და ოთხი დეუჟინი ვაჟი ჰყავდა, რომელთაც ასაკის მიღწევამდე სასახლეში ინახავდნენ მონაზვნებით, მანამდე, სანამ რომელიმე ფაშა საზღვარგარეთ გაიგზავნებოდა; მაშინ მას, ვისი ჯერიც იყო, სასწრაფოდ დააკორნინებდნენ, ხან სულ ექვსი წლისას, და თუმც უცნაური ჩანს, სიმართლე გახლავთ, რადგან ფაშას საჩუქარი უნდა მიერთმია კანონიერი მბრძანებლისათვის.

ვაჟები ციხეში იხსდნენ, ვიდრე ისე მოიზრდებოდნენ, საბელი ან ტახტი რგებოდათ წილად, რაც მხოლოდ ბედისწერაზე ეკად; ამასთან, საუფლისწულო განათლებას იღებდნენ, რაც არაერთხელ დადასტურებულა: ასე რომ, მემკვიდრე ორივეს იმსახურებდა — საბელსაც და ტახტსაც.

მისი უდიდებულესობა მიესალმა მეოთხე ცოლს, მისი რანგისათვის შესაფერი ცერემონიულობით, მას უკვე მოენმინდა თვალები და გადაეკალმა წარბები, როგორც ნაცელქებულ დიაცს შეჰყვრის; მათ ორჯერ მეტად მართებთ ზრუნვა მიცემულ ფიცზე, რათა გაძარცული ბანკის კრედიტი გადაარჩინონ; არცერთ კაცს არ ხვდება ისეთი გულთიადი სალამი, როგორც მათ, ვისაც ცოლები ზეცას გამგზავრებებს უსურვებენ.

მისმა უდიდებულესობამ შემოატარა დიდი შავი თვალეხი, და მზერით, როგორც სჩვეოდა, სეფექტებში ჩამალული ჟუანი გამოარჩია, არც გაკვირვებია და არც გაბრაზებულა, მხოლოდ შენიშნა მშვიდად და ბრძნულად მანამდე, სანამ მოცახცახე ოხვრა აღმოხდებოდა გულბეიაზს:

— ხედავ ახალი გოგო გიყიდა; სამწუხაროა, რომ ქრისტიანი ნახევრადაც კი ასეთი კოხტა იყო.

ამ ქათინაურმა, რომელმაც ყველას მზერა ახალნაყიდი ქალწულისაკენ მიაპყრო, იგი განითლას და ააცახცახა, მისი ამხანაგები კი შეაცხებუნა: ჰოი! მუჰამედ! მისმა უდიდებულესობამ ასეთი სიტყვა გაიმეტა გაიურისთვის, როცა არცერთი მათგანის საქებრად მისი უდიდებულესობის პირი არ შერხეულა! ატყდა საერთო ჩურჩული, ლეღვა, ტორტმანი, მაგრამ ეტიკეტი უკრძალავდათ ჩაქირქილებას.

თურქები კარგს სჩადიან, ზოგჯერ მაინც, ქალებს რომ გამოკეტავენ ხოლმე; სამწუხარო რეალობაა, რომ მათი სათნოება, იმ უსიხარულო მხარეში, არ პასუხობს ქსელის მბეჭველის თვისებებს, რაც ჩრდილოეთში თავიდან გვარიდებს ნაადრევ დანაშაულებს, და ჩვენს თოვლს ჩვენს ზნეობაზე უფრო ნაკლებ ქათათასა ხდის; მზე, ყოველწლიურად რომ ადნობს პოლარულ ყინულს, სულ სხვაგვარად მოქმედებს ცოდვავზე.

ამიტომ აღმოსავლეთში ძალზე მკაცრნი არიან — შეუღლება და უღელში შებმა ერთსა და იმავეს ნიშნავს; ოღონდ როცა ყალიბი შეირჩევა, მერე ვეღარასოდეს გადაინაცვლებს უფრო შესაფერ ჩარჩოში, ისე, ნაკბენ კლარეტს შეუცვლიან ხოლმე კასრს; მაგრამ მაშინ მათი პოლიგამურობა უნდა დავგმოთ; რატომ არ შეაკავშირებენ ორ ღირსეულ სულს სამუდამოდ, როგორც ზნეობრივ კენტავრს, ქმარსა და ცოლს.

აქ შეგაჩეროთ თხრობა და შევიხვეწოთ, განა იმიტომ, სათქმელი ამოგვეწურა; არამედ — ანტიკური ეპოსის კანონთა კვალობაზე აფრები უნდა დავკეცოთ და რითმების ლუზა ჩავუშვათ. დაე ამ მესუთე ქებას შესაფერისად შეეგებონ, შეექვსეს ამალღებულობის ნიშნები ეახლებს; რადგან, რაკილა ჰომეროსიც კი ზოგჯერ ჩაიძინებს, ალბათ ჩემს მუზასაც აპატიებთ ხანმოკლე ჩათვლემას.

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძე

ბაირონის
კომენტარები

1. ჰომეროსის ეს ფრაზა უამრავჯერ გააკრიტიკეს: არ შეესაბამება ჩვენს შეხედულებას ოკეანეზე, — მაგრამ საკვებით შესაფერისია ჰელესპონტის, ბოსფორისა და კუნძულებით დასერილი ეგეოსის ზღვისათვის.

2. „გოლიათის საფლავი“ მაღლობია ბოსფორის აზიის სანაპიროზე, აქაურობას ხშირად სტუმრობენ დღესასწაულობის დროს, ისე როგორც ჰაროუსა და ჰაიგეიტს.

3. იხ. პლუტარქეს „ალექსანდრე მაკედონელი“ და სერ რიჩარდ კლემენტის „ალექსანდრე დიდის ცხოვრების კრიტიკული გამოკვლევა“.

4. ეს მკვლევლობა მოხდა 1820 წლის 8 დეკემბერს, რავენას ქუჩებში, პოეტის სახლიდან ხუთასიოდე ნაბიჯზე.

5. ასე ეწოდება მსუბუქ და მოხდენილ ნავეებს, კონსტანტინოპოლის ნავმისადგომებს შორის რომ მოძრაობს.

6. ცნობილია რომ ნმ. ბართლომეს ტყავი ცოცხლად გააძრეს.

7. თურქ მუსულმანებს შორის გავრცელებული ჩვეულებაა რამდენიმე ჭიქა ძლიერი სპირტიანი სასმელის დაღვევა სადილობამდე იფიცებინან, სადილს უკეთ შეგვარებინებსო. მე ჩავატარე ექსპერიმენტი და იმ სკოტლენდელივით დამემართა, ვისაც ურჩიეს, თოლია ჩიტის ჭამას მდაბე მოჰყავს კაციო. იმანაც ექვსიოდე გადაყლაპა და დაიჩივლა: „ასე მშვიერი ხომ, ვიდრე შევჭამდი, მაშინაც ვიყავიო“.

8. ჩვეული მორთულობაა. მაგონდება მირება ალი ფაშასთან, დიდ, მარმარილოთი მოფენილ დარბაზში იდგა მარმარილოთი აუზები და შუაში შადრევანი ჩქეფდა, და ა.შ.

9. ბაბილონი გააფართოვა ნიმრუდმა, გააძლიერა და გაამშვენიერა ნაბუქოდონოსორმა და გადააკეთა სემირამისმა.

10. მინისტრული მეტაფორაა, „ჩუქურთმა რაზეც ეს საკითხი ჰკიდია“, იხილე „ფუჯების ოჯახი“, ან უსმინე კასლრის.

11. რამდენიმე წლის წინათ მუსტარ ფაშას ცოლმა მამას შესჩივლა: შენი ვაჟი მღალატობსო; კითხვაზე, თუ ვისთან, ქალს ეყო სისასტიკე და დასახელა თორმეტი უღამაზესი ქალი იანინაში. ისინი იმავე რამეს შეიპყრეს, ტომრებში ჩასვეს და ტბაში დაახრჩვეს. ერთ-ერთმა მცველმა, ვინც დასჯას ესწრებოდა, მაცნობა, რომ არც მსხვერპლთაგანს არ დაუძრავს კრინტი და არც შიში გამოუშფავენებია „მის მიმართ ვისაც ყველა ვიცნობთ და ყველას გვიყვარს“.

12. ალბათ არაფერია უფრო მეტად მიმანიშნებელი ნარმოშობაზე, ვიდრე ხელი. ეს თითქმის ერთადერთი ნიშანია ჯიშისა, რისი გადაცემაც არისტოკრატისაა შეუძლია.

13. ეგებ არც ლირდეს შენიშვნად, რომ ბეკონი თავის ესეიში „იმპერიისათვის“, მიგვანიშნებს, სულეიმანი უკანასკნელი იყო თავის შტოში; რის საფუძველზე ასკვნის, არ ვიცი. აი, რას ამბობს: „მუსტაფას განადგურება საბედისწერო გამოდგა სულეიმანის შტოსათვის, რადგან მას შემდეგ ხაზი აღარ იყო წმინდა და შერეული გახდა; სელიმ მეორე, ფიქრობენ, თვითმარქვია იყო“. მაგრამ ბეკონი ისტორიაში ხშირად იჩენს უზუსტობებს. შემოძლია ნახევარი დუჟინი მაგალითი მოვიყვანო მარტო მისი „აპოპთეგემებიდან“.

გივი გამრეკელი

ამდენს ველოდით, სულ მალე კი დამთავრდა!

(მაგნუს კარლსენი —
მსოფლიოს მეთექვსმეტი ჩამაპონი!)

ხშირად გაისმოდა აზრი, რომ 12 პარტია ძალიან ცოტაა მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად — მეტი თუ არ უნდათ, 16 შეხვედრა მაინც უნდა დაენიშნათო. თურმე როგორ ვტყუვდებოდით?! არ გავითვალისწინეთ, ვინ და როგორ თამაშობდა?! წინასწარ კი ამბობდნენ, კარლსენი აუცილებლად გაიმარჯვებსო, და რეიტინგის ცხრილში მის უდიდეს უპირატესობაზე მიუთითებდნენ. ამას ყველა როდი იზიარებდა: ინდოელს თავისი მიმდევრები ჰყავდა. ხაზს უსვამდნენ მის უდიდეს გამოცდილებას, დიდ სადებიუტო ერუდიციას, თითქოს ეს ერუდიცია ნორვეგიელს აკლდა — დასაწყისებს შეგნებულად გვერდს უვლის, რომ მეტოქემ „რალაცამი“ არ დაიჭიროს, ეგეც მეორე კაპაბლანკა გავიხსნა, ფიგურებს ცვლის და ცვლის, ენდშპილში მოწინააღმდეგეს აუცილებლად ვაჯობებო. თუმცა ასეც არაერთგზის მომხდარა.

ისე კი, რისთვისაც 12 პარტია უნდა ყოფილიყო აუცილებელი, სულ რაღაც ათში დამთავრდა. მართლაც რომ ჯიუტი ფაქტია. ასეთ მოულოდნელ ამბებს რომ ვხედავდი, ინტერნეტი ხომ მყისვე გაჩვენებს თითოეულ სვლას და დიდოსტატთა სახეებს, არაერთი ძველი გამოთქმა ამეკვიატა. 1910 წელს ერთი ბერლინელი ჟურნალისტი წერდა (სწორედ ბერლინში მიმდინარეობდა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ემანუელ ლასკერსა და დავიდ იანოვსკის შორის): „ორთაბრძოლა ძალიან მრავალმხრივად მიმდინარეობს: ხან ლასკერი იგებს, ხან კი იანოვსკი აგებს“. რა დაავიწყებდა ამ ორთაბრძოლას იანოვსკის, რომელმაც 8 პარტია წააგო, 3 ყაიმით დაამთავრა და ერთიც კი ვერ მოიგო. თვით იანოვსკი კი ასე ხუმრობდა, თუ ამასაც ხუმრობა ჰქვია: „ჭადრაკში სულ სამი გენიოსია. ორი, ცხადია, ლასკერი და კაპაბლანკაა. აი, მესამის დასახელებს უფლებას ჩემი შინაგანი მოკრძალება არ მაძლევს“.

ახლანდელი მატჩის მსვლელობამ კი, რომელიც ინდოეთის ქალაქ ჩენდაიში მიმდინარეობდა, გამახსენა ერთი, სრულიად არასაჭადრაკო ხუმრობაც. როგორც განთქმული ინგლისელი ფეხბურთელი გარი ლინეკერი ამბობდა: „ფეხბურთს 22 მოთამაშე ჰყავს, იმარჯვებენ კი ყოველთვის... გერმანელები!“ ახლა კი გერმანელთა ნაცვლად გაიმარჯვა, ასე ვთქვათ, ნორჩმა, ნორვეგიელმა, რომელსაც სულ ახლახან (30 ნოემბერს) 23 წელი შეუსრულდა. მასზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი კი მხოლოდ გარი კასპაროვი იყო.

შეიძლება კიდევ ბევრი რამის საინტერესოს თქმაც, მაგრამ სჯობს იმ 10 პარტიას გადავხედოთ, რომლებმაც ასე გაამწარა მსოფლიოს ახლა უკვე ექს-ჩემპიონის გულშემატკივართა მილიონები.

პირველ პარტიას (2013 წლის 9 ნოემბერი), რომელშიც თეთრებით კარლსენი თამაშობდა, დიდი ბრძოლა არ მოჰყოლია. მეტოქეებმა გაიმეორეს სვლები და უკვე მე-16 სვლაზე ყაიმი აღინიშნა. დიდი არაფერი სიახლე არ მოუტანია მეორესაც: აქაც სვლების გამეორება და ყაიმი 25-ე სვლაზე.

ეს მშვიდობიანი დასაწყისი, ცოტა არ იყოს, მაცდუნებელი აღმოჩნდა. მესამე შეხვედრიდან ბოლომდე ჩვენ ნამდვილი მედგარი ბრძოლა ვნახეთ (მართალია, იყო ორი შედარებით მშვიდი ყაიმიც).

მესამეში კარლსენმა არ მოისურვა დებიუტის შეცვლა: კვლავ ინგლისურ დასაწყისს მიმართა. აქ ყველაფერი იყო: თანაც შეიმჩნეოდა ნორვეგიელის მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი ფიგურა გაეცვალა (ეს მას ძალიან დასჩემდა!) და თამაში გადაეყვანა დაბოლოებაში. ყაიმი 51-ე სვლის შემდეგ, მას მერე, რაც დაფაზე არაფერი დარჩა.

აი, მეოთხე პარტიაზე კი ღირს საგანგებოდ შეჩერება. ანანდი თეთრებით თამაშობდა და მოსალოდნელიც იყო, რომ თავის საყვარელ ესპანურს მიმართავდა. ამას, რა თქმა უნდა, ელოდნენ კარლსენი და მისი მწვრთნელებიც. ესპა-

მ ა ტ რ ე ზ ი მ ს ო ფ ლ ი ო პ ი რ ვ ე ლ ო ზ ა ზ ე

ნურის წინააღმდეგ ნაირნაირი რეცეპტი არსებობს უმეტეს შემთხვევაში (გაცვლით ვარიანტში, გნებავეთ, ჩიგორინის დაცვაში) შავებს უხდებათ მძიმე, გნებავეთ, ყრუ დაცვაზე გადასვლა, რასაც, ვთქვათ, რობერტ ფიშერთან თამაშის შემთხვევაში, ძნელად რომ ვინმე ახერხებდა, და აი კასპაროვ-კრამნიკის (2000 წელს) მატჩის მზადების წინ მწვრთნელებმა ახალგაზრდა პრეტენდენტს შესთავაზეს სრულიად ახალი დაცვითი სისტემა. გარეგნულად თითქოს ლოგიკას მოკლებული: შავები ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ როქის უფლებებზე, მათი ფიგურებიც აბდაუბდად იყო განლაგებული. მაგრამ როგორც უაღრესად დაწვრილებითა ანალიზმა აჩვენა, თეთრებს არ შეეძლოთ რაიმე აქტიური გეგმის შედგენა, შავები ყოველთვის მარჯვედ იცავდნენ თავს. რას არ ეცადა კასპაროვი, როგორ მიდგამოდგა, შუა თამაშში რომ ვერაფერს მიაღწია, იქნებ ენდშპილში რაიმე გაეკეთებინა. არსად არაფერი გამოუვიდა. ამ დასაწყისს „ბერლინის ვარიანტი“ ეწოდა. კასპაროვს იგი მთელ მატჩად და მსოფლიო პირველობის დაკარგვად დაუჯდა. საბოლოოდ ნააგო 2 პარტია, ვერცერთი ვერ მოიგო და გასაღები ხომ ვერ მონახა და ვერა.

და რაც კასპაროვმა ვერ შეძლო, კარლსენმა მოინდომა გაეგო, რას დაუპირისპირებდა მას ანანდი. სულ მალე გამოიკვია, რომ ნორვეგიელს სწორად გადაუნყვებია — არც ინდოელს ჰქონია რამე „ბერლინის ვარიანტის“ წინააღმდეგ. ესეც შენი მრავალწლიანი მზადება! მეტად შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ კარლსენმა 64-ე სვლაზე მიაღწია ყაიმს. ეს უკვე მეოთხე ყაიმი იყო ზედიზედ. კარლსენს, ცხადია, გული მოეცა, ისე კი გამარჯვების რწმენა ყოველთვის ჰქონდა.

მეხუთე პარტიაში გაჭრა კარლსენის დღეისათვის შეუდარებელმა ოსტატობამ ენდშპილში. გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მან თამაში ეტლების მოსაგებ დაბოლოებაში გადაიყვანა და მოიგო 58-ე სვლაზე. ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავდა, მეექვსე პარტიაში 67-ე სვლაზე გამარჯვება კი, შეიძლება ითქვას, ყველაფერს. 2:0 ექვსი პარტიის შემდეგ — ამის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო.

მეშვიდე-მერვე პარტიებში, რა თქმა უნდა, ანანდმა გაიბრძოლა, მაგრამ კარლსენი მეტისმეტად ფრთხილად თამაშობდა (რაც მას პრეტენდენტთა შეჯიბრებისას აპრილ-მაისში ხანდახან აკლდა). ამ ორმა ყაიმმა კი ნორვეგიელი მიზანს კიდევ უფრო მიუახლოვა.

ცოტა რამ ვთქვათ მეცხრე შეხვედრაზეც, სადაც კარლსენმა პირველად მიმართა ნიმცოვიჩის დაცვას. ანანდს რაიმე განსაკუთრებული არ გაუკეთებია. თეთრები ცდილობენ აქტიურად ითამაშონ ცენტრში, შემდეგ კი, თუ შესაძლებლობა მიეცემათ, შეუტიონ შავ მეფეს, რომლის პოზიციაც თითქოს არასაკმარისად არის დაცული. ეს, რა თქმა უნდა, უფრო მოჩვენებითია, ვინ მოგცემს საშაბათო მუქარის შექმნის უფლებას. კარლსენი კი, როგორც წესი და რიგია, აქტიურად თამაშობს ლაზიერის ფრთაზე, სადაც ცდილობს კიდურა პაიკების ამოძრავებას. ანანდმა ლაზიერი და ეტლი გადაისროლა შავი მეფის წინააღმ-



მაგნუს კარლსენი ზეიმობს ჩემპიონობას

დეგ. ამასობაში კარლსენმა გაიყვანა ახალი ლაზიერი, საჭირო მომენტში უკანვე შესწირა თეთრების მოიერიშე ეტლში და ძალიან სწრაფად, უკვე 28-ე სვლაზე, მოიგო კიდევ — 6:3!

მეათე პარტიას (სადაც ანანდმა პირველად მიმართა სიცილიურს) არაფერი შეუცვლია და მსოფლიო ჩემპიონი შეუერივდა გამანადგურებელ დამარცხებას: 3 ნაგება, 7 ყაიმი, არცერთი მოგება! მართლაცდა იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო პირველობათა პრაქტიკაში.

რაიმე განსაკუთრებულის თქმა უკვე საჭირო აღარ არის. შეიძლება კარლსენი სავსებით სწორედ მოიქცა, რომ 21 წლისამ უარი თქვა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაზე, მოიცადა, ვიდრე მისი დრო დადგებოდა. და, აი, ძალიან მალე დადგა კიდევ.

ერთი სიტყვით, კარლსენი მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონი გახდა. ვინმესთან მისი შედარება, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არა ღირს, ადრინდელ ჩემპიონთა ჩამოთვლა კი ურიგო არ იქნება. 1886-94 წლებში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი იყო ვილჰელმ სტიინიცი (აშშ), რომელმაც იოჰან ჰერმან ცუკერტორტი დაამარცხა. შემდეგ ძალიან დიდხანს (1894-1921 წლებში) მსოფლიოს მეორე ჩემპიონი იყო ემანუელ ლასკერი (გერმანია), რომელმაც ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რასაც, როგორც ჩანს, ვერავინ გაიმეორებს (თუ აქაც კარლსენმა არ გამოიძღო თავი, ხაზი გავუსვათ მის ასაკსაც), შემდეგ უძლიერესები იყვნენ: ხოსე რაულ კა-

პაბლანკა (კუბა, 1921-27), ალექსანდრე ალიოხინი (საფრანგეთი 1927-35, 1937-46), მაქს ეივე (პოლანდია, 1935-37), მიხეილ ბოტვინიკი (საბჭოთა კავშირი, 1948-57, 1958-60, 1961-63), ვასილი სმისლოვი (საბჭოთა კავშირი, 1957-1958), მიხეილ ტალი (საბჭოთა კავშირი, 1960-61), ტიგრან პეტროსიანი (საბჭოთა კავშირი, 1963-69), ბორის სპასკი (საბჭოთა კავშირი, 1969-72), ბორის ფიშერი (აშშ, 1972-75), ანატოლი კარპოვი (საბჭოთა კავშირი, 1975-85), გარი კასპაროვი (საბჭოთა კავშირი, 1985-2000), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2000-07), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2007-2013).

აი, როგორი წინამორბედები ჰყავდა ახლანდელ ტრიუმფატორს მაგნუს კარლსენს, რომელიც ამ წოდებას 2015 წლამდე შეინარჩუნებს, შემდეგ კი თვითონ იცის...

ისე კი მისი მოსალოდნელი მეტოქეები დიდი ხანია ემზადებიან პრეტენდენტთა მატჩებისათვის, რომელიც 2014 წლის მარტისათვის არის დანიშნული. ესენი არიან: იგივე ანანდი (ასეთია დამარცხებული ჩემპიონის ოდინდელი უპირატესობა), ბორის გელფანდი (ისრაელი), რომელმაც ანანდთან შარშან ნააგო და პრეტენდენტის „მანტიაც“ მიიღო, რუსეთის ერთბაშად ოთხი წარმომადგენელი: ვლადიმირ კრამნიკი, სერგეი კარიაკინი, დმიტრი ანდრეიკინი, პეტრ სვიდლერი, ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ლევონ არონიანი (სომხეთი), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი).

ჭადრაკის სხვა ახლანდელ კორიფეებს (ვთქვათ, გატაკამსკის, თემურ რაჯაბოვს, ვასილი ივანჩუკსა და სხვებს)

ამის უფლება ჯერჯერობით არ გააჩნიათ.

ჯერჯერობით ჰოუ იფანი

ხანდახან კაცმა შეიძლება ისიც იფიქროს, რომ ქალთა ჭადრაკი საერთოდ არცკი არსებობს. დიას, ზოგჯერ ასეც ხდება საქართველოში, რომლის შვილებიც მთელი 30 წელიწადი მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. შეიძლება რომელიმე მწერალმა ის დრო გაგვახსენოს, წიგნს კი ასეთი სათაური ექნება: „ის დაუვინყარი 30 წელი!“ ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, მაია ჩიბურდანიძის, ნინო გურიელისა და ნანა იოსელიანის განთქმულ წარმატებებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, 1961-91 წლებში მოპოვებულ არაერთ ტრიუმფზე. მაგრამ ასეთი მიღწევები ხომ ოდესმე უნდა დამთავრებულიყო. ასეა ყველგან და ყველგან ფერში, თაობათა ცვლის პროცესს ხომ ვერაფერი შეცვლის, თუმცა მის შედეგებთან შეგუება საკმაოდ ძნელი გახლავთ.

ასე მოხდა 1991 წელს, როდესაც მაია ჩიბურდანიძე, რომელსაც თითქოს კიდევ დიდხანს უნდა შეენარჩუნებინა თავისი წოდება, საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდა სიუ ძიუნთან. ამ დროიდან ჭადრაკში ჩაერთო ახალი ჩინური ტალღა, მანამდე რომ ნაკლებად ვინმე იცნობდა, ისე კი ღრმა ფესვები ჰქონია. სიუ ძიუნმა კარგახანს შეინარჩუნა თავისი წოდება, შემდეგ კი ჯერ ჟუჟუა პოლგარს, შემდეგ კი სხვა ჩინელ მოჭადრაკეებს გადააბარა.

ვინლა არ იყო ამის შემდეგ მსოფლიოში უძლიერესი, მაგრამ ქართველებს ამ დროიდან მოყოლებული, ასეთი პრეტენზიები (ჯერჯერობით) აღარ ჰქონიათ! ერთხანს მსოფლიო ჩემპიონი იყო მანამდე ვუნდერკინდის სახელის მქონე ანტუანეტა სტეფანოვა, ბულგარელი შემდეგ მოსკოველმა ალექსანდრა კოსტენიუკმა შეცვალა, იყო ზოგი ნაკლებ ცნობილი სახელიც. ისე კი მსოფლიოში უძლიერეს ქალ მოჭადრაკედ ყოველთვის იუდით პოლგარი რჩებოდა. აქ იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი „მაგრამ“ — იუდითი არასოდეს თამაშობდა ქალებთან, რომელთაც, ცხადია, თავიანთი „მორიგი“ ჩემპიონი ჰყავდათ, ამ სახელს კი ყოველთვის რამდენიმე ახალგაზრდა დიდოსტატი უმიზნებდა. მათ შორის ბოლო წლებში გამოირჩეოდა კიდევ ერთი ჩინელი ჰოუ იფანი.

იგი 1994 წელსაა დაბადებული, 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, შემდეგ ვერ დაიცვა თავისი წოდება ახალგაზრდა უკრაინელ ანა უშენინასთან. თავიდან გაიარა მთელი შესარჩევი გზა და აი ამასწინათ სასტიკად დაამარცხა სწორედ ეს უშენინა. ეს მატჩი — დებულების თანახმად — 10 პარტიისაგან შედგებოდა, მაგრამ ამდენის თამაში ნამდვილად არ დასჭირდა. ჰოუ იფანმა მოიგო ოთხი პარტია, სამი ყაიმით დაასრულა: 5,5:1,5 — კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გახდა და, ყველა სპეციალისტის აღიარებით, დღევანდელ ქალებში ბადალი არა ჰყავს. იმასაც კი წერენ, რომ იგი

იუდით პოლგარზე უკეთესადაც თამაშობს და, საშუალება რომ ჰქონდეს, მატჩსაც ნამდვილად მოუგებს. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ პოლგარმა, მას შემდეგ, რაც მეორე შვილი შეეძინა, განაახლა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში თამაში, თუმცა უწინდელ შედეგებს ველარ აღწევს (წავიდა ის დრო, როცა უძლიერეს ვაჟთა პირველ ათეულში შედიოდა).

თუ კვლავ ჰოუ იფანზე ვილაპარაკებთ, მისი თამაში გამოირჩევა არამარტო აგრესიული, შემტევი სტილით, რაც მეტოქე ქალებს, როგორც წესი, აბნევს ხოლმე, არამედ მაღალი თეორიული მომზადებითაც: მასთან მუდმივად მუშაობს რამდენიმე ჩინელი დიდოსტატი (ციან ჩუანი და შაოტენი), რომელთაც შესაძლოა ქვეყნის ფარგლებს გარეთ არავინ იცნობს, მაგრამ არაერთი სადებიუტო ანალიზის ავტორები არიან (რაც ჰოუ იფანის და ანა უშენინას მატჩშიც დადასტურდა). მათ დიდი ვერაფერი დაუპირისპირა ალექსანდრ შალიფმანმა (ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს სისტემით), რომელიც ანა უშენინას ამზადებდა.

მაშ ასე, მსოფლიოს უძლიერეს ქალებს (თუ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებს) ამიერიდან საქმე ექნებათ ჰოუ იფანთან, რომელიც გაზაფხულზე მსოფლიო პირველობის მატჩში უნდა შეხვდეს ინდოელ ჰამპი კონერუს. კონერუს არაერთი დიდი მიღწევა აქვს და, თუ აქამდე პრეტენდენტთა შეჯიბრებებში არ გამოირჩეოდა, ახლა კარგ პერსპექტივებს უქადიან ჰოუ იფანთან მატჩში. ჩინელი ინდოელის წინააღმდეგ — ასეთ წყვილს მსოფლიო ჩემპიონობის მატჩში ამ 25-30 წლის წინათ ხომ ვერავინ წარმოიდგენდა.

ცოტა ბუნდოვანია მსოფლიო ჩემპიონ ჰოუ იფანის ბოლო განცხადებებიც. თუკი ჰამპი კონერუ დაამარცხა, იგი იფიქრებს, გააგრძელოს საჭადრაკო კარიერა თუ თამაშს საერთოდ თავი დაანებოს, რადგანაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პროფესიონალი დიპლომატის კარიერაზე ოცნებობს.

ისე კი აქ არავითარი თავსატეხი არ არსებობს. 2015 წლისათვის, როცა ყველა შესარჩევი შეჯიბრება დამთავრდება, ახალ პრეტენდენტს საქმე ექნება ან ჰოუ იფანთან ან ჰამპი კონერუსთან. ვინ შეიძლება გახდეს ეს ახალი პრეტენდენტი? ვინ იცის — ან კვლავ უშენინა, ან მუბიჩუკი, ან ლაგნო, ან სტეფანოვა, შესაძლოა, მრავალნაციადი კრამლინგიც.

ჩვენ კი ჩვენს ქართველებზეც ვიფიქროთ. უკვე არაერთი წელია, მსოფლიოს უძლიერეს ქალთა პირველ ათეულში ხვდება ნანა ძაგნიძე. ხან რა აკლდება და ხან რა — ზოგჯერ საუკეთესო მზადყოფნას ამჟღავნებს, ზოგჯერაც რალაც ხელს უშლის. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ბელა ხოტენაშვილს რა თქმა უნდა უმაღლეს დონეზე თამაშის სათანადო გამოცდილება არა აქვს, მაგრამ დიდ ნიჭსა და სათანადო შრომისმოყვარეობას ვინ წაართმევს! ასე რომ, ნანა ძაგნიძესა და ბელა ხოტენაშვილს ვუსურვებთ მხარში ამოდგომოდნენ 60-90-იანი წლების ჭადრაკის დიდ ქართველ კორიფებს.



ჰოუ იფანი — ახალი საჭადრაკო დედოფალი

უკვდავება დავითისა

1941 წლის 22 ივნისს დიდებული ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის მუზამ ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა, რათა მგზნებარე ლექსით გაემხნეებინა ომში განვეული მოძმენი, გაეზიარებინა ქვეყნის ჭირი და ლხინი.

გმირული წარსული და გმირული ანწყო ერთმანეთს მხარს უმშვენებენ სახელოვანი პოეტის ომისდროინდელ ლექსებში.

გიორგი ლეონიძის მესხიერებას უხვად ჰქონდა შემონახული წარსულის ძვირფასი მაგალითები — ანწყოსათვის შესახსენებლად.

1941 წლით დათარიღებულ ლექსში ასე მიმართავდა მაიორ ალექსი ინაურს: „ბრძოლაში, თითქოს ქორწილში, შეხვალ და ტყვიის მღერასა ყურს არ მიუგდებ... მტრის რაზმებს ზედ გადააფრენ მერანსა!“

პოეზიას სიზუსტე უყვარსო და მკითხველს „მერანი“ ვაითუ პოეტურ ლიცენციად მოეჩვენოს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მაიორი ალექსი ინაური (შემდგომში — გენერალ-პოლკოვნიკი) იმ დიდი ომის დაწყებისას კავალერიისტა პოლკს მეთაურობდა.

რაც შეეხება სისხლისმღვრელი ბრძოლის შედარებას ქორწილთან, ამგვარი „სიგიჟე“, ალბათ, სანთლით საძებარი იქნება მაშრიყსა თუ მალრიბში, მაგრამ ავტორ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი სენია ჩხეიძე, თვითმხილველი და მონაწილე ქირმანის უდაბნოში გადაკარგულ ქართველ მხედართა ბრძოლებსა, უშფოთვლად გვაუწყებს: „ასრე სიხარულით მივდიოდით, ვითარცა ქორწილსა შინა წვეულ ვყოფილიყავით, მაგრამ ჩვენის ჯარის სიმცრო გვიძიდა“.

საქართველოს ისტორიის ზედმიწევნითი მეცნიერული ცოდნა და კვლევა პოეტს ზოგჯერ ისეთი დეტალით შეუმკობდა ლექსს, რომლის ჭეშმარიტი არსი და მნიშვნელობა იოლი მისახვედრი როდია.

აი, გავიხსენოთ სახელგანთქმული ლექსის („არ დაიდარდო, დედაო“) დასაწყისი: „ლიმილის ბჭი ვიყავი, ბეჭზედ არნივი მესხატა“. ეჭვიც არავის გაუჩნდება, რომ ბეჭზე დახატული არნივი ნიშნავს ყმანივლიკატური გატაცების წარუშლელ დაღს — სხეულის მოსვინებებს. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ აღნიშნული გამოთქმა ეხმინებოდეს ერთ ძველისძველ ლეგენდას, გამოჩენილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.) საქართველოს აღწერისას რომ გვამცნობს: წინათ აქაური მეფეები ბეჭზე არნივის ნიშნით იბადებოდნენო.

როგორც ამბობენ, გიორგი ლეონიძეს, პოეტსა და მკვლევარს, „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ადგილი ზეპირადაც სცოდნია.

და აი, 1942 წლით დათარიღებულ ლექსს („სამშობლოს გმირებს“) ეპიგრაფად უძღვის შემდეგი ტექსტი: „...არა არს ნესი ჩვენ ქართველთა, რათა ვიხილოთ მტერი ჩვენკერძ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დალათუ იყოს სიკვდილი (ქართველი სარდლის ნათქვამი ბრძოლაში, XIII საუკ.)“.

მაგრამ ამ სიტყვების მთქმელი სინამდვილეში გახლავთ საქართველოს მეფე დავით V, ძე ლაშა-გიორგისა, შვილიშვილი თამარისა, მონღოლთაგან ულუ-დავითად ნოდებულნი. გამოუცდელმა მკითხველმა შესაძლოა ეჭვის თვალთ შეხედოს პოეტის მესხიერებას და დაასკვნას, მეფე და სარდალი ერთმანეთში აერიო. მაგრამ მესხიერება აქ არაფერ შუაშია, ამგვარი კაზუსი უფრო მარტივად უნდა აიხსნას — იმ წლებში მეფეთა აპოლოგია და ზოგჯერ უბრალო ხსენებაც კი დასაგმობ მოვლენად ითვლებოდა და პოეტმა, ალბათ, ამიტომაც ამჯობინა უვნებელი კორექტივი შეეტანა „ქართლის ცხოვრების“ ცნობაში. ისტორიულ სინამდვილეს დიდად როდი დაამახინჯებდა ამგვარი ტრანსფორმაცია. ბოლოს და ბოლოს, ულუ-დავითი ამ სიტყვების წარმოთქმისას მონღოლთა სარდლად უფრო გვევლინება, ვიდრე საქართველოს მონარქად.

გავიდა შვიდი საუკუნე და ხელახლა აჟღერდა უშიში ქართველი მეფის დევიზი, ლექსად თქმული გიორგი ლეონიძის მიერ: „არა, არ არის ნესი, ქართველმა მტერს შეუბმელად ზურგი უჩვენოს, მტერი კი არა, თუ გინდ სიკვდილმა სამშობლოს საზღვრებს შემოუჭუნოს!“

...XIII საუკუნე. 60-იანი წლების მიწურულთა. ჩინგიზ-ყაენის შემკვიდრეთა შორის სამკვერთ-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ამჯერად ჩაღატაელთა ყაენი ბარახა ექიშპება ირანის ილხანს აბა-ყაენს, რომელიც თავისი ჯარით მიეშურება მტრის შესახვედრად და, როგორც ნესი, თან ახლავს მოკავშირე საქართველოს მხედრობა ულუ-დავითის წინამძღოლობით.

აბა-ყაენს ქართველები, მონღოლთა ერთ რაზმთან ერთად, მტრის დასაზვერად გაუგზავნია. და აი, ამოსის ველზე გამოჩნდა ბა-

რახა-ყაენის ლაშქარი, რომლის სიმრავლისგან მტვერი ღრუბელივით იდგაო. მონღოლთა ნოინი მბრძანებლის დავალებას შესრუ-

ლებულად მიიჩნევს და უკანდახევას აპირებს, რათა აუწყოს აბა-ყაენს მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოახლოება. მაგრამ ულუ-დავითი უარობს უკანდახევას და ამაყად უცხადებს ნოინს: „არა არს ნესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დალათუ იყოს სიკვდილი“.

მონღოლთა განცვიფრება და წყრომა უსაზღვროა. ისინი შეახსენებენ ქართველ მეფეს, რომ აბა-ყაენს არ უბრძანებია ბარახას ლაშქართან შებმა, მხოლოდ დაზვერვა დაგვაავალაო. სამხედრო საქმის უცოდინარობასაც საყვედურობენ. ხან ევედრებიან, ხან ემუქრებიან და მაინც ვერ არწმუნებენ. მერე შიკრიკს აფრენენ აბა-ყაენთან და მტრის მოახლოებას ამცნობენ. ამასთან, შესჩივლებენ: შენი ბრძანებისამებრ უკანდახევას ვაპირებთ, მაგრამ „უცნობო-ქმნილინი“ ქართველი არ მოგვეყვებიან და ამბობენ, ჩვენი ჩვეულება არ არის, რომ მტერი თვალთ ვიხილოთ და უბრძოლველად ზურგი შევაქციოთო; დიდო ყაენო, ჩვენ ვერაფერი გავაწყვეთ, შენ თვითონ უნდა მობრძანდე და ეგებ დაამოშინოო.

თავის ნოინებზე არანაკლებ განცვიფრებული აბა-ყაენი მთელი ჯარით დაიძვრის, რათა დასძლიოს ქართველი მეფის სიჯიუტე. მოხმობს ულუ-დავითს და პატივისცემით მიმართავს: „ვიცი სიმხნე თქვენი ბრძოლათა შინა, თქვენ ქართველნი ურჩნი ხართ და შმაგნი“. მერე უხსნის, ჩემი ნოინი შენსავით რომ მოქცეულიყო, უმაღლე სიკვდილით დავსჯიდო, მაგრამ თქვენ, ქართველებმა, ჩვენი ნესი არ იცით და ამიტომაც არას ვერჩიო.

როგორ არ იცოდნენ, რომ მონღოლთა სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ პოპულარულ ტაქტიკურ ხერხს წარმოადგენდა მოჩვენებითი უკანდახევა და მონინააღმდეგის გატყუება მდევრად, რის შედეგადაც მონღოლთა ჩასაფრებული ნაწილები ზურგში მოექცეოდნენ შეტევით გართულებს, გაქცეული მონღოლებიც უკანვე მობრუნდებოდნენ და მტერი ორ ტყეცხლშუა აღმორღებდებოდა. აღნიშნული ხერხი მონღოლებმა საქართველოს მხედრობასთან პირველი შეტაკებისასვე გამოიყენეს, ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის დროს, და სასტიკი მარცხი აგემეს ქართველებს.

როგორ არ იცოდნენ მონღოლთა ნესი, მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ ქართულ ნესს როგორ შეელოდნენ!

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ულუ-დავითი ჩამოქვეითდა ცხენიდან, თაყვანი სცა აბა-ყაენს და ასე მოახსენა: „დიდო ყაენო, არა არს ჩვეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოს. ანე ბედნიერმან თვალმან ყაენისამან გვიხილოს, თუ ვითარ დავდავთ თავი ჩვენი სიკვდილად!“

თუნდაც ულმოვლი განაჩენი გამოვუტანოთ მონღოლთათვის თავგანწირულ ქართველ მეფეს, თუნდაც მკაცრად ვაკვიცხოთ და შევჩვენოთ კიდევ მონღოლთა სამხედრო სამსახურში გარჯისათვის, მაინც მომაჯადოებლად ჩავგვსმის ყურში მისი დევიზი და რომანტიკულ ბურუსში ჩანთქმულნი ველოიავებით ტუბილ-მწარე წარსულს.

საქმის ერთხელეობა, სიტყვის ფასი, საკუთარი მეობის გამომყვალავებისა და წარმოჩენის დაუოკებელი წყურვილი ანუ, თანამედროვე ტერმინი რომ ვისესხით, მაღალი პროფესიონალიზმი — აი, ეს გამოსჭვივის ულუ-დავითის ნათქვამში, რასაც უჭოჭმანოდ გაიმეორებდნენ მისი მხედრები.

ზემოხსენებული დევიზი ლიტონ სიტყვებად როდი რჩებოდა. ულუ-დავითსაც და მის შთამომავალთაც არაერთგზის დაუმტკიცებიათ, რომ მათი სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო ერთიმეორისგან.

ჟამთააღმწერელი გვარწმუნებს, რომ არაერთგზის განკვირვებულან მონღოლნი სიმხნესა ზედა ქართველთასა.

შემდგომში ვაკვირვებას გამოთქვამდნენ ყიზილბაშები, ოსმალები, ავღანები.

ულუ-დავითის დევიზმა უკვდავება მოიხვეჭა და რეფრენად გაჰყვა მომდევნო საუკუნეებს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლებში თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსში ძველებური ემხიათა და ძალ-ღონით აბღღვრიალდა.

არა არს ჩვეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოს — შორეული შორეთიდან გვწვდება ქართველი მეფის სიტყვები.

და უნებურად გაგახსენდება სტრიქონები დავით წერედიანის ლექსიდან: „ისე მამაცნი ყოფილან, უზაკველნი და ქველნი, ისე ზარავდით მომხდურებს მათი ძალი და სიმხნე, რომ ზოგჯერ ეჭვიც გაკრთება: იყვნენ? არ იყვნენ? იყვნენ?“

ტულაში თავისი სამოვრით

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ „გონებისა და გულისათვის უსარგებლო“ ქალაქად გამოცხადებული თბილისი, ჭორიანობა და ჭირიანობა რომ სჩვეოდა, XX საუკუნეშიც, ჩანს, არ ღალატობდა თავის ნარღვნამდელ ჩვეულებას და ამით, ალბათ, გულს იფხანდა, ნარსულის ჭრილობებს იშუშებდა. ხუმრობა საქმეა, ჯალალედინიც უნახავს სტუმრად მოსული და თემურ-ლენგიც, შაჰ-აბასიც და აღა-მაჰმად-ხანიც, ერმოლოვსა და ვორონცოვზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ჰოდა, სახელდახელოდ ერთი კოლორიტული ჭორიც გავიხსენოთ, რომელსაც გასული საუკუნის 40-იანი წლების დამლევს გაუმხიარულებია ჩვენი დალოცვილი დედაქალაქი.

სახელოვანი ქართველი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი სტალინის მიერ 1945 წელს აღებული ბერლინის ხელშეკრულებად რომ გამზადებულა, უღვაშა ბელადი, ანუ მომავალი ფილმის („ბერლინის დაცემა“, 1949) მთავარი პროდიუსერი, ეკითხება: შენი ვერიკო ბერლინში ხომ მიგყავსო? (საზღვარგარეთა ვიზიტები იმხანად იშვიათი ხილი იყო და დიდად ფასობდა). უღვაშა ბელადთან შეთამამებულ-შეხუმრებული რეჟისორი კი ყარაჩოღელივით (გრიშაშვილი იტყვოდა, კინტოსავითო) ასე პასუხობს: რას ბრძანებთ, იოსებ ვისარიონოვიჩ, ტულაში თავისი სამოვრით ნეტავი ვინ დადისო?!

სტალინს, იმდროინდელი თბილისური ჭორის თანახმად, ცნობილი რუსული ანდაზა უფრო კინტოს ნათქვამად მოსჩვენებია (კარგად იცნობდა კინტოთა მოდგმას იოსებ გრიშაშვილის ნიგნინადან „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“) და მისიხანად შეუკრავს კოპები.

ერთ პოპულარულ ფოტოსურათზე სწორედ ეს ნამია აღბეჭდილი. ვინც საბჭოთა ეპოქას არ მოსწრებია (მისდა საბედნიეროდ!), ამ სურათს რომ დახედავს, უთუოდ იფიქრებს, ეს წყეული სტალინი თავისი უზარმაზარი იმპერიის ბედ-იღბალზე არის ჩაფიქრებულიო. სინამდვილეში ჭიაურელის გამობდობა ემცხება, ასე როგორ გამიმინაურდაო, და ახლა ფიქრობს, ამ ვაჟბატონს რა სასჯელი ვარგუნო, ბერლინის მაგივრად ციმბირში ხომ არ გავისტუმროო?

კვლავ თბილისური ჭორის მიხედვით, კაციჭამიას მერე გული ასჩვილებია (ქართველები ისედაც ცოტანი ვართო!) და გზა დაულოცავს ნიჭიერი შემოქმედისათვის პირდაპირ ბერლინისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ცხონებული „პერესტროიკის“ ჟამს ნანვიმარზე სოკოსავით მომრავლებულმა მჯღაბნელებმა სტალინის საყვარლებად ხან მერილინ მონრო და ჯინა ლოლობრიჯიდა, ხანაც იმდროინდელი დიდი თეატრის ყველა მოზარდი თუ მოზრდილი ვოკალისტკა და ბალერინა გამოაცხადეს, ძნელია მივაკუთვნოთ უღვაშა ბელადი იმ მსოფლიო ფიგურათა კოჰორტას, რომლებიც დონ ჟუანს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტი და ვინ უკეთესი (ლევიონია მათი სახელი!).

ინგლისელი მკვლევარი სიამონ მინტეფიორე, სანდო წყაროზე დაყრდნობით, გვამცნობს, რომ სტალინს მოსწონდა დეტექტიური ფილმები, ვესტერნები და განგსტერნებიც, ოღონდ აკრძალული იყო იმ ფილმთა ჩვენება, თუნდაც უმცირეს სექსუალურ მინიშნებას რომ შეიცავდნენ.

კრემლის კინოდარბაზს განაგებდა კინემატოგრაფიის მინისტრი ამხ. ბოლშაკოვი. ერთხელაც სტალინსა და მის გუნდს აჩვენა დასავლური ფილმი სარისკო სცენით, სადაც მონაწილეობდა ტიტლიკანა აქტრისა. სტალინმა თურმე მუშტი დასცხო მაგიდას და მრისხანედ ჰკითხა მინისტრს: „ამხანაგო ბოლშაკოვ, თქვენ აქ ბორდელის გახსნა გნებავთ?“ ნამოდგა და დარბაზი დატოვაო.

ამის შემდეგ ამხ. ბოლშაკოვი წინასწარ ნახულობდა ფილმს და კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ამოეჭრათ ყველაფერი, რაც დიდი ძალდატანებით შეიძლება მიეჩნიათ ეროტიკად ანუ „ბორდელის გახსნად“.

იმავე მონტეფიორეს თხზულებაში ვკითხულობთ, რომ სტალინს როცა ფრთხილად მოახსენებდნენ ხოლმე ბერიას სექსუალურ სილაღეთა თაობაზე, უღვაშა ბელადი ჩვეული ლიმილით პასუხობდა: „რა გაეწყობა, ამხანაგი ბერია მუშაობით რომ გადაიღლება, გული ხომ უნდა გადააყოლოს“.

ერთი სიტყვით, შეუწყნარებელი ასკეტი არ ყოფილა — არც საკუთარი თავისა და არც სხვათა მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია მისი საუცხოო ხუმრობა — როდესაც წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსმა (ანუ სულიერმა მოძღვარმა) ლევ მეხლისმა მოახსენა, მარშალი როკოსოვსკი ფრონტზე ყოველკვირა საყვარლებს იცვლისო; მიბრძანეთ, რა ვიღონოთ, რა უნდა ვქნათო? სტალინს ნარბები შეუჭმუნებია. მეხლისი შეცბუნებულა, ვაი ჩემო თავო, ჩვენი უსაყვარლესი მარშალი მგონი სასიკვდილოდ გაგნირეო. მაგრამ, მადლობა ღმერთს, სტალინს უღვაშებში ჩაუცინია და უთქვამს: უნდა გვშურდესო.

ჭიაურელის მიერ უადგილოდ და უდროოდ ნამოსროლილი რუსული ანდაზა თურმე ძალზე ეამებოდა ჩვენს დაუვიწყარ ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს, რომელსაც სიყვარულით ანთებული გული ჰქონია და ქალთა სქესი არანაკლებ ნაყვარება, ვიდრე ძვირფასი სამშობლო, ერთადერთი რომაა ქვეყანაზე...

ჰოდა, ცოლი არავითარ შემთხვევაში არ დაჰყავდა საზღვარგარეთ ხშირ-ხშირი ვიზიტებისას და ხშირ-ხშირადვე იმეორებდა: აბა, ტულაში თავისი სამოვრით ვინ დადისო?

1973 წელს ჩაბრძანდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორი დღე გაატარა ვაშინგტონში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა აშშ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან, რომელმაც მერე მიიწვია კემპდევიდის აგარაკზე. ერთი დღე კი გაძლო ბრეჟნევმა უსამოვროდ, მაგრამ მეორე დღითვე თავისი ადიუტანტი აფრინა აეროპორტში, რათა პერსონალური თვითმფრინავიდან ერთ-ერთი სტიუარდესა სასწრაფოდ მოეტაცათ.

როგორც ჩანს, ასაკი ვერაფერს აკლებდა მშვიდობიან წლებში საბჭოთა კავშირის გმირად და მარშლად შერაცხული კაცის გულსა და ძალ-ღონეს.

სტიუარდესამ ორი ღამე გაატარა ბრეჟნევთან — შეუსვენებლივ! როდესაც ნიქსონმა მოინახულა საბჭოთა ლიდერი, ბრეჟნევმა, ცხადია, გააცნო ამერიკის პრეზიდენტს თავისი ტურფა. ნიქსონმა სტანდარტული ამერიკული ლიმილი აჩუქა რუს მზეთუნახავს და სთხოვა, გენსეკს უნდა გაუფრთხილდეთო.

მწერალთა სახლმა უმასპინძლა პოეტ **ნანა ღვინევაძის** პოეტური კრებულის – **„მარჩბივი“** – ნარდგინებას. წიგნი 2011 წელს, გამოცემლობა **„ბასიანში“** დაიბეჭდა. იგი სამი ნაწილისგან შედგება, როგორც ავტორი უწოდებს – სამი კარედისგან. პირველ ნაწილში შესულია მეოცე საუკუნეში შექმნილი პოეზია, მეორე — ოცდამეერთე საუკუნის შემოქმედებას წარმოგვიდგენს, ხოლო მესამე — **ანა ახმატოვას** პოეზიის თარგმანებს ეთმობა. კრებულს ბოლოში დაერთვის **მურმან ჯგუბურიას** ლექსი, რომელიც მან მიუძღვნა ნანა ღვინევაძეს, ანა ახმატოვას ლექსების ქართულად ამეტყველებისათვის: **„შენ ახმატოვას თარგმნიდი მაშინ და უძებნიდი ღირსეულ რითმას, როს ძილს უფრთხობდა საბჭოთა კავშირს პოეტის სიტყვა. დღეს ანა წიგნი გვიმშვენებს თაროს და აკრძალული არაა ხილი. და აღარც გვახსოვს, იყო რა მწარე პოეტის წილი. უპრიანია ყვირილი დიდი, უპრიანია — დუმილი მკაცრი. ქვეყანა ესე კვლავ მარჯვნივ მიდის, პოეტი — მარცხნივ“**.

— პოეტი თავის ლექსებს ჰგავს, — ბრძანა **გიზო ზარნაძემ**, — ნანა ღვინევაძეც თავის ლექსებს ჰგავს, იგი სევდიანი, მოკრძალებული პოეტი, მას არასდროს გასჩენია სურვილი სარფიანი წიგნები დაესტამბა. იგი უაღრესად მორიდებული პოეტი.

შეკრებილ თავყვანისმცემლებს პოეტი თვითონ უკითხავდა ლექსებს. ნანა ღვინევაძის შემოქმედებიდან საყვარელი ნიმუშები წაიკითხეს **გიზო ზარნაძემ**, **ელდინო საღარაძემ** და პოეტის პატარა შვილიშვილებმა.

